საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

სამეცნიერო-პოპულარული სერია

შოთა ჟიჟიგური

ქართული ენის თავგადასავალი

(მეორე შევსებულ-შესწორებული გამოცემა)

თბილისი
„მეცნიერება“
1990

81. 2Гр
ძ 631

წიგნში პოპულარულად, მკითხველთა ფართო წრეებისათვის გასაგები ენით გადმოცემულია ქართული ენის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის საკითხები, ქართული ენის, ქართველი ხალხისა და ქართული ალფაბეტის წარმოშობის პრობლემები; განხილულია ქართული ენის მსოფლიოს ხალხთა ენებთან ურთიერთობის პრობლემები, დახასიათებულია უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები, მოცემულია ქართული ენის შესწავლის მოკლე ისტორია.

რეცენზენტები:

ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი თ. ჯაგოდნიშვილი

ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი მ. ღლონტი

ძ 4602020200 / M 607 (06)—90 136—90

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1990

ISBN 5—520—00867—1

„ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდ რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას.

...ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიურია".

„ქართულ ენას შეუძლია სრულფასოვნად და დაუშახინჯებლად გადმოსცეს განყენებული აზროვნების ცნებები. ქართულად ადვილად ითარგმნება როგორც აზიური, ისე ევროპული კულტურული საზოგადოებრიობის მთელი პროდუქცია. მას საკმაოდ მდიდარი საშუალებები მოეპოვება გამოყენებითი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ნაციონალიზაციისათვის. ამასთანავე, იგი უდიდესი შრომით მოპოვებული ინტერნაციონალიზმის ჩანასახსაც შეიცავს..; ქართული ენა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო განვითარებული და ცოცხალი საწერლობო ენაა".

„...ქართულს ფრიადი პატივისცემა და ჩვენთვის ახლა წარმოუდგენელი დიდება მოელის მეცნიერებაში".

ნიკო მარი

წ ი ნ ა თ ქ მ ა

ერთი ენათმეცნიერის მოხდენილი ფრაზა რომ გავიმეოროთ, ჩვენ — თანამედროვე ადამიანები — ვაზროვნებთ როგორც კოპერნიკი, მაგრამ ვმეტყველებთ პტოლემეს ენით, როცა ვამბობთ, „მზე ა მ ო ვ ი დ ა", „მზე ჩ ა ვ ი დ ა ო!".

ენა ცოცხალი მუზეუმია. აქ დაცული „ენობრივი ექსპონატები" მანიშნებელია ხალხის თავგადასავლისა, ეროვნული ფსიქოლოგიის ნიშანდობლივი თვისებებისა და საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული ტრადიციებისა. ამიტომაა ენა ისტორიული კატეგორია.

ენობრივი კონსერვატიზმის მეოხებით, — კონსერვატიზმისა, რომელიც შესამჩნევია მეტყველების ბუნებაში ჩაქსოვილ ევოლუციური სახეცვალების უნართან (ინოვაციები), — „ენის სული" უტყუარი და მშვენრმეტყველური მოწმეა კაცობრიობის მიერ განვლილი გზისა, ცხადლივ მაჩვენებელი ჩვენი მეტყველების, როგორც „ცოცხალი ორგანიზმის", სუნთქვისა და პულსაციისა შორეულ წარსულში.

მეცნიერული თვალი ქართული ენის წარმოქმნის სათავეებს ექვსი ათასი წლის უწინარეს სიღრმეებში სწვდება და, ასე გასინჯეთ, რა ფართო და ვრცელია ენობრივი თვალსაწიერი ჩვენი ეთნოსის თავგადასავლის ძველისძველი საფეხურების გამოსავლენად და წარმოსაჩენად!

ქართული ენა მსოფლიოს ენათა სისტემებში უნიკალური ლინგვისტური ბუნების ენად არის მიჩნეული. აღიარებულია დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა არქაული ცივილიზაციის მატარებელი თხუთმეტსაუკუნოვანი სალიტერატურო ქართულისა.

წინამდებარე წიგნში სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ფორმით გადმოცემულია ჩვენი დედაენის განვლილი გზის ამსახველი, არცთუ ამომწურავი ცნობები თანამედროვე მეცნიერულ ძიებებზე დაყრდნობით.

რაკი წიგნი პოპულარული ხასიათისაა და არა დამოუკიდებელი გამოკვლევა, გასაგებია, რომ იგი არ არის დატვირთული სქოლიოებით და აცდენილია მეცნიერულ დეტალიზაციას საკითხების გაშუქებაში.

ქართული ენის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა

ქართული ენა ქართველი ერის ისტორიული განვითარების ყველაზე დიადი მონაპოვარია.

ქართველები ერთ-ერთი უძველესი ხალხია მსოფლიოში.

ქართული ენა თავისი ფესვებით თუ წარსულით ახლო აღმოსავლეთის ძველი ცივილიზაციების ენათა წილნაყარია.

ქართული ენის კონტაქტები თუ გენეზისური ურთიერთობანი არქაული ცივილიზაციის შემქმნელი ხალხების ენებთან მჭევრმეტყველურად ღაღადებს ძველი სამყაროს ეთნოლოგიური ტიპების ჩამოყალიბებაში ჩვენი შორეული წინაპრების მონაწილეობის შესახებ. უმთავრესად ენის მონაცემების საფუძველზე ვლინდება ქართველების ოდინდელი მიმართებანი წინა აზიისა და შუამდინარეთის ხალხებთან, რომელთაც დაარწიეს საკაცობრიო კულტურის აკვანი. დღეს გადაშენებულმა შუმერებმა, ხეთებმა, ხურიტებმა, ურარტელებმა, ელამელებმა შექმნეს მაღალი კულტურა და საგულისხმოა ქართული ენის უტყუარი შეხვედრები ამ ძველ ენებთან, დადასტურებული მეცნიერულ ძიებათა შედეგად. ასევე ივარაუდება პროტოქართველურ-პროტოინდოევროპულ-პროტოსემიტურის მიმართებანი.

ქართული ენა ჩვენი ერის დიდი საგანძურია.

გადაშენდა მრავლის უმრავლესი ენა ძველი სამყაროსი, ან სულ დაკნინდა და გაღარიბდა. წინა აზიის ისტორიული ცხოვრების „ძველი მოწმე“ — ქართული ენა დღეს მსოფლიოს ცივილიზებულ ენათა რიგში დგას და განვითარების უმაგალითო აღმავლობას განიცდის.

ქართულმა ენამ განვითარების გრძელი და მეტად შინაარსიანი გზა განვლო. თხუთმეტსაუკუნოვანმა სალიტერატურო ენამ გაიღრმავა შინაგანი შესაძლებლობანი, მკაცრად ჩამოიყალიბა სტრუქტურა და გაიფართოვა ლექსიკის ჩარჩოები.

ქართულ ენას წარსულში დიდი დევნა და შევიწროება განუცდია. მას გადაშენებას უქადდნენ დიდი იმპერიების ენები, რომლებიც მომძლავრებული იყვნენ ჩვენს ქვეყანაში ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. ნიკო მარი წერს:

„ქართული ენის სისტემატურმა დევნამ... შეაფერხა მეცნიერების ნორმალური განვითარება ლინგვისტურად ფრიად საინტერესო და მდიდარ ქართულ ენაზე, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია არა მარტო თეორიისათვის, არა მარტო ენათა წარმოშობის საკითხისა და ზოგადი ენათმეცნიერებისათვის ან წინა აზიის უძველესი ისტორიისათვის.. მაგრამ ამ შეფერხებათა მიუხედავად, ქართულ აზროვნებას, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იხვეწებოდა სხვადასხვა გონებრივი მიმართულების სკოლაში, არ დაუკარგავს კულტურისუნარიანობა, ის სერიოზული კულტურისუნარიანობა, რომელიც ერთ დაკვირვებულ ევროპელს, მისივე სიტყვებით, თვითნაბად ნიჭად ეჩვენებოდა. სისტემატურმა დევნამ სრულიად ვერ წაართვა ქართულ ენას ძველთაგანვე შეძენილი, მისთვის დამახასიათებელი უნარი — ყოფილიყო მრავალტომობრივი ქართველი ხალხის ღრმა წიაღში ახალ იდეათა და მოძღვრებათა წერილობითი თუ ზეპირად დაკვირვების მძლავრი იარაღი. და უკანასკნელი ორი ათეული საუკუნის განმავლობაში საზოგადოებრივი აზრი დუღდა და მწიფდებოდა ქართველი ხალხის ფართო ფენებში“.

ქართველმა ხალხმა ცეცხლითა და მახვილით გამოატარა თავისი ღვიძლი დედაენა ისტორიული ქარტეხილების გზებზე და მოიტანა დღემდე, როგორც უპირველესი ნიშანი ეროვნული თვითმყოფადობისა.

ქართული ენა დღეს დიდ აღმავლობას განიცდის. მდიდრდება და რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა. მრავალჭირგამოვლილი ქართველი ხალხი, დღეს ფენიქსებრ აღმდგარი, თავის ენას განვითარებისა და აღორძინების არნახულ პირობებს უქმნის, ქართული ენა აღმავლობის დიდ გზაზე დგას.

„საქართველო უძველეს დროშიც ლინგვისტურად დაყოფილი იყო სხვადასხვა მონათესავე ენად, კილოდ და თქმად, იგი ჩვეულებრივ დაყოფილი იყო სხვადასხვა სამეფოდაც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველო მთლიანი იყო, როგორც ნაციონალურ-კულტურული ერთეული. ქრისტიანობის შემოღებიდან მას აერთიანებდა, სხვათა შორის, საეკლესიო და სალიტერატურო ენა. შემდგომ, ჯერ კიდევ ძველ დროში, შემუშავდა აგრეთვე საერო, სიტყვაკაზმული ლიტერატურა და მან კიდევ უფრო მძლავრად შეაკავშირა ქართველი ტომები. საერთო-სალიტერატურო ენის საფუძველზე წარმოიქმნა ადგილობრივი ნაციონალური კულტურა. ამ სალიტერატურო ენას „ქართული“ ეწოდება. ასეთი სახელწოდება სწორია მხოლოდ მისი დიალექტური საფუძვლის ლინგვისტური დახასიათების თვალსაზრისით; სწორია იგი, ავრეთვე, იმ ისტორიული თვალსაზრისითაც, რომ ამ საქმის წამოწყება ითავა ტომმა, რომელიც ეთნოგრაფიულად და დიალექტურად ქართველებადაა მიჩნეული, მაგრამ ეს იყო V საუკუნეში ქრისტეს დაბადებიდან. მეექვსე-მეშვიდე საუკუნეებიდან კი ამ სალიტერატურო ენის განვი-

თარებაში, გარდა ქართლელებისა, მონაწილეობას იღებენ სხვა ქართველი ტომებიც (გურულები, მეგრელები, სვანები, ლაზები და ა. შ.), რომელთაც საერთოქართულ ლიტერატურაში, საერთო ჯამში, უფრო დიდი წვლილი შეაქვთ, ვიდრე ქართლელებს. ამგვარად, ლიტერატურა ტომობრივიდან ნაციონალური ხდება, ხოლო სალიტერატურო ენა — დიალექტურქართულიდან, კუთხურიდან საერთო ქართული... ამ რეალური კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ქართული სალიტერატურო ენა იმდენადვეა სვანური და მეგრული, რამდენადაც საკუთრივ ქართული, ან, რაც იგივეა, რამდენადაც გურული და იმერული. ესაა მშობლიური სამწერლობო ენა ყოველი ქართველი ტომისა, რომელ კილოსა თუ კილოკავებზე და ენაზეც არ უნდა ლაპარაკობდნენ ისინი შინ, საკუთარ კერიასთან“ — წერდა ნიკო მარი.

ქართული ენა მიეკუთვნება „ქართველურ ენათა ჯგუფს“, რომელიც ცნობილია აგრეთვე „სამხრულკავკასიურ ენათა ჯგუფად“. ამ ჯგუფის წევრებია: საკუთრივ ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური. მეგრულ-ჭანური ერთმანეთის მიმართ კილოკავებია, მათ საერთო სახელწოდებად მეცნიერებაში დამკვიდრებულია „ზანური“ ანდა „კოლხური“.

ქართული ენა ქართველი ტომების საერთო ენაა. იგი აერთიანებს ქართველი ხალხის უმთავრეს ტომებს: ქართებს, მეგრელ-ჭანებსა და სვანებს.

ქართველი ერი ამ სამი უმთავრესი ტომის ერთობლიობაა.

კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ცნება „ქართული ენისა“ შეიცავს როგორც საკუთრივ ქართულს, ისე ზანურს (კოლხურს) და სვანურს. თუმცა ლინგვისტურად „ქართული“, „ზანური“ („კოლხური“) და „სვანური“ „ენებადაა“ მიჩნეული (მაგრამ „შინაურ ენებად“!). ამ ცნების შეზღუდული გაგებით (ისინი საერთოქართული ენის დიფერენციაციის შედეგს წარმოადგენენ, რაზედაც დაწვრილებით ამ წიგნის სხვა ნაწილში იქნება საუბარი). ქართული ენა მთელი ქართველობის გამაერთიანებელია.

ქართველი ტომების დაახლოება და კომპაქტურობა ძველი საუკუნეების მონაპოვარია. შუა საუკუნეებში ამ დაახლოებას და გაერთიანებას საგრძნობლად შეუწყო ხელი ქართველი ტომების გაერთიანებამ ერთ სახელმწიფოში და ქართული ენის მიღებამ საერთოეროვნულ სამწერლობო ენად.

ქართული ენა ისტორიულად ეროვნული კონსოლიდაციის ყველაზე მძლავრ ბერკეტს წარმოადგენდა.

ქართულმა სალიტერატურო ენამ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ერის კომპაქტურობის შენარჩუნებაში, ერთიანი ეროვნული

მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. იგი იყო შემკრავი და შემადუღებელი მთელი ქართველობისა ისტორიული განვითარების პროცესში.

ქართველი ტომები უხსოვარი დროიდან ესახლნენ საერთო მიწა-წყალზე და მათ ადრევე დაიწყეს თავისი ეროვნულ-კულტურული ბირთვის — ქართლის გარშემო შეკავშირება. ამ ნიადაგზე მათ ადრევე გაუჩნდათ ერთობის შეგნება, რომელიც მომდევნო ხანაში უფრო ფართოვდებოდა და მტკიცდებოდა. ეს ერთობა დაფუძნებული იყო ენობრივ ერთიანობაზედაც. VI—VII საუკუნეთა განათლებულ ქართველთა აზროვნებაში ცნება „ქართლი“ აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად დასავლეთ საქართველოსაც მოიცავდა. IX—X საუკუნეებში შორეულ სინის მთაზე გადახვეწილი ქართველი ბერები ლოცულობდნენ „ყოველთა ქრისტეანეთა და უფროის ყოველთაჲსა — ყოველთა ქართველთათვის“ (864 წლის ხელნაწერიხ მინაწერი) და საქართველოს „მშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისათვის“ ევედრებოდნენ ღმერთს. ერთობის ასეთი შეგნება ემყარებოდა არა პოლიტიკურ საფუძველს, — მაშინ ხომ საქართველო კიდევ უფრო დაქუცმაცებული იყო, ვიდრე VI—VII საუკუნეებში, — არამედ ტომობრივსა და საეკლესიო-კულტურულ ნათესაობასა და კავშირებს.

951 წელს ცნობილი ქართველი მწერალი გიორგი მერჩულე წერდა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“.

ეს უაღრესად საყურადღებო სიტყვებია, რამდენადაც ქართლი, ე. ი. ფრიადი ქვეყანა, — მთლიანი საქართველო, — დახასიათებულია ენის ნიშნის კვალობაზე; ერის ცნების დეფინიციისათვის ამოსავალი დებულებაა ენობრივი კონსოლიდაციის აღიარება. მეათე საუკუნის მწერლის ეს ფორმულირება უთუოდ იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის მკაფიო ანარეკლია.

ენობრივი ერთობის თვალსაზრისი გატარებულია მომდევნო საუკუნეებში შექმნილ პოლიტიკურ დოკუმენტებშიც. ასე, მაგალითად, საქართველოს მეფე-მთავართა 1790 წლის ტრაქტატში ვკითხულობთ: „ვინაიდან სრულიად ივერიელებს, ქართლის, კახეთის, იმერეთის, ოდიშის (სამეგრელოს), გურიის და სხვათა მკვიდრთ“ აქვთ „ერთმორწმუნეობა“ და არიან „ერთისა ენისა მქონებელნი, აქვთ ურთიერთსიყვარული, ამიტომ ვდებთ პირობას...“, და ხხვ.

მე-18 საუკუნის ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის წიგნში, სადაც ლაპარაკია ქართველი (ფეოდალური) ერის კულტურულ ერთიანობაზე, ნათქვამია: „თუ ჰკითხავთ ვინმე ქართლელს, იმერელს, მესხს, ჰერ-კახელს — „რა სჯული ხარ?“, მოგიგებს: „ქართველი“. მეორე მხრივ, მათ აქვთ დამწერლობა და ენა ერთი და

იგივე, შექმნილი პირველი მეფის ფარნაოზის მიერ და თუ ჰკითხავთ ზემოხსენებულებს — „რა ენა და დამწერლობა იცი?“, — მოგიგებს მყის: „ქართული“, და არ იტყვის არცა სჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა ან მესხთა ან ჰერ-კახთასა, არამედ — ქართულსა“; მეგრელნი „ენით არიან დიდნი და წარჩინებულნი ქართულის ენითა, არამედ აქვთ თავისიცა ენა... და აქვთ წიგნი ქართულივე და არა სხვა“.

ქართული ფეოდალური ერის ენობრივი ერთობა მტკიცდებოდა ახალი სალიტერატურო ენის განვითარების საფუძველზე.

ქართული ენის მნიშვნელობა მეცნიერებისათვის კიდევ უფრო ნათელი იქნება, თუ გავითვალისწინებთ შემდეგ გარემოებას.

ძველ საუკუნეებში ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის მჭიდრო კულტურული ურთიერთობა არსებობდა. მრავალი პირველხარისხოვანი ძეგლი ითარგმნა ბერძნულიდან ქართულ ენაზე. ბევრი მათგანის დედანი დაკარგულია. მეცნიერებას დღეს საშუალება აქვს ქართული თარგმანების მიხედვით აღადგინოს ბერძნული ლიტერატურის შედევრები, გაუჩინარებული საუკუნეთა მანძილზე. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ქართული თარგმანები სხვა მხრივაც იწვევს ბიზანტინისტების ცხოველ ინტერესს: ქართულ ენას შემოუნახავს ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა რედაქცია, რაც უაღრესად საყურადღებოა ტექსტოლოგიური თვალსაზრისით.

1902 წელს ნ. მარმა და ი. ჯავახიშვილმა იერუსალიმსა და სინის მთაზე მოაწყეს ექსპედიცია იქ დაცული უძველესი ქართული ხელნაწერების გასაცნობად.

1903 წელს ნ. მარმა დაბეჭდა ამ მოგზაურობის მოკლე ანგარიში. როდესაც ეს ანგარიში გაიცნო ძველი ქრისტიანული მწერლობის დიდმა ავტორიტეტმა, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა, აკად. ა. ჰარნაკმა, პრუსიის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოში აღნიშნა: „ამ ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც. გამოჩნდებიან განა ჩვენში, გერმანიაში, ახალგაზრდა მეცნიერები, რომელნიც შეძლებენ შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია ამ ხალხისა, რომელსაც თავისი ძველი კულტურით ძმური ნათესაობა ჰქონია ჩვენთან, და გაგვაცნონ ახლოს მისი საუნჯე?“

ბერძნულ ლიტერატურაში დაკარგული, მაგრამ ქართულ ენაზე შემონახული ბევრი ძეგლი ფილოლოგიურად შეისწავლეს და გამოსცეს როგორც ქართველმა, ისე უცხოელმა მეცნიერებმა (ქართული ტექსტები თარგმნეს ლათინურად, რუსულად...).

აი, რას ამბობს აკად. კ. კეკელიძე ერთ-ერთი წერილობითი ძეგლის აღმოჩენასთან დაკავშირებით: „ჯერ კიდევ 1901 წელს აკად. ნ. მარმა აღმოაჩინა ქართულ თარგმანში იპოლიტე რომაელის (III საუკ.) რამ-

დენიმე, და დღეს უკვე დაკარგული, ეგზეგეტიკური შრომა, რომელთაგან ერთი — „თარგმანებაჲ ქებათაჲსა“ — გახდა საგანი მისი სადოქტორო დისერტაციისა. ამ თხზულების გამოცემამ ყუმბარასავით იფეთქა სამეცნიერო წრეებში, რადგანაც ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში ეს იყო მოულოდნელი აღმოჩენა, ნამდვილი სიურპრიზი, რომელიც იპოლიტეს შრომების დღესდღეობით ცნობილ რიცხვს ხუთი ნაწარმოებით ადიდებდა“.

თვითონ კ. კეკელიძემაც აღმოაჩინა და ფართო მეცნიერული აპარატით გამოსცა არა ერთი და ორი ასეთი პირველხარისხოვანი ძეგლი ბერძნული მწერლობისა, მაგალითად, მიტროფანეს თხზულება; იგი ეკუთვნის IX საუკუნის ბიზანტიელ მწერალს, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ბიზანტიის კულტურულ ცხოვრებაში. არავითარი კვალი ამ თხზულებისა ბერძნულ ენაზე არ შენახულა, არც ის იყო ცნობილი, რომ მიტროფანეს ასეთი თხზულება დაუწერია. მისი ქართული თარგმანი შესრულებულია პეტრიწის სალიტერატურო სკოლაში XI—XII საუკუნეებში. ეს ნაწარმოები, გამოცემული კეკელიძის მიერ, ავსებს IX ს. ბიზანტიის კულტურისა და ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზს.

ამრიგად: ქართულმა ენამ შემოგვინახა ისეთი თხზულებები ბიზანტიური მწერლობისა, რომელთა ბერძნული დედნები დაკარგულია, მათი აღდგენა შეიძლება მხოლოდ ქართული თარგმანებით; ქართულ ენაზე შემონახული ცნობები ზოგიერთი ბიზანტიელი ავტორის შესახებ ავსებენ და სულ ახალ ასპექტში აშუქებენ მათ ცხოვრებასა და შემოქმედებას; ქართულ ენაზე დაცულია ცნობები ბიზანტიური მწერლობის ნაწილად უცნობი მწერლების შესახებ; ბიზანტიური ლიტერატურის ზოგი ნაწარმოები ქართულ ენაზე მოღწეულია ისეთი ვარიანტებით, რომლებიც სხვა აზრსა და მნიშვნელობას აძლევენ ამ ნაწარმოებებს.

მაგრამ ამ საუნჯეთა შესწავლისას ირკვევა, რომ მათში არის არა მხოლოდ თარგმანები, არამედ უძვირფასესი ორიგინალური ნაწარმოებებიც. ამასთანავე, ქართველი ხალხის კულტურული სახე ვერ მოთავსდება ხალხთა ბერძნულ-ქრისტიანული ოჯახით შემოსაზღვრულ ჩარჩოებში. ქართულმა მწერლობამ სპარსული და არაბული ლიტერატურის შესანიშნავი ძეგლებიც შემოგვინახა.

ქართული ენის მნიშვნელობა ამ სფეროშიც დიდ ინტერესს აღვივებს.

ქართველმა ხალხმა თავისი ენის მიმართ ცნობიერი დამოკიდებულება სამარადისოდ აღბეჭდა, როცა მშობლიურ ენას „დედაენა“ უწოდა. მშობლიური ენის გატოლება დედის ცნებასთან თავისთავად საგულისხმოა; ენისა და დედის იდენტიფიკაცია ქართველი ხალხის მეტა-

ფორული აზროვნების მშვენიერი მაგალითია და უტყუარად ადასტურებს ქართული ენის მნიშვნელობის ღრმა შეცნობას. კიდევ მეტიც: ქართველმა ხალხმა გააფართოვა სიტყვის — „ქართული“ მნიშვნელობა და იგი საერთოდ სიტყვის, ენის სინონიმად დასახა. რუსთაველის პოემაში ვკითხულობთ:

„მაშინ-ღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,
რა ვეღარ მიჰხვდეს ქ ა რ თ უ ლ ს ა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,
არ შეამოკლოს ქ ა რ თ უ ლ ი, არა ქმნას სიტყვამცირობა“.

(სტროფი 14)

ასეთი იდენტიფიკაცია გვხვდება ჩვეულებრივ სიტყვახმარებაშიც. იმავე პოემაში გვხვდება „ტკბილქართული“: „ყმა ტკბილი და ტ კ ბ ი ლ ქ ა რ თ უ ლ ი“ (ე. ი. ყმა ტკბილი და ტკბილად მოუბარი).

ამრიგად, ენაში „ქართული“ ზოგად ტერმინად დამკვიდრებულა.

„დედაენა“ — „ქართული“ (ზოგადი გაგებით) — „ტკბილქართული“. ასე შეუფასებია ხალხს თავისი ღვიძლი ენა.

ქართულ ენას, როგორც უდიდეს ეროვნულ საგანძურს, ხოტბა-დიდებას ასხამდნენ ძველი ქართველი მწერლები. ეს პოეტური ხოტბა ეროვნული მრწამსის ანარეკლია და საუკუნეობით შემუშავებული ხალხური თვალსაზრისის ლიტერატურული გამოხატულება.

პირველი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლი, რომელშიც გამოთქმულია ქართული ენის ქება, ეკუთვნის ქართველ მწერალს იოანე ზოსიმეს.

თხზულებას ეწოდება „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ და დაწერილია X საუკუნეში.

პატრიოტული სულისკვეთებით დაწერილ ამ პოეტურ ქმნილებაში საოცარი ლაპიდარობითაა ჩამოყალიბებული ფორმულები, ამსახველი ქართული ენის მნიშვნელობისა:

„ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს“ — ეს ფრაზა ქართული ენის მდიდარი შინაგანი თვისებების აღიარებაა. მართალია, „ეს ენაჲ მძინარე არს დღესამომდე“, მაგრამ იგი ღირსია დავაყენოთ, — განაგრძობს ავტორი, — ბერძნული ენის გვერდით; ქართული ენა ისეთივე თანასწორია („მეგობარია“) ბერძნული ენისა, როგორც იყვნენ ნინო და ელენე, რომელთაგანაც პირველმა უქადაგა საბარება ქართველებს, მეორემ კი — ბერძნებს; ქართულ-ბერძნული ენები დებია, ვითარცა მართა და მარიამი. ეს კიდევ ცოტაა. მწერალი აცხადებს, რომ ქართული ენა „მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა“.

რელიგიურ ასპექტში წარმოსახული ეს ხოტბა უთუოდ საყურადღებოა, როგორც დოკუმენტი, ამსახველი იმდროინდელი საზოგადოებრივი განწყობილებისა. „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ ლეგენდარულია, მაგრამ მის გარეგნულ ფორმას რომ თავი დავანებოთ და ყურადღება გავამახვილოთ იმ მიზანსწრაფვაზე, რაც გამოსჭვივის ტექსტში, და ჩავწვდეთ შინაარსს, ნათლად დავინახავთ, რომ იმდროინდელ ქართველებს მკვეთრად შეუმუშავებიათ ეროვნული თვითშეგნება ქრისტიანობის საფუძველზე. ამ თვითშეგნებას, რომელიც გამოხატულია ძველი დროისათვის დამახასიათებელი ლეგენდარული ფორმით, ჰქონია რეალური სარჩული.

ქართული ენა და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა

როგორ დგას მეცნიერებაში საკითხი ქართველი ხალხის წარმოშობის შესახებ უძველესი წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური მასალებისა და ენობრივი მონაცემების მიხედვით? ქართველი ტომების ეთნოგენეზისის გათვალისწინება აუცილებელია ქართული ენის თავდაპირველი სახის, მისი მერმინდელი განვითარებისა და სხვა ენებთან გენეზისური თუ ისტორიული კონტაქტების გამოსარკვევად. ქართული ენის ინდივიდუალობის გამომუშავება ქართველი ტომების ისტორიულ ასპექტებთან არის ორგანულად დაკავშირებული.

გავეცნოთ ძირითად ეთნოგენეტიკურ კონცეფციებს, რომლებიც ასურათებენ ქართველი ხალხის წარმოშობისა და შემდგომი განვითარების გზებს.

ანტიკური და შუა საუკუნეების ავტორები გვთავაზობენ ლეგენდარულ სამოსელში გახვეულ ცნობებს ქართველთა ეთნოგენეზისის ირგვლივ.

ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე (V საუკ. ძვ. წ.) დაასკვნიდა, რომ ერთ-ერთი ქართველი ტომი (კოლხები) ეგვიპტური წარმოშობისაა.

ძველი ბერძნებისავე კონცეფციით, მეორე ქართველი ტომის — იბერიელების თავდაპირველი სამშობლო ესპანეთია. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის ძვ. წ. III საუკუნის ისტორიკოსი მეგასთენე თავის თხზულებაში „ინდოეთის ისტორია“, შემდეგ იმეორებს I საუკ. ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი. ამაზე ლაპარაკობენ სხვა ავტორებიც.

ამრიგად, ანტიკურ სამყაროში ფართოდ იყო გავრცელებული აზრი დასავლეთის იბერიელებისა და ქართველების („კავკასიის იბერიელების“) ერთობლიობის შესახებ.

ძველი ქართული ქრონიკა („მოქცევაჲ ქართლისაჲ“) გვაწვდის ცნობას, რომ ქართველები გადმოსახლებული არიან არიან-ქართლიდან ალექსანდრე მაკედონელის დროს. სახელდობრ, ნათქვამია, რომ ალექსანდრე მაკედონელმა არიან-ქართლის მეფის შვილი აზო დასვა მეფედ მცხეთაში (მცხეთა ხომ საქართველოს უძველესი დედაქალაქია). აზომ არიან-ქართლიდან მოიყვანა ხალხი, რომელთაგან წარმოიშვნენ ქართველებიო. ამრიგად, ისტორიული ქრონიკა გვარწმუნებს, რომ ქართველთა წინაპრები არიან-ქართლიდან მოსულან. ამავე ცნობას გვაწვდის ძველი სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელი (V საუკ.).

რა იგულისხმება „არიან-ქართლში“, რა ქვეყანაა იგი, ეს საკითხი დღემდე მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი ფიქრობდა, რომ ეს არის შუა აზიის „არიანა“.

აკად. ს. ჯანაშიას გამოკვლევით, „არიან-ქართლი წარმოადგენს მოგონებას ჰარი-ქვეყნის, როგორც ქართველთა უძველესი საცხოვრისის შესახებ. რეალურად აქ შესაძლებელია იგულისხმებოდეს როგორც მიტანი, ისე ურარტუც, ვანის ტბის მიდამოებში, რადგანაც... ჰარი-ქვეყანა შეიცავდა ერთსად და მეორესაც“. ს. ჯანაშიას რედაქციით გამოსულ „საქართველოს ისტორიაში“ (1943 წ.) კი ნათქვამია: „არიან-ქართლი ჰარის ქვეყანას უნდა გულისხმობდეს. ასე ეწოდებოდა, როგორც ვიცით, ძველი სუბარეთის სამხრეთ რაიონებს. აზო იგივე იასონია, რომლებსაც ბერძნებში იბერიის მამამთავრად თვლიდნენ. ამრიგად, გადმოცემაში დაცულია მოგონება იმის შესახებ, თუ როგორც გადმოვიდა აღმოსავლურქართული სახელმწიფოს ცენტრი სამხრეთიდან ჩრდილოეთში“.

აკად. გ. მელიქიშვილმა გამოთქვა ასეთი ვარაუდი: ხომ არ შეიძლება „არიან“ „პირენეის“ დამახინჯება იყოს? (რაკი ძველ სამყაროში ასე პოპულარული იყო აზრი ესპანეთის — პირენეის — იბერიიდან კავკასიის იბერიაში ხალხის გადმოსახლების შესახებ). იგივე მეცნიერი ყურადღებას მიაქცევს სხვა შესაძლებლობასაც: პონტოს სამეფოს დამაარსებელი მითრიდატე, რომელიც, მოსე ხორენელის ცნობით, ალექსანდრე მაკედონელმა დააყენა იბერთა მმართველად, ითვლებოდა — „კიოსისა და არრინას“ მეფედ („არრინა“ სად იყო, არ ვიცით). ხომ არ შეიძლებოდა, რომ რომელიმე ლიტერატურული წყაროს საფუძველზე ამ „არრინა“-დან ქართული „არიან“ წარმომდგარიყოო, სვამს კითხვას გ. მელიქიშვილი.

ასეთია „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ მოცემული ცნობის შესახებ არსებული ინტერპრეტაციები. ეს საკითხი რთულია და გამოცანად ჩცეული.

სამაგიეროდ, მარტივია ქართველთა წარმომავლობის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობა. აქ მოცემულია ქართველთა წინაპრების ბიბლიური პერსონაჟებიდან გამოყვანის ცდა.

ბიბლიურ ზღაპრულ სიუჟეტს რომ თავი დავანებოთ, საყურადღებოა შემდეგი გარემოება: იმავე ბიბლიურ ტექსტთან დაკავშირებით მეცნიერებაში გამოითქვა ვარაუდები ქართველთა წარმოშობის შესახებ.

იოსებ ფლავიუსმა (I საუკ.) წამოაყენა დებულება, რომ ბიბლიური თუბალები დღევანდელი ქართველები (იბერები) არიანო. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი ისტორიკოსი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი თეიმურაზ ბატონიშვილი ამ საგანზე ვრცლად მსჯელობს და იმოწმებს იოსებ ფლავიუსის ნაშრომს, რომელიც ქართულად უთარგმნია მე-12 საუკუნის ქართველ ფილოსოფოსს იოანე პეტრიწს.

იგივე იოსებ ფლავიუსი ფიქრობდა, რომ ბიბლიური „მეშეხები“ (მოსოხები) შემდეგდროინდელი კაპადოკიელების წინაპრებია.

მე-19 საუკუნეში გაშიფრული იქნა ძველი ასურული. ლურსმული წარწერების საფუძველზე დადასტურდა ბიბლიური თუბალების და მეშეხების რეალური არსებობა: ისინი აღმოჩნდნენ ძვ. წ. II—I ათასწლეულებში მცირე აზიაში არსებული გაერთიანებები — ტომთა კავშირები და სამეფოები. სრულიად გარკვეულად ჩამოყალიბდა თვალსაზრისი, რომ თუბალებისა და მოსოხების გაერთიანებები ქართველების წინაპრების წინანდელი გაერთიანებებია: როცა მცირე აზიაში ეს სამეფოები განადგურდნენ, ქართველები დაიძრნენ და კავკასიაში წამოვიდნენო. ეს მოხდა VIII—VII საუკუნეებში (ძვ. წ.). XIX საუკ. გამოჩენილმა ევროპელმა ისტორიკოსებმა ლენორმანმა და მასპერომ სწორედ უშუალოდ ქართველთა წინაპრებად მიიჩნიეს ასურული წყაროებით XII—VII საუკუნეებში (ძვ. წ.) დამოწმებული თაბალები და მუშკები (იბერებისა და მესხების წინაპრები), მათ მალე მიემატათ ჭაშკები (მერმინდელი კოლხების წინაპრები), ქსენოფონტეს (V საუკ. ძვ. წ.) მიერ მესოპოტამიაში მოხსენებული კარდუხები (იგივეა, რაც ქართველების სახელი „ქართუ“). გამოჩენილი მეცნიერი კ. ლემან-ჰაუპტი ამბობდა, რომ ქართები (იბერები) ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოსული კარდუხებისა და მცირე აზიიდან მოსული მესხების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდნენო. მისივე აზრით, ქართები (იბერები) წარმოიქმნენ კარდუხებისა და ფრიგიელი მუშქების შერევის შედეგად საქართველოს მიწა-წყალზე. თვით მუშქები (მოსხები, მესხები) ლემან-ჰაუპტს მიაჩნდა ფრიგიის ადგილობრივ მოსახლეობად. ი. დიაკონოვის ვარაუდითაც, მუშქების ქართველი ტომი შედიოდა ფრიგიის სამეფოს შემადგენლობაში. იგივე მეცნიერი დასაშვებად მიიჩნევდა იმასაც, რომ

ძველი ქართული ტერმინოლოგიით „მოსხებად“ და „მესხებად“ იწოდებოდნენ დასავლური წარმოშობის ქართველი ან გაქართველებული ტომები, გამოსულნი იმ ტერიტორიიდან, რომელიც ერთ დროს ფრიგიის სამეფოს მფლობელობაში იმყოფებოდა.

კონცეფცია თაბალების, მუშქებისა და სხვა ტომების გენეზისური დაკავშირებისა ქართველ ტომებთან გაიზიარა აკად. ი. ჯავახიშვილმა. ისიც ფიქრობდა, რომ ეს ქართველი ტომები კავკასიაში, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლდნენ მცირე აზიიდან VII საუკუნეში (ძვ. წ.). ქართველთა მიგრაციის თეორიას იზიარებდა აგრეთვე აკად. ნ. მარი.

ძირითადად აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნონიმიკის შესწავლის საფუძველზე გ. მელიქიშვილი ამტკიცებდა, რომ არ უნდა იყოს სწორი დასავლეთში გავრცელებული ტენდენცია — აღმ. მცირე აზია ძირითადად ხეთურ-იეროგლიფურ (ლუვიურ) ტომთა სამკვიდროდ გამოაცხადონ (პროტოხეთებთან ერთად), რომ ხეთურ-იეროგლიფური აქ გარკვეულ ხანაში ურთიერთობის, მწერლობის ენის როლს ასრულებდა და რომ სხვებთან ერთად ქართველური და სხვა კავკასიელი ტომების არსებობაცაა სავარაუდებელი.

ქართულ საისტორიო და საენათმეცნიერო ლიტერატურაში დიდი პოპულარობა მოიპოვა ს. ჯანაშიას მიერ წამოყენებულმა ეთნოგენეტიკურმა კონცეფციამ. მან ფაქტობრივად მოხსნა დღის წესრიგიდან თვალსაზრისი ქართველთა გადმოსახლების შესახებ. 1943 წელს ს. ჯანაშიას რედაქციით გამოქვეყნდა „საქართველოს ისტორია“, სადაც ახალი თვალსაზრისი ასეა ჩამოყალიბებული:

ქართველები გენეზისურად წინა აზიის ძველ მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან. დაახლოებით ექვსი ათასი წლის წინათ წინა აზიის მიწა-წყალზე და სამხრეთ ევროპაშიც (ბალკანეთის, აპენინისა და პირენეის ნახევარკუნძულზე) მონათესავე ხალხები ცხოვრობდნენ. ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგისათვის წინა აზიის ხალხებიდან ცნობილი იყვნენ ხეთები და სუბარები. ხეთები მცირე აზიაში მოსახლეობდნენ, სუბარებს კი ეჭირათ ტერიტორია ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოყოლებული კავკასიონამდე. ხეთა-მითანის სამეფოების ხანაში კავკასიის მიწა-წყალი ხეთურ-სუბარული მოდგმის მოსახლეობას ეკავა. ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი საუკუნეებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა კულტურის ორი წრე — დასავლური და აღმოსავლური, რომლებიც ქართველი ტომების ორ გაერთიანებას შეესაბამებოდა — დასავლურქართულსა და აღმოსავლურქართულს. ამავე ხანებში სამხრეთში, წინა აზიაში, ასურეთი გაბატონდა, ხოლო ხეთურ-სუბარული მოსახლეობა მრავალ წვრილ სამთავროდ დაიქსაქსა. ამ დროს ხეთურ-სუბარული ტომებიდან უფრო ძლიერნი ყოფილან მუსკები, მერმინ-

დელი მესხები. IX საუკუნეში კი ყველაზე უფრო ენერგიულ ბრძოლებს ასურელებს თუბალები უმართავენ. ძვ. წ. IX—VIII საუკუნეებში ხეთურ-სუბარულმა ტომებმა ახალი ძლიერი სახელმწიფო — ურარტუ შექმნეს. აქვე მეზობლად არსებობდა ხეთურ-სუბარული სამეფო მანა. მალე სამხრეთის ეს ხეთურ-სუბარული სახელმწიფოები განადგურდნენ, მაგრამ უკვე ძვ. წ. VI საუკუნისათვის სუბარეთის ჩრდილო რაიონების, კერძოდ — დღევანდელი საქართველოს, მოსახლეობა იმდენად იყო დაწინაურებული, რომ სახელმწიფო ორგანიზაციისათვის აქ საჭირო ნიადაგი არსებობდა. ამიტომაა, რომ, როცა ურარტუს სამეფო დაემხო და მისი ცენტრი ვანის ტბის პირას მოისპო, სახელმწიფოებრივმა ცენტრებმა უ ფ რ ო ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს ა კ ე ნ გ ა დ მ ო ი ნ ა ც ვ ლ ა. აქ ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფოები: კოლხეთი და იბერია.

ასეთია ისტორიული სქემა, წარმოდგენილი წიგნში: „საქართველოს ისტორია“.

ანტიკური ხანიდან მოყოლებული მსოფლიო ისტორიაში ქართველები მოიხსენებიან ძირითადად „კოლხებისა“ და „იბერების“ სახელწოდებით (სახელწოდებაში — „კოლხები“ იგულისხმება დასავლეთ საქართველო, „იბერებში“ — აღმოსავლეთი საქართველო).

კოლხეთი და იბერია წარმოადგენს იმ ნიადაგს, რომელზედაც შუა საუკუნეებში იქმნება ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობა.

უძველესი წერილობითი ცნობების მიხედვით (VI საუკ. ძვ. წ.), „კოლხი“ ზოგადი მნიშვნელობის ცნებაა და აერთიანებს რამდენიმე ტომს.

ეჭვმიუტანელი ცნობა იბერთა შესახებ ბერძნულ მწერლობაში ეკუთვნის II საუკუნის (ძვ. წ.) მწერალს აპოლოდორს. სტრაბონის ცნობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ (ს. ჯანაშია), რომ იბერთა ტერიტორია გაცილებით უფრო შორს იყო სამხრეთისაკენ გადაჭიმული (მდ. არაქსამდე), ვიდრე I საუკუნეში (ძვ. წ.). აპოლოდორზე ადრე, IV საუკუნისათვის (ძვ. წ.) იბერებს იხსენიებენ პლატონი და არისტოტელე, პირველი — იმ „მეომარ ხალხთა“ შორის, რომლებიც სვამენ უწყლო ღვინოს, მეორე კი ამბობს, რომ „იბერების მეომარი ხალხი საფლავის გარშემო იმდენ სარს არჭობს ხოლმე, რამდენიც მტერი ჰყავს მოკლული მიცვალებულსო“. აკადემიკოსი ვ. ლატიშევი ფიქრობდა, რომ აქ სწორედ კავკასიელი იბერები (ე. ი. ქართველები) იგულისხმებიან. ამ ცნობების მნიშვნელობა ისაა, რომ გარდა სატომო სახელის უძველესი ხსენებისა, მერმინდელი ისტორიული ფორმით, ისინი შეიცავენ გარკვეულ ეთნოგრაფიულ ჩვენებებს.

ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება.

„ისტორიის მამა“ — ჰეროდოტე კავკასიის იბერებს არ იხსენიებს.

მაშინ როდესაც მას კავკასიის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები აქვს მოცემული; კოლხებზე მან საკმაოდ დაწვრილებითი ცნობები დაგვიტოვა. ნუთუ ჰეროდოტემ არაფერი იცოდა აღმოსავლეთ საქართველოზე? ეს დაუჯერებელია.

ჰეროდოტეს თხზულებაში გვხვდება ასეთი ადგილი: „სპარსები ცხოვრობენ სამხრეთის ზღვამდე, რომელიც წითლად იწოდება; მათ ზემოთ ჩრდილოეთისაკენ ცხოვრობენ მიდიელები; მიდიელების ზემოთ — სასპერები, სასპერების ზემოთ — კოლხები, ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფაზისი. ეს ოთხი ხალხი ცხოვრობს ზღვიდან ზღვამდე“. ს. ჯანაშია ამ ადგილს ასეთ ინტერპრეტაციას უკეთებს: „ჩრდილოეთის ზღვა და ფაზისი შავი ზღვა და რიონია (უკიდურეს შემთხვევაში — ჭოროხი). კოლხეთს მაშინ უჭირავს (რაც ცნობილია სხვა წყაროებიდანაც) შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო, კერძოდ — დასავლეთი საქართველო. სამხრეთით („წითელ“ ზღვამდე (ე. ი. სპარსეთის ყურემდე) ჰეროდოტე მხოლოდ სამ დიდ ხალხს უჩვენებს, მათგან მიდიელებისა და სპარსების ტერიტორია აგრეთვე კარგად არის ცნობილი. ამ ცნობილ ტერიტორიულ ერთეულებს შორის ნათლად ირკვევა სასპეჭრების მიწა-წყალიც. მსგავსი ადგილები ჰეროდოტეს თხზულებაში სხვაცაა. ს. ჯანაშია დეტალურად აანალიზებს ჰეროდოტეს მიერ მოცემულ ცნობებს და გვთავაზობს დასკვნას: სასპეჭრები მერმინდელი ბერძენი მწერლების მიერ კარგად ცნობილი ი ბ ე რ ე ბ ი არიან; არავითარი სხვა რაციონალური ახსნა არ შეიძლება მოვუძებნოთ არც იმ კითხვას, თუ ვინღა იყვნენ სასპეჭრები და სად გაქრნენ ისინი შემდეგში ასე უკვალოდ, თუკი მათ სახელი არ გამოიცვალეს „იბერებად“, არც იმ კითხვას, თუ საიდან გაჩნდნენ ასე მოულოდნელად ეს იბერები.

„სასპეჭრი“ განსხვავებული ფონეტიკური სახესხვაობით მოცემული აქვთ მომდევნო ხანის ავტორებსაც: (ჰ) ე ს პ ე რ-ი ტ, ს ა პ ე ჭ რ, ს ა ვ ე ჭ რ, ს პ ე რ, ი ს პ ი რ...

ქართული ენის მონაცემების მიხედვით ამ სატომო სახელის ვარიანტები ახსნილი აქვს ს. ჯანაშიას. ჩვენ აქ არ შევუდგებით ზემოხსენებული ტერმინების ლინგვისტური ინტერპრეტაციების გადმოცემას. ვიტყვით მხოლოდ, რომ ს ა ს პ ე ჭ რ-ი (და სხვა ვარიანტები) უკავშირდება ტერმინებს: თ ა ბ ა ლ, ს უ ბ ა რ, ი ბ ე რ-ი ვ ე რ, ამრიგად, ს ა ს პ ე რ-ს ა ბ ე რ ე ბ ი ს იდენტიფიკაცია მერმინდელ იბერებთან დასტურდება არა მარტო ისტორიულად, არამედ ენობრივადაც.

ქართველი ერის ისტორიისათვის, ამასთანავე ქართული ენის ისტორიული გავრცელების საზღვრების დასადგენად, დიდად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ V საუკუნის პირველ ნახევარში

წინა აზიის ძირეული ტერიტორიის (წინა აზია — მცირე აზიისა და არაბეთის ნახევარკუნძულის გამოკლებით) ოთხი უდიდესი ხალხიდან (სპარსელები, მიდიელები, სასპეჯრები, კოლხები) ორი — კოლხები და სასპეჯრები — ქართული მოდგმისა იყო (ს. ჯანაშია).

ზემოთ ჩვენ საუბარი გვქონდა ანტიკური ხანის წერილობით ძეგლებში დაცული იმ ისტორიული და ენობრივი მასალის შესახებ, რომელიც ასახავს ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრისა და ახ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ვითარებას. მაშასადამე, დასკვნები კეთდებოდა ძირითადად ანტიკური ხანის, აგრეთვე ძველაღმოსავლური მასალების საფუძველზე.

როგორც ვიცით, საერთოქართულ ენას ამჟამად სამი განშტოება აქვს: საკუთრივ ქართული (ქართების ენა), ზანური (ანუ „კოლხური“, ე. ი. მეგრულ-ჭანური) და სვანური. ანტიკური ხანის ცნობები ეხება ქართველი ხალხის იმ ეპოქას, როდესაც უკვე მომხდარია ენობრივი დიფერენციაცია, ქართები, მეგრელ-ჭანები და სვანები წარმოადგენენ ძირითად ქართველ ტომებს.

სწვდება თუ არა ისტორიკოსისა და ენათმეცნიერის თვალი ძვ. წ. I ათასწლეულის ადრეულ ეპოქას, ე. ი. იმ დროს, რომელიც წინ უსწრებს ანტიკურ ხანას?

ადრეანტიკურ ხანაში ქართული ენისა და ქართველი ხალხის პროფილის განსაზღვრისათვის ძირითადად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლინგვისტურ ინტერპრეტაციებს და არქეოლოგიურ მონაცემებს. ამ თავში ჩვენ გაგაცნობთ ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის დასკვნებს, ხოლო ლინგვისტურ ასპექტებს უფრო დეტალურად განვიხილავთ წიგნის მომდევნო თავში.

ქართველი ხალხის უძველესი (ადრეანტიკური) ხანის ეთნოგენეტიკურ პროცესებს მიეძღვნა რამდენიმე ნაშრომი, სადაც წამოყენებული და დასაბუთებულია ენობრივი, არქეოლოგიური და ისტორიული მასალების შესწავლაზე დაფუძნებული საყურადღებო ჰიპოთეზები.

ყურადღებას იპყრობს, უწინარეს ყოვლისა, ერთ-ერთი ქართველი ტომის — სვანების უძველესი ადგილ-სამყოფელი და მათი განსახლების საკითხი (სვანურ ენას, სხვა ქართველურ ენებთან შედარებით, ყველაზე უფრო დაუცავს ქართველური ენების ფუძეენის ვითარებას!). გ. მელიქიშვილი ყურადღებას აქცევს ჰერაკლიტე პონტოელის (IV ს. ძვ. წ.) ცნობას: „ფაზისის გაყოლებით თავდაპირველად ცხოვრობდნენ ჰენიოხები, შემდეგ კი — მილეტელები“. აქ ლაპარაკია ძველ ბერძნულ ახალშენ ფაზისზე (და არა რიონის მთელ ხეობაზე). ტერმინ ჰენიოხებში უნდა იგულისხმებოდნენ სწორედ სვანები. „ჰენიოხ“-სახელის ვარიანტად მიაჩნიათ „სანიგი“. არსებობს ცნობა, რომ დიოსკურია (სე-

ბასტოპოლისი) სანიგების მიწა-წყალზე იყო. ამგვარად, დიოსკურია და მისი მიდამოები, ფაზისთან ერთად, ჰენიოხ-სანიგების ადგილსამყოფლად უნდა იქნეს მიჩნეული. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძველი დიოსკურიის ძველი ქართული სახელწოდება „ცხუმი“ სვანური წარმოშობისაა; „ცხუმი“ სვანურად ნიშნავს რცხილას (მ. ქალდანი). ანტიკურ მწერლობაში ალბანთა, იბერთა და კოლხთა გვერდით სწორედ ჰენიოხებია (სანიგები) დასახლებული. სტრაბონის ცნობით, დიოსკურიის მახლობლად სვანების უძლიერესი და მრავალრიცხოვანი ტომია, მათ შეუძლიათ 200.000-იანი ლაშქრის გამოყვანა, და სხვ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სვანთა ტომი შედიოდა კოლხურ პოლიტიკურ გაერთიანებაში. შემდეგ სვანები შეავიწროვეს და განდევნეს ზღვისპირა ზოლიდან. დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში ჰენიოხური მოსახლეობის შევიწროება უნდა მომხდარიყო ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში.

გ. მელიქიშვილი ასე სვამს საკითხს: „სადღა უნდა მოვათავსოთ კოლხები და ის ლეგენდარული „კოლხეთის სამეფო“, რომლის დიდება და ძლიერება ასე მკაფიოდ აირეკლა მეზობელი თუ შორეული ხალხების — ურარტუელების, ბერძნების — წარმოდგენებში? მითი არგონავტებზე, სადაც ასე დიდი ადგილი უკავია კოლხეთის თემას, ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს ჩანს წარმოშობილი, ხოლო ძლიერ კოლხეთის სამეფოსთან ბრძოლის თემას საპატიო ადგილი უკავია ურარტუს მეფის — სარდური II-ის ანალებში (ძვ. წ. VIII ს. შუახანები). მაშასადამე, ეს ძლიერი კოლხეთი იგულისხმება ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებიდან ძვ. წ. VIII ს. ბოლომდე, როდესაც მისთვის ბოლო უნდა მოეღო კიმერიელთა შემოსევას“. კოლხეთი უნდა მოვათავსოთ რიონის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალზე.

ჯერ კიდევ ნ. მარი თვლიდა, რომ კოლხეთი მდებარეობდა არა რიონის, არამედ ჭოროხის აუზში.

გ. მელიქიშვილი ძვ. წ. XII ს. დასასრულის ზოგი ასურული წყაროს ახლებური ინტერპრეტაციის საფუძველზე ასკვნის, რომ მასში იხსენიება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ტომთა დიდი კავშირი „კოლხის“ სახელწოდებით, რაც „კილხი“ სახელის ვარიაცია უნდა იყოსო. ძვ. წ. VIII ს. ურარტული წყაროების „კულხაც“ (კოლხეთი) საკმაოდ სამხრეთით, ურარტუს სამფლობელოების ახლო მეზობლად ჩანს. ამ სამეფოს ცენტრიც სავარაუდებელია მდ. ჭოროხის ქვემო წელზე.

გ. მელიქიშვილის ვარაუდით, ქართველურ ეთნიკურ ჯგუფს ძვ. წ. III—II ათასწლეულთა მიჯნაზე მაინც უკვე უნდა ჰქონოდა საკუთარი სახე (უკვე ამ დროს უნდა არსებულიყო ქართველურ ენათა ფუძეენა, რომლის წიაღში მხოლოდ დიალექტური მასშტაბის განსხვავებანი თუ

იყო ჩასახული). ძვ. წ. VIII საუკუნიდან ივარაუდება ქართულ-ზანური ერთობის დაშლის დასაწყისი, დასაბამი ეძლევა ქართებისა და ზანების (მეგრელ-ჭანების) ენობრივი განცალკევების პროცესს... ამიტომ II—I ათასწლეულთა მიჯნაზე არსებული „კოლხეთის სამეფო“ არ შეიძლება ზანური გაერთიანება ყოფილიყო. იგი უნდა განვიხილოთ, როგორც ქართულ-ზანური მოსახლეობის გაერთიანება, რომელიც, ამასთანავე, როგორც ჩანს, მოიცავდა ისტორიული კოლხეთის ჩრდილოეთ რაიონებში მცხოვრებ სვანთა ტომებსაც. „ამ, ჯერ კიდევ სუსტად დიფერენცირებული, ქართული ეთნიკური ჯგუფის კულტურა უნდა ყოფილიყო ე. წ. „კოლხური კულტურა“, რომელიც ისტორიული კოლხეთის მიწა-წყალს მოიცავდა ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში და I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში. განვითარებული ბრინჯაოს ხანის („გვიანი ბრინჯაოს“) ეს მეტად თავისებური კულტურა მოიცავდა მთელ დღევანდელ დასავლეთ საქართველოს, აგრეთვე, სამხრეთ საქართველოს — ისტორიული მესხეთის — მიწა-წყალს“ (გ. მელიქიშვილი).

II—I ათასწლეულთა მიჯნაზე საერთო ქართულ-ზანურ ეთნოსთან უნდა გვქონდეს საქმე ძველაღმოსავლური წყაროების მუშქების (მოსხების, მესხების) სახითაც.

ქართველი ტომების ისტორიაში, მათ ეთნიკურ განვითარებაში, გ. მელიქიშვილის ვარაუდით, გარდატეხა უნდა გამოეწვია იმ დიდ მოვლენებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის მიწა-წყალზე ძვ. წ. VIII საუკუნიდან. ამ საუკუნის ბოლოს იწყება ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში ჩრდილოეთიდან ხალხთა დიდი მასების შემოჭრა... კოლხეთის გზით შემოიჭრნენ კიმერიელები, ხოლო კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროს გზით — სკვითები. ამიერიდან სწრაფად უნდა განვითარებულიყო ქართული ენის დიალექტების ენებად ჩამოყალიბების პროცესი. ძველი კოლხური სამეფოს დაცემამ ლახვარი ჩასცა ამ სამეფოს ფარგლებში მომდინარე ერის კონსოლიდაციის პროცესს და ტომობრივი პარტიკულარიზმი გაამეფა ისტორიული კოლხეთის მიწა-წყალზე. სტრაბონი ამბობს: „თუ როგორი სახელგანთქმული იყო ძველად ეს ქვეყანა (კოლხეთი). ამას ცხადყოფენ მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იაზონის ლაშქრობაზე, რომელიც მიდიამდე მივიდა... მომდევნო მეფეები კი... ძალაუფლების მქონენი არ იყვნენ“...

შემდეგ ქვეყნის სამხრეთ და აღმოსავლეთ რაიონებში იწყება „იბერთა“ (ქართების) ტომის ჰეგემონობა. წამყვან როლს ასრულებენ პონტოს ქედის სამხრეთ კალთებზე, ისტორიული მესხეთის — „მოსხების ქვეყნის“ — მიწა-წყალზე მცხოვრები ჯგუფები. „მესხური“

(ქართების) მოსახლეობა ჩნდება შიდა ქართლის მიწა-წყალზედაც („მცხეთა“).

ამრიგად, მოიხაზა ქართველი ტომების გავრცელების სურათი: ისინი ამიერკავკასიის, კერძოდ, დასავლეთ ამიერკავკასიის მიწა-წყალზე ცხოვრობდნენ და სამხრეთ-დასავლეთითაც საკმაო მანძილზე იყვნენ გავრცელებული დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთ, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში.

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ:

ბევრი რამ მეტყველებს უძველეს ხანებში ქართველი ტომების გავრცელებაზე დღევანდელი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მომიჯნავე მცირე აზიის მიდამოებში. უკვე ძვ. წ. XII საუკუნიდან მცირე აზიის აღმოსავლეთ რაიონებში მეტად აქტიურ როლს ასრულებს მუშქების ტომი, რომლის სახელწოდებაც, აგრეთვე, ორგანული ჩანს ქართულ ეთნო- და კულტურული ტოპონიმიკისათვის.

ქართველი ტომების წარმომავლობის გასარკვევად ვერ შემოვიფარგლებით ამ ტომთა უძველესი ადგილსამყოფლის განსაზღვრითა და მათი ენების დიფერენციაციისა და სხვა ენებთან მონათესავეობის საკითხით. თავისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ქართველურ ეთნიკურ ჯგუფს უთუოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა სხვა მოდგმის ტომებთანაც. ზოგჯერ შეერეოდა კიდეც მათ. ამ კონტაქტებს შეუძლებელია კვალი არ დაეტოვებინა ქართველურ ეთნოსზე, რაც მკვეთრად აირეკლა და აღიბეჭდა მის ფორმირებაზე, მის ენაზე. ქართველური ტომები ისტორიულად ემეზობლებოდნენ ხური-ხურიტულ და ხეთურ-ლუვიურ ტომებს. უკანასკნელი ხანების კვლევა-ძიებამ გამოავლინა, რომ ქართველების წინაპრები ძველ დროში მეზობლურ ურთიერთობაში იყვნენ დღევანდელი ინდოევროპელებისა და სემიტების წინაპრებთან, რასაც გვიდასტურებს უხვი ენობრივი მასალა.

„საქართველოს, ქართველ ხალხს, მდიდარი ისტორიული წარსული გააჩნია. ადამიანთა საზოგადოება საქართველოს მიწა-წყალზე უხსოვარ დროს ჩამოყალიბდა. საქართველო არის მსოფლიოში უძველესი მიწათმოქმედი და მესაქონლე ტომების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა. საქართველოს მოსახლეობა მოწინავეობდა ადრეული ნეოლითის ხანაშიაც. პირველი სახელმწიფოები საქართველოს ტერიტორიაზე უკვე ამ ორი-სამი ათასეული წლის წინათ შეიქმნა. ქართველმა ხალხმა ადრე შედგა ფეხი ცივილიზებული ცხოვრების გზაზე და გულმოდგინე შრომითა და დამპყრობელთა წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლით შექმნა და დაიცვა თავისი მაღალი და თავისთავადი კულტურა“. („საქართველოს ისტორიის ნარკვევები“).

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური განვითარების გზა ქართული ენისა და ქართული კულტურის ასპექტებთან მიმართებით შეიძლე-

ება ჩამოვაყალიბოთ და შევაჯამოთ შემდეგი სურათის მიხედვით (ვეყრდნობით „საქართველოს ისტორიის ნარკვევებს“, პირველი ტომი, 1970).

როგორც ზემოთ ითქვა, ენობრივი მონაცემებით ირკვევა, რომ ქართველი ტომები საქართველოს ტერიტორიაზე უკვე უძველეს ხანებში ბინადრობდნენ. ამა მოწმობს უკვე ქართველურ ენათა წინაპარ ერთიან ენაში (ქართების, მეგრელ-ჭანების ანუ ლაზების, სვანების ერთეულები შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბდნენ), ე. ი. ქართველების ფუძეენაში დამოწმებული იმ ცხოველების, მცენარეულისა და სხვ. აღმნიშვნელი სახელები, რომლებიც კარგად ეგუებიან სწორედ კავკასიის გარემოს. ამ ენაზე ლაპარაკობდნენ ქართველი ტომები ძალიან ძველ დროს, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა განსხვავებული ენა-კავები საკუთრივ ქართულის (ე. ი. „ქართების“ ენის), მეგრულ-ჭანურის, სვანურის სახით. ეს უფრო გვიან მოხდა — ერთიანი ქართული ენის ფუძეების დაშლის შედეგად. ქართველური ტომები ამ უძველეს ხანაში დასახელებული ყოფილან აგრეთვე დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთაც, განსაკუთრებით სამხრეთით. მეორე მხრივ, საქართველოს ტერიტორიაზე, ქართველი ტომების გვერდით უნდა ეცხოვრათ სხვა წარმოშობის ცალკეულ ტომებსაც (აფხაზურ-ადიღეური, ჩაჩნურ-დაღესტნური... ტომები). სამხრეთის ქართულ რეგიონებთან (მცირე აზია, მახლობელი აღმოსავლეთი) მეზობლობდნენ და მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი სხვა მოდგმის ხალხებიც. ათასწლეულების მანძილზე ტომთა ბევრ გადაადგილებას ჰქონდა ადგილი, ზოგიერთი ტომი გადაშენდა, სხვებში გაითქვიფა და ა. შ., ზოგი კი, პირიქით, გაიზარდა, გაძლიერდა და დიდი ეთნიკური გაერთიანების ბირთვიც გახდა.

პირველყოფილ-თემური წყობილების დროს ქართველი ტომები ერთმანეთისაგან გათიშულად ცხოვრობდნენ. ასეთ პირობებში თანდათან კლებულობდა ის, რაც მათ ენასა და კულტურას ჰქონდა საერთო და, პირიქით, ღრმავდებოდა მათ შორის განსხვავება. მას შემდეგ, რაც წინ წავიდა ცხოვრება და მეზობელ ტომებს მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირის დამყარება აუცილებელი შეიქნა, ჩამოყალიბება იწყო მონათესავე ტომთა დიდმა კავშირებმა. თავდაპირველად ეს გაერთიანებები არამყარი იყო, ადვილად იშლებოდა, შემდეგ კი უფრო მტკიცე გახდა. დიდი ტერიტორიის მომცველ ასეთ გაერთიანებათა ფარგლებში სწრაფად მიმდინარეობდა მათში შემავალი ტომების დაახლოებისა და შერწყმის პროცესი, რომელიც საქართველოში ძალზე ადრე, უკვე ამ 3000—3500 წლის წინ დაიწყო, ხოლო მას შემდეგ, როცა საქართველოს მიწა-წყალზე შედარებით მყარი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები გაჩნდა, შეიქმნა აგრეთვე ტომზე მაღალი ეთნიკური ერთობა — ეროვნება, ამ სახელმწიფოთა ეთნიკური საფუ-

ძველი. ანტიკური ხანის ქართული სახელმწიფოებიდან ყველაზე მტკიცე აღმოსავლურქართული (ქართლის — იბერიის) სახელმწიფო აღმოჩნდა. შესაბამისად კონსოლიდაციის ხარისხით გამოირჩეოდა აგრეთვე აღმოსავლურქართული (ქართის) ეროვნება. აქ უფრო სწრაფად წავიდა წინ ერთიანი ენისა და ერთიანი კულტურის ჩამოყალიბების პროცესი, ცალკეული არაქართული ჯგუფების ასიმილაცია და ა. შ. დაწერილობა ქართლში ძველიდანვე ინტენსიურად იყო გამოყენებული. ადრე აქ სამწერლობო ენებს უცხო (არამეული, ბერძნული) ენები წარმოადგენენ, შემდეგ კი მათი ადგილი ადგილობრივმა, ქართულმა ენამ დაიკავა. სამწერლობო ენად ქცეულმა ქართულმა კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა მოიპოვა და გავრცელების არე გაიფართოვა ახალი სარწმუნოების — ქრისტიანობის გაბატონების შემდეგ, რომლისთვისაც სამწერლობო ენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთ პირობებში ქართველი ტომების კონსოლიდაცია უკვე ქართლის გარშემო წარმოებდა. დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში მოექცა დაწინაურებული ქართლის სამეფოს შემადგენლობაში. საქართველოს ამ ნაწილში (კერძოდ, დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ და სამხრეთ რაიონებში) ძველიდანვე ქართულენოვანი მოსახლეობა (ქართ-მესხური ტომები) ცხოვრობდა. ქართლის (იბერიის) ანტიკური ხანის სახელმწიფომ თავის ძლევამოსილების პერიოდში, უეჭველია, საფუძველი ჩაუყარა აგრეთვე დასავლეთ საქართველოს მონათესავე ტომების დაახლოებას ქართლის მოსახლეობასთან. ახ. წ. III—IV საუკუნეებში, მართალია, დასავლეთ საქართველოში მძლავრი ადგილობრივი ეაერთიანება — ლაზიკის სამეფო ჩამოყალიბდა, სადაც ეთნიკურად წამყვანი მეგრულენოვანი მოსახლეობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ იგი მოიცავდა აქამომდე ქართლის სამეფოში შემავალ და ქართულენოვანი მოსახლეობის მქონე რიგ რაიონებს დასავლეთ საქართველოში. ამიტომაც III—IV სს. ლაზიკა წარმოადგენდა უფრო ქართზანურ გაერთიანებას, რომელმაც აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სხვა ტომებიც (სვანები...) მოიცვა. ამ სამეფოს ფარგლებში კიდევ უფრო უნდა გაღრმავებულიყო ქართებისა და ზანების (მეგრულ-ჭანების) დაახლოებისა და წერევის პროცესი. იბერის ძლევამოსილების პერიოდიდან მომდინარე კულტურული და პოლიტიკური ერთიანობის მძლავრი ტრადიციები ამ მხრივ, ეჭვგარეშეა, ასევე დიდ როლს შეასრულებდნენ, რასაც ქართული ენის პოზიციები კიდევ უფრო მყარი უნდა გაეხადა. ერთობის ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა IV—V საუკუნეებიდან დასავლეთ საქართველოში ქართლის გზით ქართულენოვანი ქრისტიანული მღვდელმსახურებისა და განვითარებული ქართული დამწერლობის მძლავრი ნაკადის შემოსვლის შედეგად. ქართული ენა და კულტურა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის

მძლავრი იარაღი იყო უცხოელი ასიმილატორების, კერძოდ, ბიზანტიელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ ბიზანტიისაგან პოლიტიკური დამოუკიდებლობის ტენდენციას, რაც ასე სასიცოცხლო იყო ამ მხარის მოსახლეობისა და მისი მმართველი წრეებისათვის, თან სდევდა ენასა და კულტურაში ბერძნულისაგან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაც. ეს უკანასკნელი კი შეუძლებელი იყო საკმაოდ განვითარებული ენისა და კულტურის დაპირისპირების გარეშე, რაც მხოლოდ ანტიკური ხანის მძლავრი იბერიის ენობრივი და კულტურული მემკვიდრეობა შეიძლებოდა ყოფილიყო. მართლაც, თვით დასავლეთ საქართველოში ადრეულ შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებული ერთეულები წამოიზარდნენ, როგორც ქართული ენობრივ-კულტურული ტრადიციების მატარებელი წარმონაქმნები, რომლებიც სხვა ასეთივე ქართული სამეფოების გვერდით (ქართლი, კახეთი, ტაო-კლარჯეთი) ერთიანი საქართველოსა და ერთიანი ქართველი ხალხის შექმნის ბაზად იქცა. საქართველოს მიწა-წყალზე დიდი სახელმწიფოებრივი გაერთიანებების შექმნით შუა საუკუნეებში დასრულდა ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების მრავალსაუკუნოვანი პროცესი. „ქართველი“ და „საქართველო“ ტერმინები ახლა აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად აგრეთვე დასავლეთ საქართველოსა და მისი მოსახლეობის აღმნიშვნელ ტერმინებადაც იქცა (გვ. 32—34).

ქართული ენის წარმოშობის თეორიები

ჯერ ზოგადად გავეცნოთ მსოფლიოს ენათა ოჯახებს.

დედამიწის ზურგზე ენათა რიცხვი 3000-ს აღემატება. ეს რიცხვი უთუოდ გაიზრდება, როდესაც მსოფლიოს ყველა ენა ცნობილი და შესწავლილი იქნება. ასე, მაგალითად, საფუძვლიანად ვიცნობთ ევროპულ ენებს, აგრეთვე — აზიისა და აფრიკის მთელ წყება ენებს, მაგრამ აზიისა და აფრიკის, ამერიკის ძირეული მოსახლეობის, ავსტრალიისა და წყნარი და ინდოეთის ოკეანეების ენათა უმრავლესობა ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავლილი არ არის. ამიტომ მსოფლიოს ენათა კლასიფიკაცია, რომელსაც ამჟამად გვთავაზობს მეცნიერება, რამდენადმე პირობითი, წინასწარი ხასიათისაა.

მსოფლიოს ენებში ამჟამად უნდა გავარჩიოთ ტ ო მ ო ბ რ ი ვ ი ე ნ ე ბ ი, ხ ა ლ ხ ო ვ ნ უ რ ი ე ნ ე ბ ი და ე რ ო ვ ნ უ ლ ი ე ნ ე ბ ი. არსებობდნენ გ ვ ა რ ო ვ ნ უ ლ ი ე ნ ე ბ ი ც, რომლებიც აღარ შემოუნახავს კაცობრიობას (გვაროვნული წყობილება, გვაროვნული ენები განვითარების განვლილი საფეხურია).

ტომობრივი ენებია, მაგალითად, დაღესტნის ენები — აღულური, წახურული, ანდიური, დიდოური, აფრიკის, პოლინეზიის და სხვა ენები.

ხალხოვნური ენებია, მაგალითად: ავარიული, ლაკური, ყაბარდოული, უდმურტული, ციმბირის ხალხის ენები — ევენკებისა, ოდულებისა და სხვ.

ეროვნული ენებია, მაგალითად: ქართული, რუსული, ფრანგული, ჩინური, არაბული, სომხური, უკრაინული და სხვ.

არის ენები, რომლებიც ემსახურებიან არა რომელიმე ერს, არამედ რამდენიმე ერს. ასეთებია, მაგალითად, პ ო რ ტ უ გ ა ლ ი უ რ ი ე ნ ა — პორტუგალიაში და ბრაზილიაში, ფ რ ა ნ გ უ ლ ი ე ნ ა — საფრანგეთში, ბელგიასა და შვეიცარიაში, ი ნ გ ლ ი ს უ რ ი ე ნ ა — ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, გ ე რ მ ა ნ უ ლ ი ე ნ ა — გერმანიასა და ავსტრიაში, ე ს პ ა ნ უ რ ი ე ნ ა — ესპანეთსა და სამხრეთ ცენტრალური ამერიკის რესპუბლიკებში (ურუგვაი, პარაგვაი, არგენტინა, ჩილე, პერუ, მექსიკა...).

არის ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ე ნ ე ბ ი ც, რომლებზედაც ქვეყნდება საერთაშორისო გაერთიანებათა (გაერთიანებული ერების, მშვიდობის დაცვის კომიტეტისა და სხვ.) დოკუმენტები. ესენია: რ უ ს უ ლ ი, ი ნ გ ლ ი ს უ რ ი, ფ რ ა ნ გ უ ლ ი, ჩ ი ნ უ რ ი. ეს ენები თავიანთი ერების ენებიცაა და საერთაშორისო ენებსაც წარმოადგენენ.

არის მ კ ვ დ ა რ ი ე ნ ე ბ ი ც. „მკვდარია ენა“, რომლის მატარებელი კოლექტივი, ხალხი ისტორიულად გადაშენდა. მაგალითად, გადაშენებული, მკვდარი ენებია შუამდინარეთისა და მცირე აზიის ენები, რომლებიც არსებობდნენ საუკუნეთა სიღრმეში: შუმერული, ელამური, ხეთური და ასურულ-ბაბილონური; მკვდარია ეგვიპტური, ლათინური და სხვ.

დღევანდელ მსოფლიოში ყველაზე უფრო გავრცელებული ენებია: ჩ ი ნ უ რ ი, ი ნ დ უ რ ი, ი ნ გ ლ ი ს უ რ ი, რ უ ს უ ლ ი, ე ს პ ა ნ უ რ ი.

ევროპულ ენათაგან გავრცელებულობის მიხედვით ყველაზე წინ ინგლისური და ესპანური ენებია. როგორც ზემოთ ითქვა, ისინი, გარდა ინგლისისა და ესპანეთისა, სხვა ქვეყნებშიცაა შემოღებული. ესაა შედეგი ამ ქვეყნების კოლონიზატორული ექსპანსიისა.

მსოფლიოს ენებში გამოიყოფა მსხვილი დაჯგუფებანი, რომლებშიაც შედიან ერთმანეთთან ნათესაურ ურთიერთობაში მყოფი ენები, მონათესავე ენათა ო ჯ ა ხ ე ბ ი. თითოეულ ოჯახში გაერთიანებულ ენებს საერთო წარმოშობა აქვთ.

ტერმინი „ენათა ოჯახი“ არ უნდა გავიგოთ ბიოლოგიურად; ენა ხომ საზოგადოებრივ-ისტორიული მოვლენაა და არა ბიოლოგიურ-ის-

ტორიული კატეგორია. ამიტომ ცნება „ოჯახი“ ამ შემთხვევაში გადმოგვცემს არა ისეთ მიმართებას, როგორიც არსებობს „მამებსა“ და „შვილებს“ შორის, — ენათა „ოჯახი“ გულისხმობს ენათა ურთიერთობას წარმოშობისა და ისტორიული განვითარების მიხედვით, — ეს ისტორიული განვითარება კი განსაზღვრულია ენის საზოგადოებრივი ხასიათითა და ბუნებით.

საიდან მომდინარეობენ მონათესავე ენები? ერთი და იმავე ენის დიალექტებისაგან; მონათესავე ენები ყოფილი დიალექტებია, ისტორიული განვითარების პროცესში დამოუკიდებელ ენებად გარდაქმნილნი. იმ ძველ ენას, რომლის დიალექტებისაგანაც წარმოიქმნა მონათესავე ენები, ფუძეენას უწოდებენ. მაგალითად, უკრაინულს, რუსულს, ბელორუსულს ოდესღაც საერთო ფუძეენა ჰქონდათ; ფრანგული, იტალიური, ესპანური, რუმინული და სხვა მოძმე ენების ფუძეენას ხალხური ლათინური წარმოადგენს.

ენათა ნათესაობა თავს იჩენს როგორც ენის ძირითად სიტყვაობრივ მარაგში (ე. ი. სიტყვათა ძირებში), ისე გრამატიკასა და ბგერათა მიმართებაში. ასე, მაგალითად, ენაში, საერთოდ, ძველისძველია ნათესაობის ტერმინები (და, ძმა, დედა, მამა...), ძველია, აგრეთვე, რიცხვითი სახელები (ათამდის), ზოგიერთი ნაცვალსახელი, ადამიანის სხეულის ნაწილების სახელები, ზოგიერთი ცხოველის, მცენარის, იარაღების სახელები და სხვ. უმთავრესად ორი ენის ამგვარი სიტყვების ძირები უნდა შევადაროთ ერთმანეთთან და, თუ ამას დავუმატებთ გრამატიკულ აღნაგობას და ამ გზით მსგავსება ცხადი ეახდება, ნათესაობა დადასტურებული იქნება.

მონათესავე ენებში არსებული საერთო ძირის სიტყვათა ერთმანეთთან შედარების გზით შესაძლოა აღდგეს ის ძველი სიტყვა, რომელიც არსებობდა ფუძეენაში. ეს აზრი შეიძლება სხვანაირად ასე ითქვას: ფუძეენაში არსებობდა, ვთქვათ, რომელიმე x სიტყვა; ეს სიტყვა სათავეა მონათესავე ენებში დაცული ვარიანტული ხახეობებისა. მაგალითად, რუსულში „ძმის“ აღმნიშვნელოვანია брат, გერმანულში — bruder, ლათინურში — frater, ძველ ინდურში — bhrata(r), ძველ სპარსულში — bratar. უეჭველია, ესენი ერთი ძირის მონათესავე სიტყვებია. მათ საერთო წყარო აქვთ: რუსული, გერმანული, ლათინური, ძველინდური, ძველსპარსული მონათესავე ენები რომ არ იყვნენ, ეს საერთო ძირის სიტყვები არ ექნებოდათ.

როგორ მივიღეთ „ძმა“ სიტყვის გადმოსაცემად ეს ვარიანტები (ბრატ, ბრუდერ და სხვ.)? ამ ენების ფუძეენაში (საიდანაც ეს ენები მომდინარეობენ) არსებობდა გარკვეული სიტყვა, რომლის ვარიანტუ-

ლი სახეობებიც გამომუშავებულია ზემოჩამოთვლილ მოძმე ენებში. როგორ გამოითქმოდა ეს უძველესი სიტყვა? არ ვიცით, რადგან ის არსად არ შენახულა; ვიცით მისი ვ ა რ ი ა ც ი ე ბ ი, არ ვიცით ამ ვარიაციების ფუძესიტყვა, მათი ძველი სახეობა. აი, ამ ვარიანტების (ბრატ, ბრუდერ...) ერთმანეთთან შედარებამ (ენის შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდის მომარჯვებით) შეიძლება საშუალება მოგვცეს ა ღ ვ ა დ გ ი ნ ო თ ჩვენთვის საინტერესო სიტყვის გარეგნული სახე. მაგალითად, ერთმანეთს შეუდარეს ე. წ. რომანული ენების (ფრანგულ-იტალიურ-ესპანურ და სხვა ენათა) სინამდვილეში არსებული ერთი ძირის სიტყვები, რომლებიც „მსხალს“ გამოხატავენ, და აღადგინეს მათი უძველესი სახეობა pira, რომელიც ამ ენების დღეს არარსებულ ფუძეენაში უნდა ყოფილიყო. მაგრამ, იქნებ შეცდა მეცნიერული კვლევა-ძიება, ხომ არ შეიძლებოდა მეცნიერული ძიების ამ შედეგის პრაქტიკულად შემოწმება? არ შეიძლებოდა იმიტომ, რომ ამ ენების ფუძეენა რეალურად არ შენახულა, ხალხური ლათინური დიდი ხნის მკვდარი ენაა; არ ვიცით, მსხალს მაშინ pira ერქვა თუ არა! მაგრამ, აი, შემდეგ აღმოჩნდა უძველესი წარწერა, შესრულებული ხალხურ ლათინურზე, სადაც სწორედ pira წერია მსხლის მნიშვნელობით... ასე გამართლდა მეცნიერული ვარაუდი, დამყარებული ფაქტების სწორ ანალიზზე.

მეცნიერებამ ევროპული ენების საფუძველზე ბევრი ასეთი ძირი აღადგინა. ავგ. შლაიხერმა 1868 წელს გამოაქვეყნა რვასტრიქონიანი მოთხრობა — „ცხვარი და ცხენები“, რომელიც დაწერილია ოდესღაც არსებული ინდოევროპული ფუძეენის თ ე ო რ ი უ ლ ა დ ა ღ დ გ ე ნ ი ლ ი სიტყვების საფუძველზე.

მთლიანად აღდგენა რომელიმე ენათა ოჯახის ფუძეენისა შეუძლებელია, მაგრამ მისი ფონეტიკის, გრამატიკისა და ლექსიკის ძირითადი მონაცემები შესაძლებელია აღდგენილ იქნეს.

თითოეულ ენათა ოჯახში შესაძლებელია გამოიყოს შედარებით მცირე ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთს უფრო მჭიდროდ უკავშირდებიან, ვიდრე იმავე ოჯახის სხვა ენებს. ამ შინადაჯგუფებას აღნიშნავენ ტერმინებით: „ენათა შტო“.

მსოფლიოს ენათა ოჯახები და ჯგუფებია: ინდოევროპული, სემიტური, ქამიტური, უნგრულ-ფინური, ახლო აღმოსავლეთისა, ავსტრალიური, შორეული აღმოსავლეთისა, პალეოაზიური, ესკიმოსური.

ცალკე გამოყოფენ აგრეთვე იბერიულ-კავკასიურ ენებს.

„კავკასიური ენები“ არ უნდა ავრიოთ „კავკასიის ენებში“. კავკასიაში სხვადასხვა ენათა ოჯახის ენებიც გვხვდება: აქაა ინდოევროპული ენები (რუსული, უკრაინული, სომხური, ოსური...), ალათაური ენები (აზერბაიჯანული, ყუმიკური), სემიტური (სირიული).

ტერმინით — „იბერიულ-კავკასიური“ გამოხატულია იბერიული ანუ ქართველური ენები და მათთან მონათესავე კავკასიური ენები (და არა „კავკასიის ენები“).

იბერიულ-კავკასიური ენები ოთხი ჯგუფისაგან შედგება.

ქართველური ანუ იბერიული ჯგუფი:

1. ქ ა რ თ უ ლ ი (საკუთრივ ქართული, ქართების ენა) — წერილობითი ძეგლები V ს.

2. ზ ა ნ უ რ ი (საერთო სახელია მეგრული და ჭანური ანუ ლაზური კილოებისა).

3. ს ვ ა ნ უ რ ი.

მკვლევართა ნაწილი ბასკურ ენასაც იბერიულ-კავკასიურ ოჯახს მიაკუთვნებს. პოლონელი მეცნიერი იან ბრაუნი ბასკურს მეოთხე ქართველურ ენადაც კი მიიჩნევს.

აფხაზურ-ადიღეური ჯგუფი:

1. ა ფ ხ ა ზ უ რ ი,
2. ა დ ი ღ ე უ რ ი,
3. ყ ა ბ ა რ დ ო უ ლ ი,
4. ა ბ ა ზ უ რ ი,
5. უ ბ ი ხ უ რ ი — ამჟამად აღარაა კავკასიაში. 1864 წელს უბიხთა ტომი გადასახლდა თურქეთში (უბიხები ქალ. იზმირის მიდამოებში არიან შემორჩენილი).

ნახური ჯგუფი:

1. ბ ა ც ბ უ რ ი (ანუ წ ო ვ ა-თ უ შ უ რ ი) — კახეთშია (სოფ. ზემო ალვანში).

2. ჩ ა ჩ ნ უ რ ი,

3. ი ნ გ უ შ უ რ ი.

წოვა-თუშები გარდა წოვა-თუშურისა ქართულადაც მეტყველებენ. ისინი ქართველები არიან.

დაღესტნის ჯგუფი:

1. ხ უ ნ ძ უ რ-ა ნ დ ი უ რ-დ ი დ ო უ რ ი ქვეჯგუფი: ა ნ დ ი უ რ ი, ბ ო თ ლ ი ხ უ რ ი, ღ ო დ ო ბ ე რ ი უ ლ ი, კ ა რ ა ტ ა უ ლ ი, ტ ი ნ დ ი უ რ ი, ჭ ა მ ა ლ ა ლ უ რ ი, ა ხ ვ ა ხ უ რ ი, ხ ვ ა რ შ ი უ ლ ი, ბ ა გ ვ ა ლ უ რ ი, დ ი დ ო უ რ ი, კ ა პ უ ჭ უ რ ი.

2. დ ა რ გ უ უ ლ ი და ლ ა კ უ რ ი ქვეჯგუფი: დ ა რ გ უ ლ ი, ლ ა კ უ რ ი.

3. ლეზგიური ქვეჯგუფი: ლეზგიური, წახურული, რუთულური, აღულური, ტაბასარანული, ხინალუღური, ბუდუხური, კრიწული (აზერბაიჯანის სსრ), უდიური (აზერბაიჯანის სსრ, საქართველოს სსრ).

შევნიშნავთ, რომ „ქართველური ენების“ ჯგუფიდან ლაზური (ანუ ჭანური) მეტყველების მატარებელი ეთნოსი უმთავრესად თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზეა განლაგებული. თურქეთის რესპუბლიკაში ეროვნება და ქვეშევრდომობა გაიგივებულია და კონსტიტუციაში პირდაპირ ნათქვამია: „თურქეთის მოქალაქე არის თურქი“.

ამ გარემოებას თავისი ახსნა აქვს: როდესაც თურქულმა ფეოდალურ-მონარქიულმა ნაციონალიზმმა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის სახე მიიღო, ისევე, როგორც თავის დროზე თურქთა მიერ დაპყრობილი ხალხების ბურჟუაზიამ, ეროვნული საკითხის გადასაწყვეტად წამოაყენა იგივე პრინციპი: „ერთი ერი — ერთი სახელმწიფო“, რომლის თანახმადაც ოსმალეთის იმპერიაში უნდა ყოფილიყო მხოლოდ ერთი ერი — თურქები. ოსმალეთი თურქულ სახელმწიფოდ უნდა გამოცხადებულიყო. ამის გამო გვიან გაიღვიძა თურქეთის ეროვნულმა თვითშეგნებამ. საილუსტრაციოდ მოვიხმობთ სულთან აბდულჰამიდ II-ის დროინდელი ერთი ახალგაზრდა თურქის ნაამბობს:

„პარიზში ყოფნის დროს ჩემს ამხანაგებთან ერთად ხშირად დავდიოდი ბიბლიოთეკაში, სადაც მორიგე ფრანგმა ბიბლიოთეკარმა ყურადღება მოგვაქცია. ერთ მშვენიერ დღეს კი მან გვითხრა:

— თქვენ ვინა ხართ?

ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ და ყველამ ერთად წამოვიძახეთ:

— მუსლიმები ვართ.

ფრანგი:

— ეს თქვენი რელიგიაა, მაგრამ ეროვნებით ვინა ხართ?

ჩვენ ვუპასუხეთ:

— ოსმალები ვართ.

მაგრამ შეკითხვის მომცემი არ დაკმაყოფილდა:

— ეს თქვენი ქვეშევრდომობაა, მაგრამ რა ეროვნებისა ხართ?

— ?

ფრანგი:

— აი, ხედავთ, იქ რომ კაცია? მე მას შევეკითხე და მან მიპასუხა: „სომეხი ვარო“, ერთიც აი, აქა ზის, მან მითხრა, რომ ბერძენია. თქვენც ხომ სომხები ან ბერძნები არა ხართ?

თურქმა თავისი ამბავი ასე დაასრულა:

„— ამრიგად, მე მხოლოდ მაშინ მომივიდა აზრად, რომ თურქი ვარ!“

დამახასიათებელი ამბავია (ცნობა ამოღებულია პროფესორ ოთარ გიგინეიშვილის წიგნიდან: „ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან“, 1982).

მიუხედავად ამ „თურქული სახელმწიფოებრივი კონცეფციისა“ (ეს კონცეფცია მხოლოდ თურქული არ არის), რომლის ძალითაც უნდა წაიშალოს ეროვნული სხვადასხვაობა სახელმწიფოში და, ამდენად ლაზები (ჭანები) თურქებად იწოდებიან, მმართველი წრეები იძულებული არიან აღიარონ, რომ ისინი მიეკუთვნებიან კავკასიური ჯგუფის ხალხებს და წარმოადგენენ ერთ-ერთ ქართველურ ტომს, ამასთან, ცდილობენ, „ეს პრობლემა მოაქციონ წმინდა ლინგვისტურ ჩარჩოებში“. თურქულ ლექსიკონებში აღიარებულია, რომ „ლაზები არიან ლაზურად მოლაპარაკე, პატარა კავკასიური ტომის წარმომადგენლები, ხოლო სტამბოლში მიღებული აზრი, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ყველა მცხოვრებს ეწოდოს ლაზი, მცდარია“ (ადრე აკადემიკოსი ნ. მარი აღნიშნავდა: „კონსტანტინეპოლში ლაზებს ეძახიან თურქეთის ყველა შავიზღვისპირელს, სამსუნელებს და სინოპელებსაც კი“. 1910 წ.). „შავიზღვისპირელი“ — ეს ტერმინია გავრცელებული. ოფიციალურ თურქულ ისტორიოგრაფიაში ლაზი მოღვაწის ლაზად ხსენება მიღებული არ არის და თურქი ერისათვის მავნედ არის მიჩნეული. თურქულ ისტორიოგრაფიაში კი „მეცნიერულად ამტკიცებენ“, რომ ლაზები თურქული წარმოშობის ეთნოსია, ეწევიან პროპაგანდას, თითქოს ლაზ-ჭანები განეკუთვნებიან ალათაური წარმომავლობის თურქულ ეთნიკურ ჯგუფს. 1955 წლის აღწერით, 30000 ლაზი თავის დედაენად თვლის ლაზურს, ხოლო 19000 ლაზი ლაზურს თვლის მეორე ენად. 1960 წლის აღწერა გვაძლევს ასეთ შეფარდებას: 22000 — 20000-თან, რაც საერთოდ 8000-ით ნაკლებია, ვიდრე 1955 წელს. ზოგიერთი სხვა მონაცემის მიხედვით, ლაზების რაოდენობა 60-იანი წლებისათვის შეადგენდა 100000 კაცს. ლაზები ცხოვრობენ ძირითადად ართვინის, რიზეს, ტრაპიზონისა და ნაწილობრივ გიუმუშჰანეს, სამსუნის, სინოპის ვილაიეთებში. გარდა ამისა, ლაზები კომპაქტურად ცხოვრობენ ერზერუმის ვილაიეთში, ქალაქ ჰანუთის ჩრდილოეთით და სხვაგანაც. განსაკუთრებით ბევრნი არიან ისინი ბურსაში, იზმირში, სტამბულში, ანკარასა და სხვა ადგილებში. თურქულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ლაზები განსხვავდებიან თურქეთში მცხოვრები სხვა ხალხებისაგან თავიანთი ისტორიულად ჩამოყალიბებული ეთნიკური ერთობით, ენით, ანთროპოლოგიური იერსახით, ეთნოგრაფიით, ტრადიციებით, ხასიათით, ეროვნული ფსიქოლოგიით. ლაზებში საერთოქართული წარმომავლობის თვითშეგნება არ არის წაშლილი. ინგლისელი მეცნიერი რობინ ფედენიც აღიარებს, რომ თანამედროვე თურქეთში მცხოვრები ლაზები წარმოადგენენ „მახლობელი აღმოსავლეთის მკვეთრად გამოყოფილი

(ეროვნული. — შ. ძ.) უმცირესობის იშვიათ მაგალითს“ (ზემოხსენებული ცნობები ამოღებულია წ. ბაწაშის წიგნიდან: „ეთნო-რელიგიური პროცესები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში“, თბილისი, 1988).

ამ ზოგადი მიმოხილვის შემდეგ გავეცნოთ ქართულ-ქართველური ენების ნათესაობის თეორიებს.

ქართული ენის წარმოშობის პრობლემით ევროპელი მეცნიერები დაინტერესებული იყვნენ ჯერ კიდევ XVII—XVIII სს-ში. ეს ის ხანაა, როდესაც მეცნიერული აზროვნება ენის შესახებ ჯერ არ არის გამომუშავებული (შედარებით-ისტორიული მეთოდი ენათმეცნიერებაში XIX ს. პირველი ნახევრის მონაპოვარია) და მკვლევარნი კმაყოფილდებიან მხოლოდ და მხოლოდ ენათა პრიმიტიული შედარებით ლექსიკის დარგში. ამ საუკუნეებში დაინტერესებული არიან მსოფლიო ენათა კატალოგიზაციის საკითხებით, ცალკეულ ენათა ნათესაობის დადგენით, ენის წარმოშობის ძიებით.

მსოფლიო ენათა საერთო სქემაში გარკვეული ადგილი ჰქონდა მიჩნეული ქართულ ენას. კაცობრიობის ენათა პრეენად აღიარებული იყო ძველებრაული. სემიტურ ენათა ნათესაობა ამ დროს უკვე დადგენილად მიაჩნიათ. აზიის ენებისადმი ინტერესი გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ მათში ხედავდნენ ენის განვითარების უფრო ძველ საფეხურებს, ვიდრე ევროპულ ენებში. აზიის ენებში მოქცეული იყო ქართული ენაც. მალე უკუგდებულ იქნა ებრაული ენისაგან მსოფლიოს ენათა წარმომავლობის იდეა და ენათა კლასიფიკაციის პრობლემატიკაში ამოტივტივდა გეოგრაფიული პრინციპი. მაგალითად, ადელუნგმა ქართული ენა აზიის ენათა ჯგუფს მიაკუთვნა.

რამდენიმე ავტორი ძველი კოლხეთის ენას, როგორც უძველეს ქართულ ენას, გენეზისურად უკავშირებდა ეგვიპტურ ენას. ეს თეორია დაფუძნებული იყო ანტიკურ ხანაში შემუშავებულ თვალსაზრისზე კოლხებისა და ეგვიპტელების ნათესაობის შესახებ.

ჰეროდოტე, მაგალითად, ამბობდა, რომ ორივე ხალხის ცხოვრების წესები და ენა ერთნაირიაო. ბერძენი ისტორიკოსის ეს შეხედულება უნდა გავიგოთ, როგორც შედეგი მისი საერთო ეგვიპტოფილური კონცეფციისა. რაკი კოლხები ითვლებიან დღევანდელი ქართველების წინაპრად, ამიტომ ქართული ენა, როგორც გაგრძელება ძველი კოლხური ენისა, დაკავშირებული იყო ეგვიპტურ ენასთან. ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე ბაიერი ძველი ქართულ შრიფტს ეგვიპტურ დამწერლობასაც ადარებდა და მათ შორის საერთო მოხაზულობას პოულობდა.

გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი ლაიბნიცი, მსჯელობდა რა მსოფლიოს ენათა კლასიფიკაციის საკითხებზე, აღიარებდა, რომ მისთვის მთლად ნათელი არ არის ქართული ენის (ე. ი. ძველი კოლხუ-

ჩის) დაკავშირება ეგვიპტურ ენასთან. ეს საკითხი წამოჭრილია ადრეთვე ლაიბნიცისა და ცნობილი გერმანელი ფილოლოგის ანდრეას აკოლუტოს მიწერ-მოწერაში.

ლორენცო ჰერვასი ამბობდა, რომ ლაზური (ჭანური) ქართული ენის დიალექტია; ეგვიპტურთან ლაზურ მეტყველებას მსგავსება არა აქვს, მაშასადამე, ქართული ენის დაკავშირება ეგვიპტურთან შეუძლებელიაო.

პირველი მეცნიერი, რომელმაც სცადა ქართული ენა დაეკავშირებინა ევროპულ ენებთან (ბერძნულთან, ლათინურთან...), გახლავთ ლორენცო ჰერვასი. მას მოჰყავს ქართული სიტყვები პაოლინის ლექსიკონიდან და უდარებს იტალიურ სიტყვებს. საბოლოოდ ჰერვასი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს საერთო სიტყვები სიტყვათსესხების შედეგია და არა გენეტური ერთიანობისა.

ქართულ ენას ევროპული მოდგმის ენად თვლიდა ზემოხსენებული გერმანელი ფილოსოფოსი ლაიბნიცი. როგორც ითქვა, ლაიბნიცი ქართული ენის პრობლემას არაერთხელ შეხებია.

ჯერ კიდევ 1695 წელს აკოლუტოსადმი მიწერილ წერილში ლაიბნიცს მოჰყავს მთელი სია ქართული სიტყვებისა (პაოლინის ლექსიკონზე დაყრდნობით), რომლებსაც უდარებს ევროპული ენების სიტყვებს. 14 წლის შემდეგ, 1709 წელს, ლაიბნიცი ლა კროზუსადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს, რომ მას, სამწუხაროდ, ხელთ არა აქვს იტალიელი მაჟოს მიერ დაწერილი ქართული გრამატიკა, მაგრამ იმ შრომას იგი იცნობს იმ რეცენზიის მიხედვით, რომელიც დაბეჭდილია იტალიურ ჟურნალში. ეტყობა, ამ რეცენზიის საფუძველზე ამბობს ლაიბნიცი, „გამაოცა (ქართული ენის) დრო-კილოების სიუხვემო“.

1710 წელს თავის სტატიაში მსოფლიოს ენათა კლასიფიკაციის შესახებ ლაიბნიცი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ქართული, სპარსული და სომხური ენები წარმოადგენენ სკვითური და არამეული ენების ნარევს. აქ იგი აფართოებს თავის კონცეფციას ქართული ენის ევროპულ ენებთან ნათესაობის თაობაზე და დასძენს, რომ სურს გამოიკვლიოს ქართული ენისა და სემიტური ენების საერთო ელემენტები.

მიუხედავად იმისა, რომ ლაიბნიცის მიერ დამოწმებული ფაქტობრივი მასალა დამაჯერებელი არ არის სათანადო დასკვნების გამოსატანად, უნდა ითქვას, რომ ამ დიდი ავტორიტეტის შრომებში მოცემულ მსჯელობას ქართული ენის შესახებ უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამეცნიერო სამყაროში ქართული ენის პრობლემებისადმი ინტერესის გაღვივების თვალსაზრისით.

ფართო გავრცელება მოიპოვა ევროპულ ფილოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილი ფრანგი ორიენტალისტის ანკეტილ-დიუპერონის მიერ მოცემულმა ქართული და ზენდური ენების შედარებითმა ანა-

ლიზმა. ჰიპოთეზა ამ ენების მსგავსების შესახებ გამოთქმული იყო XVIII ს. ერთ-ერთ ავტორიტეტულ ორგანოში და მას მიმდევრებიც გამოუჩნდნენ.

თუ XVII—XVIII სს. დასავლეთ ევროპის ფილოლოგიურ ლიტერატურაში ქართული ენის ნათესაობის პრობლემა წყდებოდა ლექსიკური მასალის საფუძველზე, XIX ს. დასაწყისიდანვე საკვლევაძიებო ორბიტაში ჩართული იქნა გრამატიკული სტრუქტურის დამახასიათებელი ნიშნები ქართული ენის გენეალოგიის დასადგენად.

ქართულის (და, საერთოდ, ქართველური ენების) ნათესაობის კვლევის დარგში ახალი პერიოდის დასაწყისი უკავშირდება ცნობილი ფრანგი ქართველოლოგის აკადემიკოს მარი ბროსეს (1802—1880) სახელს.

ბროსე თვლიდა, რომ ქართული ენა გენეზისურად დაკავშირებულია ინდოევროპულ ენებთან. კვლევა-ძიების დასკვნები, რომლებიც მოცემულია მის ფუნდამენტურ წიგნში „ქართული გრამატიკა“ (1834, პარიზი), შემდეგი სახითაა ჩამოყალიბებული: 1. ქართული ენის ლექსიკური მარაგი საერთოა ინდოევროპულ ენებთან, განსაკუთრებით სანსკრიტთან, ძველ სპარსულთან და ზენდურთან; 2. ქართული ბრუნებისა და შედარებითი ხარისხის ფორმატი სანსკრიტული ანდა ზენდურია; 3. ასევე მსგავსია ნაცვალსახელების სისტემა; 4. უღვლილების გარკვეული ნაწილი ამჟღავნებს პარალელებს სპარსულის, სანსკრიტისა და ბერძნულის უღვლილებასთან; 5. სინტაქსი და სიტყვათა ნაწილი ქართულს თითქოს თავისებური აქვს, მაგრამ ამ სფეროშიც მრავალი შეხვედრის დადასტურება შეიძლება.

ქართული ენის გენეალოგიის საკითხით დაინტერესდა ლინგვისტური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი, უდიდესი გერმანელი მეცნიერი აკად. ფრანც ბოპი.

ბოპის დაინტერესებას ქართული ენის წარმოშობის პრობლემით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მეცნიერულ წრეებში ამ ენისადმი ყურადღების გამახვილების თვალსაზრისით. მან ქართული ენის შესახებ საგანგებო მოხსენება წაიკითხა ბერლინის მეცნიერებათა აკადემიაში ჯერ 1842 წლის 11 დეკემბერსა და შემდეგ — 1845 წლის 23 ოქტომბერს.

1846 წელს ბოპმა ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიურ-ისტორიული განყოფილების მემუარებში დაბეჭდა ნაშრომი „ქართულის შესახებ ენათა ნათესაობის თვალსაზრისით“, ხოლო იგივე ნაშრომი 1847 წელს ცალკე წიგნადაც გამოქვეყნდა ამ სათაურით: „კავკასიის წევრები ინდოევროპულ ენათა ოჯახისა“.

ბოპი ქართველურ ენებს (საკუთრივ ქართულს, მეგრულს, ლაზურს, სვანურს) უწოდებს „იბერიულს ანუ ქართულს“. ავტორი შესავალ ნა-

წილში გადმოგვცემს როზენის, კლაპროთის, სენ-მარტენის, ბროსეს შეხედულებებს ქართველურ ენათა შესახებ და შემდეგ ასაბუთებს საკუთარ თვალსაზრისს.

ფრანც ბოპის შრომის მიზანია, ცხადი გახადოს, რომ „ენობრივი ორგანიზმის ყველა ნაწილში — სახელთა ფლექსიაში, ზედსართავებში, ნაცვალსახელების ფუძეებსა და ბრუნებაში, რიცხვით სახელებში, აგრეთვე ზმნის უღვლილებაში — პირთა, რიცხვთა, დროთა და კილოთა მიხედვით ქართული ენა ავლენს ნათესაობას ინდოევროპულ ენებთან (სანსკრიტთან და სხვ.)“.

ბოპის ნაშრომში არ არის ლაპარაკი ფონეტიკურ შესატყვისობათა შესახებ, საკითხი განხილულია მხოლოდ მორფოლოგიისა და ლექსიკის ჩვენებათა მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ ბოპის წიგნში წარმოდგენილი ენობრივი მასალა და შედარებები თავის არსებით ნაწილში დამარწმუნებელი არ არის, მაინც უნდა ითქვას, რომ მან გამოთქვა ბევრი საინტერესო და უდავოდ სწორი დაკვირვება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის მორფოლოგიის კვლევის დარგში.

ბოპის ნაშრომის კრიტიკული ანალიზი მოგვცა აკადემიკოსმა ბროსემ, მიუხედავად იმისა, რომ ისიც ქართულს ინდოევროპული ენების მონათესავედ თვლიდა. ბროსემ 1844 წლის 1 ნოემბერს თავისი შენიშვნები მოახსენა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას (აკადემიის მემუარები, 1846).

პროფ. ფრიდრიხ მიულერი აღნიშნავდა, რომ, თუმცა ბოპის ცდა, „დაემტკიცოს ქართველური ენების ინდოევროპულობა, გასაოცრად გონებამახვილურია“, მაგრამ საკითხი დამტკიცებული მაინც არ არისო.

პროფ. მაქს მიულერიც მსჯელობს ქართველურ ენათა შესახებ (ბროსესა და როზენის შრომებზე დაყრდნობით) და დაასკვნის, რომ საერთოდ კავკასიური ენები ურალურ-ალთაურ ენებს ენათესავებიან.

1864 წელს გამოქვეყნდა იმავე პროფესორის ფრიდრიხ მიულერის ნაშრომი „კავკასიურ ენათა ადგილი ენათმეცნიერებაში“, სადაც მიღებულია დასკვნა, რომ ქართულ-კავკასიური ენები წარმოადგენენ დიდი ენათა ჯგუფის გადმონაშთს.

ამრიგად შემუშავდა თვალსაზრისი ქართველურ (და კავკასიურ) ენათა განკერძოებულობის შესახებ.

ფრიდრიხ მიულერის მიერ წამოყენებული დებულება გაიზიარა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ალექსანდრე ცაგარელმა. 1872 წელს იგი ამბობდა: „თუ ჯერ კიდევ დღევანდლამდე განთქმულ ევროპულ ლინგვისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა ქართული ენის გენეზისური კავშირის შესახებ, ლინგვისტური თეორიების ასეთი გაუბედაობის, გაურკვევლობისა და წარუმატებლობის მიზეზი უნდა ვეძე-

ბოთ არა მხოლოდ გრამატიკული ფორმების (განსაკუთრებით ზმნების) სირთულესა და დახლართულობაში, არამედ, ჩემი აზრით, უმთავრესად იმაში, რომ სრულად და ყოველმხრივ არ არის შესწავლილი საგანი — ენა — ყველა თავისი განშტოებითა და შენაკადით, არ არის შესწავლილი მისი ტიპი, მთელი თავისი დამახასიათებელი ნიშნებით, რომლებითაც იგი, როგორც ერთი განუყოფელი მთელი, განსხვავდება ყველა სხვა — მისი მსგავსი ობიექტისაგან. ენის ტიპის ამგვარი აღდგენა ყველას აარიდებდა უმადურსა და საფრთხილო შრომას — მორფოლოგიურ ან გენეალოგიურ კლასიფიკაციაში ეძებნათ ადგილი იმ ენისათვის, რომლის ტიპი ჯერ კიდევ გარკვეული არ არის".

მოსაზრება, რომ ქართული ენა არ ენათესავება მსოფლიოში არსებულ ენათა ოჯახებს, ძალზე მკვეთრად და კატეგორიულად გამოთქვა ალ. ცაგარელმა იმ მოხსენებაშიც, რომელიც მან წაიკითხა ორიენტალისტთა მეშვიდე ყრილობაზე ქ. ვენაში 1886 წელს.

ქართული ენის (და, საერთოდ, კავკასიური ენების) განკერძოებულობის თეორიას მხარი დაუჭირა გერმანელმა მეცნიერმა პროფ. რ. ერკერტმაც (1895 წ.).

თეორია სემიტური ოჯახის ენებთან ქართული ენის მონათესაობის შესახებ წამოაყენა ნ. მარმა. მისი აზრით, ქართული ენა სემიტურის მონათესავეა, მაგრამ სემიტური ენა არაა. ქართული და სემიტური ენები ერთი ენისაგან არიან მიღებული და ეს უძველესი ფუძეენა სემიტურთან ახლოს იდგა. ეს იყო ნ. მარის საპროგრამო განცხადება. 20 წლის შემდეგ იბეჭდება მისი ვრცელი შრომა, სადაც მოცემულია ცდა სტუდენტობის დროს წამოყენებული დებულების დამტკიცებისა.

შემდეგ თვით ნ. მარმა აღიარა, რომ ქართული ენის გენეზისური დაკავშირება სემიტურ ენებთან არ გამართლდა.

დიდი ხანია მეცნიერებაში წამოყენებულია შეხედულება ქართული ენის გენეზისური კავშირის შესახებ მცირე აზიის უძველესი (დღეს გადაშენებული) ენების ჯგუფთან.

ამ ენებთან ქართულის მონათესავობის იდეას მხარს უჭერდნენ პროფესორები: ვინკლერი, ბორკი, ტრომბეტი, დირი, მიხეილ წერეთელი, სვანიძე, კარსტი, მარი, ჩიქობავა და სხვანი.

აკად. არნ. ჩიქობავას სიტყვით, „რაც უფრო შორს ვიხედებით ქართველურ და სხვა იბერიულ-კავკასიური ენების წარსულში, მით უფრო ხელშესახები ხდება ამ ენათა წარმოშობითი კავშირი წინააზიისა და შუამდინარეთის ძველი ცივილიზაციის ენებთან (ურარტულთან, ჰურიტულთან, ხეთურთან, ელამურთან, შუმერულთან)".

ზოგიერთი მეცნიერი ქართულ ენას გენეზისურად უკავშირებს შ უ მ ე რ უ ლ ე ნ ა ს.

ვინ იყვნენ შუმერები?

გასულ საუკუნეში, 1877 წელს, სამხრეთ შუამდინარეთის ტერიტორიაზე, უძველესი ნაქალაქარის ადგილას ამოზიდულ ბორცვზე, ერთ ფრანგ არქეოლოგს ბედმა გაუღიმა: ბარის პირველსავე დაკვრაზე მზის სინათლე იხილა ოთხი ათასი წლის (ძვ. წ.) წინანდელი შუმერული ქალაქის ნანგრევებში ჩამარხული მატერიალური კულტურის უნიკალურმა ძეგლმა — ლურსმული წარწერებით დაფარულმა ქანდაკებებმა და თიხის ფირფიტებმა. ეს იყო ჰეშმარიტად სადღესასწაულო მოვლენა ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერების ისტორიაში. აღმოჩნდა, რომ ძვ. წ. IV—III ათასწლეულებში დღევანდელი ერაყის მიდამოებში ბინადრობდა უძველესი სამყაროს ერთ-ერთი დაწინაურებული და ცივილიზებული ხალხი, რომლის არსებობა მეცნიერებმა ჯერ კიდევ ოცდაათი წლით ადრე თეორიულად იწინასწარმეტყველეს. ამ სენსაციურმა აღმოჩენამ კულტურის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაგვიშალა. შუმერები ითვლებიან ლურსმული დამწერლობის შემქმნელებად. ფილოლოგების მიერ გაშიფრულ შუმერული მწერლობის ნიმუშებს დღესაც აღტაცებაში მოჰყავს ადამიანი. შუმერული კულტურა ფართო მასშტაბით ვრცელდებოდა მთელს წინააზიაში. დიდი გავლენა მოახდინა მან შუამდინარეთსა და მის პერიფერიებში მცხოვრები სემიტური და ინდოევროპული მოდგმების ხალხთა სულიერი შემოქმედების მიმართულებაზე. შუმეროლოგიის გარიჟრაჟზე, 1910-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა ქართულ შუმეროლოგიას (მ. წერეთელი, ა. სვანიძე), ეს დარგი ჩვენში დღესაც დაწინაურებულია (ზ. კიკნაძე, ჯ. შარაშენიძე...).

გამოჩენილმა ასირიოლოგმა, პროფ. მიხეილ (მიხაკო) წერეთელმა ჯერ კიდევ 1913 წელს სცადა დაემტკიცებინა შეხედულება ძველი შუამდინარეთის ერთ-ერთ ენასთან — შუმერულთან ქართული ენის ნათესაური დამოკიდებულების თაობაზე.

ადრე შუმერულ-ქართულის შესახებ მსჯელობდნენ ცნობილი ასირიოლოგები რაულსონი, ლენორმანი, ჰომელი[1].

მიხ. წერეთელი წერდა: „ჩვენის ფიქრით, სუმერული (ანუ შუმერული — **შ. ძ.**) ქართულის მონათესავეა და შესაძლოა ძველ ასსირიოლოგთა ჰიპოთეზა, — რაულსონისა, ლენორმანისა და ჰომელისა, — სრული ჰეშმარიტება იყოს იმ მხრით, რომ ერთი განსაკუთრებული რასა დიდი, უძველესი, უძღოდა წინ არიელებსა და სემიელებს

---

[1] სახელდობრ, ჰომელმა სცადა თურქულ ენასთან ქართულის დაკავშირება სუმერული ენის მეშვეობით. ამასთან დაკავშირებით, დასძენდა, რომ მესხები (და საერთოდ ქართველები) თურანული მოდგმის ხალხიაო. ცხადია, ეს თვალსაზრისი უსუსურია.

წინა-აზიაში, ეს რასა არც სკვითების იყო, არც თურანელების, არამედ იგი იყო ქართული (სხვა უფრო სწორი ტერმინის უქონლობის გამო ამას ვხმარობთ). რასაკვირველია, მრავალი საბუთია საჭირო ამის ყოველმხრივი მეცნიერული დამტკიცებისათვის, მაგრამ ჩვენ ამის პრეტენზია არა გვაქვს. ჩვენ მხოლოდ ერთ მხარეს გვინდა მივაქციოთ ყურადღება — ლინგვისტურს, და ამ წერილში მხოლოდ სუმერულისა და ქართულის მსგავსებაზედ გვინდა მივაქციოთ ყურადღება. საერთოდ კი, ჩვენის ფიქრით, ქართულის შედარება შეიძლება ყველა არა-არიულ და არა-სემიურს ლურსმულ წარწერათა ენასთან... ქართულის შედარებამ არიულ და თურანულ ენებთან არავითარი ნაყოფი არ მოიტანა. არც არის საფიქრებელი, რომ ქართულს რაიმე გენეტიური ნათესაობა ჰქონდეს თურანულთან. ხოლო, მეორე მხრით, ჰიპოთეზა ქართულისა და სუმერულის მსგავსებისა სიმართლეს შეიცავს. თუ ეს ვერ დაამტკიცეს აქამდის ასსირიოლოგებმა, ეს უფრო მათ მიერ ქართულის უცოდინარობით აიხსნება. ფრიც ჰომმელსაც ქართული არც კი შეუდარებია პირდაპირ სუმერულთან, არამედ მან ქართულსა და სუმერულს შორის იმდენად ნახა ნათესაობა, რამდენადაც ქართულის მსგავსი ენები ალაროდიული ჯგუფისა სუმერულის მონათესავედ მიაჩნდა, სუმერული კი თურანულ ენად, მაგრამ რადგან ქართულს არავითარი მსგავსება არა აქვს თურანულთან, ამიტომ სუმერულსაც არ ჰქონია მსგავსება თურანულთან, თუ ქართული და სუმერული ერთმანეთს ემსაგვსება: ორში ერთია, ან სუმერული თურანული ენაა, მაშინ იგი ქართულთან არ არის ნათესაობით დაკავშირებული, ან და, თუ სუმერულსა და ქართულს შორის არის ნათესაობა, მაშინ სუმერული არ ყოფილა თურანული. ჩვენ მეორე მიგვაჩნია ჭეშმარიტად და არა პირველი".

პირველი ნაშრომი მიხ. წერეთლისა ჩვენთვის საინტერესო საგანზე დაიწერა ჰაიდელბერგში და დაიბეჭდა თბილისში (კრებული „გვირგვინი", 1913); ამას მოჰყვა კონსტანტინოპოლში გამოქვეყნებული მისივე მონოგრაფია, ხოლო სხვადასხვა დროს ევროპაში დღის სინათლეზე გამოვიდა მრავალი გამოკვლევა ამავე ავტორისა, რამაც ხელი შეუწყო ქართულ-სუმერული პრობლემატიკის პოპულარიზაციას.

მიხ. წერეთლის შედარებები მოიცავს როგორც გრამატიკას, ისე ლექსიკას. განხილულია უამრავი ლექსიკური მასალა. მიუხედავად არაერთი გონებამახვილური დაკვირვებისა, მაინც უნდა ითქვას, რომ შუმერული და ქართული სტრუქტურულად არ ამჟღავნებენ გენეზისურ კავშირს.

სიტყვის ძირების გარკვეული მსგავსებანი უნდა აიხსნებოდეს საერთო მასალით, რაც განპირობებულია უძველესი კონტაქტებით წინა-აზიასა და შუამდინარეთს შორის.

ბევრ მეცნიერს გამოუთქვამს შეხედულება ქართული ენისა და მთის კავკასიური ენების ნათესაობის თაობაზე.

კავკასიის ენათა სიმრავლე და ნაირგვარობა ჯერ კიდევ ძველ ბერძნებსა და რომაელებს აკვირვებდათ და ამბობდნენ — კავკასია „ენათა მთა“ არისო.

შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ კავკასიური ენები ერთ მონათესავე ენობრივ სამყაროდ, ანდა რა ადგილს იკავებს ერთმანეთთან გეოგრაფიულად დაკავშირებული ეს მრავალრიცხოვანი ჯგუფი ენებისა მსოფლიო ენათა სისტემაში?

ეს საკითხი აღეძრა მრავალ ევროპელ მეცნიერს, ეს იმ დროს, როდესაც კავკასიის მკვიდრთა ენობრივი პროფილის კვლევა ის-ის იყო იწყებოდა და მეცნიერული დასკვნების გამოტანა, ცხადია, ჰიპოთეტურ მოსაზრებებს და ნებისმიერ დაშვებებს ვერ გასცდებოდა.

ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი ედუარდ მაიერი ამბობდა: „კავკასიური რაიონები დასახლებულია მრავალრიცხოვანი ტომებით, რომელთა ეთნიკური ბუნება ჯერ კიდევ ნაკლებადაა გამოკვლეული. ეს ტომები ერთმანეთთან თითქოს არ არიან ნათესაურ კავშირში. ამათგან ყველაზე ცნობილი არიან ივერიელები (აწინდელი ქართველები), რომელთაც მტკვრის ხეობა უჭირავთ. ეჭვს გარეშეა, ეს ხალხები წინათ ლრმად იყვნენ შეჭრილი მცირე აზიასა და სომხეთში. მათ უნდა მივათვალოთ მოსხები — მესხები (ასურული წყაროებით მუშკაია, ბიბლიური — მეშეხ) და ტობარენები (ბიბლიური ტებალ, ასურული — ტაბალაი), რომლებსაც ხეთების სამეფოს დაცემის შემდეგ კაპადოკია ეჭირათ და იქიდან ილაშქრებდნენ ტიგროსის მხარეში“.

მეორე დიდი ავტორიტეტი, ფრ. ჰომელი ამბობდა: „მცირე აზია ოდესღაც თითქმის მთლიანად დასახლებული იყო იმ ხალხებით, რომლებიც ხეთებთან ერთად შეადგენდნენ ერთ მონათესავე ეთნიკურ ჯგუფს. ხალხთა ამ ალაროდიულ ჯგუფს ეკუთვნოდნენ: ა) ელამიტები და კასეები, ბ) ძველი სომხეთის მკვიდრნი (ნამდვილი ალაროდიელები) ე. ი. ურარტუს (ბიბლიის მიხედვით — არარატის) მკვიდრნი, რომელთა შთამომავლებადაც უნდა ჩავთვალოთ ქართველები“ და სხვ.

ცნობილი გერმანელი მეცნიერის პროფ. ფრ. მიულერის აზრი ასეთია: 1. კავკასიური ენები არ უკავშირდება არც ინდოევროპულსა და არც ურალურ-ალთაურ ენებს; 2. კავკასიური ენები, ისევე როგორც ბასკური, გადმონაშთია ენათა დიდი ჯგუფისა, ე. ი. კავკასიური ენები რელიქტური ენებია; 3. კავკასიური ენების ეს ჯგუფი გავრცელებული იყო კავკასიასა და მის სამხრეთით; 4. კავკასიური ჯგუფი ამ მიწა-წყალზე მოიპოვებოდა უფრო ადრე, ვიდრე აქ გავრცელდებოდა ინდოევროპული, სემიტური და ურალურ-ალთაური ენები.

ფრ. მიულერთან კავკასიურ ენათა ნათესაური ურთიერთობის საკითხი ყოველთვის ერთნაირად გარკვეული არ ყოფილა. გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში გამოქვეყნებულ მის ცნობილ სამტომეულში („ენათმეცნიერების შესავალი") საუბარია მსოფლიოს ყველა მეტ-ნაკლებად შესწავლილი ენის შესახებ, კავკასიური ენები განხილულია შესამე ტომში, იწყება ეს მიმოხილვა ბასკური ენით და შემდეგ მოდის „კავკასიური ენები", ბოლოს ჰამიტურ-სემიტური ოჯახის ენებია წარმოდგენილი. ავტორი იძლევა ჩრდილო-კავკასიურ ენათა ზოგად დახასიათებას და ამ ენათა სამხრეთ-კავკასიურ ენებთან (ე. ი. ქართველურ ენებთან) ურთიერთობის გარკვევას.

ფრ. მიულერი სამხრეთ-კავკასიურ ენებს ოჯახად ნათლავს, ხოლო ჩრდილო-კავკასიურ ენებს ოჯახად არ თვლის. (საკუთრივ) ქართული, შეგრული, ლაზური, სვანური ისეთ სიახლოვეს ამჟღავნებენ, რომ ისინი, შეიძლებოდა, ერთი ენის დიალექტებად მიგვეჩნია, ხოლო ჩრდილო-კავკასიური ენები ერთმანეთთან ისეთ სუსტ ურთიერთობაში იმყოფებიან, რომ ზერელედ განხილვისას თითქმის ყოველი ენა შეიძლებოდა თავისთავად ინდივიდიუმად ჩაგვეთვალაო, უფრო ზედმიწევნით თუ გავსინჯავთ — რიგს მომენტებში კავშირს დავადგენთო. ასეთია მიულერის დასკვნა. 1894 წელს ის აღიარებდა, რომ კავკასიური ენები ერთი წინარე ენიდან მომდინარეობენ, ისინი ქმნიან დამოუკიდებელ ოჯახს, რომელიც არც ერთ ცნობილ ენათა ოჯახს არ ენათესავებაო. უფრო ადრე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიულერი „კავკასიურ ენებში" ორ ოჯახს ხედავდა, მიუხედავად იმისა, რომ სახელწოდება ერთი იყო: „კავკასიური ენები".

აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ მიულერი პირველია, ვინც სპეციალურ ლიტერატურაში იძლევა კავკასიურ ენათა ტიპოლოგიურ დახასიათებას.

1864 წელს კავკასიურ ენათა დიდად ნაყოფიერ და მრავალმხრივ მკვლევარს პეტრე უსლარს გამოთქმული აქვს შეხედულება: „ახლა უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ძველი სამყაროს ენათა დიდ ოჯახებს — ინდოევროპულს, სემიტურს, კუშიტურს (კოპტურს, ეთიოპურს) და ურალურ-ალთაურს უნდა მივუმატოთ კიდევ სრულიად თავისთავადი ოჯახი კავკასიურ ენათა, ვინაიდან ყველა ეს ენა, მიუხედავად გასაოცარი ნაირგვაროვნებისა, წარმოადგენს ღრმა ნათესაურ თვისებებს. სომხური ენა ინდოევროპულია; ქართული, როგორც ჩანს, კავკასიური ენაა, და, საფიქრებელია, ყველაზე შესანიშნავი მთელს ოჯახში. ქართული ენის აგებულების შესახებ ნარკვევის გარეშე ჩემ მიერ მოფიქრებული „მრავალენოვანი კავკასია" არ იქნება დამთავრებული".

ამგვარად, აქ გახაზულია: „გასაოცარი ნაირგვარობა", ქართული ენა კავკასიურია, ე. ი. ქართველური ენები და მთის კავკასიური ენები მონათესავე ენებია...

ცოტა ხნის შემდეგ კატეგორიული მსჯელობა — კავკასიურ ენათა სრულიად თავისთავადი ოჯახი უნდა გამოიყოს ინდოევროპულის, სემიტურის და სხვა ოჯახების გვერდითო, შეცვალა ვირაუდმა, რომლის თანახმადაც ასეთი ოჯახი მხოლოდ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ს წარმოადგენს. უსლარი წერს: „თუ უკანასკნელი წლების გამოკვლევებმა ერთგვარი შუქი მოჰფინეს კავკასიის ყველა ენას..., მოპოვებული ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობების განზოგადება ჯერ კიდევ ნაადრევია: მართლა არსებობს თუ არა კავკასიურ ენათა თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ი ოჯახი, — ისეთივე თავისთავადი, როგორიცაა ინდოევროპული, სემიტური, ალთაური? ეს საკითხი კარგა ხანს არ იქნება... გადაწყვეტილი. მის გადასაწყვეტად აუცილებელია გამოკვლეულ იქნეს ყ ვ ე ლ ა კავკასიური ენა და ყოველი მათგანის ყ ვ ე ლ ა კილო... შემდეგ წინ გვიდევს კავკასიურ ენათა ურთიერთშედარება. იმის გასარკვევად, თუ რა ნათესაური თვისებები აკავშირებს მათ ერთ ოჯახად და რა გზით წარმოიქმნა ის განსხვავება, რაც მათ აშორებს ერთმანეთისაგან, მეტად რთული საკითხია და დიდი უთანხმოების საბაბი შეიძლება გახდეს".

უსლარი დასძენს: „ივერიულ ენათაგან ყველაზე ნაკლებად დღემდე გამოკვლეულია სვანური, სამაგიეროდ, ქართული ცნობილია ძალიან კარგად და მასზე მოიპოვება მრავალი ლიტერატურული ძეგლი, რომლებიც განეკუთვნება საუკუნეთა გრძელ წყებას... ბოპმა ინდოევროპულ ენებს მიაკუთვნა ივერიული ენები, მაგრამ მის დასკვნებს ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს. ბროსე — „თანამედროვე დიდი ავტორიტეტი საქართველოს ისტორიისა" — აგრეთვე ამტკიცებდა ამ ენათა ინდოევროპულობას, მაგრამ თვითვე ეჭვით უყურებდა თავის მტკიცებას. იქნებ მოულოდნელი შუქი მოეფინოს კავკასიურ ენებს, როცა გამოკვლეული იქნება მათი დამოკიდებულება ივერიულ ჯგუფთან! მაგრამ სათანადო სამუშაო ჯერ კიდევ ვერ განხორციელდება იმიტომ, რომ მთის კავკასიური ენები არაა ცნობილი საკმარისად. სვანურ ენასა და აფხაზურს შორის ჯერჯერობით არაა დაძებნილი თვალსაჩინო კავშირი, რამდენიმე ძირის გარდა, რომლებიც საკითხის გასარკვევად ცოტა რასმე იძლევიან".

ასეთი იყო კავკასიურ ენათა მეცნიერული შესწავლის გარიჟრაჟზე გამოთქმული შეხედულებები ამ ენათა ურთიერთობისა და მათი დამოკიდებულების შესახებ.

პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა და ქართული სიტყვიერების კათედრის ხელმძღვანელმა ა. ცაგარელმა 1875 წელს ერთგვა-

რად შეაჯამა წინამორბედ მკვლევართა მიერ გამოთქმული დებულებები ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით და თავისი პოზიცია ასე ჩამოაყალიბა:

„ქართული ენა (ისევე როგორც სხვა კავკასიური ენები) გენეზისით არ უკავშირდება ინდოევროპულ ენებს, მაგრამ მას ვერ მივაკუთვნებთ ურალურ-ალთაურ ენებსაც. იგი, მსგავსად ბასკურისა ევროპაში, საფიქრებელია, არის ნარჩენი ოდესღაც მეტად მრავალრიცხოვანი ენებ ის ჯგუფისა, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიის ყელზე ჯერ კიდევ მანამ, სანამ მოვიდოდნენ სემიტური, არიული და ურალურ-ალთაური ტომები კავკასიაში და მის სამხრეთით".

ჩვენ არ შევუდგებით სხვა ავტორების შეხედულებათა დახასიათებას[1]. ვიტყვით მხოლოდ, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია პროფესორების — რიხარდ ერკერტის, ჰუგო შუხარდტის, ადოლფ დირისა და სხვათა დებულებები და მოსაზრებანი. ამათგან განსაკუთრებით ფასეულია ლინგვისტური მეცნიერების ერთ-ერთი კორიფეს შუხარდტის ნააზრევი.

შუხარდტმა შესანიშნავი ნაშრომები დაგვიტოვა ქართველოლოგიაში, იგი „შორს მიმავალი ინტერესების ცენტრში" ათავსებდა ქართულ ენას და აღნიშნავდა: გასაკვირია, რომ დასავლეთის მეცნიერები ქართულს ასეთ მცირე ყურადღებას უთმობენ (ამას წერდა 1895 წელს!); ბროსეს შემდეგ ფრ. მიულერის გარდა არავის გამოუქვეყნებია შრომა ქართული ენის შესახებ (ბოპის შედარებითი ძიება ასეთად არ შეიძლება მივიჩნიოთ; ინგლისელი ო. უორდროპი სწავლობს ქართულს რუსეთში; ფრ. მიულერმა („ენათმეცნიერების საფუძვლებში") ქართულს დაუთმო სათანადო ადგილი; საინტერესოა, რომ შისტელის „ტიპებში" ქართული ჩანს, ისევე როგორც ბასკური, მაგრამ ბირნმა თავის ორტომიან წიგნში სულ გამოტოვა ქართული და, საერთოდ, კავკასიური ენები; ეს მიეწერება დამხმარე საშუალებათა უკმარისობას; ქართული შრიფტი ადვილი არ არის, თუმცა სხვა კავკასიური ენებისათვის მის გამოყენებას ვურჩევდიო; ჩუბინაშვილის ლექსიკონი ძნელად გამოსაყენებელია; მეტწილად ქართულად დაწერილ გრამატიკებს უნდა დავეყრდნოთო...

შუხარდტი დასძენდა: „ამ ჩემი ნაწერით მივმართავ ქართველებს, მე ვეცადე დამერწმუნებინა ისინი — რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მათს ენას ჩვენთვის — უცხოელი მკვლევარებისათვის და ვისურვებდი, ისინი ჩვენს სამეცნიერო მისწრაფებებს დახმარებით გამოხმაურობდნენ; კარგი იქნებოდა, „ქართველთა ამხანაგობა", რომელმაც

---

[1] დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მიმართოს არნ. ჩიქობავას მონოგრაფიას: „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია"; 1965.

კაზმული სიტყვიერების ფარგლები გადალახა და „სრული სამზარეულო ქართულ და ევროპულ საჭმელთა“ გამოსცა, ევროპელ გურმანებს მიაწვდიდეს ქართულ ზმნას ისე, როგორც ეს ესმის ქართველს. შედეგს ეს მალე არ მოიტანდა (მასთან, ბრჭყვიალა ლითონით), მაგრამ ეს იქნება საფეხური კიბისა, რომლის წვერიდან ოდესმე შესაძლო გახდებოდა საკუთარი ხალხის წარმოშობის დანახვა“.

„ჰ. შუხარდტმა ცხადად წარმოაჩინა ქართული ენის შესწავლის მნიშვნელობა — ქართველური და მთის კავკასიური ენების თვალსაზრისით, წინააზიის ძველ ენებთან ისტორიული ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით; დასვა ბასკურთან მიმართების საკითხი, დაახასიათა აბრუნტივთა თავისებურება, გამოავლინა ივ-სუფიქსიანი მოქმედებითი“ (არნ. ჩიქობავა).

ალფ. ტრომბეტი წერდა: „ჩვენ უნდა დავეთანხმოთ შუხარდტს და სხვა მკვლევრებს იმაში, რომ კავკასიის მიწა-წყალზე თავმოყრილი არიან ხალხები, რომლებიც წინათ გავრცელებული ყოფილან გაცილებით უფრო დიდ ტერიტორიაზე და რომ ამ ხალხთა ნაწილი შეისრუტა სხვა ტომებმა“.

ქართული ენის დაკავშირების იდეას მთის კავკასიურ ენებთან იცავდა ნ. მარი. მისი ნააზრევი წარმოდგენილია მრავალრიცხოვან ნაშრომებში. 1922 წელს ნ. მარი აღნიშნავდა:

„კავკასიის მრავალრიცხოვან ენათა შორის, მათი საზოგადოებრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით, ზოგი ენა ტომობრივია, ზოგიც ეროვნული ენაა“; „ქართული დღევანდლამდე ტომობრივი კი არა, არამედ ეროვნული უნაა... ქართული საზოგადოდ კავკასიის საზოგადოებრივი ენაა, კავკასიის ტერიტორიის მნიშვნელოვან ფართობზე გავრცელებული, ისეთ ტომებსა და უნებს შორისაც კი, რომელნიც ტომობრივი წარმოშობილობით ანდა თავიანთი პრაქტიკული ყოფაცხოვრებით მათზე სრულიად შორს დგანან, ამასთანავე, სარწმუნოებისდა მიუხედავადაც, ქართულად ლაპარაკობს კავკასიის მთიანეთის სამხრეთი ფერდობების ოსთა მოსახლეობის დიდი ნაწილი, აფხაზთა ერის გარკვეული ფენები ისევე, როგორც საქართველოს საზღვრებში მობინადრე სომხებიც... აგრეთვე ლეკების ერთი ნაწილი, სახელდობრ — დიდოელნი, და თურქებიც კი...; წარსულთან შედარებით ქართულს, როგორც კავკასიის საერთაშორისო ენას, ზოგიერთი ადგილი (პოზიცია), რასაკვირველია, დაკარგული აქვს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ქართული ეროვნული ენა ამჟამადაც კავკასიის მცირერიცხოვან ენათაგან ყველა თვისების შქონეა... კავკასიის საზომიან საერთაშორისობასთან ერთად ქართულ ეროვნულ ენას განსაკუთრებული დემოკრატიულობაც გააჩნია. ორივე ეს თვისება... უზარმაზარი კულტურული მუშაობის ნაყოფია... ამ შემოქმედებაში მონაწილეობას ქართველი ერის მარტო ერთი

ფენა, მარტო ერთი ქართველი ტომი, მხოლოდ ქართველი ტომი, მხოლოდ ქართველი ერი არ იღებდა. ქართული ენა ნაწილობრივ კავკასიის კულტურული ცხოვრების, –– რომელიც ძველადაც ერთი საზოგადოებრივი ენის შექმნას ცდილობდა, — სინთეზიც არის“ (ციტატა თარგმნილია ივ. ჯავახიშვილის მიერ ამ შეფასების დამატებით: „აქ ყველაფერი ნ. მარისათვის ისეთი ჩვეულებრივი ნიჭითა და მჭევრმეტყველებით არის ნათქვამი, რომ არაფრის დამატება საჭირო არ არის“. 1937 წ.).

ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა ნათესაობის პრობლემას მიეძღვნა აკად. ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური მონოგრაფია: „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (1937).

ივ. ჯავახიშვილის კონცეფციის არსი შემდეგში მდგომარეობს:

თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ა დ ქართველური და ე. წ. კავკასიური ენები ერთი და იმავე ბუნებისა და უმჭიდროესად მონათესავე ენები იყო და მხოლოდ შ ე მ დ გ ო მ შ ი, დ რ ო თ ა ვ ი თ ა რ ე ბ ა შ ი, სხვადასხვა მიზეზის გამო დ ა შ ო რ ე ბ ი ა ნ ერთმანეთს და სამ-ხუთ დიდ მთავარ ენათა ჯგუფად ქცეულან. ესენია: ქართულ-ქართველური, სინდური, ღილღური, ლეგური და ალბანური ჯგუფები. ამ ხუთი ენობრივი ჯგუფიდან ოთხი ჯგუფი: სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური ენები ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან და უპირისპირდებიან ქართველურ ენებს. ამიტომ, საფიქრებელია, ძველად ამ ოთხი ჯგუფის წარმომადგენელ ჩრდილოეთ-კავკასიურ ტომებს თავისი გამაერთიანებელი სახელი ექნებოდათ. მართლაც, ბერძენი ისტორიკოსი სტრაბონი მათ ს ა რ მ ა ტ ე ბ ს უწოდებს. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ ეს სახელწოდება შედგება სიტყვებისაგან: ს ა უ რ ი და მ ა ტ. საკვარაუდებელია, მ ა ტ ენას ანუ ტომს ნიშნავს, ს ა უ რ ი ჩრდ. კავკასიის თემის და სახელმწიფოს სახელწოდებაა. ქართულ საისტორიო წყაროებში ამ სახელმწიფოს შ ა უ რ ო ეწოდება (საურო-შაური). ეტყობა, ეს სახელი რაღაც ზოგადი თვისების მატარებელია. ამრიგად, ს ა უ რ ო-მ ა ტ ე ბ ი ს (ანუ ს ა რ მ ა ტ ე ბ ი ს) სახელი ადგილობრივი სახელი ყოფილა და შ ა რ ო ე ლ თ ა ენის აღმნიშვნელია. ამ მოსაზრებათა გამო, ივ. ჯავახიშვილის აზრით, უფლებაც გვაქვს და უფრო მიზანშეწონილიც იქნება, რომ სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანურ ენათა საერთო სახელად ისევ ძველივე ზოგადი შ ა რ ო მ ა ტ ე ბ ი ს (ანუ ს ა უ რ ო მ ა ტ ე ბ ი ს) სახელი შემოვიღოთ. მაშ, ერთი მხრივ, გვქონია შ ა რ ო მ ა ტ უ ლ ი ე ნ ე ბ ი და, მეორე მხრივ, ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ი ე ნ ე ბ ი, რომლებსაც, როგორც ითქვა, უხსოვარ დროს (ე. ი. თავდაპირველად) საერთო ბუნება და ნათესაობა ჰქონიათ და შემდეგ დაშორებიან ერთმანეთს... საუკუნეთა განმავლობაში მომხდარი ცვლილე-

ბა იმდენად არსებითი, დიდი და ფართო ყოფილა, რომ თავდაპირველი ნათესაობის მიუხედავად, ამ დაშორების პროცესს ეს მონათესავე ენები ერთმანეთისაგან ისე დაუშორებია, ენათა დამოუკიდებელ, გარეგნულად უცხო ჯგუფებადაც კი უქცევია... რაკი ლაპარაკია ზემოხსენებული ტომების უძველეს ენობრივ ნათესაობაზე, ბუნებრივია, ქართველთა და შაროელთა (ე. ი. სინდ-ღილღვ-ლეგ-ალბანელებს) შორეული წინაპრები ყოფილან ღვიძლი, მოძმე ტომები, თავდაპირველად მათ ერთი ენაც უნდა ჰქონოდათ. თავდაპირველად საერთო და შემდეგ მონათესავე ენის გარდა, მათ გარკვეულ ხანამდე კულტურაც საერთო ჰქონიათ... ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, ქართველურ-სინდ-ღილღვ-ლევ-ალბანელთა თავდაპირველი ნათესაობა მარტოოდენ ენობრივი ანალიზით კი არ მტკიცდება, არამედ უძველესი ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოლოგიური მონაცემებითაც. მეცნიერი ამბობს: მრავალგვარმა სხვადასხვა გარემოებამ რომ ეს მოძმე ხალხები და ტომები ერთმანეთს დააშორა, ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა ფაქტორებმა ისინი ხუთ დიდ ერთეულად აქცია. ენის საერთო თვისებათა მიხედვით, ამათგან ყველაზე მკაფიოდ გამოყოფილია ქართველთა ერთეული... როდის უნდა მომხდარიყო კავკასიურ ენებში მნიშვნელოვანი შინაგანი ცვლილება-დიფერენციაცია, ქართველური ენების მკაფიოდ გამოყოფა და განცალკევება? ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა ძნელია. ცვლილება უხსოვარ დროს უნდა მომხდარიყო, თითქმის ჯერ კიდევ იმ ხანამდე, სანამ ქართველური ტომების ტალღა ამიერკავკასიაში საბოლოოდ დამკვიდრდებოდა. ისევე როგორც ენის აღნაგობაში მომხდარმა ღრმა ცვლილებამ და სხვა ფაქტორებმა ქართულ-ქართველური გამოყო, ამავე მიზეზითა და გზით სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანურ ენოვანი ერთეულებიც ჩამოიხაკვთა.

ასეთია ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი.

ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა ნათესაობის კვლევის ისტორიაში განსაკუთრებით აღსანიშნავია დამსახურება არნ. ჩიქობავასი, რომელმაც კავკასიოლოგთა მთელი სკოლა შექმნა და ფუძემდებლური ნაშრომები შესძინა ამ დარგის განვითარებას.

არნ. ჩიქობავა:

„აუცილებელია საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი თვით იბერიულ-კავკასიურ ენათა უაღრესად რთული და მეტისმეტად მდიდარი სამყარო, კერძოდ, გაირკვეს ამ ენათა რთული ურთიერთობა. ეს არ არის ადვილი საქმე. ხშირად, როცა ამ ენებში მსგავს მოვლენებს ვხვდებით, ძნელი გადასაწყვეტია, საერთო მემკვიდრეობის დიფერენციაციად უნდა მივიჩნიოთ ისინი, თუ სხვადასხვა ენის დაახლოება-შერევის შედეგად დავსახოთ. და მაინც: რაც უფრო ახლოს ვეცნობით ამ ენათა ურთიერთობას, მით უფრო ცხადი ხდება, რომ სწორედ ეს საერთო,

მსგავსი მოვლენებია პირველადი მონაცემი, განსხვავებული მოვლენები, რომლებიც წარმოშობილია ამ ენათა ხანგრძლივი დამოუკიდებელი ისტორიული განვითარების პროცესში".

არიან მეცნიერები, რომლებიც არ იზიარებენ თეორიას მთის კავკასიურ ენებთან ქართული ენის გენეზისური კავშირის შესახებ.

კავკასიური ენების ერთობის შესახებ ეჭვი გამოთქვა ჯერ კიდევ ნ. ტრუბეცკოიმ. განსაკუთრებით უარყოფდა იგი ქართული ენის ჩრდილოეთ კავკასიის ენებთან ნათესაობის იდეას.

გ. დეეტერსი, ცნობილი ავსტრიელი ქართველოლოგი, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თითებზე ჩამოითვლება საერთო სიტყვები ქართულ (და, საერთოდ, ქართველურ ენებსა) და სხვა კავკასიურ ენებს შორის, მაგრამ ტიპოლოგიურად მათ შორის საერთო ბევრია. ამიტომ ეს ენები გენეზისურად კი არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, არამედ ისინი ქმნიან „ენობრივ კავშირს".

იმავე აზრს იზიარებს მისი მოწაფე, ცნობილი ლინგვისტი პროფ. კ. შმიდტი (თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი). ის ამბობს, რომ ქართულსა და მთის კავკასიურ ენებს შორის მსგავსებანი აიხსნება გეოგრაფიული მეზობლობით, — წარმოშობით კი ისინი ერთმანეთს არ უკავშირდებიანო.

ნორვეგიელ ქართველოლოგს პროფ. ჰანს ფოგტს (თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი) მიაჩნია, რომ საერთოკავკასიური ფუძეების აღდგენა უაღრესად პრობლემატური ამოცანაა. შედარებით-ისტორიული მეთოდი იბერიულ-კავკასიური ენების კვლევის დარგში არ მოგვცემს ამ შედეგებს, რომლებიც მან მოგვცა ინდოევროპული, სემიტური და უნგრო-ფინური ენების დარგში. ზოგიერთი მსგავსება, რომელიც კი არსებობს ქართულსა და მთის კავკასიურ ენათა შორის, შეორეულია და მომდინარეობს კავკასიელი ხალხების ათასწლოვანი თანამეზობლობის საფუძველზე წარმოქმნილი ენობრივი კონვერგენციიდან (დაახლოებიდან). ფოგტის სიტყვით, კავკასიური ენების ერთიანობის ჰიპოთეზა მეტად მიმზიდველია და არც დამაჯერებლობას >> მოკლებული, მაგრამ ამავე დროს ძნელი დასამტკიცებელია.

აკად. გ. წერეთლის სიტყვით, „ვიდრე... რეგულარული მიმართებანი არ იქნება დადგენილი, საკითხი ქართველურ ენათა გენეზისური ურთიერთობისა მთის კავკასიის ენებთან იქნება უფრო მეტად საგანი რწმენისა, ვიდრე ცოდნისა, და რაკიდ დიდი იყოს ეს რწმენა, იგი დებულებას ნათესაობის შესახებ მტკიცების ძალას ვერ შეჰმატებს". იგივე ავტორი ფიქრობს, რომ ამჟამად წინა პლანზე დგება ამოცანა კავკასიური და წინააზიური არეალური ლინგვისტიკის პრობლემის შესწავლისა შედარებით-ტოპოლოგიური თვალსაზრისით. კავკასია წარმოადგენს ენათა მიკროკოსმოსს და ერთმანეთის მონათე-

სავე ენათა გარდა აქ მრავალი სხვადასხვა სისტემის ენა (ინდოევროპული, თურქული, სემიტური) იყრის თავს. მათი სტრუქტურული მოდელის დადგენა, პირვანდელი არქეტიპების რეკონსტრუქცია და ურთიერთმიმართებების გარკვევა მნიშვნელოვანია არა მარტო თითოეული მათგანის შესწავლისათვის, არამედ ენათა განვითარებისა და ურთიერთობის ზოგადი საკითხების და უნივერსალიების პრობლემების კვლევისათვის.

ცნობილი ბულგარელი ლინგვისტი, აკად. ვ. გეორგიევი აღნიშნავს, რომ საბოლოოდ უნდა გაირკვეს ჩრდილოეთ კავკასიის ენებისა და ქართველური ენების ნათესაობა; საჭიროა საფუძვლიანად შევისწავლოთ წინააზიის ენები (ხეთური, ჰურიტული და სხვ.) იმის გათვალისწინებით, რომ ისინი შესაძლოა ენათესავებოდნენ კავკასიურ ენებს; ამ პრობლემას შეუძლია, ნათელი გახადოს ეგეოსურ-მცირეაზიისა და წინააზიის ენათა, ტომებისა და ხალხების გენეზისი.

ამრიგად, ერთი მხრივ, ამტკიცებენ ქართულ-კავკასიური ენების გენეზისურ კავშირს, და, მეორე მხრივ, ფიქრობენ, რომ მათ შორის მხოლოდ სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მსგავსებანია და არა წარმოშობითი ერთიანობა.

თუ პირველ ასპექტს ეძღვნება მონოგრაფიული გამოკვლევები, მეორე ასპექტი ჯერჯერობით არ გამხდარა ღრმა გამოკვლევის საგანი.

როგორც არ უნდა გავიგოთ „კავკასიური ენები“ — „ისტორიულ-გენეალოგიური ცნება“ თუ „გეოგრაფიული ცნება“ — უდავო ფაქტია და საყოველთაოდ აღიარებული, რომ ქართულ იბერიულ-კავკასიოლოგიურ სკოლას დიდი მიღწევები აქვს მოპოვებული ამ ენების მეცნიერული შესწავლის დარგში და ამითაც თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ენის ზოგად პრობლემათა კვლევაში.

ქართველურ ენებს გენეზისურად უკავშირებენ ბასკურ ენასაც.

ქართული ენის გენეზისურ დაკავშირებას ბასკურ ენასთან ყველაზე ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამიტომ საჭიროა უფრო ვრცლად შევჩერდეთ ხსენებულ ვარაუდზე, — ეს ვრცელი ექსკურსი იმითაც არის გამართლებული, რომ ბასკურ-ქართული ჰიპოთეზა ოც საუკუნეზე მეტი ხნით განიზომება და ძალზე მიმზიდველი და პოპულარულია როგორც ჩვენში, ისე განსაკუთრებით დასავლეთ ევროპულ მეცნიერებაში. დღეს ბასკოლოგია არაჩვეულებრივი ნაყოფიერებით ვითარდება ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. როგორც ევროპელ, ისე ამერიკელ ბასკოლოგებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ დამყარებული ქართველ ბასკოლოგებთან, რომელთა მიღწევები ბოლო ხანებში საყოველთაო ყურადღებას იმსახურებს. მათ მიერ მიღებული შედეგები ბასკური ენის სტრუქტურისა და ლექსიკის შესწავლის დარგში საპატიო ად-

გილს იჭერს ევროპასა და ამერიკის ბასკოლოგიურ პუბლიკაციებში. დავძენთ, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან კარგა ხანია არსებობს ბასკური ენისა და კულტურის საზოგადოება, რაც ჩვენში ამ დარგისადმი აღძრული ინტერესების მაუწყებელია, არ-ის არის უმნიშვნელო და შემთხვევითი, რომ თბილისში მზადდება ახალგაზრდა კადრები ბასკოლოგიაში (დღესდღეობით ათამდე ბასკოლოგს მოპოვებული აქვს სამეცნიერო ხარისხი, იკითხება საუნივერსიტეტო კურსები ბასკურ ენაში). ყოველივე აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნები, რომ ჭართველი ბასკოლოგები „Euscaro-Caucasica"-ს (ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული ტერმინია!) არ უყურებენ როგორც უცილობელ და გადაწყვეტილ პრობლემას, — ჰიპოთეზას გაღრმავებული კვლევა ესაჭიროება და, ამდენად, ნაადრევია როგორც აპრიორულ-პესიმისტური, ისე აპრიორულ-ოპტიმისტური პათოსის გამოვლინება, რაც საზიანოა მეცნიერებისათვის.

ამის შემდეგ გავეცნოთ საკითხის ისტორიას.

დიდი დავაა მეცნიერებაში ბასკების თავდაპირველი სამშობლოსა და მათი წარმოშობის შესახებ. მეცნიერთა ერთი წყება ფიქრობს, რომ ბასკები ადგილობრივი დასავლეთ პირენეების ენეოლითური ხანის მკვიდრთა შთამომავლები არიან, ზოგი ემხრობა მიგრაციის თეორიას და აღიარებს, რომ ბასკები კავკასიელები არიან, ზოგს კიდევ ბასკები ჩრდილოეთ აფრიკიდან მოსულ ხალხად მიაჩნია. იყვნენ ავტორები, რომლებიც ირწმუნებოდნენ — ბასკები წარმოშობით სამხრეთ ამერიკიდან არიანო, და სხვა. ასეთი აზრიც წარმოიშვა, რომ ბასკები ევროპის კონტინენტზე ლეგენდარული ატლანტიდან მოვიდნენ.

მართალია, ზოგიერთი მეცნიერი უარყოფს ბასკებისა და იბერების ნათესაობას (ბასკებს მიიჩნევენ მხოლოდ პირენეის იბერიის შემადგენლობაში შესულ განცალკევებით მდგომ ტომად), მაგრამ ბევრი მომხრე ჰყავს აზრს, რომ ბასკები სისხლხორცეულად იბერიული ეთნოსია და დღეს ისინი უნდა ვაღიაროთ ძველი იბერების ერთადერთ შთამომავლად.

პირველი წერილობითი ცნობა იმის თაობაზე, რომ იბერები ბინადრობენ დასავლეთში — პირენეის ნახევარკუნძულზე — ეკუთვნის ძველ ბერძენ ავტორს ჰეკატეოს მილეთელს, რომელიც ცხოვრობდა ჩვენს ერამდე VI ს-ში. ამავე ცნობას გვაწვდიან სხვა ავტორებიც. როგორც ირკვევა, იბერებს ეკავათ შემდეგდროინდელი ესპანეთის აღმოსავლეთისა და სამხრეთის პირვანდელი ტერიტორია, ხოლო შემდეგ იბერიელი ტომები გავრცელებულან პირენეის ნახევარკუნძულის მთელ არეზე. აქედან მივიღეთ მთელი ნახევარკუნძულის სახელწოდება — **იბერია.**

იბერიელები — ეს უძველესი ხალხი დასავლეთ ევროპაში — ანტიკურ ხანაშივე გადაშენდნენ.

III ს. (ახ. წ.) მომდევნო ხანიდან იბერიელთა ტერიტორიას ესპანეთი დაერქვა. რომაელებმა ფართო გავრცელება მოუპოვეს ტერმინს — „ჰისპანია“. მთლად ნათელი არ არის, მაგრამ, ეტყობა, ეს სახელწოდება ადგილობრივი წარმოშობისაა — იბერიული სამყაროს ერთ-ერთი ძველი ეთნიკური ტერმინია, შემდეგ რომ შინაარსი გაუფართოებია და მთელ მხარეს დარქმევია. ანალოგიისათვის გავიხსენოთ ტერმინები „გალია“, „ბრიტანია“ და მისთანანი, რომელთაც შემდევ მიუღიათ განზოგადებული მნიშვნელობა.

რა შეიძლება ითქვას ძველი იბერიის ეთნიკური შედგენილობის თაობაზე?

არსებობს შემდეგი შეხედულებანი: 1. იბერიის ნახევარკუნძული წარმოადგენდა ჭრელ ეთნიკურ კონგლომერატს — დასახლებული იყო ძირეულად სხვადასხვა მოდგმის ტომებით, მათ შორის იბერებით, რომლებიც ყველაზე ენერგიული და ექსპანსიისადმი მიდრეკილნი იყვნენ და ამიტომ ეწოდა მთელ მხარეს „იბერია“; 2. პირენეის ნახევარკუნძულზე თავდაპირველად ბინადრობდნენ ერთი მოდგმის ტომები — იბერიელი ტომები, რომელთაც შემდეგ და შემდეგ შეემატნენ სხვა წარმოშობის ეთნიკური ჯგუფები.

თანდათანობით დასავლეთის იბერიაში იჭრებიან სხვადასხვა მოდგმის ეთნიკური ჯგუფები. მათ შორის პირველი ადგილი კელტებს უკავიათ.

საგულვებელია, რომ კელტური ტალღები ნაწილ-ნაწილ აღწევდა იბერიაში. როგორც ფიქრობდნენ, უმთავრესად კელტები შეესივნენ იბერიას ან VI ს. (ძვ. წ.) ბოლოს და V ს. (ძვ. წ.) დასაწყისში, ანდა IV ს-ში.

ნახევარკუნძულის ამ სექტორში წარმოშობილ ახალ ეთნიკურ სახეობას ძველი ავტორები უწოდებენ კელტიბერებს, ხოლო მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიას — კელტიბერიას.

დასავლეთის (ევროპის) იბერიის გარდა მსოფლიო ისტორია იცნობს მეორე იბერიასაც: აღმოსავლეთის (კავკასიის) იბერიას და იბერიელებს — დღევანდელი ქართველების წინაპრებს. ანტიკურ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს ეწოდებოდა „იბერია“, ხოლო დასავლეთ საქართველოს „კოლხიდა“. ცნობები უძველესი ქართველი ტომების შესახებ უხვად არის მოცემული ანტიკური ხანის ავტორების — ძველი ბერძნებისა და რომაელების მიერ.

რა მიმართებაა დასავლეთისა და აღმოსავლეთის იბერიელებს შორის, არიან თუ არა ერთმანეთის მონათესავე ქართველი და პირენეელი იბერიელები, თუ აქ სახელწოდებათა უბრალო თანხვდენაა, — ეს კი-

თხვა აღეძრათ ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ბერძენ და რომაელ ავტორებს: მწერლებს, მეცნიერებს, სახელმწიფო მოღვაწეებს... შემდგომ საუკუნეებში ამავე საგანზე თავისი შეხედულებები აქვთ გამოთქმული ძველ სომეხ და ქართველ მოღვაწეებსაც. ეს საკითხი მთელი არსებითად დაისვა ახალ ევროპულ მეცნიერებაში.

ამრიგად, აზიისა და ევროპის იბერიელთა ისტორიული, ეთნიკური თუ ლინგვისტიკური დამოკიდებულების კვლევა საერთაშორისო მეცნიერულ პრობლემათა წყებას განეკუთვნება.

ძველი ბერძენი და რომაელი მოღვაწეები აღიარებდნენ, რომ აზიელ და ევროპელ იბერებს შორის უთუოდ არის ნათესაური დამოკიდებულება. ოღონდ სადავოდ იყო მიჩნეული საკითხი მათი თავდაპირველი ადგილსამყოფლის შესახებ. ზოგი ფიქრობდა, რომ იბერების პირვანდელი სამშობლო დასავლეთია — პირენეის ნახევარკუნძული, საიდანაც უხსოვარ დროს ერთი ტალღა ეთნიკური ჯგუფისა დაძრულა და კავკასიაში დასახლებულა. მეორენი ვარაუდობდნენ, რომ ევროპელი იბერები კავკასიიდან არიან მოსულნი. მიგრაციის მიზეზებიც არის დასახელებული. ზოგი იმასაც აღნიშნავდა, რომ ორ იბერიას შორის არავითარი ურთიერთობა არ არსებობს და სახელწოდებათა ერთიანობა სრულიად შემთხვევითიაო.

ზემოხსენებულ თვალსაზრისთა სხვადასხვაობა ჩამოყალიბებულია რომაელი ისტორიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის, ტომით ბერძენი, აპიანეს (II—I სს.) შემდგომს ფორმულირებაში („რომის ისტორია"):

„აზიელ იბერებს ერთნი ევროპელი იბერების წინაპრად თვლიან, მეორენი — მათ კოლონისტებად, მესამენი კი — მხოლოდ თანამოსახელე ხალხად, რამდენადაც ისინი არ ჰგვანან ერთმანეთს არც ჩვეულებებით და არც ენით".

აპიანე აქ მხოლოდ პასიური დამკვირვებელია და თავის პოზიციას ჩვენთვის საინტერესო საგანზე არ ამჟღავნებს.

ქრონოლოგიურად პირველი ცნობა იბერების აზიიდან მიგრაციის თაობაზე ეკუთვნის ძველ რომაელ მწერალსა და მეცნიერს, რომის საჯარო ბიბლიოთეკის დამაარსებელს ვარონს (II—I სს.). რომლის თხზულება. მართალია. არ შემონახულა, მაგრამ ცნობა დამოწმებულია რომაელი ნატურალისტის პლინიუსის (I ს. ახ. წელთაღრ.) თხზულებაში. ის რას ამბობს პლინიუსი:

„ვარონი ირწმუნება, რომ იბერები, სპარაველებიც, ფინიკიელებიც, ჩილტებიც და პუნიკებიც მთელ ესპანეთში განსახლდნენ".

ძველი ესპანელების (ევროპელი იბერების) აღმოსავლეთში გადასახლების მიზეზად ზოგიერთს მიაჩნდა ბაბილონელი მეფის ნაბუქოდონოსორის (ცხოვრობდა 604—561 წწ.) შემოსევები დასავლეთში:

მას თითქოს იბერიელთა ნაწილი ტყვედ ჩაუგდია და აზიაში გადაუსახლებია, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე. ნაბუქოდონოსორის თავდასხმების შესახებ პირველად ლაპარაკობდა ბერძენი მწერალი, გეოგრაფი და ისტორიკოსი მეგასთენე (IV—III სს.) თავის თხზულებაში, სადაც აღწერილია მოგზაურობა ინდოეთში. ამ თხზულების მხოლოდ ნაწყვეტებია შემონახული და შესულია გვიანდელი ავტორების თხზულებებში.

მეგასთენეს ცნობას გადმოგვცემს სტრაბონი. იმავე ავტორს ეყრდნობა ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლაბიოსი (I ს. ახ. წ.).

ასეთივე ცნობა აქვს დაცული ევსევი კესარიელს — „საეკლესიო ისტორიის მამას“. (III—IV სს.);

„ნაბუქოდონოსორმა, რომელიც ჰერაკლეზე უფრო ძლიერი იყო, მის შემდეგ, რაც საომარი ჯარი შეკრიბა, მიაღწია ლიბიელთა ქვეყანაში და იბერთა ქვეყანაში, აჯობა მათ, გააცამტვერა და დაიმორჩილა; ერთი ნაწილი გადააადგილა მან პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე, აქ დასახლდა“. „აგრეთვე მეგასთენე ამბობს თავის „ინდოეთის“ მეოთხე წიგნში, რომელშიც მოგვითხრობს ამის წინ მოხსენიებული ბაბილონელთა მეფის შესახებ, რომ ის სიმამაცით და საგმირო საქმეებით ჰერაკლეს აღემატებოდა, იმდენად აღემატებოდა, რომ ლიბიის და იბერიის მეტი წილი, — ამბობს იგი, — დაიპყრო“.

XIII—XIV სს. (ახ. წელთაღრ.) ისტორიკოსს, ნიკიფორე ქსანთოპულოსს, რომელსაც ეკუთვნის 18 წიგნისაგან შემდგარი „საეკლესიო ისტორია“, მიაჩნდა, რომ საქართველოს იბერები „ისპანიის იბერთაგან არიან გადმოსახლებული“.

გავეცნოთ იმ ავტორებს, რომლებიც მსჯელობენ იბერიელთა ნათესაობაზე, მაგრამ არ ასახელებენ მიგრაციის მიზეზებს.

დიონისე პერიეგეტი, I—II სს. გეოგრაფი, აღნიშნავდა:

კასპიის ზღვასა და შავ ზღვას შორის „ცხოვრობს აღმოსავლელი ხალხი იბერები, რომლებიც ოდესღაც მოვიდნენ პირენეებიდან აღმოსავლეთში და სასტიკი ომი აუტეხეს ჰირკანებს“.

VII ს. ბიზანტიელი ავტორი მაქსიმე აღმსარებელი ვარაუდობდა, რომ დასავლეთ ევროპის იბერები კავკასიიდან არიან მოსული.

გავიხსენოთ რომაელი პრისციანის (V—VI სს.) სიტყვები: „...საკუთრივ Hiberes-ად იწოდება ტომი, გამოსული იბერიიდან, რომლებიც არმენიის გადაღმა ცხოვრობენ...“

საინტერესოა აგრეთვე ევსტათის (XII ს. ახ. წ.) მიერ მოწოდებული ცნობები.

დიონისე პერიეგეტის კომენტარებში ევსტათი ერთგან ამბობს, აღმოსავლეთი იბერია დასავლეთის იბერების კოლონიააო.

სოკრატე სქოლასტიკოსი (IV—V სს.), რომელიც ზემოთაც დავიმოწმეთ, თავის საეკლესიო ისტორიაში“ გვაუწყებს:

„დროა ვთქვათ იმის შესახებაც, თუ როგორ გაქრისტიანდნენ იმავე ხანებში იბერებიც. ერთი, თავისი ცხოვრებით სათნო და უმანკო ქალი, რაღაც ღვთის განგებით, იბერთა მიერ იქნა დატყვევებული. ეს იბერები ცხოვრობენ ევქსინის პონტოსთან, ხოლო იმ იბერთაგან არიან გამოსულები, რომლებიც ისპანიაში არიან“.

როგორც ცნობილია, ჩვენამდის მოღწეულია X ს. შუა ხანებში შედგენილი დიდად მნიშვნელოვანი განმარტებით-ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონი, რომელიც სვიდას სახელით არის მონათლული. გარდა იმდროინდელი გაუგებარი სიტყვებისა, ლექსიკონში მოიპოვება სტატიები ამა თუ იმ ძველ მოღვაწეებზე და გეოგრაფიულ პუნქტებზე. სვიდას ლექსიკონში არის ასეთი ადგილი:

„ი ბ ე რ ე ბ ი — ტომის სახელია და ი ბ ე რ ი ა — ქვეყანაა. არის აგრეთვე სხვა იბერიაც, დასავლეთისა, რომელსაც ისპანიაც ეწოდება, კონსტანტინე დიდის დროს მოინათლნენ შინაგანი ინდები, იბერები და არმენიელები“.

დაბოლოს, ძველ საბერძნეთსა და რომში მოიპოვებოდნენ ისეთი ავტორებიც, რომლებიც ვერავითარ ნათესაობას ვერ ხედავდნენ დასავლელ და აღმოსავლელ იბერიელებს შორის. ამ მხრივ საგულისხმოა სტრაბონის გულუბრყვილო მოსაზრება, ჰიპოთეტურად გამოთქმული. გამოჩენილი გეოგრაფი გადმოგვცემს, რომ იმ ადგილებში, სადაც ქართველები ცხოვრობენ (ე. ი. კავკასიის იბერები), ჩანჩქერებს ოქრო მოჰყვება; ჩამოზიდულ ოქროს აგროვებენ გობებითა და ბანჯგვლიანი ტყავებით (აქედან მომდინარეობს მითი ოქროს ვერძის შესახებ). ხოლო, რაკი დასავლეთის იბერიაშიც მოიპოვება ოქროს ქვიშნარი, სახელწოდებათა იდენტობის სათავეც ეს არისო.

ამით შეიძლება დავამთავროთ ძველი ბერძნული და რომაული წყაროების მიმოხილვა ჩვენთვის საინტერესო საგანზე. როგორც გამოირკვა, ორი იბერიის ურთიერთ მიმართების თაობაზე მრავალ ბერძენ და რომაელ ავტორს გამოუთქვამს მოსაზრებები.

აი, ეს ავტორებიც: აპოლოდორი, ვარონი, პლინიუსი, სტრაბონი, აპიანე, ევსევი კესარიელი, აბიდენი, მეგასთენე, მაქსიმე აღმსარებელი, ნიკიფორე ქსანთოპულოსი, არისტიანე, ევსტათი, დიონისე პერიეგეტი, სოკრატე სქოლასტიკოსი, სვიდა, ატალიატე, ცეცე და სხვ. არსებობს ძველი სომხური წყაროებიც.

იბადება კითხვა: იცოდნენ თუ არა ძველ საქართველოში, რომ არსებობს მეორე იბერია დასავლეთში?

ქართული წყაროები ეჭვმიუტანლად მიგვანიშნებენ იმ გარემოებაზე, რომ დასავლეთის იბერიელების არსებობა ჩვენს წინაპრებს კარგად სცოდნიათ.

VIII—IX სს-ზე უწინარესი ცნობები, ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით, ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის, მაგრამ ამ ხანიდან რომ ქართულ ენაზე არსებულ წერილობით ძეგლებში ლაპარაკია ესპანეთის იბერიის შესახებ, ეს კი უეჭველია.

გავეცნოთ ქართულ წყაროებს.

პირველი ცნობა დასავლეთის იბერიის შესახებ მოიპოვება ბასილი კესარიელის (329—379) თხზულების (Xexamerenon) უძველეს ქართულ თარგმანში. იგი თარგმნილია VIII—IX სს-ში არაბული ენიდან.

ბერძენი ავტორის — ბასილი კესარიელის (ანუ ბასილი დიდის) თხზულება ადრეული შუა საუკუნეებიდანვე მთელ მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. აქ ვრცლად არის კომენტირებული ბიბლიის ის ადგილი, რომელიც ეხება ქვეყნის შექმნას, მკვდარი და ცოცხალი ბუნების წარმოშობასა და ადამიანს. ძეგლი გვამცნობს ამასთანავე მაშინდელი მეცნიერების მონაცემებს. Xexamerenon-ის სახით საქმე გვაქვს არა ვიწრო საეკლესიო ძეგლთან, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საეროსთან, რომელიც წარმოადგენს სამეცნიერო სახელმძღვანელოს და, როგორც ასეთი, ის უმეტესწილ ქმნიდა საერთო-საგანმანათლებლო საშუალებას, აფართოებდა თვალთახედვას და აკმაყოფილებდა ბუნებრივ სწრაფვას — წარმოდგენა ჰქონოდა კაცს გარემოზე. ბასილის კომენტარები მოიცავს ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო საკითხებს, რამაც განაპირობა თხზულების ფართო გავრცელება ქრისტიან ხალხთა მწერლობაში.

ბასილი კესარიელის თხზულება ქართულად სხვადასხვა დროს რამდენჯერმე უთარგმნიათ. XI ს. 50-იან წლებში გიორგი მთაწმიდლის მიერ შესრულებული თარგმანის ანდერძში აღნიშნულია, რომ წინა საუკუნეებში არსებობდა სხვა თარგმანებიც ბასილის თხზულებისა. VIII—IX სს. თარგმანი დიდი ხანი არ არის, რაც აღმოჩნდა ორი ნუსხის სახით იერუსალიმის ქართული ხელნაწერების კოლექციაში.

ეხება ბასილი კესარიელის თხზულება აგრეთვე ადრინდელ ქართულ თარგმანში. იმ ადგილას, სადაც განმარტებულია ბიბლიური კოსმოგონია, ნათქვამია: თავდაპირველად ზღვა არ არსებობდა, ზღვა, რომელიც დღეს ღადირის მთის ირგვლივაა: არც ის შემაძრწუნებელი უფსკრული იყო, რომელსაც მეზღვაურები უფრთხიან ხოლმე, რომელიც ეკვრის ბრიტანეთის კუნძულსა და დასავლეთის ქართველებს, არამედ შემდგომ წარმოიშვა და განივრცო.

საკითხავია: ჩვენთვის საინტერესო ადგილი ტექსტისა როგორაა გადმოცემული მერმინდელ, XI ს. (გიორგი მთაწმიდლისეულ) თარგმანში?

აქაც ბერძნული იბერიის ეკვივალენტია „ქართველნი დასავლეთისანი“ (ე. ი. დასავლეთის ქართველები).

ყურადღებას მივაპყრობ იმ გარემოებას, რომ ბერძნულ დედანში გვაქვს „დასავლეთის იბერია“, ლათინურ თარგმანში კი ახეთი შენაცვლებაა: „...occidentalis Hispános ambit“, „დასავლეთის იბერია“ შეცვლილია ერთი ტერმინით „ესპანეთი“.

ასეთი „გააზრება“ სხვა შემთხვევაშიც გვხვდება.

ძველი ქართველი მთარგმნელების მიერ ესპანეთის იბერიის აღსანიშნავად შემოთავაზებული ტერმინი — „ქართველნი დასავლეთისანი“ იმის მჭევრმეტყველური მოწმობაა, რომ ისინი ამ ფორმულით აღიარებენ აღმოსავლეთის იბერებისა და დასავლეთის იბერების ერთიანობა-ნათესაობას!

ამრიგად, ბერძენი ავტორის თხზულების ქართული თარგმანის ვერსიებში აშკარად გამოსჭვივის VIII—XI სს. დროინდელ საქართველოში შემუშავებული მრწამსი აღმოსავლეთისა და კავკასიის იბერიელების იდენტიფიკაციის შესახებ.

ეჭვგარეშეა, ევროპის იბერების მონათვლა „დასავლეთის ქართველებად“ იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის უკუფენაა, იმდროინდელი ეროვნული შეგნების თავისებური ანარეკლია.

ისიც უნდა დავძინოთ, რომ შუა საუკუნეებში გავრცელებული შეხედულება და თვალსაზრისი ქართველთა ეთნოგენეზის თაობაზე უთუოდ ინერციაა უფრო ადრინდელი ეპოქების მსოფლმხედველობისა, ასე გაბედულად და დაუფარავად რომ არის გამომჟღავნებული სხვა მხრივ პედანტური სიზუსტით შესრულებულ ქართულ თარგმანებშიც.

პირენეის ნახევარკუნძულის იბერიელები მოხსენიებულია არიან ტერმინით — „ქართველნი დასავლეთისანი“, „Liber Generation“-ის ქართულ ვერსიაშიც.

როგორც ცნობილია, პირენეის ნახევარკუნძულზე კელტების დიდი ტალღის შეჭრის შედეგად მოხდა ეთნიკური შერევა და შეიქმნა იბერიელთა ტომი კელტიბერები. ეს კელტიბერები და იბერებიაფეტის შთამომავალთა შორის არიან მოხსენიებული.

„Liber Generation“-ში მოხსენიებულ კელტიბერებს ექვთიმე მთაწმიდელი ქართულად ასე თარგმნის: „დასავლეთის კელტქართველნი“.

ესეც ფრიად საგულისხმო მინიშნებაა იმაზე, თუ როგორ ესმოდათ ძველ საქართველოში ორი იბერიის მკვიდრთა მიმართება.

ძველ საქართველოში წარჩინებულ მოღვაწეებს გასჩენიათ იდეა — მოეწყოთ ექსპედიცია და გამგზავრებულიყვნენ ესპანეთში, რათა გას-

ცნობობდნენ „დასავლეთის ქართველების“ ცხოვრებას, ე. ი. ბასკებს. პირველი უტყუარი ცნობა ამ საკითხის შესახებ დაცულია XI ს. გამოჩენილი მწერლისა და მოღვაწის გიორგი მთაწმიდლის (დაიბ. 1009 წელს) თხზულებაში სათაურით „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“, რომელიც დაწერილია 1042—1044 წლებში.

გიორგი მთაწმიდელს ერთი უპირველესი ადგილთაგანი უჭირავს XI ს. ქართულ ლიტერატურულ მოღვაწეთა შორის. ის იყო ივერიის მონასტრის წინამძღვარი, მის კალამს ეკუთვნის მრავალი ლიტერატურული ძეგლი, უმთავრესად ბერძნული ენიდან ნათარგმნი ან რედაქტირებული. იგი გამოჩენილი ისტორიკოსიც იყო. გიორგი მთაწმიდლის ზემოხსენებული ორიგინალური თხზულება მოგვითხრობს ათონის ქართველთა მონასტრის დაარსებისა და შინაგანი წყობილების ამბებს და უაღრესად საინტერესო ცნობებს შეიცავს არა მარტო საქართველოს ისტორიის შესახებ, არამედ საბერძნეთის შესახებაც, როგორც ეს თავის დროზე ამერიკელმა ქართველოლოგმა, ნ. მარის მოწაფემ, პროფ. რ. ბლაიკმა აღნიშნა.

ათონის ივერიის მონასტერი დაარსებულა 980—983 წლებში. ეს შესანიშნავი სავანე ქართული მწიგნობრობისა იმთავითვე მატარებელი იყო ეროვნული იდეისა საბერძნეთში და მალე გადაიქცა წყაროდ, საიდანაც საქართველოში მოდიოდა მოწინავე კულტურის ნაკადი. აქ თავმოყრილი იყვნენ ქართველთა საუკეთესო კულტურული ძალები. რომელთაც მიზნად დაისახეს გაეცნოთ თანამემამულეთათვის დასავლეთის ლიტერატურული სიმდიდრე და მემკვიდრეობა. აქ ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. აქ, ათონზე შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და კალიგრაფიული სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს ისტორიაში.

გიორგი მთაწმიდლის ნაწარმოებში საინტერესოა იოვანე მთაწმიდელ-ათონელის (მამა ექვთიმე მთაწმიდლისა) ცხოვრების ერთი ეპიზოდი:

თორნიკეს გარდაცვალების შემდეგ ნეტარმა მამა იოანემ განიზრახა, თან წაეყვანა თავისი ძე და რამდენიმე მოწაფე და გაქცეულიყო სპანიაში (ესპანეთში): მას თავიდანვე უმძიმდა შუღლისა და შფოთის ატანა, მაგრამ დროებით ყოველივეს ითმენდა, რომ აეშენებინა თორნიკესთვის საძვალე (აკლდამა) და დაეხსნა მისი სული. იოანეს გაგონილი ჰქონდა, რომ ქართველები, — არამცირედი ქართველი ტომები და ხალხები, — ცხოვრობენ სპანიაში და ამიტომ იგი გაემართა აბიდოსში, რათა ეპოვა სპანიაში (ესპანეთში) მიმავალი ხომალდი და გამგზავრებულიყო იქ, რადგანაც, ვინც იმ დროს აბიდოსში მთავრობდა, მამა

იოანეს ფრიად საყვარელი პიროვნება იყო, მან გაუმჟღავნა თავისი განზრახვა მეგობარს, ეს უკანასკნელი კი წინ აღუდგა და, რამდენადაც შეეძლო, არ უშვებდა. ხოლო როდესაც დაინახა, რომ მამა იოანე მტკიცედ იცავდა მიღებულ გადაწყვეტილებას, შემდეგი სიტყვებით გამოუცხადა მას თავისი ნება: „წმინდა მამავ, შენთვის ცნობილია, რა დიდად აფასებენ მეფეები შენს პირად ღირსებას: თუ გაგიშვებ, დიდი ბოროტება დამატყდება თავს. ამიტომ მივწერ მეფეებს და, როგორც ისინი ბრძანებენ, შენც ისე მოიქეცი“. მან მისწერა მეფეებს და მათ უბრძანეს — იოანე და მისი თანამგზავრები სატახტო ქალაქში გაეგზავნათ. როდესაც ჩავიდნენ (სატახტო ქალაქში), მეფეები დიდი პატივით მიესალმნენ მათ და დიდი სინანულით უთხრეს: „წმინდა მამებო, ჩვენ ფრიად ვაფასებთ თქვენს სიწმინდეს და რა მიზეზია, რომ გაგვირბით და უცხო ქვეყანაში მიემგზავრებით?“ ნეტარმა იოანემ მოახსენა: „ღვთის მსახურო და თვითმპყრობელო მეფეებო! მე ამ სოფლად მყოფი ერთი გლახაკი გახლდით, ყოველგვარი ცოდვის მტვირთველი. მსურდა სამშობლოში გამგზავრება, რათა სიღარიბეში მეცხოვრა და მეხსნა ჩემი სული. არ ვიცი, როგორ მოხდა, რომ ჩემში განმარტოების ადგილი შეიტყო და მოვიდა ჩემი ნათესავი თორნიკე. ამის გამო ატყდა შუღლი და მე შემოვიკრიბე ხალხი. ამიტომ მსურს გავთავისუფლდე ამ უსიამოვნებათაგან, რათა ვიზრუნო საკუთარ სულზე“. დიდხანს დიდი პატივით თავისთან გააჩერეს მეფეებმა იოანე და დიდი რუდუნებით ძლივს დაარწმუნეს, ისევ მონასტერში დაბრუნებულიყო. მეფეებმა იოანე უხვი საბოძვარით გამოისტუმრეს.

როგორც ტექსტიდან ჩანს, იოვანე ქ. აბიდოსში ჩასულა. მეფეებს ურჩევიათ, უკან დაბრუნებულიყო. ამრიგად, იოანე ათონელის ექსპედიციამ, რომელიც მოწოდებული იყო ესპანეთში ჩასულიყო და „იქაური ქართველნი“ (ე. ი. ბასკები) მოენახულებინა, მარცხი განიცადა... (XI ს. ავტორის ტექსტი დაიბეჭდა თბილისში 1946 წელს ი. ჯავახიშვილის პუბლიკაციით). ეს ფაქტი მოხდა X ს. ბოლო წლებში.

ბერძნულიდან ნათარგმნი უკანასკნელი თხზულება, რომელშიც ბასკები, „ესპანეთის ქართველები“ მოიხსენებიან, არის „ამბროსი მედიოლანელის ცხოვრება“, სადაც ნათქვამია: „მყის მიიყვანა იგი საქართველოდთ, რომელსა იგი სპანიადცა უწოდებენ“ (თარგმანი შესრულებულია XI ს. გასულამდე თეოფილესა და ეფრემ მცირის მიერ).

აქ ჩვენთვის საყურადღებოა საქართველო-ესპანეთის იდენტიფიკაცია.

ამ დროიდან მოყოლებული — ვიდრე XVIII ს-მდე — ქართულ წყაროებში „ესპანეთის ქართველები“ აღარ იხსენიებიან.

მართალია, ქართულ წყაროებში XI ს. ბოლოდან მოყოლებული XVIII ს. შუა წლებამდე ქართველთა და ესპანელთა ნათესაობის შესა-

ხებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ ქართველ საზოგადოებაში არ შეიძლებოდა მიმწყდარიყო ამ საგანზე ფიქრი; ძნელი დასაჯერებელია, რომ ხალხში მთლად განელებულიყო და დავიწყებულიყო ინტერესი ამ პრობლემისადმი, რომელიც ასე მკვეთრად და ამაღელვებლად ისმებოდა წინა საუკუნეებში. ტრადიციული საზოგადოებრივი აზრის უწყვეტობაზე სრულიად გარკვეულად მიგვანიშნებს XVII ს. ცნობილი ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის ჩანაწერები, რასაც საკითხის ისტორიისათვის უთუოდ აქვს მნიშვნელობა.

შარდენი თბილისში ჩამოვიდა 1672 წლის სექტემბერში და გაემგზავრა 1673 წლის 28 თებერვალს. მან მოიარა როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი საქართველო, ვრცლად აღწერა საკუთარი თვალით ნანახი უამრავი ფაქტი თუ მოვლენა. პირადი შთაბეჭდილებები შეავსო ხაქართველოს წარსულის შესახებ ცნობებით, რომლებიც ამოკრიბა ბერძენ, რომაელ და ირანელ ისტორიკოსთა თხზულებებიდან, წინამორბედ ევროპელ მოგზაურთა და მისიონერთა ჩანაწერებიდან.

შარდენი თავის ნარკვევში საგულისხმო ამბავს მოგვითხრობს. იგი მიიწვიეს ნადიმზე ქართველ მეფესთან. „გამომშვიდობებისას მან მკითხა, — ამბობს შარდენი, — როგორ ბრძანდებაო ჩემი ნათესავი, ესპანეთის მეფე, და ძვირფასი ქვებით მორთული თასით შესვა მისი სადღეგრძელო... დიდხანს ვიფიქრე იმის შესახებ, თუ რანაირად უნდა ყოფილიყო მეფე ესპანეთის მეფის ნათესავი, და მიეხვდი. რომ ეს მრავალი ავტორის აზრს ეთანხმებოდა. ესპანელები წარმოშობით იბერიელები არიან. კაპუცინებს ვკითხე, — განაგრძობს შარდენი, — როგორ ესმის-მეთქი ეს ნათესაობა მთავარს".

შევნიშნავ, რომ შარდენს საქართველოში ჩამოსვლამდეც სცოდნია ესპანელებისა და ქართველების ნათესაობის შესახებ („...ეს მოვალი ავტორის აზრს ეთანხმებოდა. ესპანელები წარმოშობით იბერიელები არიან").

ვრცლად არის ლაპარაკი ქართველთა და ესპანეთის იბერიელთა ნათესაობაზე XVIII ს. ცნობილი ქართველი მოღვაწისა და მწერლის ტიმოთე გაბაშვილის ხამოგზაურო ჟანრის თხზულებაში (გამოცემულია ე. მეტრეველის მიერ 1956 წ.).

ტიმოთე გაბაშვილმა მოიარა ბევრი ქვეყანა და საშუალება ჰქონდა გასცნობოდა იმდროინდელ განათლებულ ადამიანებს. იგი ესაუბრებოდა კონსტანტინეპოლისა და იერუსალიმის პატრიარქებს, მთავარეპისკოპოსებსა და ეპისკოპოსებს, ფილოსოფოსებსა და მწიგნობრებს. ტიმოთეს, როგორც ფრიად განსწავლულსა და საინტერესო პიროვნებას, ყველგან პატივითა და ყურადღებით იღებდნენ.

ტიმოთე გაბაშვილი ათონის მთაზე მოგზაურობის დროს გაეცნო XVIII ს. ერთ-ერთ უძლიერეს სასწავლო-სამეცნიერო კერას — ათო-

ნის აკადემიას და დაგვიტოვა უაღრესად საინტერესო წერილობითი ცნობები როგორც აკადემიის სტრუქტურისა და სასწავლო გეგმების, ასევე აკადემიის რექტორის — ევგენი ბულგარისის შესახებ. ევგენი ბულგარისი თავისი დროის მოწინავე ადამიანი იყო. მის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული ათონის აკადემიისა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქო სკოლის აღორძინება.

ვათოპედის (ათონის) აკადემიის შესახებ არსებულ ცნობათა სიმცირის გამო ტიმოთეს, როგორც თვითმხილველის ცნობებს პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება. ტიმოთე გაბაშვილის ცნობები განსაკუთრებით ღირებულია იმის გამო, რომ ისინი მომდინარეობენ არა უბრალო ცნობისმოყვარე მოგზაურისაგან, არამედ ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიაში განსწავლული ადამიანისაგან, რომელიც არა მარტო უყურებს და ისმენს, არამედ სწავლობს, იძიებს და აფასებს ნანახსა და გაგონილს.

საგულისხმოა, რომ გაბაშვილი (ისევე, როგორც ანტონ პირველი) ცდილობდა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის გამოცდილების გამოყენებას თავის სასწავლო საქმიანობაში. ევროპული განათლების ახალი ძიღწევების დანერგვაზე ათონის აკადემიაში ფიქრობდა ევგენი ბულგარისიც. ეს გარემოება კი საინტერესოს ხდიდა ტიმოთესათვის ევგენი სხოლარის სასწავლო საქმიანობას. ევგენი ბულგარისი ავტორია ორგვი საღვთისმეტყველო, დოგმატიკურ-პოლემიკური ხასიათის თხზულებებისა (საფიქრებელია, რომ ფრიდრიხ დიდის რჩევით ეკატერინე მეორემ იგი რუსეთში მიიწვია, როგორც დიდი მეცნიერი).

ევგენი ბულგარისთან საუბრებში გაბაშვილმა აღძრა საკითხი ქართველთა და ესპანეთის უძველეს მკვიდრთა ნათესაობის თაობაზე.

ტიმოთეს თხზულებაში მოცემული ცნობები მრავალმხრივ საყურადღებოა.

1. გაბაშვილს, XVIII ს. მოღვაწეს, კარგად სცოდნია წინა საუკუნეებში გავრცელებული აზრი ქართველთა და ესპანელთა ნათესაობის შესახებ.

ამრიგად, საქართველოში ჯერ კიდევ არ არის გამქრალი და მისუსტებული ძველი საუკუნეების გამოძახილი ევროპელი და აზიელი იბერების ურთიერთობის თაობაზე.

2. გაბაშვილის მიხედვით, ქართველი და შპანიელი (ესპანელი) სინონიმებია.

ასეთი შენაცვლება ეთნონიმებისა უთუოდ იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის ანარეკლია. ასე, მაგალითად, იმავე საუკუნის დიდი ქართველი მეცნიერი და მოღვაწე ანტონ პირველიც (ბაგრატიონი) „ივერიის“ ნაცვლად ხმარობს „სპანიას“.

საქართველო-ესპანეთის ისტორიულ იდენტიფიკაციას, როგორც ვიცით, ტრადიცია უჭერდა მხარს, გავიხსენოთ, მაგალითად, ათონზე შესრულებულ ძველ თარგმანებში „ესპანეთის“ მაგივრად „იბერიის“ ხმარება და საქართველოს მაგივრად — „სპანიისა“.

3. ათონის აკადემიის რექტორი ევგენი ბულგარისი ადასტურებს ქართველთა და ესპანელთა ნათესაობას.

4. ევგენი ბულგარისი აყენებდა მიგრაციის საკითხს: ქართველები გადასახლებულან ესპანეთში, ხოლო შემდგომ, „კვალად განმრავლდა რა შპანია, წარვიდენ შპანიელნი ქართლად“. ამ მოძრაობის შედეგად ქართველებს და შპანიელებს ერთნაირი სახელი ეწოდება.

5. ევგენი ბულგარისის მიერ განსაზღვრულია, თუ როდის მოხდა შპანიელთა მოსვლა საქართველოში და ქართველთა წასვლა შპანიას. ზოგადად არის თქმული: „ოჯრობასა ქართლისასა მეფე და ერნი ქართველნი მოსრულან... და კვალად... წარვიდნენ შპანიელნი ქართლად პირველ ქრისტეს მოსლვისა“.

6. ქართველთა და ესპანელთა ნათესაობის შესახებ ევგენი ბულგარისს ცნობები ამოუკრეფია ძველი წერილობითი წყაროებიდან.

ამით შეიძლება დავასრულოთ საუბარი ძველ ქართულ წყაროებში არსებული ჩვენთვის საინტერესო ცნობების თაობაზე.

წამოყენებულია ჰიპოთეზები ძველ იბერიელთა მიგრაციის პრობლემასთან დაკავშირებით.

ნ. მარს იბერები და ბასკები პირველხანად ძმურ იაფეტურ ტომებად მიაჩნდა. იბერების მიგრაცია დასავლეთის მიმართულებით ორი გზითაა ნავარაუდევი: ერთი — ზღვაზე, სამხრეთით, მცირე აზიისა და ხმელთაშუა ზღვის კუნძულების მიმართულებით, მეორე — ჩრდილოეთით, მატერიკზე, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე და ევროპის სამხრეთით. ნ. მარის ერთ-ერთ ნაშრომში ნაჩვენებია ბასკების მიგრაციის ასეთი გზა: ვანის რაიონი — მტკვრისა და რიონის ჯუზი — შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო — სოხუმთან შორდებიან კავკასიას, რომ ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდნენ პირენეის ნახევარკუნძულზე ისევ იმ ივერებთან მეზობლობაში, რომლებიც ადრე გადასახლდნენ და რომლებთანაც მეზობლობდნენ ჯერ მცირე აზიაში და შემდგომ კავკასიაში. მართალია, არ არის ნათელი იბერების (ივერების) მარშრუტი — საზღვაო (სამხრეთით) თუ სახმელეთო (ჩრდილოეთით), მაგრამ ზოგიერთი ყოფითი ელემენტისა და მატერიალური კულტურის პროტოისტორიული ძეგლის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ პირენეის იბერიელები დაკავშირებულნი იყვნენ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთის კუნძულებთან, სადაც შეიძლებოდა დროებით შეესვენებინათ მცირე აზიიდან ზღვით წამოსულ იბერებს. ისინი უთუოდ იყვნენ კიპრსა და სიცილიაში (გეოგრაფი ეფორი ამტკიცებდა, რომ იბერებ-

სიცილიის პირველი ბინადარნი არიან). სიცილია, — თუ დავუშვებთ ზღვით გამგზავრებას, — შეიძლებოდა ყოფილიყო უკანასკნელი ეტაპი იბერთა მოძრაობისა ესპანეთის მიმართულებით. ასეთია ნ. მარის აზრთა მსვლელობა.

1920 წელს ნ. მარი შემდეგს ჰიპოთეზას გვთავაზობდა:

როდესაც ვლაპარაკობთ ქართველურ-კავკასიური მოდგმის ხალხების მიერ დასავლეთის კულტურაში შეტანილ წვლილზე მეტალურგიის დარგში, უნდა ვიცოდეთ, რომ ისინი დახელოვნებული იყვნენ ლითონის დამზადების ტექნოლოგიურ პროცესებში, და ეს ცოდნა გამომდინარეობდა მათი ეთნო-კულტურული ცხოვრების ხასიათიდან. დროთა ვითარებაში შეიქმნა ახალი წიაღისეული მადნების მოპოვების მოთხოვნილება, რაც აიძულებდა კავკასიელებს აყრილიყვნენ და დასდგომოდნენ შორეულ გზას გარკვეული მიმართულებით. ეს „ხალხი-მეტალურგი“, ეჭვგარეშეა, საჭიროებდა ლითონს, უწინარეს ყოვლისა, თავისი ტომობრივი მეურნეობის (მეტალურგიის) სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის, განსაკუთრებით მიწათმოქმედებისათვის, და მშობლიურ ქვეყანაში მადნეულობის გამოლევის, ანდა ამ მადნეულის ტექნიკური თვისებების უვარგისობის გამო მიეშურებოდნენ დასავლეთის მიმართულებით ახალი მადნეულის მოსაპოვებლად, ისე, როგორც მწყემსების მომთაბარე ტომები მიეშურებიან ახალი საძოვრებისაკენ. ეს იყო არა ხალხთა დიდი გადასახლების, არამედ ქართველურ-კავკასიური ტომების გაბნევის, ცალ-ცალკე დასახლების ეპოქა. კავკასიელები მიდიოდნენ, ცალ-ცალკე სახლდებოდნენ და საბოლოოდ ეფუძნებოდნენ იქ, სადაც პოულობდნენ საჭირო ლითონების მადნებს იმ რთული სამეურნეო ცხოვრების გასაუმჯობესებლად, რომელიც დაკავშირებული იყო მატერიალური კულტურის პირველსაწყისთან და წყაროსთან — მეტალურგიასთან, — მეტალურგიამ კი იმთავითვე განსაზღვრა მათი საზოგადოებრივი მრწამსი, მათი რელიგია, მათი ფსიქოლოგია... პირენეის ნახევარკუნძული (დღევანდელი ბასკონია) კი უხსოვარი დროიდან ცნობილი იყო მთელ მსოფლიოში, როგორც უმდიდრესი მეტალურგიული საბადოების ქვეყანა.

ამრიგად, ნ. მარი ვარაუდობდა, რომ ქართველურ-კავკასიური მოდგმის რამდენიმე ჯგუფმა შეაღწია დასავლეთში, პირენეის ნახევარკუნძულზე, უმთავრესად ლითონის მოპოვებისა და დამზადების საჭიროებისათვის. ამასთანავე, მათ ახალ ტერიტორიაზე მიიტანეს მეტალურგიული კულტურა, რომელიც მდიდარი ტრადიციების მშობლიურ კავკასიაში იყო შემუშავებული.

რამდენიმე ათეული წლის წინათ გამოთქმულ ამ ჰიპოთეზას ეჭვმიუტანლად ეხმაურება დღევანდელი არქეოლოგიის მონაპოვარი; 1965 წელს ესპანელმა არქეოლოგმა ფუსტემ გათხარა 5000 წლის წი-

ნანდელი სპილენძის საბადო, სადაც აღმოჩნდა ზვავის შედეგად დაღუპულ ადამიანთა ჩონჩხები. რიგიანად არის შენახული ორმოცამდე თავის ქალა. ფუსტეს დასკვნით, ისინი განეკუთვნებიან ე. წ. კავკასიური რასის გვიანდელ ვარიანტს. ამ აღმოჩენების საფუძველზე არქეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი მალუკარ დე მოტი აღნიშნავდა, რომ ენეოლითურ ხანაში ესპანეთი „იზიდავდა კავკასიური წარმოშობის ადამიანებს, რომელთა კულტურა დაკავშირებულია ლითონის დამზადების ხელობასთან“.

ფრ. ენგელსი, ეხებოდა რა დასავლეთ ევროპის თავდაპირველი მოსახლეობის საკითხს, აღნიშნავდა:

„თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით ამ რასის ადამიანები (ივულისხმებიან იბერები. — შ. ძ.) გულდაგულ მარხავდნენ თავიანთ მიცვალებულებს, ამიტომ ჩვენამდე შემოინახა თავის ქალებისა და ჩონჩხების საკმარისი რაოდენობა, რომელთა მიხედვით შეიძლება მათი სხეულის აგებულების შესახებ მსჯელობა. გრძელი თავის ქალები, მკირე სიმაღლე (დედაკაცებისათვის დაახლოებით 1,46, მამაკაცებისათვის 1.65 სმ), დაბალი შუბლი, არწივისებური ცხვირი, გამოხატული წარბზედა რკალები, დახვეწილი ყვრიმალები და სუსტად განვითარებული ყბები, მიგვანიშნებენ რასას, რომლის უკანასკნელი წარმომადგენლები დღეს ბასკები არიან. ნეოლითური მოსახლეობის არა მარტო ესპანეთის, არამედ საფრანგეთის, ინგლისისა და გერმანიის მთელი ტერიტორიის. ყოველ შემთხვევაში რაინამდე, ეკუთვნოდა, როგორც ჩანს, იბერიულ რასას. არიელების მოსვლამდე იტალია აგრეთვე დასახლებული იყო მსგავსი დაბალტანიანი რასით, ბასკებთან მათი მეტნაკლებად შორეული ნათესაობის შესახებ ამჟამად ძნელია მსჯელობა“.

ბასკების თავდაპირველ საცხოვრისთან დაკავშირებით ფრ. ენგელსი ამბობდა, რომ ბასკები, ყოველ შემთხვევაში, დასავლეთ ევროპაში სამხრეთიდან მოვიდნენ.

რუსი მეცნიერი, აგრობიოლოგიური მეცნიერების ცნობილი წარმომადგენელი აკადემიკოსი ნ. ვავილოვი თავის წიგნში „ხუთი კონტინენტი“ გვიამბობს:

„...სამოც ქვეყანაში არაერთგზის მოგზაურობისას ჩვენ არც ერთხელ არ გვინახავს მოსავლის აღების ასეთი მეთოდი, და მხოლოდ შემდგომ მსგავს ხერხს ჩვენ წავაწყდით მთაგორიან დასავლეთ საქართველოში — ლეჩხუმში, სადაც ამას წინათ აღმოჩენილ იქნა ხორბლის შესანიშნავი ენდემური ჯიში, რომელიც გენეტურად ყველაზე ახლოს დგას ნამდვილ სპელტასთან. ამგვარად, აგრონომიულად და ბოტანიკურად დადგინდა გასაოცარი კავშირი ჩრდილოეთ ესპანეთსა და საქართველოს შორის, ამასთანავე, თვით ობიექტი და თავად აგროტექნიკა იმდენად სპეციფიკური და განუმეორებელია, რომ არავითარ ეჭვს

არ იწვევს ამ კავშირის ღრმა მნიშვნელობა; ...მე მახსოვს, რა მღელვარებით ისმენდა აკადემიკოსი ნიკო მარი ჩვენს მონათხრობს ამის შესახებ. მისთვის ეს ფაქტი იყო საუკეთესო დადასტურება იმ თეორიის სისწორისა, რომლის მიხედვითაც ჩრდილოეთ ესპანეთის ხალხები ენის მხრივ გენეზისურად დაკავშირებული არიან ერთ საერთო ოჯახთან — კავკასიელ ხალხებთან".

საგნის სპეციალისტები ყურადღებას მიაქცევენ ბასკური და ქართული ხალხური სიმღერების პარალელურ ნიშნებზე (ზიგფრიდ ნადელი, შალვა ასლანიშვილი, ვაჟა გვახარია და სხვ.). მსგავსება შენიშნა ნიკო მარმაც თავის მოგზაურობის დროს. პროფესორი შ. ასლანიშვილი თავის წიგნში „ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ" (თბილისი, 1954) გვარწმუნებს, რომ, გარდა სტრუქტურული პარალელიზმისა, პირენეის ნახევარკუნძულის სიმღერებისა და ქართული პოლიფონიური წყობა ამჟღავნებს მრავალ საერთო ინტონაციას მელოდიკაში. ამის კლასიკური ნიმუშია კატალონიურ-ბასკური „ნანა", რომელიც არა მხოლოდ ინტონაციურად იპყრობს ყურადღებას თავისი სრულიად განსაკუთრებული სტრუქტურით, არამედ იგი ტექსტუალურადაც ემთხვევა ქართულში დადასტურებულ აკვნის „ნანას" ვარიაციებს. ავტორის სიტყვით, ჩრდილოეთ ესპანეთისა და ქართული ხალხური სიმღერების მსგავსებას ადასტურებს არა მარტო ქართული სიმღერის — „ბუნდოვან გულსა" განსაცვიფრებელი მსგავსება ჩრდილოეთ ესპანეთის სიმღერასთან — „ტოროლა", არამედ აგრეთვე საბჭოთა ეთნოგრაფის ტოლსტოის სტატიაში — „ესპანური ხალხური მუსიკა" მოყვანილი სიმღერები და საკრავი ჰანგები, რომელთა სიახლოვეც ქართულ ხალხურ სიმღერასთან არავითარ ეჭვს არ ბადებს. ასლანიშვილი დაასკვნის, რომ „იავ-ნანას" ვარიანტის მელოდია შემონახულია ჩრდილოეთ ესპანეთში. საგულისხმოა. რომ ბასკურ სიმღერებს ადარებენ ისეთ ქართულ სიმღერებს („ოროველა", „ნანა", „კალოური", „ღრმული" და სხვა), რომლებიც განეკუთვნებიან ქართული მუსიკალური ფოლკლორის უძველეს ფენას და ხასიათდებიან დიდი არქაულობით.

ბასკური და ქართული (resp. კავკასიური) ენების ნათესაობა არ შეიძლება მივიჩნიოთ ენათა იაფეთ გენეზისურ პირპარებად, რომელიც აწყობილია და ხელშეხებია ზედაპირული ლინგვისტური შედარების საფუძველზე. ეს ნათესაობა უთუოდ ენის სიღრმეებში უნდა ვეძიოთ. საფიქრებელია. აქ ღრმად დაფარულ ნათესაობასთან გვაქვს საქმე და სწორედ ფაქიზი ანალიზი გამოავლენს ამ საკმაოდ დაშორებული ენობრივი ჯგუფების შესაძლო თავდაპირველ ერთიანობას. საბუთველი, რომელიც ფარავს ქართულ-ბასკურის ურთიერთობას, არ უნდა გვა-

ფრთხობდეს, რამდენადაც მომავალი ჩაღრმავებული ძიებები, — და არა ფრაგმენტული კვლევა, — ფარდას ახდის მრავალ საიდუმლოებას, ბასკურ-კავკასიური ენების წიაღში რომ არის ჩამარხული და რაც ვამოვლენას პოულობს დღემდის დადასტურებულ უაღრესად ანგარიშგასაწევ პარალელებში და გასაოცარ მსგავსებებში.

ბასკური და იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის კვლევა მრავალ სიძნელესთან და არცთუ ადვილად გადასალახავ დაბრკოლებასთან არის დაკავშირებული.

უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული და ბასკური (resp. ძველიბერიული?) ენები ძალიან ადრე დაშორდნენ ერთმანეთს. რაკი დაცილების მომენტი შორეულ წარსულშია სავარაუდებელი, ბუნებრივია, ისინი ისტორიული განვითარების მანძილზე რადიკალურად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან და სხვადასხვა მიმართულებით განვითარდებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ენას მძლავრად ატყვია კონსერვატულობის ნიშნები როგორც გრამატიკულ აღნაგობაში, ისე ლექსიკის სფეროში. ქართული და ბასკური ენები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს არქაულობის შენარჩუნების თვალსაზრისით, მაგრამ ეს გარემოება არ გამორიცხავს ამ ენებში დროის ფაქტორით გამოწვეული მკვეთრი დიფერენციაციის აღიარებას. გარდა შინაგანი ევოლუციის შედეგად მიღებული განსხვავებისა, აღსანიშნავია „გარეშე ფაქტორების“ ძალით გამომუშავებული ცვლილებები — სხვა სისტემის ენებთან შეხვედრის ნიადაგზე წარმოშობილი ახალი ენობრივი მოვლენები, ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება ორივე ენის სახეცვლილებათა ინტენსიფიკაციისათვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ენობრივი ნათესაობის აღდგენა ძნელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ზედაპირული მსგავსების კვალი წაშლილია და მხოლოდ ჩაღრმავებული ანალიზი თუ გამოავლენს მოცემულ ენათა შორის ოდინდელ კავშირ-ურთიერთობებს.

დიდად ართულებს საქმეს ძველი ტექსტების უქონლობაც. იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის მხოლოდ ქართულ ენას მოეპოვება წერილობითი ტრადიცია (ქართულ სალიტერატურო ენას თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია აქვს), მაშინ როდესაც ბასკური ენის უძველესი მდგომარეობა ჩვენთვის თითქმის უცნობია, რომ აღარაფერი ვთქვათ მთის კავკასიურ ენებზე, რომელთა სალიტერატურო ენებს მხოლოდ ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდგომ ჩაეყარა საფუძველი. რარიგ გაადვილდებოდა საქმე, ბასკურ ენასაც ქართულისებურად ძველი წერილობითი ძეგლები რომ მოეპოვებოდეს, — მაშინ ძველ ქართულს ძველ ბასკურს შევუდარებდით და უფრო მიახლოებული ვიქნებოდით

იმ ეპოქასთან, როდესაც ბასკური და ქართული ერთმანეთს დაცილდნენ და განმარტოვდნენ.

არცთუ მთლად პარადოქსულია ვანდრიესის შემდეგი მოსაზრება: მხოლოდ დღევანდელ ფრანგულ ენას რომ ვიცნობდეთ, ერთობ ძნელი იქნებოდა მისი გენეზისური დაკავშირება ინდოევროპულ ენებთან და შესაძლოა ალმოჩენილიყო უფრო სერიოზული მოსაზრებანი, რომ ფრანგული ენა მიეკუთვნებინათ სემიტური ან ფინურ-უნგრული სისტემის ენებისათვის. ამ დებულებას შუხარდტიც იმეორებს.

პროფ. ჰანს ფოგტთან ერთად ჩვენც ვიტყვით, რომ მეცნიერებისათვის სრულიად უცნობია მასალა იმ 3 ან 4 ათასი წლისა, რომელიც ყოფს ბასკურ-კავკასიურ ერთიანობას, დაშვებულს უფრო ძველ ქართულ ტექსტებში (VI—VII სს.). ინდოევროპულ ხალხთა წინა ისტორია ჩვენთვის სავსებით უცნობი არ არის. ბასკურის დიალექტებსა და კავკასიურ ენებს შეეძლოთ გადაადგილებულიყვნენ ძალიან განსხვავებული მიმართულებით, ერთმანეთს დაშორებოდნენ ათასეული კილომეტრებით, არ ჰქონოდათ ერთმანეთთან არავითარი კონტაქტი და რაიმე გარეგანი ზეგავლენა, რომლის შესახებ ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით. მაშასადამე, ძალზე ძნელია განვასხვაოთ როგორც ბასკურში, ისე კავკასიურ ენებში, რა არის პირველადი, ძველი, მემკვიდრეობით მიღებული და რა — ახალი.

როდესაც ლაპარაკია ბასკური და ქართველური (და, საერთოდ, კავკასიური) ენების გენეზისური დაკავშირების სიძნელეებზე, (და ეს სიძნელეები უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ზემოხსენებული ენები, სავარაუდოა, ძალიან დიდი ხნის წინათ დაშორდნენ ერთმანეთს), უნდა გავითვალისწინოთ სხვა რიგის დაბრკოლებანიც, რაც ალმართულია ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის წინაშე. უწინარეს ყოვლისა, დასადგენია იბერიულ-კავკასიური ენების უძველესი მდგომარეობა, რაც ხელსაყრელ პირობებს შეგვიქმნიდა ბასკურ ენასთან მათი წარმომავლობითი ურთიერთობის კვლევა-ძიებისათვის. მეორე მხრივ, თვითონ ბასკური ენის მრავალფეროვანი დიალექტები არ არის სათანადო სიღრმით შესწავლილი.

არის კერძოობითი ხასიათის სირთულეებიც...

ამ ზოგადი შენიშვნების შემდეგ უკეთ გავეცნოთ ბასკურ-კავკასიურ ჰიპოთეზას.

XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დასაწყისში არაერთი დასავლეთევროპული მეცნიერი ეხება ქართული ენისა და ესპანეთის უძველესი მოსახლეობის ენის ნათესაობის პრობლემას. ისინი ეყრდნობიან ანტიკური მწერლების თხზულებებში წამოყენებულ შეხედულებას აღმოსავლეთისა და დასავლეთის იბერების შესაძლებელი ნათესაობის შესა-

ხებ და გარკვეულ მოსაზრებებს გამოთქვამენ ქართულ-ბასკურის ურთიერთობასთან დაკავშირებით.

ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების გამონათქვამები დამოწმებულია ჟ. პეტიტის ენციკლოპედიაში და აღიარებულია, რომ ძველი იბერიელების ნათესაობის ეს საკითხი დიდ ინტერესს აღძრავს მეცნიერებაში და საჭიროა ამ პრობლემის კვლევის შემდგომი გაღრმავება და გაფართოება.

ესპანეთის იბერიის ენისა და ქართული ენის ნათესაობაზე შედარებით ვრცლად არის მსჯელობა ესპანელი ფილოლოგის ლორენცო ჰერვასის „ენების კატალოგში“, სადაც საუბარია აზიისა და ევროპის იბერთა ენების ერთიანობაზე (გამოიცა იტალიურად 1784 წელს). ჰერვასი იმოწმებს ანტიკური ხანის ავტორებს და ემხრობა ჰიპოთეზას, რომლის თანახმადაც აღმოსავლეთის იბერია დასავლეთის იბერიის კოლონიაა. მისი აზრით, ძველი ესპანელები, რომლებიც აქტიურ ძალას წარმოადგენდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზში, გადავიდნენ აღმოსავლეთში და დააფუძნეს კოლონია შავი ზღვის სანაპიროებზე. ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ პაოლინის ლექსიკონში ძალზე მცირეა ბასკურის მსგავსი ლექსიკური მასალა, და რაც არის, შესამოწმებელია, ხოლო საინტერესო ანალოგები ქართული ენის დიალექტებშია საძიებელიო. შემდგომ ჰერვასმა ხელი აიღო ქართულ-ბასკურის კვლევაზე და საერთოდაც მიიჩნია ძველი იბერიელების ნათესაობა. და მაინც, ჰერვასი პირველია ევროპელ მეცნიერთაგან, რომელმაც მკვეთრად დასვა ევროპულ მეცნიერებაში საკითხი ქართული და ბასკური ენების შედარებითი შესწავლის შესახებ.

ბასკურ-კავკასიური პარალელები მოიპოვება აგრეთვე XIX ს. დასაწყისის სხვა მეცნიერთა ნაშრომებშიც.

გამოჩენილი ორიენტალისტი ჰენრიხ კლაპროთი, რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ადიუნქტი და შემდეგ პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი, თავის ცნობილ „მოგზაურობაში“ (1812, 1814), სადაც, სხვათა შორის, მოცემულია ქართველი ერის ისტორია უძველესი დროიდან რუსეთთან შეერთებამდის, იძლევა ბასკურ-ქართულ ლექსიკურ შესატყვისობებს, ანალოგიური ხასიათისაა ანტ. აბიხტის დაკვირვებები, მოცემული „ბასკური გრამატიკის შესავალში“ ფრანგელი ფილოლოგი და ისტორიკოსი ფიდელ ფიჭა ზემნი, ფორმათა და თვლის სისტემის ანალიზის საფუძველზე აყენებდა საკითხს ბასკურ-ქართული გენეზისური ურთიერთობის შესახებ (1879).

აკად. ვილჰელმ ჰუმბოლდტი აღნიშნავდა: „....ბასკები იბერიული წარმოშობის ტომია, კავკასიისა და პირენეის იბერებს საერთო წარმოშობა აქვთ. ბასკები წასული არიან კავკასიის იბერიიდან მცირე აზიის გავლით“.

ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა ფრიდრიხ მიულერმა წამოაყენა ასეთი დებულება: „კავკასიური ენები არ უკავშირდებიან ინდოევროპულ ენებს, მაგრამ მათ ვერც ურალურ-ალთაურ ენათა ოჯახს მივაკუთვნებთ. ჩანს, კავკასიური ენები — მ ს გ ა ვ ს ა დ ბ ა ს კ უ რ ი ს ა ევროპის დასავლეთში — წარმოადგენენ გადმონაშთს გაცილებით უფრო დიდი ენათა ჯგუფისა, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიის მხარესა და მის სამხრეთით მანამ, სანამ აქ სემიტური, არიული და ურალურ-ალთაური ტომები გავრცელდებოდნენ“. ამრიგად, მიულერის კონცეფციის მიხედვით, კავკასიის მიწა-წყალზე და მის სამხრეთით ყველაზე ძველს — გავრცელების დროის მიხედვით — ენობრივ სამყაროს კავკასიურ ენათა მრავალრიცხოვანი ჯგუფი ქმნიდა.

ფრ. მიულერის ცნობილ წიგნში „ენათმეცნიერების შესავალი“ (1885) ლაპარაკია კავკასიური ენებისათვის დამახასიათებელ ნიშნებზე და გავლებულია ზოგიერთი პარალელი ბასკურ ენასთან (მითითებულია ზმნაში ობიექტის აღნიშვნაზე).

ფრ. მიულერის მიერ წამოყენებული დებულება გაიზიარა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ალ. ცაგარელმა. 1872 წელს ის ამბობდა, რომ ქართული ენა (ისევე როგორც სხვა კავკასიური ენები) გენეზისით არ უკავშირდება ინდოევროპულ ენებს, მაგრამ მას ვერ მივაკუთვნებთ ურალურ-ალთაურ ენებსაც. იგი, მ ს გ ა ვ ს ა დ ბ ა ს კ უ რ ი ს ა ე ვ რ ო პ ა შ ი, საფიქრებელია, არის ნარჩენი ოდესღაც მეტად მრავალრიცხოვანი ენების ჯგუფისა, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიაში ჯერ კიდევ მანამ, სანამ მოვიდოდნენ სემიტური, არიული და ურალურ-ალთაური ტომები, და მის სამხრეთით. როგორც ვხედავთ, ეს ფორმულირება ფრ. მიულერის დებულების რედაქციულ საბესხვაობას წარმოადგენს.

პროფესორი ცაგარელი აღიარებდა, რომ ქართული ენის ნათესაობის საკითხი მაშინ გადაწყდება, როდესაც ისტორიულ-შედარებითი ანალიზის შედეგად აღდგენილი იქნება ქართველური ენების არქეტიპი.

ბასკური ენისა და ქართველურ-კავკასიური ენების ნათესაობის პრობლემებისადმი დიდ ინტერესს იჩენენ XIX ს. მიწურულისა და XX ს. გამოჩენილი მეცნიერები — ბასკოლოგები, ქართველოლოგები, ძველი აღმოსავლეთის ენების სპეციალისტები.

ნორვეგიელი ლინგვისტის პროფ. ჰანს ფოგტის სიტყვით, „საერთოდ, ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა არა ერთსა და ორ თაობაში სარგებლობს დიდი პოპულარობით. ის, როგორც ჰიპოთეზა, ხშირად ნახსენებია პოპულარიზატორთა შრომებსა და სახელმძღვანელოებში, რასაც ანგარიში უნდა გავუწიოთ... ძნელი არ არის აპრიორულად ავხსნათ ამ ჰიპოთეზის პოპულარობა, ერთ-ერთი მიზეზი უდავოდ ის ფაქტია, რომ, მიუხედავად დაჟინებითი ცდისა, ვერ შეძლეს ბასკურისა და ხსე-

ნებული კავკასიური ენების დაკავშირება სხვა ცნობილ ლინგვისტურ ოჯახთან. ამ მდგომარეობას შეუძლია ლინგვისტთა მხოლოდ ცნობისმოყვარეობა აღძრას. მაშინ, როდესაც შედარებითი ლინგვისტიკა ყურადღების ცენტრშია, უძველესი სამყაროს დასავლეთით მდებარე ერთიმეორისაგან იზოლირებული ორი ჯგუფის დაკავშირების ჰიპოთეზა თავისთავად გვეჩვენება, — განაგრძობს ფოგტი, — ასე ვთქვათ, მოხდენილ გადაწყვეტილებად. ორი იზოლირებული ჯგუფის მაგივრად გვექნება ბასკურ-კავკასიურის დიდი ოჯახი და იგი დაფარავდა იმ დიდ სივრცეს, რომელიც შემდგომ ინდოევროპულმა ენებმა დაიკავეს. სამაგიეროდ, იბერიის ნახევარკუნძულზე პროტო-ბასკური აზიური ენების გადასახლების იდეა აბსურდული არ იქნებოდა და ძვ. წელთაღრიცხვით III ათასწლეულის პირენეის ქვეყნების არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ის დასაშვებადაც მიგვაჩნია".

ჯეროვანი ადგილი ეთმობოდა და ეთმობა „Euskaro-Caucasique"-ის პრობლემას რუსულად, დასავლეთ ევროპის ენებზე და ამერიკაში გამოსულ ენციკლოპედიებში, ლექსიკონებში, ისტორიული, გეოგრაფიული თუ ეთნოგრაფიული ხასიათის საცნობარო ლიტერატურაში და სხვ.

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვით ბასკური და ქართველურ-კავკასიური ურთიერთობის კვლევა-ძიებაში დასავლეთ ევროპის ლინგვისტებს — შუხარდტს, ტრომბეტის, ულენბეკს, ვინკლერს, დიუმეზილს, ბოუდას, ლაფონს, ბრაუნს, აგრეთვე — ფიტას, დირს, პოლაკს, ფოგტს და სხვ. საბჭოთა ბასკოლოგთაგან უნდა დავასახელოთ მარი (განსაკუთრებით), შიშმარიოვი, ბიხოვსკაია, ჟირკოვი, ზიცარი. ბასკურს ქართველურ-კავკასიური ენების მონათესავედ მიიჩნევს არნ. ჩიქობავა.

ბასკურ-ქართულის შედარებით შესწავლას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მეოცე საუკუნის ლინგვისტიკური მეცნიერების უდიდესმა ავტორიტეტმა, რომანული ენების მკვლევარმა, გრაცის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა ჰუგო შუხარდტმა, რომელმაც ყურადღება მიაქცია ბასკურს, როგორც რომანულ ენათა გარემოცვაში მოქცეულ სრულიად განსხვავებული ტიპოლოგიის ენობრივ სამყაროს. მას მოეხსენებოდა, რომ ისტორიაში გამოთქმულია აზრი ძველი იბერიელების ნათესაობის თაობაზე, და, აი, ბასკური ენის წარმოშობის გარკვევის მიზნით ხელი მიჰყო ქართული ენის შესწავლას, გამოაქვეყნა შესანიშნავი ქართველოლოგიური გამოკვლევები, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ ღირებულება.

1895 წელს ჰუგო შუხარდტმა ქ. ვენაში გამოაქვეყნა შრომა ქართული ენის შესახებ, სადაც აღნიშნავს, რომ ქართულს „შინაგანი ნათესაობა" აქვს ბასკურთან.

ჰ. შუხარდტი აღნიშნავდა, რომ ქართული ერთადერთი სამწერლობო ენაა კავკასიურ ენათა შორის, მისი ძეგლები სწვდებიან ძალზე ადრეულ ხანას, ამიტომ ქართული ენა უნდა იყოს ამოსავალი ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლისათვისო.

ჰ. შუხარდტმა „დაადგინა რამდენიმე საოცარი შესატყვისობა ბასლებს (და, საერთოდ, კავკასიელებს) ხმელთაშუა ზღვის რასათა შორის. მისი აზრით, კავკასიურ სამყაროსთან სამი რასაა დაკავშირებული: ინდოევროპული, სემიტურ-ქამიტური და ბასკური. იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთი მეცნიერის დასკვნით, კავკასიური ენები არც ერთ ენათა ოჯახს არ ენათესავებიან, შუხარდტი შენიშნავს: შეიძლება ვამტკიცოთ მხოლოდ ნათესაობა და არა — ნათესაობის არქონა. აღმოსავლურ იბერიელებსა და დასავლურ იბერიულს შორის, თავი რომ დავანებოთ სახელწოდებას, რასაც მე მნიშვნელობას არ ვანიჭებ, ადგილი აქვს ერთგვარ შინაგან ერთიანობასო, დასძენდა შუხარდტი. „ქართულ და იბერიულ (ესპანეთში) ენებს შორის ზოგ რამეში მჭიდრო ურთიერთობა არსებობს, ხოლო ბასკური ენაც თვალსაჩინო საბუთების გამო ქამიტურ ენათა ჯგუფს დაუკავშირეს. ამიტომ შესაძლებელია ამ ენებს ერთი ფესვი ჰქონდეთ“. უფრო გვიანდელ ნაშრომში შუხარდტი აღნიშნავდა: აღმოსავლელი იბერები საუკუნეთა სიღრმეში ამყღავნებენ კავშირს დასავლეთის იბერებთან, ავტორი ასაბუთებდა დებულებას, რომ „ბასკური არსებითად წარმოადგენს იბერიულის გაგრძელებას და განვითარებას“. „იბერიულის იდენტურობა ბასკურთან შუხარდტის დიდი ავტორიტეტის გავლენით იქნა მიღებული. ის გვხვდება ბევრ სახელმძღვანელოში“ (ფოგტი).

ჰ. შუხარდტმა ყურადღება მიაქცია ქართული და ბასკური ზმნის თავისებურებათა ერთიანობას, კერძოდ — გარდამავალი ზმნის სტრუქტურას. ბასკურში გარდამავალ ზმნას რეალური სუბიექტი ერგატივში დაესმის, მსგავსად ქართულისა (და ზოგი სხვა კავკასიური ენისა). სუბიექტის ბრუნვა განსხვავებულია იმის მიხედვით, გარდამავალია ზმნა თუ გარდაუვალია; გარდაუვალ ზმნას სახელობითში მოუდის სუბიექტი, გარდამავალს — სპეციფიკურ ბრუნვაში (ერგატივში). გარდამავალი ზმნის ობიექტი (უახლოესი ობიექტი, ე. წ. „პირდაპირი ობიექტი“) სახელობითშია, ე. ი. იმ ბრუნვაში, რაც გარდაუვალ ზმნასთან სუბიექტს აღნიშნავდა. ესეც საერთოა ბასკურისა და იბერიულ-კავკასიური ენებისათვის. ეს თავისებურება ამ ენათა სტრუქტურულ ერთგვარობას, შინაგან თვისებას მოწმობს. ჰ. შუხარდტი ღრმად იხედება ქართული ენის აგებულების თავისებურებებში და მეტად საყურადღებო დაკვირვებებს იძლევა.

ჰ. შუხარდტი დაწვრილებით ჩერდება მახვილის საკითხებზე და აღნიშნავს, რომ მახვილიანი მარცვალი ქართულში სუსტად გამოირჩეკა

ისევე, როგორც ბასკური ენის ლაბურდის დიალექტში. პარალელები დაძებნილია ბრუნვების სისტემაშიც. შემჩნეულია, რომ ბრუნვის ნიშანი და თანდებული ერთმანეთს ერწყმიან როგორც ქართულში, ისევე ბასკურში, და სხვ.

ჰ. შუხარდტმა „დაადგინა რამდენიმე საოცარი შესატყვისობა ბასკურსა და კავკასიურ ენებს შორის და ამასთანავე ყველგან მიუთითა ნაკლებ საგრძნობ შესატყვისობაზე ბასკურსა და ქამიტურ ენებს შორის“ (ფოგტი).

ბასკოლოგიაში ჰ. შუხარდტის ნაშრომები მთელ ეტაპს ქმნის. მას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ბასკური ენის მონაცემები არკვევენ თეორიული ლინგვისტიკის არაერთი კარდინალური მნიშვნელობის საკითხს. იმ პრობლემათა შორის, რომლებსაც აღძრავს ბასკური ენა, შუხარდტის სიტყვით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკვანძო საკითხებს, დაკავშირებულს ევროპელი ხალხების უძველესი ისტორიისა და პრეისტორიის ხანასთან.

ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორი, იტალიელი ენათმეცნიერი ალფრედო ტრომბეტი იზიარებდა შუხარდტისეულ დებულებას ქართული და ბასკური ენების „შინაგანი ნათესაობის“ შესახებ („წერილები პროფესორ ჰუგო შუხარდტისადმი“, 1902, და სხვ.). იგი ქართველურ ენებს ერთ სიბრტყეზე ათავსებდა სემიტურ-ქამიტურ და ბასკურ ენებთან. ტრომბეტის შეხედულებით, კავკასიური ენები ბასკურთან, ეტრუსკულთან და წინააზიის ძველ გადაშენებულ ენებთან ერთადერთ წრეს ქმნიდა.

ტრომბეტისათვის ამოსავალი დებულება იყო ყველა ხალხის ენათა ერთიანი წარმოშობა და აქედან გასაგებია, რომ მის მიერ მოწოდებული ბასკურ-კავკასიური დაპირისპირებანი რამდენადმე კარგავენ თავის ღირებულებას, რადგან ეს თვალსაზრისი უარს აცხადებს მკაცრად განასხვაოს საერთო სტრუქტურა და საერთო წარმოშობით გამოწვეული ლექსიკური მსგავსება.

შუხარდტისა და ტრომბეტის შემდეგ ბასკურ-კავკასიურ ურთიერთობას იკვლევდა ჰოლანდიელი მეცნიერი კ. ულენბეკი. მისი პირველი ნაშრომი ბასკურის შესახებ გამოქვეყნდა 1904 წელს.

კ. ულენბეკის მრწამსი კარგად გამოსჭვივის ამ ციტატაში: „ის გარემოება, რომ ბასკურს ლექსიკური საგანძური ავლენს ბევრ დამაკავშირებელ კვანძს ჩრდილოეთ აფრიკის ენებთან, ბუნებრივია, არ გამორიცხავს იმას, რომ ბასკურსა და პალეოკავკასიურ ენებს შორის აგრეთვე შეიძლება იყოს მსგავსი სიტყვების საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა, მართლაც, ბასკურში უდავოდ არსებობს ზოგიერთი სიტყვა, რომლებსაც პალეოკავკასიურს უდარებენ. მე არ ვაპირებ, თავი შეგაწყინოთ, — განაგრძობს ავტორი, — ყველა დაახლოების ჩამოთვლით,

მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ჩემს ვალად ვრაცხ მათგან ყველაზე უფრო ზუსტი გამოვარჩიო და წარმოვადგინო თქვენს განსასჯელად".

კ. ულენბეკმა, ერთ-ერთმა პირველმა, მოგვცა ბასკური და კავკასიური ენების სიტყვაბრივი მასალის სისტემატური შედარება. მას ეკუთვნის 70-მდე ბასკურ-კავკასიური ეტიმოლოგია, რომელთაგან გარკვეული ნაწილი გაზიარებულია სპეციალურ ლიტერატურაში. ამ ნაშრომმა ბევრ მკვლევარს მისცა ბიძგი — ჩაეტარებინათ ანალოგიური ხასიათის სამუშაო.

1909 წლიდან მოყოლებული ბასკოლოგიურ ლიტერატურას შეემატა გერმანელი ლინგვისტის ჰენრიხ ვინკლერის საყურადღებო ნაშრომები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ვინკლერის დაკვირვებანი ბასკურ და აფხაზურ ნაცვალსახელებზე, პირის ნიშნებზე, კაუზატიური ფორმების წარმოებაზე...

უფროსი თაობის საბჭოთა ბასკოლოგთაგან აკადემიკოსი ნ. მარი ერთადერთია, რომელიც ზედმიწევნით ფლობდა შესადარებელ ენობრივ მასალას — დაუფლებული იყო იბერიულ-კავკასიურ ენებს (განსაკუთრებით — ქართველურს) და, ამასთანავე, რიგიანად ერკვეოდა ბასკური ენის სტრუქტურასა და ლექსიკაში, რამდენადაც ეს შეეფერებოდა ამ ენის შესწავლის იმდროინდელ მდგომარეობას, იცნობდა სპეციალურ ლიტერატურას და ბასკეთში ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებების დროს აკვირდებოდა ბასკური მეტყველების თავისებურებებს.

ამასთანავე, უნდა ითქვას შემდეგი:

ნ. მარის იაფეტურმა თეორიამ გარკვეული ევოლუცია განიცადა. მისი განვითარების პირველ პერიოდში „იაფეტური ენები" — ესაა ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ი ანუ ი ბ ე რ ი უ ლ ი ე ნ ე ბ ი (წინა აზიის ზოგი გადაშენებული ენაც ამ წრეს განეკუთვნება, მაგრამ ცოცხალ ენათაგან მხოლოდ ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ენებს ეწოდება ი ა ფ ე ტ უ რ ი). ამ ეტაპის ქრონოლოგიური საზღვრებია 1908—1916 წლები. მეორე პერიოდში იაფეტურ ენათა წრე ფართოვდება: ქართველურს გარდა მასში შემოდის აფხაზურ-ადიღეური, ჩაჩნური და დაღესტნის ენები. ესაა კ ა ვ კ ა ს ი ო ლ ო გ ი უ რ ი პერიოდი, გრძელდება იგი 1916 წლიდან 1920 წლამდე. მესამე პერიოდში იაფეტური წრე სცილდება კავკასიის ფარგლებს: მასში შემოდის გადაშენებული ენები წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის აუზისა (პელაზგური — ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ეტრუსკული — აპენინის ნახევარკუნძულზე) და ცოცხალი ბ ა ს კ უ რ ი ენა (პირენეის ნახევარკუნძულზე). იაფეტური თეორიის ევოლუციის ამ პერიოდს დაერქვა მ ე დ ი ტ ე რ ა ნ ი ს ტ უ ლ ი. გრძელდება იგი 1920—1923 წლამდე. 1923 წელს წამოყენებულ იქნა პრინციპუ-

ლად ახალი დებულება: ინდოევროპული ენები არის იაფეტური ენის ტრანსფორმაცია. ეს ნიშნავს: არ არსებობს წარმოშობის მიხედვით განსხვავებული ენათა ოჯახები, — განსხვავებას ქმნის არა გენეზისი, არამედ განვითარების საფეხური, ამა თუ იმ ენების ჯგუფში მოცემული. ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციას დაუპირისპირდა სტადიური კლასიფიკაცია.

ბასკური ენის პრობლემა ნ. მარის სამეცნიერო ინტერესების სფეროში შემოდის იაფეტური თეორიის განვითარების ე. წ. მედიტერანისტულ პერიოდში. ბასკური ენისა და იბერიულ-კავკასიური ენების გენეზისური მიმართების შესწავლის თვალსაზრისით სწორედ ეს პერიოდია საინტერესო და ფასეული მეცნიერებისათვის. ენათა სტადიური კლასიფიკაციის პერიოდში, როდესაც შედარებით-ისტორიული მეთოდი შეცვალა ე. წ. პალეონტოლოგიურმა (ოთხელემენტოვანმა) ანალიზმა, ბასკურ-კავკასიურ პარალელებს ეცლება მეცნიერული საფუძველი და ფანტასტიკურ ეტიმოლოგიებს სრული არევ-დარევა შეაქვს ხსენებულ პრობლემატიკაში... ამიტომ გასაგებია, რომ მარისეული მოძღვრების განვითარების ამ ხანას ჩვენ გვერდს ავუვლით და ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ იმ ნაშრომებზე, რომლებშიც ენათა ურთიერთობის საკითხი (resp. ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა) გენეალოგიური კლასიფიკაციის ასპექტშია განხილული.

ნ. მარმა ბასკოლოგიის პრობლემებს ბევრი ნაშრომი მიუძღვნა, გამოაქვეყნა სპეციალური გამოკვლევები, ხოლო ცალკეული მოსაზრებები და შენიშვნები გაბნეულია მის მრავალრიცხოვან შრომებში.

ბასკოლოგიის პრობლემებით ნ. მარი დაინტერესებულია სტუდენტობის პერიოდში. 1920 წელს იგი ამბობდა: „ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ვცდილობდი გავცნობოდი ბასკურ ენას. რაკი მე ვხელმძღვანელობდი მხოლოდ ქართველოლოგიური მონაცემებით და ვეყრდნობოდი მხოლოდ ქართული მეტყველების მასალებს..., ამიტომ მაშინ ჩამოვცილდი ამ საქმეს ისე, რომ იაფეტიდიზმის სასარგებლოდ არ დამრჩენია რამდენიმე ნათელი შთაბეჭდილება, თუმცა იმ დროს იაფეტიდიზმი დამყავდა ქართველიზმამდე, რაც გამომდინარეობდა... ჩემი მატერიალური მომზადებიდან“.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა ოქმებში აღნიშნულია, რომ 1920 წელს ნ. მარს დაუწყია ბასკური ენის გრამატიკის შედგენა.

1917—1918 წლებში ნ. მარი განაგრძობს სტუდენტობის დროს დაწყებულ მუშაობას ბასკოლოგიაში. იგი ორჯერ გაემგზავრა საზღვარგარეთ ბასკურის შესასწავლად და ბასკოლოგიურ ლიტერატურაზე სამუშაოდ (1920—1921 და 1922—1933 წლები).

1920 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში გამოქვეყნებულ ნაშრომში ნათქვამია:

„ვამტკიცებ, რომ ბასკური ენა იაფეტურია (ე. ი. ქართველური — **შ. ძ.**). იაფეტურად აიხსნება არა მარტოოდენ გრამატიკის ტიპოლოგიური კატეგორიების მიხედვით, არამედ ამ კატეგორიების შემცველი მასალებითაც — მისი ფონეტიკა, მისი მორფოლოგია“, კერძოდ. რთულ ზმნურ წარმოებათა სისტემა, რომელშიც ლინგვისტები აქამომდე დიდი გატაცებით პოულობდნენ დასაყრდენს მის დასაკავშირებლად ზოგჯერ ამერიკულ ენასთან (სხვათა შორის, მხოლოდ ანალოგიების ფარგლებში), იაფეტური წარმოშობისაა და, ამასთანავე, გარკვეული ჯგუფისა — ბასკების ცოცხალი მეტყველების ლექსიკური სიმდიდრის ძირეული შემადგენლობა. ალფრედო ტრომბეტის, როგორც ბასკოლოგის, დახასიათებასთან დაკავშირებით ნ. მარი იქვე ამბობდა: „ჩვენთვის, რომლებიც იაფეტური ენათმეცნიერების თეორიის მთელი სისტემის აგებისას ამოვდივართ იაფეტური ენების სემიტურთან ნათესაობის ფაქტობრივი მონაცემებიდან, გასაგებია, გამორიცხული არ არის კავკასიის ძირეული ენების, ე. ი. კავკასიის იაფეტური ენების, კავშირ-ურთიერთობა ქამიტურ ენებთან; ახლა, როდესაც საქმე ეხება ბასკურს. ჩვენ საშუალება გვაქვს ვამტკიცოთ მასთან კავკასიის იაფეტური ენების უფრო გარკვეული და მჭიდრო ნათესაობა“. აქედან ჩანს, რომ ბასკოლოგიაში ადრე გამოთქმული ჰიპოთეზა ქამიტურ ენებთან ბასკურის ნათესაობისა ნ. მარისათვის მისაღებია (გავიხსენოთ, მაგალითად, ჰუგო შუხარდტის დებულება: ბასკური ენათესავება ერთსა და იმავე დროს ქართველურ-კავკასიურს და ქამიტური მოდგმის ენებს). ოღონდ მარი უფრო ღრმა ნათესაობას აღიარებს ბასკურსა და კავკასიურ ენებს შორის. მისი ძიებებისათვის ამოსავალია ენათშერევის (შეჯვარედინების) დებულება, რაც წითელი ზოლივით გასდევს მის ბასკოლოგიურ-კავკასიოლოგიურ შტუდიებს. ბასკური, მარის აზრით, ჰიბრიდული ენაა, სპირანტულ-სიბილანტური, შიშინა ჯგუფის სიბილანტური სახეობისა, სწორედ ისეთი, როგორიცაა სვანური.

ნ. მარი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ბასკურის გენეზისური დაკავშირება ქართველურ-კავკასიურ ენებთან დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რადგან ბასკური ენა ისტორიული განვითარების შედეგად გადასხვაფერებულია და საგრძნობლად დაცილებული მის პირვანდელ აგებულებასთან.

ნ. მარის ყურადღება მიიპყრო რიცხვითი სახელების აგებულებამ, განსაკუთრებით საინტერესოა ბასკური რიცხვითი სახელები, — აღნიშნავს ავტორი, — თვლის საერთო სისტემა ბასკურში, ისევე როგორც კავკასიის იაფეტურ ენებში, ოცობითია და არა ათობითი.

ოციანი წლების დასასრულსა და ოცდაათიანი წლების დასაწყისიდან სხვა მეცნიერებიც ეხებოდნენ ბასკურ-კავკასიურ დებულებას. კავკასიური ენების ცნობილი სპეციალისტი, პროფ. ადოლფ დირი (მიუნხენის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ბოლონიის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი) თვლიდა, რომ კავკასიური ენები ბასკურთან, ეტრუსკულთან და წინააზიის გადაშენებულ ენებთან ერთად ენათა ერთ წრეს ქმნიან.

ბასკურისა და კავკასიური ენების ნათესაობის თაობაზე თავისი შეხედულებები აქვს გამოთქმული იოსებ კარსტს. ერთ-ერთ ნაშრომში „იბერიულის“ ქვეშ ნაგულისხმევია ესპანეთის იბერებისა და ბასკების ენა, „კავკასიურად“ ივარაუდება ქართველური და მთის კავკასიური ენები. ეს ენები მონათესავე ენებიაო.

ბასკურ-კავკასიური თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროფ. კარლ ბოუდამ. თავის ნაშრომში მან შემოგვთავაზა ეტიმოლოგიების დიდი რაოდენობა და დაიმკვიდრა გამოჩენილი ბასკოლოგის სახელი. ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა ბ ო უ დ ა მ მონათლა საკმაოდ მარჯვე ტერმინით „Euskaro — Caucasique“. ბოუდასეული 400 ლექსიკურ შედარებათაგან ზოგი შესაძლოა გავიზიაროთ, ზოგი დაშყარებულია სიტყვაში მხოლოდ ერთი ბგერის მსგავსებაზე (თუმცა სემანტიკური თანხვდენილობა უდავოა), ზოგიც სემანტიკურ ერთიანობას სავსებით გამორიცხავს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება დაახლოებანი, რომელთა ბასკური თუ ქართველურ-კავკასიური ძირი აშკარად ნასესხებია. ბოუდას ნააზრევის ნაკლი ისიც არის, რომ მკვლევარმა ძალიან გააფართოვა შესადარებელი ენების რკალი, — ეს კი დამაჯერებლობის ძალას უკარგავს მის ეტიმოლოგიურ ძიებებს (ბასკურის მონაცემები შედარებულია ქამიტური, ფინურ-უნგრული, პალეოაზიური, ავსტრონეზიული, ინდო-ჩინეთის, ტიბეტის, ქართველურ-კავკასიური და სხვ. ენის მასალასთან). ი. ჰუბშმიდი, რომელიც ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის მომხრეა, აღნიშნავს, რომ ბოუდას შეპირისპირებებში უფრო ეტიმოლოგიურ შესაძლებლობებს ვხედავთ, ვიდრე ეჭვმიუტანელ შედარებებს.

ბასკური ენისა და იბერიულ-კავკასიური ენების შედარებითი კვლევის დარგში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ფრანგ ბასკოლოგ-ქართველოლოგს (კავკასიოლოგს) პროფესორ რენე ლაფონს, რომელმაც მთელი ეტაპი შექმნა ბასკოლოგიის ისტორიაში, ბოლო დროს იგი ბასკური ენის კათედრას განაგებდა ბორდოს უნივერსიტეტში, რამდენჯერმე იმოგზაურა საქართველოში, არჩეული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.

„რ. ლაფონი პირველი სპეციალისტია, ერთდროულად გამოჩენილი ბასკოლოგი და ქართველოლოგი-კავკასიოლოგი“; „რ. ლაფონის ნაშრო-

მები მნიშვნელოვან გამოკვლევებად მიაჩნიათ თვით იმ სპეციალისტებს, რომლებიც სკეპტიკურად ეკიდებიან ბასკურისა და იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაურ ურთიერთობას"; „რ. ლაფონი, როგორც ლინგვისტი, კარგად იცნობს ქართული ენის რეალიებს. ამავე დროს მან პრაქტიკულად იცის ქართული ენა" (არნ. ჩიქობავა).

1966 წელს რ. ლაფონმა ლექციების ციკლი წაიკითხა ბასკური ენის შესახებ თბილისში — სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მეცნიერებათა აკადემიაში.

რ. ლაფონის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი ნაშრომები ბასკური ენის იბერიულ-კავკასიურ ენებთან ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის შესახებ. იგი იმთავითვე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ბასკური ენა და კავკასიური ენები დიდად საინტერესოა ენათა ტიპოლოგიური შესწავლისათვის, ენების დიალექტებად დანაწევრების საკითხისა და კონტაქტების გასარკვევად. გარდა ამისა, — განაგრძობს ავტორი, — მათ მჭიდროდ უკავშირდება ისტორიისა და პრეისტორიის მნიშვნელოვანი პრობლემები: ბასკური და კავკასიური ენების ნათესაობა, ბასკურისა და იბერიულის, კავკასიური ენებისა და წინა აზიის უძველესი ენების საკითხი.

ამასთანავე, ფრანგი მეცნიერი მწვავედ აყენებდა საკითხს ენის ისტორიის ფენების „ღრმად გათხრის" შესახებ და მიიჩნევდა, რომ ბასკურთან კავკასიური ენების დასაკავშირებლად აუცილებელი პირობაა დამუშავდეს ჩრდილოეთ-კავკასიური და სამხრეთ-კავკასიური ენების შედარებითი ფონეტიკა და შედარებითი მორფოლოგია.

ნაშრომში „ბასკური და კავკასიური ენათმეცნიერება" რ. ლაფონი აღიარებდა: „ენათა ერთადერთი ჯგუფი, რომელთანაც შედარებითი მეთოდის წესების გამოყენებით ბასკური ენის დაკავშირება ასე თუ ისე ხერხდება, კავკასიური ენებია".

ამასთანავე ლაფონი ლაპარაკობს იმ სიძნელეებზე, რომლებიც აფერხებს ბასკურ-კავკასიური პრობლემის გადაწყვეტას. მისი სიტყვით, „კავკასიური ენების მიმართ შედარებითი მეთოდის გამოყენებას გააძნელებს ის გარემოება, რომ კავკასიური ენების უმეტესობა მხოლოდ გასული საუკუნიდან არის ცნობილი, მხოლოდ ქართულში გვაქვს წერილობითი ძეგლები მეექვსე საუკუნიდან მოყოლებული. ამ ენებს განსხვავებული ფონოლოგიური სისტემები აქვთ. ისინი გაცილებით უფრო მდიდარია თანხმოვნებით, ვიდრე ბასკური..."

რენე ლაფონი მიუთითებს კავკასიური ენებისა და ბასკურის პარალელურ ნიშნებზე, რაც მეტად მნიშვნელოვანია ბასკურისა და ჩვენი ენების ურთიერთობის კვლევისათვის.

რ. ლაფონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მსგავსება ამ ენებს შორის ვერ აიხსნება შემთხვევითობით,

ვერც სესხებით; ისინი გენეზისური ურთიერთობის არსებობას გულისხმობენ. ბასკური, მომდინარე აკვიტანიურისა და ბასკონიურისაგან, და კავკასიური ენები ერთად ქმნიან ოჯახს, რომელსაც შეიძლება ეწოდოს უესკარო-კავკასიური („Euskaro-Caucasien").

რენე ლაფონი, ამასთანავე, ამბობდა: მე მჯერა, რომ შესატყვისობათა ასეთი ერთიანობა, ასეთი კავშირი ბასკურისა ქართველურ-კავკასიურ ენებთან მხოლოდ „ტრადიციით შეიძლება აიხსნას, მაგრამ ის, რაც თაობიდან თაობას გადაეცემოდა ეუსკარო-კავკასიური პერიოდიდან. არ წარმოადგენდა, როგორც ჩანს, ჩამოყალიბებულ მორფოლოგიურ სისტემას, და, ამასთანავე, ადგილი ჰქონდა გარკვეული ხასიათის შერევას (შეჯვარედინებას) განსხვავებულ ჯგუფებსა თუ ენობრივ კოლექტივებს შორის". ისიც აღსანიშნავია, რომ ლაფონის ფორმულირებით, „კავკასიური ოჯახის ცნებათა ჩამოყალიბება კვლევის დაგვირგვინებას კი არ წარმოადგენს, არამედ გვიბიძგებს ახალი გამოკვლევებისაკენ ამ ჰიპოთეზის გასარკვევად".

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა პოლონელი ბასკოლოგ-ქართველოლოგი პროფ. იან ბრაუნი, რომელსაც ეკუთვნის გონებამახვილური შედარებანი და პარალელები, განსაკუთრებით ბასკურ-ქართულის შედარებითი შესწავლის დარგში. იგი აღნიშნავს, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბასკური ენისა და იბერიულ-კავკასიური ენების ურთიერთობის საკითხი. ეს ენები ტიპოლოგიურად დიდ სიახლოვეს ავლენენ; ბასკური ენის გრამატიკული სტრუქტურის ყველა არსებითი თავისებურება შეიძლება დავადასტუროთ იბერიულ-კავკასიურ ენებშიც, განსაკუთრებით მათ სამხრეთულ-ქართველურ ენათა ჯგუფში. ბრაუნმა დაადგინა ბასკურ-ქართული ფონეტიკური შესატყვისობანი.

არიან მეცნიერები, რომლებიც სკეპტიკურად ეკიდებიან ბასკური და იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის პრობლემას. ისინი ფიქრობენ, რომ მსგავსება ბასკურისა მთელ რიგ კავკასიურ ენებთან — და არა რომელიმე ენასთან — სუსტია: დადასტურებული მსგავსებანი არ იძლევა მტკიცე საბუთს იმისათვის, რომ გენეზისური ნათესაობა დამტკიცებულად ჩაითვალოს მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე.

ასე, მაგალითად, დიდი ფრანგი ლინგვისტი, აკად. მეიე აღნიშნავდა, რომ ბასკური ენისა და კავკასიური ენების ერთობა შეიძლება, მართლაც, არსებობდა, მაგრამ იმდენად შორეულ წარსულშია სავარაუდებელი მათი საერთო ოჯახიდან მომდინარეობა (V—VI ათასწლეულში), რომ გენეზისური ნათესაობის გამოვლენა ძალიან ძნელიაო.

მეიე დასძენდა, რომ არ შენახულა უძველესი იბერიული ენის ძეგლები, არც კავკასიური ენების ისტორიული წყაროებია ჩვენს განკარგულებაში (გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ქართული ენა, რომლის სალიტერატურო ენას თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია აქვს), და ასეთ პირობებში თავდაპირველი, უხსოვარი დროის ენობრივი ნათესაობის დამტკიცება გადაულახავ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

როგორც ჩანს, ინდოევროპული ენათმეცნიერების დიდი ავტორიტეტი პრინციპულად არ გამორიცხავდა ბასკური ენისა და კავკასიური ენების ნათესაობის ვარაუდს, მაგრამ გენეზისური კავშირ-ურთიერთობის საკითხის პოზიტიური გადაწყვეტა თითქმის შეუძლებლად მიაჩნდა ქრონოლოგიური ასპექტითა და ძველი ენობრივი მასალის უქონლობით წარმოშობილი დაბრკოლებების გამო.

ბასკურ-კავკასიურ თეორიას ჯერ კიდევ დაუსაბუთებლად მიიჩნევს ბულგარელი ლინგვისტი ვ. გეორგიევი.

კრიტიკული დამოკიდებულება „Euskaro-Caucasique"-ისადმი უველაზე თანმიმდევრულად და, შეიძლება ითქვას, სრულად ჩამოყალიბებულია ცნობილი ნორვეგიელი ლინგვისტის პროფესორ ჰანს ფოგტის მიერ ნაშრომში „ბასკური და კავკასიური ენები", რომელიც ზემოთაც დავიმოწმეთ.

ჰანს ფოგტის დასკვნით, ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა შესაძლებლად რჩება.

ბასკური ენის სპეციალისტი ლ. მიჩელენა ერთ-ერთ თავის ნაშრომში ფართოდ მსჯელობს ბასკურ-კავკასიური თეორიის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ, ავტორის აღიარებით, ქართული და ბასკური ენების ბუნების სისტემა მსგავსებას ამჟღავნებს, ბასკურ-კავკასიურ ჰიპოთეზას დაბრკოლებები ეღობება. მიჩელენა იზიარებს ფოგტის ზოგიერთ დებულებას, კრიტიკულად განიხილავს ბასკურ-კავკასიურ ეტიმოლოგიებს და მოსაზრებებს ამ საგანზე.

თანამედროვე ქართველოლოგიაში ბასკური ენის დაკავშირება იბერიულ-კავკასიურ ენებთან დღეს აქტუალურ ამოცანად არის მიჩნეული.

იბერიულ-კავკასიური ენებისა და ბასკური ენის შედარებითი შესწავლის დღევანდელ დონეზე მომწიფებულია საკითხი ამ ენათა ღრმა კავშირ-ურთიერთობის შესახებ.

„უველაზე მეტი სიახლოვე ბასკურს მაინც იბერიულ-კავკასიურ ენებთან აქვს. ამას გრძნობდნენ: ფრ. მიულერი, ჰ. შუხარდტი, კ. ულენბეკი, ნ. მარი..., სხვადასხვა სტილისა და მეთოდის მკვლევარნი"; „კავკასიის გარეთ ბასკური ერთადერთი ცოცხალი ენაა იბერიულ-კავკასიური წრისა" (არნ. ჩიქობავა).

რა არის საერთო ბასკურსა და ქართველურ-კავკასიურ ენებს შორის?

ნაწევრის პოსტპოზიცია, ერგატიული ბრუნვა, ობიექტის აღნიშვნა ზმნაში, თვლის ოცობითი სისტემა...

„ცალ-ცალკე ასეთი მოვლენები შეიძლება რაგინდარა ენაში აღმოჩნდეს ...ნიშანთა კომპლექსი კი — სხვაა“; „ბასკურის შესწავლისას სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შეპირისპირებითი ანალიზი იბერიულ-კავკასიურ ენებთან დამოუკიდებლივ უნდა ჩატარდეს, რომ მორფემის, სიტყვის, სინტაგმის ახლანდელი მოდელები დადგინდეს... მხოლოდ ამ გზით შევიძლებთ იმის გარკვევას, რა ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობაა ბასკურსა და იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის“; ბასკური „მკვეთრად განსხვავდება ინდოევროპულ ენათაგან არსებითი მომენტების მიხედვით: სიტყვის (სახელის, განსაკუთრებით კი ზმნის) აგებულებისა და — ამის შესაბამისად — წინადადების სტრუქტურის მიხედვით. და აი, სწორედ ამ მომენტების მიხედვითაა, რომ შეინიშნება გასაოცარი დამთხვევა იბერიულ-კავკასიურ ენებთან. სწორედ ამ გარემოებამ მიიყვანა კავკასიური ენების შესწავლის საჭიროებამდე ცნობილი ინდოევროპეისტი, რომანული ენების უდიდესი სპეციალისტი ჰ. შუხარდტი... რით აიხსნება ამგვარი შეხვედრები ბასკურისა და იბერიულ- კავკასიური ენებისა; შემთხვევითია თუ არა ეს? საკითხი ისმის ენობრივი მონაცემების მიხედვით. ეს გვაიძულებს დავსვათ დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის პრობლემა — ძველი ხმელთაშუა ზღვის, აზიისა და კავკასიის ხალხთა და კულტურათა ურთიერთობის პრობლემა, რომელიც არაერთხელ დაუსვამს კიდეც საბჭოთა ენათმეცნიერებასაც და უცხოელ სპეციალისტებსაც. ხშირად სვამენ კითხვას — არის თუ არა ბასკური ქართულის მონათესავე? ცდილობენ, ეს ნათესაობა დაინახონ ამა თუ იმ სიტყვათა საგნობრივი მსგავსების მიხედვით. როცა ენები ახლო მონათესავენი არიან (მაგ., რუსული, უკრაინული, ბელორუსული), მაშინ ადვილად ხერხდება მონათესავე ენათა სიახლოვის ჩვენება მსგავსი სიტყვების, ლექსიკის დიდი მარაგის მიხედვით. ასეთი ენების ნათესაობა ერთი შეხედვითაც ნათელია. მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდია. ენათა ნათესაობის გამოსავლინებლად ჩვეულებრივ საჭიროა ენათა ისტორიის დიდ სიღრმეებზე „გათხრა“. ბასკურ-კავკასიური კავშირები მოითხოვენ სწორედ ამ ენათა ისტორიის ღრმა გათხრა-გაბურღვას: ასეთი მუშაობისათვის საჭიროა ბასკოლოგებისა და კავკასიოლოგების თანამშრომლობა, უფრო ზუსტად — ბასკოლოგ-კავკასიოლოგებისა და კავკასიოლოგ-ბასკოლოგების თანამშრომლობა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ასეთი მსოფლიო მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიული პრობლემების გარკვევა“ (აკადემიკოსი არნ. ჩიქობავა).

„ენის (ენათა) ისტორიული წარსულის გათვალისწინება დამოკიდებულია „მოწმეთა“ ჩვენებაზე: ინდოევროპულ ენათა ისტორიულ-შე-

დარებითი გრამატიკა და ლექსიკონი ვერ დაიჩემებს ისეთ სიზუსტეს და სისრულეს, რაც რომანულ ენათა ისტორიულ-შედარებით გრამატიკას (და ლექსიკონს) ახასიათებს: ნესიტურ-ხეთური ენის მასალამ, ამ „ახალი მოწმის“ ჩვენებამ ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში მანამდე მიღებული შედეგების გადასინჯვა მოითხოვა (ზმნისა და სახელის მორფოლოგიის რიგი საკითხი, „კენტუმ“ და „სატემ“ ენათა გავრცელების არეალების საკითხი...).

ინდოევროპულ ენათაგან რომ მხოლოდ ირლანდიური (კელტური), პოლონური (სლავური) და სომხური შემოგვრჩენოდა, არათუ ინდოევროპულ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის შედგენა გაჭირდებოდა, არამედ თვით ამ (ინდოევროპულ) ენათა ნათესაობის საკითხიც დამაჯერებელი ვერ იქნებოდა. ანალოგიურ სიძნელეს ვხვდებით ბასკურ-კავკასიურ (ეუსკარო-კავკასიურ) ენათა წარსულის კვლევისას. კავკასიის მიწა-წყალზე შემოგვენახა იბერიულ-კავკასიურ (პალეოკავკასიურ) ენათა დიდი ჯგუფი (32 ენა). ახლანდელი ვითარების ანალიზი ცხადყოფს, რა ცვლილებებიც განუცდიათ ამ ენებს...

შორეულ წარსულში იბერიულ-კავკასიურ ენათა რიცხვი გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო (უდიური, ბუდუხური, ხინალუღური, კრიწული, ამჟამად კუნძულებადღა არის შემორჩენილი აზერბაიჯანის სსრ მიწა-წყალზე. აფხაზურ-ადიღეური ჯგუფის ენები ახლა ოთხ ერთეულს ითვლის; მეტი უნდა ყოფილიყო. ეგევე ითქმის ნახური და ქართველური ენების შესახებაც).

ბასკური ენაც იმთავითვე მარტოხელა არ ყოფილა.

ეს ნიშნავს: ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიება დიდ სირთულეთა წინაშე დგას იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლისას. განუზომლად უფრო რთულია ბასკურისა და იბერიულ-კავკასიური წარსულის კვლევა და მათი ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის ძიება.

ჩვენ არ გვითქვამს წინათ და არც ახლა ვამბობთ: ბასკურის ნათესაობა იბერიულ-კავკასიურ ენებთან დამტკიცებულიაო. არც იმას ვამბობთ, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოთხივე ჯგუფის ისტორია მთლიანად და სავსებით აღდგენილი გვაქვს. ჩატარებული კვლევა ერთ რასმე მოწმობს: წარსულში იბერიულ-კავკასიურ ენებს მეტი სიახლოვე ახასიათებდა, ვიდრე ახლა ვხედავთ. ზედაპირზე სხვაობა ჩანს, სიღრმისეულ ფენებში სხვაობა მცირდება, საერთო (ერთობა) მატულობს: საერთო — ძველია, განსხვავებული — ახალი.

ბასკური ენის „შინაფორმის“ ისეთი თვისებები, როგორიცაა ზმნის სუბიექტურ-ობიექტური უღვლილება და ბრუნებადი ერგატივი, სხვა რომ არაფერი იყოს, კავკასიის ენობრივი სინამდვილისაკენ წარმართავს მკვლევრის ყურადღებას...

ერთი წარმოშობის ენები შეიძლება დროთა ვითარებაში იმდენად დაშორდეს ერთმანეთს, რომ საერთო აღარაფერი დარჩეს, ანდა ეს საერთო ისე გადასხვაფერდეს, რომ მისი მიკვლევა შეუძლებელი აღმოჩნდეს.

მაგრამ თუ ეს საერთო ჩანს და ეს საერთო სპეციფიკურ მოვლენებს ეხება, სპეციალისტის ვალია, ამას სათანადო ყურადღებით მოეკიდოს და მისი რაობა და წარმომავლობა შეისწავლოს. ძნელი შეუძლებელს არ ნიშნავს. ძნელი საკითხი არასოდეს გადაწყდება, თუ ის არ დაისვა, თუ ის კვლევის საგანი არ გახდა.

ყოველი მეცნიერება ჰიპოთეზით იწყება, ჰიპოთეზა კვლევა-ძიებას მოითხოვს. ჰიპოთეზა გამართლებულია, თუ ამ კვლევა-ძიებამ მეცნიერული ცოდნის წინსვლა განსაზღვრა, ის გაარკვია, რასაც მანამდე მეცნიერული აზრი ვერ ხედავდა, თუ ახალი პერსპექტივები დასახა".

მოტანილ ვრცელ ციტატაში კარგად არის მოხაზული ბასკურ-კავკასიური პრობლემის მეთოდოლოგიური საზღვრები და ამ მსოფლიო მნიშვნელობის ლინგვისტური ჰიპოთეზის მეცნიერული საფუძვლიანობა.

არც დიდი ოპტიმიზმია საჭირო და არც პესიმიზმს უნდა დავემორჩილოთ. ბასკურ-კავკასიურ ჰიპოთეზას არსებობის უფლება აქვს, მით უმეტეს, იგი ოცი საუკუნის ტრადიციით არის შემაგრებული!


ბასკურ-კავკასიური თეორიის მკვიდრ ნიადაგზე დაფუძნებისათვის საჭიროა დამუშავდეს შედარებითი ფონეტიკა და შედარებითი მორფოლოგია ჩრდილო-კავკასიურ, სამხრულ-კავკასიურ, მერე ერთობლივ კავკასიურ ენათა". (რენე ლაფონი).

როდესაც იბერიულ-კავკასიური ენების ოთხივე ჯგუფი ღრმად იქნება გამოკვლეული, მაშინ შეგვეძლება მათი ისტორიული სახე დავინახოთ და ბასკურის ასეთსავე ძველ ვითარებას შევუდაროთ.

ბასკურისა და ქართველურ-კავკასიური ენების გენეზისური მიმართების საკითხს „საფუძვლიანი განხილვა და დამტკიცება სჭირდება" (ივანე ჯავახიშვილი).

ახლა ჩვენ გავეცნოთ „ქართველური ენების": საკუთრივ ქართულის (რომელსაც სხვანაირად „ქართების ენას" ვუწოდებთ), მეგრულ-ჭანურისა და სვანურის ისტორიულ ურთიერთობას და უძველეს სახეს.

ოცდაათიან წლებში ცნობილმა ლინგვისტმა გ. დეეტერსმა მოგვცა ქართველურ ენათა გენეალოგიის ასეთი სქემა:



სქემიდან ჩანს, რომ თანამედროვე საკუთრივ ქართული (ნ. მარის მიერ დამკვიდრებული ტერმინოლოგიით — „ქართების“ ენა), მეგრულ--ლაზური და სვანური მომდინარეობენ ერთი საერთო წინაპარი ენისაგან, ოთხივე ლინგვისტური წევრი ამ ჯგუფისა (უფრო ზუსტად: სამი წევრი, რადგან ჭანური და მეგრული ერთმანეთის მიმართ მსხვილი დიალექტებია და ისინი, როგორც ზემოთ იქვა, „ზანურის“ ანდა „კოლხურის“ სახელით არის დღეს ცნობილი) ოდესღაც დიალექტურ ურთიერთობაში იყვნენ, შემდეგ მომხდარა მათი გადაზრდა ენებში. მიუხედავად ამისა, ამ „ქართველური ენების“ ერთობა სრულიად უდავოა.

ეს სქემა გულისხმობს, რომ საერთოქართველური ფუძეენის დაყოფა დამოუკიდებელ ენებად განხორციელდა ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე ფუძეენა გაიყო სვანურად და ქართულ-ზანურად. ე. ი. ერთი მხრივ, მივიღეთ სვანური და, მეორე მხრივ, ქართულ-მეგრულ-ჭანური (ერთად). მეორე ეტაპზე ქართულ-ზანური საერთო ენის დიფერენციაციის შედეგად ორი ერთეული — ქართული და ზანური ჩამოყალიბდა.

დეეტერსის კონცეფციას იზიარებს პროფ. კ. შმიდტი თავის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“. (1962, ვისბადენი).

პროფ. გ. კლიმოვი, რომელმაც 1964 წელს მოსკოვში გამოსცა ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, დაასკვნის, ლექსიკის შესწავლა ადასტურებს დეეტერსის სქემის სისწორესო.

აკად. თ. გემყრელიძისა და გ. მაჭავარიანის სიტყვით, თუ მორფოლოგიურ და ლექსიკურ კრიტერიუმებს დავემყარებით, უნდა დავასკვნათ, რომ გ. დეეტერსის სქემა უფრო ადეკვატურად ასახავს ობიექ-

ტურად არსებულ მიმართებებს ისტორიულ ქართველურ ენებს შორის.

სანამ გავეცნობოდეთ საკითხს, თუ როგორად ესახებათ მკვლევრებს ქართველურ ენათა დიფერენციაციის ქრონოლოგიური ჩარჩოები, საჭიროა განვიხილოთ ამ ენათა ისტორიული ურთიერთობის შესახებ არსებული განსხვავებული ასპექტები.

ასეთი თვალსაზრისი ჩამოაყალიბა არნ. ჩიქობავამ ჯერ კიდევ 1948 წელს ნაშრომში, რომელიც შეეხება ქართველურ ენათა ისტორიულ შედგენილობას და ძველ ლინგვისტურ ბუნებას.

თუ სპეციალურ ლიტერატურაში ქართველურ ენათათვის ამოსავლად ჩვეულებრივ მიაჩნიათ „პრექართველური ენა“, ერთგვარი დაუნაწევრებელი სუბსტრატი, არნ. ჩიქობავა ფიქრობს, რომ ქართველური ენებისათვის ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ ძველი ქართული ენა. რომელია ეს ძველი ქართული ენა, როგორია მისი ლინგვისტური პროფილი, როგორი იყო მისი დიალექტობრივი შემადგენლობა? ეს უნდა ამოვიკითხოთ ძველი სამწერლობო ქართული ენისა და თანამედროვე დიალექტების ჩვენებებში.

ხოლო ძველი ქართული სამწერლობო ენა კი, როგორც ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურიდან (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა), რთული შემადგენლობისაა, იგი არ არის მონოლითური. მორფოლოგიაშიც და ფონეტიკაშიც დარღვეულია სხვადასხვაგვარი ნორმები. გამოწვლილვითი ანალიზით (მიკროანალიზით) შეგვიძლია გამოვამჟღავნოთ სინონიმები, რომლებიც სხვადასხვა დიალექტური (ლინგვისტური) ფენებიდან მომდინარეობს.

ძველი ქართული სამწერლობო ენის ამ სხვადასხვა ფენის ანალიზის საფუძველზე არნ. ჩიქობავა ასკვნის, რომ ზანური (მეგრულ-ჭანური) ენა მომდინარეობს ერთ-ერთი დიალექტიდან, რომელიც ძველი ქართული სალიტერატურო ენის შემადგენლობას გამოეყო. როგორც ჩანს, ეს იბერიული ჯგუფის დიალექტია. ამდენად, ავტორის აზრით, უნდა მოიხსნას საკითხი ქართველურ ენათა წრეში ზანური დამოუკიდებელი ლინგვისტური საწყისის შესახებ. ზანური ძველი ქართული (ან ძველიბერიული) საწყისის ერთ-ერთი დიალექტის ტრანსფორმაციადაა მიჩნეული.

რაც შეეხება, სვანურს, არნ. ჩიქობავა იზიარებს ნ. მარის თეზისს მისი ნარევობის შესახებ. საკითხი შეეხება მხოლოდ იმას, თუ როგორია სვანური ენის შექმნაში მონაწილე კომპონენტები, როდის და რა თანმიმდევრობით ხდებოდა მათი შემოჭრა იმ ენაში, რომელიც სვანურის სახელწოდებითაა ცნობილი. რამდენადაც საკითხი ქართველურ ენათა უძველეს შემადგენლობაში მყოფ დამოუკიდებელ ლინგვისტურ წევრებს ეხება, სვანური ენა მხედველობაში ვერ მიიღება. იგი რთული

ისტორიული პროცესის — ზანურის, ძველი ქართული ენის ერთ-ერთი დიალექტისა და ადიღეური ენის შეჯვარების წარმონაქმანია.

ამგვარად, არნ. ჩიქობავას კონცეფციით ყურადღების ცენტრში ძველი ქართული ენაა. ავტორი შორსაა იმ აზრისაგან, რომ ზანური ან სვანური ძველი ქართული სამწერლობო ენის დიფერენციაციის შედეგს წარმოადგენდეს. მისი დიფერენციაცია მოხდა ჯერ კიდევ მანამ, სანამ ძველი ქართული ენა ისეთ სახეს მიიღებდა, რომელიც ჩვენთვის ქართული ენის უძველესი წერილობითი ძეგლებიდანაა ცნობილი. და თუ ამ თეორიის ავტორი ძველ ქართულს მიმართავს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მასში გარკვეული ფენების თუ გადმონაშთების სახით წარმოდგენილია ის დიალექტური (ენობრივი) ერთეულები, რომელთაგანაც განშტოვდნენ ზანური ენა და სვანური ენის ერთი ძირითადი ფენა.

რ ო დ ი ს უ ნ დ ა მ ო მ ხ დ ა რ ი ყ ო უ ძ ვ ე ლ ე ს ი ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ი ს (ამ ცნების ფართო მნიშვნელობით) შ ი ნ ა გ ა ნ ი დ ი ფ ე რ ე ნ ც ი ა ც ი ა, ც ა ლ კ ე უ ლ ე რ თ ე უ ლ ე ბ ა დ დ ა შ ლ ა?

სანამ ამ კითხვაზე ვუპასუხებდეთ, საჭიროა ითქვას, რომ უკანასკნელი ხანის ძიებებმა ახლებურად გააშუქეს ქართველურ ენათა ისტორიული ურთიერთობის საკითხი და მოგვცეს სრულიად ორიგინალური გადაწყვეტა ამ ენათა რეკონსტრუქციისა ფონოლოგიური და მორფოლოგიური შესწავლის პლანში. აქ იგულისხმება აბლაუტისა და სონანტების შესახებ თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ნაშრომი, რომელშიც შესწავლილია საერთოქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია.

შესაძლებელია თუ არა გავიგოთ, როდის მოხდა ქართველური ენების დიფერენციაცია, ე. ი. როდის გამოეყო საერთოქართულს სვანური და მეგრულ-ჭანური ერთეულები?

ბერძენმა ავტორებმა, სამწუხაროდ, არ დაგვიტოვეს რაიმე ცნობები, რომლებიც მიგვახვედრებდნენ და გაგვაგებინებდნენ ქართველური ენების ურთიერთობის ამსახველ ამბებს. არც სხვა ძველ წყაროებშია პირდაპირი მითითება ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ. რაკი პირდაპირი საბუთი არ გაგვაჩნია, მეცნიერებამ უნდა მიმართოს სხვა საშუალებებს, რათა აღადგინოს ძველი ეტაპები ქართული ენის განვითარებისა.

ამ საგანზე ძალიან საყურადღებო დაკვირვებებია გამოთქმული ქართველურ ენათმეცნიერებაში.

ნორვეგიელი მეცნიერი ჰანს ფოგტი აღნიშნავს, რომ ქართული სამწერლობო ენა უკვე ფაქტია V საუკუნეში. ამ ეპოქაში ჩვენ ვხვდებით ძველ სომხურ ტექსტებსაც. ამ დროს უკვე ქართული ენა თავისი დამახასიათებელი ნიშნებით განსხვავდებოდა ზანური და სვანური ენებისაგან. ამასთანავე, განაგრძობს ფოგტი, ძველი სომხური ენა თავის პირველსავე ტექსტებში შეიცავს მრავალ სესხებას ქართველური ენე-

ბისაგან, რომლებსაც უკვე ამ დროისათვის ჰქონდათ ერთმანეთისაგან ფონეტიკური განსხვავებანი, რაც დღესაც ახასიათებს ამ ენებს. საილუსტრაციოდ მეცნიერი ასახელებს ბუზის სომხურ სახელწოდებას — „ჭანჯ“, რომელიც მომდინარეობს ამავე ცნების აღმნიშვნელი მეგრული სიტყვისაგან „ჭანჩ“ (რომ ეს სიტყვა სომხურში ნასესხებია მეგრული ფორმით, ეს ადრე ცხადყო ნ. მარმა). ეს ფორმა თავის მხრივ ზუსტი შესატყვისია ქართული სიტყვისა „მწერი“. მეგრული ფორმა მეორეულია, პირველადია — ქართული. ესაა კიდევ ერთი უტყუარი საბუთი იმისა, რომ V საუკუნეში (ჩვ. წ.) ქართულ-მეგრულის დიფერენციაცია უკვე ფაქტია.

ამრიგად, V საუკუნე ეს არის ქართველური ენების დაყოფის terminus ante quem non.

მაგრამ ჩვენ უნდა შევიჭრათ ისტორიის სიღრმეში და მივწვდეთ უფრო ძველ ეპოქებს, როდესაც ჩაისახა „უძველესი ქართული ენის“ ცალკეულ ლინგვისტურ ერთეულებად დაშლის პროცესები!

იგივე ცნობილი ნორვეგიელი ქართველოლოგი ყურადღებას აქცევს შემდეგ გარემოებას.

დასავლეთ საქართველოში არსებულ ერთ-ერთ ქალაქს „ფოთ“-ს ძველი ბერძნები უწოდებდნენ „ფაზის“-ს; VIII—VII საუკუნეებში იგი ბერძენთა ახალშენი იყო. „ფაზისი“ არაა ბერძნული წარმოშობის სიტყვა, იგი ადგილობრივი სახელწოდების გადაკეთებაა „ფაზის“ მოდის სახელისაგან „ფათი“ (Patis). რატომაა ამოსავალი „ფათი“ და არა „ფოთი“? იმიტომ, რომ კანონი — ქართული „ა“-ს გადასვლა მეგრულ „ო“-ში (დღევანდელი ნორმის მიხედვით, ქართულ „ა“-ს ფონეტიკურად შეესატყვისება მეგრულში „ო“), მაშინ ჯერ კიდევ არ ყოფილა ძალაში. მაშასადამე, ქართული და მეგრული არ იყვნენ დიფერენცირებული ჯერ კიდევ VIII საუკუნეში (ძვ. წ.), ეს დიფერენციაცია შემდეგ უნდა მომხდარიყო.

ამ ჰიპოთეზას იზიარებენ პროფესორები კ. შმიდტი და გ. კლიმოვი.

აკად. ჯანაშიამ შენიშნა, რომ სომხურ წყაროებში მოცემული ფორმის „ფოჯთ || ფუჯთ“ (pojt, pujt) შესაძლებელ პროტოტიპად „ფოსთ“ უნდა ვიგულისხმოთ, რაც თავის მხრივ ბერძნული სახელის ფუძესთან „ფასიდ“ (pasid) მსგავსებას აჩენსო.

გ. მელიქიშვილი ფიქრობს, რომ ბერძნული ფორმა მომდინარეობს სვანური ფენიდან, რაც იმის მომასწავებელია, რომ VIII—VI საუკუნეებში, ბერძნული ახალშენის გაჩენის დროს იმ ტერიტორიაზე სვანური მოსახლეობა ყოფილა.

ქართველური ენების დიფერენციაციის ქრონოლოგიის დასადგენად მკვლევრებმა გამოიყენეს ლექსიკურ-სტატისტიკური (ე. წ. გლოტოქრონოლოგიური) მეთოდი.

გ. კლიმოვის მიერ ჩატარებული გამოთვლა ქართველურ ენათა დიფერენციაციის აბსოლუტური ქრონოლოგიისა (100-სიტყვიანი საცდელი სიის მიხედვით) ასეთ შედეგს იძლევა: II ათასწლეულის (ძვ. წ.) შემდეგ უნდა დაწყებულიყო სვანურის გამოყოფა საერთო ქართული ფუძეენიდან; ქართულ-ზანურის დიფერენციაცია კი VIII საუკუნეს განეკუთვნება.

ამავე მეთოდით ჩაატარეს გამოთვლა 200-სიტყვიანი სიის მიხედვით თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა. მიღებულია სხვაგვარი აბსოლუტური თარიღები: სვანურის გამოყოფა თარიღდება დაახლოებით X საუკუნით (ძვ. წ.), ქართულ-ზანურის დიფერენციაცია — ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნით.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით გლოტოქრონოლოგიის მეთოდი საერთოდ სრულყოფილი არ არის, მაგრამ მაინც საინტერესოა ქართველურ დიალექტთა დიფერენციაციის რელატიური ქრონოლოგიის თვალსაზრისით ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩატარებული, ლექსიკურ-სტატისტიკური ანალიზის შედეგები: ორსავე შემთხვევაში ვიღებთ ერთსა და იმავე ქრონოლოგიურ მანძილს სვანურის, როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ერთეულის, ჩამოყალიბებასა და ქართულ-ზანური ერთიანობის დიფერენციაციას შორის: ორივე გამოთვლის მიხედვით, სვანურის საერთოქართველურისაგან გამოყოფა დაახლოებით ერთი ათასწლეულით წინ უსწრებს ქართულ-ზანური ერთიანობის დაშლას.

ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი იმის თაობაზე, რომ უმთავრესად ეთნონიმიკის მონაცემების საფუძველზე გ. მელიქიშვილს დასაშვებად მიაჩნია, რომ ქართველურ ეთნიკურ ჯგუფს ძვ. წ. III—II ათასწლეულთა მიჯნაზე მაინც უკვე უნდა ჰქონოდა საკუთარი სახე: უკვე ამ დროს უნდა არსებულიყო ქართველურ ენათა ფუძეენა, რომლის წიაღში მხოლოდ დიალექტური მასშტაბის განსხვავებანი თუ იყო ჩასახული. იგივე მეცნიერი იზიარებს აზრს მეგრულ-ჭანურის (ზანურის) ერთობის დაშლის თარიღის (VIII ს. ძვ. წ.) შესახებ.

რა მოგვცა ქართველურ ენათა წინაპარი საერთოქართული ენის რეკონსტრუქციის ცდებმა, როგორია მისი პროფილი? ცხადია, ჩვენი მსჯელობა ამ მიმართულებით მიახლოებითი და ზოგადი ხასიათისაა.

ეტიმოლოგიურმა ძიებებმა შემდეგი სურათი მოგვცეს:

საერთოქართველურ ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები, კოსმოსური ტერმინოლოგია და ბუნებრივ მოვლენათა სახელწოდებები, ადამიანისა და პირუტყვების სხეულის აღმნიშვნელი სიტყვები, გარეული და შინაური ცხოველების, ფრინველთა, ხეებისა და მცენარეების სახელები. აქვე შემოდის სხვადასხვა მოქმედებისა და მდგომარეობის, თვისებების აღმნიშვნელი სიტყვები,

„რძე“, „ყველი“, „მარილი“ და სხვ. აღსანიშნავია აგრეთვე ათამდე თვლის ტერმინოლოგია, აგრეთვე „ასი“, ნაცვალსახელები („მე“, „შენ“, „ეს“ და სხვ.).

ამ კატეგორიის სიტყვები უნდა არსებულიყო იმ უძველეს ქართულ ენაში, რომელიც წინ უსწრებდა დღევანდელ საკუთრივ ქართულს, მეგრულ-ჭანურსა და სვანურს. ეს დასკვნები მიღებულია კლიმოვის და შმიდტის შედარებითი ლექსიკონის მიხედვით ცალკეული ეტიმოლოგიური დაკვირვებების შედეგად.

უძველესი საერთოქართველური ლექსიკური ფონდის ანალიზის საფუძველზე კეთდება მნიშვნელოვანი ისტორიული ხასიათის დასკვნები; ქართველთა უძველესი ადგილსამყოფელის პრობლემის გარკვევისათვის ამგვარი ძიებებით მოპოვებულ მასალას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. ასე, მაგალითად, საერთოქართველურ დონეზე ივარაუდება მცენარეულის სახელები: „ანწლი“, „პანტა“, „გვიმრა“, „ვაშლი“, „ვერხვი“, „მარწყვი“, „მსხალი“, „ზღმარტლი“; „სოკო“, „ცაცხვი“, „წიფელი“, „წყავი“ და სხვ. ასევე გამოვლენილია უძველესი ქართული სახელწოდებები „არჩვის“, „დათვის“, „კვერნის“, „თხის“, „ვაცის“, „ორბის“, „მელიის“ და სხვ.

ასეთი ფლორა და ფაუნა კარგად ეგუება კავკასიის მიწა-წყალს, უფრო მეტად მის მთიან ზოლს. ამიტომაც ამ დროისათვის მაინც ქართველური ჯგუფის ადგილსამყოფელი თამამად შეიძლება კავკასიისავე მიწა-წყალზე ვივარაუდოთ, ამბობს გ. მელიქიშვილი. ზოგიერთი საერთოქართველური ტერმინის მიხედვით („ზვავი“ ან „მარწყვი“) უძველეს ქართველთა ადგილსამყოფელს კავკასიონის მთავარი ქედის ზონაშიც კი ვარაუდობენ (გ. კლიმოვი). ტერმინოლოგიური ანალიზით შეიმჩნევა ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში მიწათმოქმედების სწრაფი დაწინაურება, მეევნახეობისა და მეცხენეობის განვითარება, მესაქონლეობაში წვრილფეხა საქონლის ხვედრითი წონის მკვეთრი ზრდა, და სხვ.

უკანასკნელ ხანებში ქართველური ენების დიფერენციაციის საკითხი უფრო დაზუსტდა და შეივსო ახალი მონაცემებით. მხედველობაში გვაქვს თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ერთობლივ ნაშრომში გაშლილი მსჯელობა ამ საგანზე.

ქართველური ფუძეენის ენა-კავებად (საკუთრივ ქართულ, ანუ ქართების ენად, მეგრულ-ლაზურ და სვანურ მეტყველებად) დაშლის პროცესები ქრონოლოგიური თვალსაზრისით — ბოლოდროინდელი ძიების საფუძველზე — შემდეგნაირად წარმოიდგინება.

საერთოქართველური (სამხრეთ-კავკასიური) ფუძეენა თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის IV—III ათასწლეულით. გამოდის, რომ ქარ-

თეელური ეთნოსის ისტორიას შეიძლება თვალი მივადევნოთ დღეიდან 6000 წლის ფარგლებში. ეს მოწმობს ჩვენი ერის დიდ ხნოვანებას.

საერთოქართველური ენის ლოკალიზაცია არქაული ლექსიკური და ტოპონომიკური მონაცემების მიხედვით ივარაუდება მცირე კავკასიის (ამიერკავკასიის მთიანეთი) დასავლურ და ცენტრალურ ნაწილში.

ქართველური მიგრაციების პირველ ტალღას, მიმართულს დასავლეთისაკენ და ჩრდილო-დასავლეთისაკენ, კოლხეთის დაბლობისაკენ, უნდა გამოეწვია საერთოქართველურიდან ძვ. წ. III ათასწლეულში ერთ-ერთი დასავლური დიალექტის გამოყოფა და დასაბამი მიეცა სვანურის წარმოქმნისათვის, რომელიც გავრცელებული იყო დასავლეთ ამიერკავკასიაში. სვანურმა თანდათანობით გადაინაცვლა ჩრდილოეთისაკენ, დიდი კავკასიის ქედისაკენ, ეს გეოგრაფიული ტალღა უნდა გაჩენილიყო ცხრა საუკუნით გვიან (გლოტოქრონოლოგიური მონაცემების მიხედვით) და მიეღწია შავი ზღვის სანაპიროებთან. საერთოქართველურიდან გამოიყო დასავლური დიალექტიც, რომელიც შემდგომ გახდა „კოლხური“, „ზანური“ — მეგრულ-ლაზური, ერთი ენა ძველი კოლხიდისა.

საერთოქართველური ენის დიალექტები დასავლურ მცირე კავკასიაში — ქართველურ ტომთა უძველეს კერაში — საფუძვლად დაედო საკუთრივ ქართულ ენას, რომლის მატარებლები უკვე ახალ ხანაში, ისტორიულ ეპოქაში გავრცელდნენ დასავლეთის მიმართულებით და შეერწყნენ კოლხურად მოუბარ ტომს გარკვეულ ტერიტორიაზე, რამაც გამოიწვია კოლხურის ორ დამოუკიდებელ დიალექტად დაყოფა. იგულისხმება მეგრულ-ლაზური (ჭანური) ენობრივი ერთეულები.

ქართული ენის კონტაქტები მსოფლიოს ენებთან

როგორც ვიცით, უხსოვარი დროიდან მოყოლებული, ქართველ ხალხს ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული მსოფლიოს მრავალ ხალხთან თუ ეთნიკურ ჯგუფთან. ეს კონტაქტები შეპირობებული იყო გეოგრაფიული მეზობლობით ანდა კულტურულ-ეკონომიკური თანამშრომლობით.

ეთნოკულტურული კონტაქტები მკვეთრად არის აღბეჭდილი ქართული ენის სტრუქტურაში და განსაკუთრებით ლექსიკაში. უცხოური ენობრივი ფენების გამოვლენა აშუქებს ქართველების ისტორიული განვითარების გზას და მათ სოციალურ ურთიერთობებს სხვადასხვა წარმოშობის ეთნოსებთან.

ამასთანავე, ქართულ ენასაც თავისი წვლილი შეუტანია სხვა ენათა ისტორიულ განვითარებაში.

„ქართული ენა სხვა კულტურულ ენებთან უთანასწორო ბრძოლაში ხშირად გამოდიოდა გამარჯვებული და ამით მტკიცე საფუძველს უქმნიდა ქართველი ხალხის დამოუკიდებელი სახის შენარჩუნებას“ (ნ. მარი).

ქართულ ენაში შემოსული უცხოური ლექსიკური ელემენტების ბგერობრივი მოდიფიკაცია საინტერესოა და ანგარიშგასაწევი არა მარტოდენ ქართული ენის ფონოლოგიური სისტემის შესასწავლად! არაიშვიათად ქართულ ენას დაუცავს მსესხებელი ენისათვის საგულისხმო უძველესი ფორმები, რაც თავისთავად უაღრესად მნიშვნელოვანია მეცნიერებისათვის.

ქართულ ენაში დალექილია უწინარესად მცირე აზიის გადაშენებული ცივილიზებული ენების ლექსიკური ელემენტები. ისინი მკვლევრების მთელი რიგის მიერ ახსნილია გენეზისური ურთიერთობის პლანში. ჩვენ კი აქ გვაინტერესებს ქართული ენის შეხვედრები განსხვავებული სისტემის ენებთან, რაც შედეგია ხალხთაშორისი კონტაქტებისა.

ქართულ ენაში (და, საერთოდ, ქართველურ ენებში) გამოიყოფა მნიშვნელოვანი ფენა, რომელიც საოცარ პარალელებს პოულობს — როგორც სტრუქტურაში, ისე ლექსიკაში — იმ ენასთან, საიდანაც წარმოიქმნა თანამედროვე ინდოევროპული ენები, და ეს მძლავრი ენობრივი პლასტი შეთვისებული უნდა იყოს ქართველურ ენათა დიფერენციაციის წინა ეპოქაში.

ამ სიტყვათა დიდი სიძველე იმაზე მიუთითებს, რომ ისინი არ არიან ნასესხები „ისტორიულ ეპოქაში“ იმ ინდოევროპელი ხალხების ენებიდან, რომლებიც მეზობლობდნენ ქართველებს. გამოკვლეული ტერმინების ხასიათი (მესაქონლეობისა და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ტერმინები, ადამიანის სხეულის ნაწილების და სხვა მნიშვნელოვანი ცნებების აღმნიშვნელი სახელწოდებები, რიცხვითი სახელები, ზმნები...) გვარწმუნებს, რომ ეს სიტყვები განეკუთვნებიან ქართული ენის უძველეს ლექსიკურ ფონდს. ამავე დროს, მათ კანონზომიერი შესატყვისები გაუჩენიათ ქართველურ ენებში. სწორედ ამიტომაა საფიქრებელი, რომ ამ კატეგორიის სიტყვები შეთვისებულია ქართულში ენობრივი დიფერენციაციის ადრეულ ეპოქაში.

პრობლემის ისტორია ასეთია:

ჯერ კიდევ ლინგვისტიკური მეცნიერების ფუძემდებელი ფრანც ბოპი მიუთითებდა ქართულ-ინდოევროპულ პარალელებზე (თუმცა ამ შეხვედრებს განიხილავდა გენეზისური ნათესაობის ჭრილში), ხოლო შემდგომ გერჰარდ დეეტერსს ქართველური ენები, პრეფიქს-სუფიქსური წარმოებით, ნარევი ტიპის ენებად მიაჩნდა და აღიარებდა, რომ ა

არის შერწყმა „კავკასიური“ და ძველი ინდოევროპული ენების ფენებისო. მისივე მტკიცებით, ქართული ენა ინდოევროპულ ენებთან სიახლოვეს ამჟღავნებს ბრუნების ფლექსიურ ტიპში, მთელ რიგ ზმნურ ფორმებში და სინტაქსში. გერმანელი ლინგვისტის კონცეფციით, ქართველებს ოდესღაც ინდოევროპული მასის ენობრივი ასიმილაცია მოუხდენიათ. აქ იგი იშველიებს ისტორიულ ამბებს: VIII—VI საუკუნეებში (ძვ. წ.) ამიერკავკასიაში რომ შემოიჭრნენ ინდოევროპელი სკვითები და კიმერიელები, — ეს იმდროინდელი ამბავიაო. აქვე უნდა გავიხსენოთ აკად. გ. მელიქიშვილის თვალსაზრისი: კიმერიელები თრაკიული წარმოშობის ტომები უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო მათ ერთ დროს მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშათ საქართველოს მოსახლეობის ისტორიაში; ისინი მცირე აზიისკენ კოლხეთის ველით გაიჭრნენ, შემდეგ კოლხეთის მეზობლად დაიდეს ბინა. არაა გამორიცხული, რომ ზოგი კიმერიელი ტომი საქართველოს მიწა-წყალზე დამკვიდრდა.

ქართული ენისა და ინდოევროპული ენების ურთიერთშეხების, ისტორიული კონტაქტების პრობლემა სრულიად ახლებურად და მთელი სიღრმით დაისვა ბოლო ხანის მეცნიერულ ძიებებში.

ამ თვალსაზრისით, ფუძემდებლური დასკვნებია მიღებული აკად. თ. გამყრელიძისა და პროფ. ვ. ივანოვის კაპიტალურ ნაშრომში „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ (1984), სადაც ლინგვისტიკური საკითხების კვლევა ჩატარებულია ინდოევროპულ დიალექტებზე მეტყველ ტომთა ეთნოგენეზის პრობლემათა ფართო ტიპოლოგიურ ფონზე და, ამასთანავე, გათვალისწინებულია მათი კულტურულ-ისტორიული ურთიერთობანი ევრაზიის კონტინენტზე მომიჯნავე რეგიონებში მოსახლე სხვა ტომებთან და ხალხებთან. აქ ინდოევროპული წინარეენის არეალური კონტაქტები სემიტურ და ქართველურ ენებთან გამოვლენილია ლექსიკურ ნასესხობათა ფართო მასალაზე, რაც კარგად თავსდება სემიტური და ქართველური პრეენების სისტემათა ქრონოლოგიური და არეალური განაწილების ჩარჩოებში. ეს შეხვედრები სამი ენობრივი სამყაროსი (ინდოევროპელების, სემიტების, ქართველების შორეული წინაპრებისა) უნდა მომხდარიყო არა უადრეს IV ათასწლეულისა (ძვ. წელთაღრიცხვით) მახლობელი აღმოსავლეთის გარკვეულ არეალზე. საერთოქართველური ენა (ქართველურ ენათა ფუძეენა) არქაული ლექსიკური და ტოპონიმიკური მონაცემების მიხედვით გავრცელებული ჩანს მცირე კავკასიის (ამიერკავკასიის ზეგანი) დასავლურ და ცენტრალურ რეგიონში.

გამყრელიძე-ივანოვის მონოგრაფიაში დაახლოებით დაზუსტდა ის არეალი, სადაც ინდოევროპელთა წინაპრები ცხოვრობდნენ. ამას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმისათვის, რათა ენათმეცნიერული ძიებანი სრულიად სხვა მიმართულებით წარმართულიყო, ვიდრე ეს

ტრადიციულად იყო მიღებული. კერძოდ, წარმოებული კვლევა ზემოხსენებულ მეცნიერთ საფუძველს აძლევდა დაესკვნათ, რომ ინდოევროპელთა წინარე სამშობლო უნდა ყოფილიყო წინა აზია, სახელდობრ, ცენტრალური მესოპოტამიის ჩრდილოეთსა და ამიერკავკასიის სამხრეთს შორის მოთავსებული ტერიტორია. ეს ის გეოგრაფიული კოორდინატებია, სადაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV—III ათასწლეულის მანძილზე ერთმანეთთან ურთიერთობა ჰქონდათ ინდოევროპელებს, ქართველებსა და სემიტებს. ამ ურთიერთობის შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სრულიად განსხვავებულ ენობრივ ოჯახებს ეკუთვნიან, მრავალი სიტყვა ერთი ენიდან მეორეში გადადიოდა და პირუკუ. ასე რომ, ხშირად ძნელი დასადგენია, თუ რომელი ენის კუთვნილებაა ესა თუ ის სიტყვა. გარდა ამისა, გაჩნდა მსგავსი ენობრივი ნიშნებიც. გავეცნოთ უფრო მიახლოებით გამყრელიძე-ივანოვის კონცეფციას.

რა ივულისხმება სახელწოდებებში „ინდოევროპელები“, „ქართველები“, „სემიტები?“ რომელ ეთნიკურ ერთიანობებთან გვაქვს საქმე?

აქ იგულისხმება არა სხვადასხვა ინდოევროპული, ქართველური და სემიტური ტომები საზოგადოდ, არამედ მათი პრეისტორიული, არქაული წინაპრები: პროტოინდოევროპული და პროტოსემიტური ხალხები, რომლებიც შესაბამისად ინდოევროპულ, ქართველურ და სემიტურ ფუძეენებზე (პროტოენებზე) მეტყველებდნენ, ეს ის ფუძეენებია, რომლებმაც დასაბამი მისცეს ისტორიულად დადასტურებულ ინდოევროპულ, ქართველურ და სემიტურ ენებს.

ცხადი გახდა, რომ სამივე ფუძეენისათვის (პროტოინდოევროპულისათვის, პროტოქართულისათვის, პროტოსემიტურისათვის) დამახასიათებელია ენობრივ სტრუქტურათა განსაცვიფრებელი მსგავსება. მეზობლად მყოფი ენები ხანგრძლივი ურთიერობის შედეგად (იმისდა მიუხედავად, ისინი მონათესავე ენები არიან თუ არა) წარმოქმნიან ენობრივ კავშირებს.

სწორედ ენობრივი კავშირის არსებობით აიხსნება, უწინარესად, ქართველური, ინდოევროპული და სემიტური ფუძეენების თანხმოვანთა სისტემების უაღრესად დიდი მსგავსება, და ეს მსგავსება აღმოჩნდა, როდესაც გადაისინჯა ინდოევროპული ფუძეენის თანხმოვანთა ტრადიციული სისტემა. ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში აქამომდის არსებული კონსონანტური რიგი შეივსო იმ ტიპის თანხმოვნებით, როგორიც დღევანდელ ქართულში გვაქვს და როგორც ეს საერთოქართველურისათვის არის სავარაუდო ისტორიულ წარსულში.

ამრიგად, ზემოხსენებულ ვრცელ ნაშრომში მიღებულია დასკვნა, რომ ახლო აღმოსავლეთის უძველესი ხალხების (შუმერების და სხვ.)

მეზობლად ძველი წელთაღრიცხვის IV—III ათასწლეულის წინააზიაში ერთმანეთის სიახლოვეს ცხოვრობდნენ ისეთი პრეისტორიული ხალხები, რომლებიც III ათასწლეულიდან მოყოლებული ისტორიულად ცნობილ ინდოევროპელებად, ქართველებად და სემიტებად ჩამოყალიბდნენ.

ამ გარემოებას არსებითი მნიშვნელობა აქვს შემდეგი თვალსაზრისით: თუ აქამდის მიგვაჩნია, რომ ქართველური და, საერთოდ, სხვადასხვა დარგის ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისათვის აუცილებელია ინდოევროპული ენათმეცნიერების მონაცემების გათვალისწინება, ამიერიდან შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ინდოევროპული ენათმეცნიერების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის აუცილებელია ქართველური ენათმეცნიერების მონაცემთა გათვალისწინებაც. ეს კი დიდად მნიშვნელოვანი თეზისია.

ასეთია გამყრელიძე-ივანოვის კონცეფციის მნიშვნელობა, კერძოდ, ქართული ენის პრობლემატიკისათვის.

გავეცნოთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც წინარე ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ენ ა შ ი შემოსულია წ ი ნ ა რ ე ი ნ დ ო ე ვ რ ო პ უ ლ ი ენიდან უძველეს ხანაში (ე. ი. ექვსი ათასი წლის წინ), — იმ დროს, როდესაც თანამედროვე ქართველებისა და თანამედროვე ევროპელების წორეული წინაპრები ერთმანეთს ემეზობლებოდნენ და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული, რაზედაც აშკარად მიგვანიშნებს სიტყვათა ნასესხობის ფარგლები და ამ სიტყვათა შედგენილობა.

დავიმოწმოთ თანამედროვე ქართულ ენაში გავრცელებული ლექსიკური ერთეულები, რომელთაც ძირეული პარალელები ეძებნება დღევანდელი ევროპული ენების წინაპარ ენებში. აი ზოგიერთი მაგალითი.

უღელი, ეშვი, მატლი, თხა, თიხა, ღორი, დენა, გონი, სისხლი, მკერდი, ქმარი, ბერვა, კრეფა, ექვსი, ოთხი, კბენა, კბილი, ბრგე, თბილი და სხვა. (აქ არ მოგვყავს ის ინდოევროპული სიტყვები, რომლებიც ამოსავალია ქართული ფორმებისათვის).

ცალკე გამოიყოფა ისეთი სიტყვები, რომლებიც ამჟღავნებენ ძირეულ მსგავსებას წინარე ინდოევროპული ენის ც ა ლ კ ე უ ლ დიალექტებთან. ესენია: **რკო, კუდი, ძუკნა, ბოსელი, კვერნა, რქა** და სხვ.

გარდა ამისა, შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე ათეული ქართული სიტყვა, რომელსაც მეცნიერები უკავშირებენ უ კ ვ ე დ ი ფ ე რ ე ნ ც ი რ ე ბ უ ლ ინდოევროპულ ენებს. სავარაუდოა, ამგვარი ლექსიკური ერთეულები სხვადასხვა დროსაა ქართულში შეთვისებული (ბოპი, გლეიე, ჯანაშვილი, მარი, პოლაკი, გეორგიევი, ფოგტი, კლიმოვი, ლაფონი, ჰიზანი, ტრომბეტი, ბოუდა, კლუგე, შანიძე, ჩიქობავა, მელიქიშვილი, გამყრელიძე და სხვ. სხვადასხვა ავტორის მოსაზრებები და დასკვნები შეჯამებულია გ. მელიქიშვილის წიგნში: „საქარ-

თველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის“, 1965, აქვე წარმოდგენილია ავტორის საკუთარი დაკვირვებების შედეგებიც).

ეს სიტყვებია:

თიკანი (ციკანი), ბუდე, კატა, ირემი, ურემი, ბოჩოლა, ყორანი, კრაზანა, კაკაბი, პური, ქერი, ფიჭვი, გორა, მთა, ველი, ვაკე, ზღვა, ქვიშა, შლამი, ფუძე, ერი, რიგი, დღე, ბეჭედი, ლასლასი, დიდი, პირველი, ხვეტა და სხვ.

ამ სიტყვებსაც ეძებნება მსგავსება ინდოევროპულ ენებში და აქაც თავს შევიკავებთ ვაჩვენოთ მათი ფარდი ფორმები ინდოევროპულ ენებში (ეს დაამძიმებდა ჩვენს თხრობას).

ასევე ნასესხებად არის მიჩნეული ქართული სიტყვა ქართა (გ. მელიქიშვილი).

ეს სიტყვა არსებობს მეგრულში, იმერულში, გურულში და აღნიშნავს ბაკს, მოღობილ ადგილს საქონლის დასამწყვდევად. გ. მელიქიშვილი ფიქრობს: შესაძლებელია, ამ ტერმინთან კავშირშია აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მხარის **ქართ(ლ)**-ის სახელი (აქედანაა, შემდეგ მიღებული **ქართველი, საქართველო**), რადგანაც ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, „ქართლი“ ქვეყნის სახელად იქცა ამ ქვეყნის დედაქალაქის სახელის მიხედვით. „ქართლი“ ერქვა დღევანდელი ბაგინეთის მთაზე (ზაჰესის წყალსაცავის პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე) აშენებულ ციხე-ქალაქს, ქართლის მეფეთა უძველეს რეზიდენციას („არმაზციხე“ — ანტიკური წყაროების „არმოძიკა“). ზოგიერთ ენაში ეს სიტყვა ნიშნავს „შემოზღუდულ ადგილს, ზღუდეს“. ფართოდ არის იგი წარმოდგენილი აგრეთვე მნიშვნელობით „ციხე-ქალაქი, გამაგრებული ადგილი“. აქვე უნდა მოვიხსენიოთ მოსაზრება ქართულ-ზანური ტერმინის („ციხე“ — „ჯიხა“) სიახლოვის შესახებ ფონეტიკურად შესაბამის ტერმინთან, რაც „ალიზით კედლის აგებას“ აღნიშნავს.

ახლა გადავიდეთ შედარებით ახალ ხანაზე.

ჯერ კიდევ ადრე შეამჩნიეს, რომ ბერძნულ ენაში გამოიყოფა ფენა, რომელიც არ აიხსნება ინდოევროპული ენების საფუძველზე, მაშასადამე, ეს დანალექი უნდა განეკუთვნებოდეს ხმელთაშუაზღვის უძველეს მკვიდრთა ენობრივ სამყაროს. 1896 წელს სახელმოხვეჭილი მეცნიერი კრეჩმერი ამბობდა, რომ წინაბერძნული მოსახლეობის გარკვევა ენობრივ მასალებს თუ შეუძლიათო. „თუ ჩვენ წინ ენობრივი გადმოცემა არ გვიძევს, თავის ქალები ვერ გვეტყვიან, თუ რა ენაზე ლაპარაკობდნენ ოდესღაც მათი მატარებლებიო“, გონებამახვილურად შენიშნავდა იგი და ასკვნიდა, რომ მცირე აზიის უძველესი

მოსახლეობა, ფრიგიელების გამოკლებით, არც ინდოევროპულია და არც სემიტური.

ასეთივე აზრი სხვებმაც გამოთქვეს.

წინაბერძნული ეგეოსური ენების აღმოცნობის გზები მიემართება პალეოკავკასიური ენებისაკენ, კერძოდ — ქართველური ენების სამყაროსაკენ.

ლინგვისტიკური მეცნიერების დიდი ავტორიტეტი ა. მეიე სრულიად გარკვევით მიუთითებდა, რომ ყველაზე საიმედო გზა წინაბერძნული მოსახლეობის ენის გასაცნობად მცირე აზიის ენებისა და კავკასიური ენების შესწავლაა. ეს საშუალებას მოგვცემს ძველი ბერძნული ენის ლექსიკაში ავხსნათ ის, რისი ახსნაც ინდოევროპელ ენათა გარემოში შეუძლებელი ჩანს, უპირველესად საჭიროა ნათესაობის დადგენა კავკასიური ენების შიგნით, კერძოდ, სამხრეთ-კავკასიურ (ქართველურ) და ჩრდილო-კავკასიურ ენათა შორის.

ცნობილი ბულგარელი ლინგვისტი ვ. გეორგიევი აღნიშნავს, რომ საბოლოოდ უნდა გაირკვეს ჩრდილოეთ კავკასიის ენებისა და ქართველური ენების ნათესაობა; საჭიროა შევისწავლოთ წინააზიის ენები (ხეთური, ჰურიტული და სხვ.) იმის გათვალისწინებით, რომ ისინი შესაძლოა ენათესავებოდნენ კავკასიურ ენებს; ამ პრობლემის გარკვევას შეუძლია ცხადი გახადოს ეგეოსურ-მცირე აზიისა და წინააზიის ენათა ტომებისა და ხალხთა გენეზისი.

უდავო ჩანს, რომ ბერძნულმა ენამ შეითვისა წინაბერძნული ენობრივი სამყაროს ელემენტები. ეს ელემენტები მან (ბერძნულმა) გარდაქმნა თავისი შინაგანი კანონების თანახმად.

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ზემოთ დასახელებულ გამოკვლევაში ასახულია პროტოინდოევროპული ენის შემდგომი, ახალი პერიოდი, როდესაც ფუძეენა დაიშალა ცალკეულ ერთეულებად და დაიწყო ძველ ინდოევროპელ ტომთა განსახლება. ამ ჭრილში ჩვენთვის საინტერესოა ბერძენთა მიგრაციის საკითხი, რადგანაც მას კავშირი აქვს ქართულ ისტორიულ სინამდვილესთან. მონოგრაფიაში აღნიშნულია, რომ არგონავტების შესახებ მითის შედარებით ადრინდელ შრეებში შესაძლებელია ასახული იყოს სწორედ ბერძნულ-ენოვან ტომთა გადასახლება მცირე აზიასა და ამიერკავკასიის საზღვრებთან მდებარე რაიონებში, სადაც ისინი ქართულ-ქართველურ ტომებს ხვდებოდნენ და მათთან ურთიერთობას ამყარებდნენ. ამ მიგრაციების ლინგვისტურ ანარეკლად შეიძლება მივიჩნიოთ ძველქართულ ნასესხობათა ლექსიკური ფენა ძველ ბერძნულში. თ. გამყრელიძის სიტყვით, უეჭველად საინტერესოა, რომ „საწმისის“ ძველბერძნული სახელწოდების უძველესი ფორმა „კოვ“ (ბერძნული „კოას“) დასავლურქართული წარმომავლობისა უნდა ყოფილიყო („ტყოვ“-,

„ტკოვ“-) და ქართულ სიტყვას „ტყავ“-ს უნდა ეთანაბრებოდეს. ამიტომ სავარაუდოა, რომ კოლხეთში მოსულ ბერძნებს დახვდათ ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ე ნ ო ვ ა ნ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა, რომელიც ერთ-ერთ დასავლურ ქართველურ დიალექტზე მეტყველებდა. ისიც ანგარიშგასაწევია, — განაგრძობს მკვლევარი, — რომ ამ უძველეს ბერძნულ მითში დაცული საკულტო წარმოდგენები „საწმისის“ შესახებ (რომელსაც კიდებდნენ წმინდა ხეზე), შემონახულია დასავლურქართველურ კულტურულ სამყაროში, კერძოდ, სვანურ დღესასწაულებში.

ამრიგად, ბერძნები განსახლდნენ მცირე აზიის დასავლეთით, საიდანაც ეგეოსის ზღვის კუნძულებზე და სამხრეთ საბერძნეთში შეაღწიეს.

ქართველურ ტომებს რომ უძველეს დროს შეხვედრის წერტილები ჰქონდათ ეგეოსის კულტურის მატარებელ ხალხთან, ეს აშკარავდება ენობრივ მასალაში.

კრეტა-მიკენის კულტურამ (ძვ. წ. III—II ათასწლ.) — გავრცელებულმა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლურ ნაწილში (კონტინენტური საბერძნეთი, ეგეოსის ზღვის კუნძულები...) ჩამოყალიბებული სახე ბრინჯაოს ხანაში მიიღო და განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. აქ შუა ბრინჯაოს ხანაზე გადასვლა მნიშვნელოვანი ცვლილებებით აღინიშნა, რასაც მინოსური კულტურის დინამიზაცია მოჰყვა: კრეტა მთელი ეგეიდის კულტურული და პოლიტიკური ცენტრი გახდა. გვიანდელი ბრინჯაოს ხანაში კრეტის კულტურამ თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. შემდეგ, ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარში, ამ კულტურას მჭიდრო კავშირი ჰქონდა გვიანდელ ელადურ კულტურასთან. განვითარებული ყოფილა დამწერლობა: ძვ. წ. II ათასწლეულში კრეტაზე იხმარებოდა იეროგლიფურ-პიქტოგრაფიული დამწერლობა.

მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ამ რეგიონის მოსახლეობის ძირითადი კომპონენტი იყო ანატოლიური წარმომავლობის არაინდოევროპული ტომები.

სპეციალისტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ მათ შორის ნათესაობა შეიძლება დავადასტუროთ, მეორენი ვარაუდობენ, რომ ჯერჯერობით გამოვლენილი მასალის საფუძველზე შეუძლებელია ვილაპარაკოთ რაღაც მედიტერანული ენობრივი ნათესაობის შესახებ, ძნელია რაიმე ვთქვათ ცალკეულ ენათა ნათესაობაზე თვით კავკასიური, ეგეოსური, ანატოლიური და დასავლეთმედიტერანული ენების ფარგლებშიც კი. „შესაბამისად, მათთვის, ვინც პირველ თვალსაზრისს იზიარებს, ამ ენათა შორის შეხვედრის ყოველი ახალი ფაქტი უძველესი ნათესაობის დამატებითი საბუთია, ხოლო მათთვის, ვინც ამის წინააღმდეგია, ყველაზე აშკარა პარალელებიც კი ენათა შორის შემთხვევითი დამთხვევების ფარგლებს არ სცილდება“. პროფ. რ. გორდეზიანი ამბობს, რომ კვლევის თანამედროვე დონეზე შეუძლებელია საკითხის სწორხაზობ-

რივად გადაჭრა. „კავკასიის ურთიერთობა ხმელთაშუა ზღვის უძველეს კულტურებთან ეს რაღაც ერთიანი, გარკვეული ქრონოლოგიური ჩარჩოებით შემოფარგლული მოვლენა კი არ არის, არამედ ერთობ ხანგრძლივი, მრავალმხრივი და მრავალშრიანი პროცესი, რომელიც ათასწლეულებს მოიცავს“.

რ. გორდეზიანი განაგრძობს: ხმელთაშუა ზღვის აუზში, ყოველი შემთხვევისათვის ნეოლითიდან მოყოლებული მაინც, მომდინარეობს სხვადასხვა ხალხთა ინტენსიური გადასახლებების, ცალკეულ კულტურათა, ტომთა, ეთნიკურ ჯგუფთა აღმოცენებისა თუ დაღუპვის პროცესები. როგორც არქეოლოგიური გათხრები გვიჩვენებს, კავკასია უშუალოდ მონაწილეობდა ამ პროცესებში. სწორედ ამიტომ ჩვენ კავკასიურ-შუმერული, კავკასიურ-ანატოლიური, კავკასიურ-ეგეოსური, კავკასიურ-ბასკური ენობრივი შეხვედრების ანალიზი მხოლოდ და მხოლოდ ამ ენათა შორის გენეზისური ნათესაობის დამტკიცებისა თუ უარყოფის მიზნით არ გვეჩვენება გამართლებულად. არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამ შეხვედრათა საფუძველზე თვალი გავადევნოთ უძველეს ხალხთა მოძრაობის გზებს, დავადგინოთ მათი ურთიერთშეხების შესაძლებელი რაიონები, განვსაზღვროთ ცალკეული კულტურის ფორმირების კანონზომიერებანი, გამოვავლინოთ კომპონენტები, რომლებიც ამა თუ იმ ენის, ეთნოსის ჩამოყალიბებაში მონაწილეობენ.

პრობლემათა ამ წრეში ჩვენ გვაინტერესებს წ ი ნ ა ბ ე რ ძ ნ უ ლ ი და ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ი ტ ო მ ე ბ ი ს უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ი. როგორც ცნობილია, უკვე ძველი ბერძნები ერთხმად აღიარებდნენ, რომ ეგეიდაში საკუთრივ ელინურ ტომთა აღმავლობამდე წამყვანი ადგილი ეკავათ ე. წ. წ ი ნ ა ბ ე რ ძ ნ ულ ტომებს. მათ შორის ასახელებენ პელასგებს, ლელეგებს, კარიელებს, ეტეოკრეტელებს და სხვათ.

ბერძნული ცნობების მიხედვით, უკვე ძვ. წ. II ათასწლეულში კავკასიასა და ეგეიდას შორის არსებობდა საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა, რამაც ასახვა მითოლოგიაშიც პოვა. „თუ ანტიკურ მონაცემებს დავუჯერებთ, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ქართველურ და წინაბერძნულ ტომთა შორის არსებულ ნათესაობაზეც კი ვილაპარაკოთ. საკმაოდ დიდხანს მიაჩნდათ, რომ, თუკი მართლაც შეიძლება რაიმე მიმართება არსებობდეს წინაბერძნულსა და ქართველურს შორის, იგი უნდა ადიოდეს სავარაუდო უძველეს მედიტერანულ ერთიანობამდე“.

ამ მიმართებების გამოსავლინებლად როგორც ქართულ, ისე რუსულ და ევროპულ მეცნიერებაში ბევრი გაკეთდა ათეული წლების განმავლობაში.

ქართველურსა და წინაბერძნულ ენებს შორის მიმართებები, რ. გორდეზიანის თვალსაზრისით, სამ ძირითად ქრონოლოგიურ დონე-

ზე ნაწილდება: უძველესი მიმართებები, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთ მცირე აზიიდან ხალხთა მიგრაციებთან არის დაკავშირებული, მიმართებები, რომლებიც ძვ. წ. III—II ათასწლეულთა მიჯნაზე ქართველურ ტომთა ევეიდაში მიგრაციამ და ამის შედეგად აქ ე. წ. ქართველური კომპონენტის გაჩენამ გამოიწვია, და მიმართებები, დაკავშირებული ეგეიდიდან წინაბერძნულ ტომთა ერთი ნაწილის გადმოსახლებასთან კავკასიაში ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულისათვის. ისიც ივარაუდება (გორდეზიანი) რომ წინაბერძნულში, წინაიტალიკურში და ბასკურში აშკარად გამოიყოს საკუთრივ ქართველური შრე, რომლის გაჩენა სწორედ ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისის ქართველური მიგრაციებით უნდა იყოს გამოწვეული.

ცნობილი მეცნიერი ფურნეე შრომაში „წინაბერძნულ-ქართველური“ (1979) მიდის იმ დასკვნამდე, რომ ე. წ. წინაბერძნულ ენობრივ მასალაში უძველეს ეგეოსურ ფენასთან ერთად უნდა გამოიყოს უკვე საკუთრივ ქართველური ენობრივი ფენა, რომლის გაჩენა ქართველურ ტომთა ეგეიდაში მიგრაციით უნდა აიხსნას (ავტორი რამდენჯერმე იმოწმებს რ. გორდეზიანის მიერ 1975 წელს გამოქვეყნებულ შრომას).

ფურნეე განიხილავს ასზე მეტ წინაბერძნულ-ქართველურ ლექსიკურ შეპირისპირებას. 1980 წელს რ. გორდეზიანი აჩვენებდა, რომ იმავე ტიპის შრე გამოიყოფა ეტრუსკულშიც, თუმცა ამ მასალაში საკმაოდ ძლიერია ე. წ. ჰურიტულ-ურარტულ-ნახური კომპონენტიც. ქართველ მეცნიერს საკმაო მასალა დაუგროვდა იმისათვის, რომ უფრო გარკვეული დასკვნები წარმოედგინა წინაბერძნულისა და ქართველური ენების ურთიერთობების, ეგეიდაში ქართველური კომპონენტის, ხოლო კავკასიაში ეგეოსური ხასიათისა და ინტენსივობის თაობაზე. ისიც არის აღნიშნული, რომ მეცნიერთა მიერ გამოვლენილი მედიტერანულ-კავკასიური შეხვედრების უმეტესობა რამდენიმე ქრონოლოგიურ დონესთან არის დაკავშირებული და ძირითადად უნდა აიხსნას ხალხთა იმ მიგრაციების ნაკადებით, რომელთაც ადგილი უნდა ჰქონოდათ ნეოლითში, ადრე, შუა და გვიან ბრინჯაოს ხანებში.

რ. გორდეზიანს არ მიაჩნია დასაშვებად, რომ გამოვლენილი ენობრივი შეხვედრები პროტობერძნების აღმოსავლეთიდან მიგრაციით ავხსნათ. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს თვით ქართველ ტომთა ერთი ნაწილის განსახლებასთან ეგეიდასა და აქედან — ხმელთაშუა ზღვის სხვა რეგიონებში. ამ განსახლების შედეგად ეგეიდაში, აქ ბევრად უფრო ადრე დამკვიდრებული ე. წ. ეგეოსური ტომებისა და, შესაძლოა, თვით პროტობერძნული და სხვა ინდოევროპული ტომების გვერდით ჩამოყალიბდა საკუთრივ ქართველური კომპონენტი წინაბერძნული სუბსტრატისა.

ბერძნულ ენაში მოიპოვება უცნობი ეტიმოლოგიის სიტყვები ძალზე დიდი რაოდენობით და სწორედ ისინი პოულობენ პარალელებს ქართველურ ენებში, რაც ადასტურებს უძველეს ხანაში ბერძენი და ქართველი ტომების უმჭიდროეს კავშირ-ურთიერთობებს (გორდეზიანი, ფურნეე). ასე, მაგალითად, ფურნეეს თავის წიგნში „წინაბერძნულ-ქართველური“, რომელიც დაიბეჭდა გერმანულ ენაზე 1979 წელს, მოცემული აქვს 100-ზე მეტი ლექსიკური ნასესხობა ქართველურიდან უძველეს ბერძნულში. რ. გორდეზიანს ფუძემდებლურ მონოგრაფიაში შეჯამებულია როგორც საკუთარი, ისე სხვა ავტორების მიღწევები ამ დარგში.

ფურნეეს ნაშრომში მოხმობილი დიდძალი მასალიდან ზოგი სადავოა და დამაჯერებლობას მოკლებული, მაგრამ უაღრესად ფასეულია მთელი რიგი პარალელები, როგორც ეს შენიშნულია ლიტერატურაში (გორდეზიანი, გამყრელიძე, ივანოვი).

მივუთითებთ ზოგიერთ მათგანზე (ვასახელებთ იმ ქართულ სიტყვებს, რომელთაც უძველეს ბერძნულში ეძებნებათ ეკვივალენტები. არ ვიმოწმებთ სხვა ქართველური ენების მასალას. აქ უადგილოა ბერძნული ვარიანტების ჩვენებაც). ეს სიტყვებია:

ოსპი, კნდური, მსხალი, ჭორი, ძერა, ყანა, ბერწი, ცხელი, ცხარე, მხარი, იდაყვი, უბე, მსხვილი, მძაფრი, ძილი, კულული, ბეწლ(ება), ყვარ(ება), გოდ(ება) და სხვ.

მრავალრიცხოვანი ქართველური სიტყვის დამკვიდრებას ბერძნულში ასეთი ინტერპრეტაცია ეძებნება: საფიქრებელია, ბერძნულმა ქართველური სიტყვები ისესხა ბერძნული და ქართველურენოვანი ტომების შეხვედრის პირობებში მახლობელი აღმოსავლეთის გარკვეულ რეგიონებში იმ ეპოქაში, როდესაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადგილი ჰქონდა ბერძნების მიგრაციას წინარეისტორიული სამშობლოდან დასავლეთის მიმართულებით თავისი საცხოვრისის ისტორიულ ადგილებში. მეორე მხრივ, ზოგიერთი ზემომოყვანილი სიტყვისათვის უნდა იქნეს გათვალისწინებული ქართველურ-ბერძნულის შეხვედრების წინაისტორიული დონე (თ. გამყრელიძე-ვ. ივანოვი).

სწორედ ეს ისტორიული კონტაქტები ქართველური ტომების ბერძნულენოვან ტომებთან მიგრაციის პერიოდში, როგორც ზემოთ ითქვა, უნდა იყოს ასახული ცნობილ ბერძნულ თქმულებაში არგონავტების შესახებ. ბერძნების მოსვლა კი კოლხიდაში ძვ. წ. II ათასწლ. ივარაუდება (პროფ. ოთარ ლორთქიფანიძე). აქ ბერძენ ტომებს შეეძლოთ შეხვედროდნენ დასავლურ ქართველურ ტომებს და ეწოდებინათ ამ მხარისათვის „არგ(ო)“. ეს სახელი კი შეიძლება დავუკავშიროთ სატო-

შო სახელს: „მ-არგ-ალ-ი“ (მეგრელი), ე. ი. ქვეყანა „არგ“-ის. შეადარე: „ეგრ-ის-ი“: დასავლეთ საქართველოს სახელწოდება (ს. ჯიქია).

როგორც ზემოთ ითქვა, ამ ხანებს განეკუთვნება სწორედ ბერძნულში შესვლა (სათანადო ბგერობრივი ტრანსფორმაციებით) ძირეულად ქართველური სიტყვისა ტყავი (ქართ. ტყავი, მეგრ.-ლაზ. ტყებ-ი).

ყურადღებას გავამახვილებთ ერთ სიტყვაზე, რომელიც, ზოგიერთის აზრით, ქართული წარმოშობის უნდა იყოს, და დადასტურებულია ბერძნულ ენაში.

ჰომეროსის „ოდისეაში“ გვხვდება სიტყვა „მოლი“ (კოლხთა წინამძღოლის — აიეტის დის კირკეს სამფლობელოში, კუნძულ აიაიზე არსებული ბალახის სახელია). სხვა ბერძნულ წყაროებში ეგ სიტყვა არ გვხვდება. „ოდისეას“ მიხედვით, მისი სახელწოდება ღმერთების ენაში არსებული სიტყვაა. მისი ზუსტი მნიშვნელობა არ იცოდნენ თვით ბერძნებმა მოგვიანო ხანაშიც. სიტყვის ეტიმოლოგია დაუდგენელია. გამოთქმულია ვარაუდი, რომ არსებობდა საერთოქართველური ფუძე **ბალ** (შეადარე: ქართ. **ბალახი,** სვან. **ბალე,** ფოთოლი), რომელიც ქართველურისათვის დამახასიათებელი ბგერათმონაცვლეობით აწარმოებდა მთელ რიგ სიტყვებს (ბალა, ბალაბულა, მოლოქი და სხვ.). ამიტომ დასაშვებია **მოლ** — სიტყვის ქართველური წარმომავლობა. ეს ძირი გავრცელებულია ტოპონიმიკაშიც: **მოლითი** — ბორჯომისა და ორჯონიკიძის რაიონებში (რ. გორდეზიანი).

ეს ძველი სიტყვა ქართულში დღემდის იხმარება და ნიშნავს ახლად ამოსულ და წმინდა ბალახს.

ჰომეროსთან იგულისხმება გრძნეული ბალახი.

მოლი ჯადოსნური მცენარე და წამალია, რომელსაც იყენებდნენ მოგვები საგრძნეულო საქმეებში თილისმებისა და სხვა ჯადოსნური ზემოქმედების საწინააღმდეგოდ, გრძნეულობის გამაბათილებელ საშუალებად. ჰომეროსის ცნობით, ამ მცენარეს აქვს შავი ფესვები და თეთრი (რძისფერი) ყვავილი. ადამიანებს მისი ამოგლეჯა მიწიდან ღმერთების გარეშე არ შეუძლიათ. მას ისეთი მაგიური ძალა აქვს, რომ ძლიერი შხამის მოქმედებასაც კი აბათილებს. ოდისევსი ცირცეს გრძნეულებას სწორედ ამ მოლის საშუალებით გადაურჩა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, სადაც მოლი სწორედ ამგვარ კონტექსტში არის ნახმარი:

„ფატმან მისცნა დაწერილნი მას გრძნეულსა ხელოვანსა,
„ესე წიგნი მიართვიო ქალსა, მზისა დასაგვანსა“.
მან გრძეულმან მოლი რამე წარმოისვა ზედა ტანსა“.

მოლი გვხვდება ჯადოსნური წამლის მნიშვნელობით შავთელის „აბდულ-მესიანშიც“.

აი სათანადო ადგილიც პოემიდან:

„ანდიბან მოგვთა გრძნებითა მბოგვმან
მისნობით ჴელ-ყო ზაკვით ზღაპრობა;
ეშმაკს ევედრა, სული შეჰვედრა,
მით ექმნა სრულად მათთან საგრობა.
თქუენგან ქურუმთა მყის აქ ურუმთა
ო ლ ი თ ა ცუდ-ყვეს ბომონთ მოთხრობა,
ძეგლად სჯულისად მართლ-მსაჯულისად
დავით გიწოდა თვისად მკვიდრობად“ (79).

შავთელის ცნობით, **მოლი** ყოფილა ბომონების ძალის გამაუქმებელი საშუალება, ე. ი. ისეთი ჯადოსნური წამალი, რომელსაც შეუძლია გააბათილოს კერპების მაგიური ზემოქმედება ადამიანზე.

მოლი, როგორც სამკურნალო საშუალება, დამოწმებულია „შაჰნამეს“ ქართულ თარგმანშიც.

რ. გორდეზიანის გამოკვლევა გვარწმუნებს, რომ გეოგრაფიულ სახელწოდებათა წარმოების ეგეოსურ ტიპს ამკარა პარალელი მოეპოვება ქართველურ ტოპონიმიკაში. შეხვედრა არ განისაზღვრება მხოლოდ გარეგნული მსგავსებით, იგი აფიქსთა ფუნქციის სრულ იდენტურობაშიაც ვლინდება. მაგალითად, ეგეოსური კუთვნილების სუფიქსი, რომელიც ეგეოსური ენობრივი არეალის ფარგლებში ძირითადად სამი სახით გვხვდება, სრულ შესაბამისობას გვიჩვენებს ქართველურ ტოპონიმიკაში გამოყენებულ სუფიქსებთან.

პარალელებს მრავლად ავლენს ეგეოსურ-ქართველურ ტოპონიმთა ფუძეების შეპირისპირებაც.

პარალელები ჩანს სიტყვაწარმოების სხვა შემთხვევებშიც, მაგალითად, ეგეოსური წარმომავლობის აღმნიშვნელი სუფიქსი სრულ მსგავსებას გვიჩვენებს ანალოგიური მნიშვნელობის ქართულ „ელ“ სუფიქსთან.

ახლა გადმოვიდეთ უფრო ახალ ეპოქაზე.

მრავალი სიტყვა დაინერგა ქართულ ენაში უ შ უ ა ლ ო დ ბ ე რ ძ ნ უ ლ ი ე ნ ი დ ა ნ საქართველოში ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ი ს გავრცელების შემდეგ.

V საუკუნიდან ინტენსიურად მიმდინარეობდა სასულიერო ხასიათის თხზულებების თარგმნა ბერძნულიდან ქართულ ენაზე. ბერძნული საეკლესიო ტერმინოლოგია ქართულში შემოსულია ჯერ კიდევ ადრე ზეპირი გზით დასავლურ ქართულ დიალექტებში.

ძალზე იშვიათად გამოიყენებოდა საკუთარი ქართული ეკვივალენტები. მაგალითად, ბერძნულიდან შემოვიდა **ევანგელე**. იგი ერთხანს იხმარებოდა მწერლობაში (დადასტურებულია პირველ ქართულ ლი-

ტერატურულ ძეგლში: V საუკუნე), მაგრამ მალე იგი შეიცვალა ძველი ქართული სიტყვით **სახარება.**

ბერძნული ენიდან შემოსული სიტყვების მარაგიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი ტერმინოლოგია, რომელიც განეკუთვნება ე. წ. საერთაშორისო სიტყვების წყებას და შემოსულია მსოფლიოს ყოველ კულტურულ ენაში. V—XII საუკუნეების ქართულ მწერლობაში ჩვეულებრივია ისეთი სიტყვები, როგორიცაა მაგალითად, კ ა ნ ო ნ ი, ს ქ ე მ ა, ლ ა ვ რ ა, პ ა ლ ა ტ ი, ე ტ ი მ ო ლ ო გ ი ა, ს ქ ო ლ ა ს ტ ი კ ა, ა ნ გ ე ლ ო ს ი, ე ნ ტ ე ლ ე ქ ი ა, ი ს ტ ო რ ი ა, მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა, რ ი ტ ო რ ი, მ უ ს ი კ ა, ს ფ ე რ ო, ს ი ლ ო გ ი ზ მ ი, ს ქ ო ლ ი ო, ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა, გ რ ა მ ა ტ ი კ ა და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. კ ა ნ ო ნ ი გვხვდება, მაგალითად, ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებში (V საუკ.). უხვადაა წარმოდგენილი ამგვარი კულტურული ცნებები და და ტერმინები ძველ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, განსაკუთრებით — ფილოსოფიური ხასიათის თხზულებებში.

ქართულ ენაში მრავლად არის შემოსული ბერძნული საკუთარი სახელები. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში ჭარბობს ბერძნული საკუთარი სახელები, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — სპარსული.

ბერძნულიდან შემოსულ საკუთარ სახელებს ატყვიათ — ზეპირი გზით არიან შემოსული, ბერძნებთან უშუალო კონტაქტების შედეგად, თუ მწიგნობრული, ლიტერატურული გზით, ე. ი. თარგმანების გზით (ს. ყაუხჩიშვილი).

ე-თი დაბოლოებული ბერძნული სახელების ხმარება საქართველოში დაკავშირებულია ქრისტიანობის გავრცელებასთან და ამ გავრცელებისდა მიხედვით შემოდის საკუთარი სახელები, რომლებიც ბერძნულში **ოს**-ითაა დაბოლოებულნი, ქართულში კი ე-თი. პირველ რიგში ეს ეხება ქრისტეს სახელწოდებას. ბუნებრივია, რომ ქრისტეს სახელს ქართველები იმთავითვე გაიცნობდნენ ლოცვა-ვედრების გზით, როდესაც ქრისტესადმი მიმართვაში ბერძნები იხმარდნენ არა **ქრისტოს**-ს, რომელიც სახელობითის ფორმაა, არამედ ვოკატივის ფორმას (წოდებითი ბრუნვა): ქ რ ი ს ტ ე. ამნაირადვეა შეთვისებული ი ე ს უ, რომელიც ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში სწორედ ამ სახით გვევლინება და არა ფორმით ი ე ს ო. წოდებითი ბრუნვის ფორმით (ე. ი. ზეპირი გზით) არის დამკვიდრებული ქართულში ბერძნული სახელები: ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე, დ ა მ ი ა ნ ე, ა ნ დ რ ო ნ ი კ ე, პ ე ტ რ ე, პ ა ვ ლ ე, ს ტ ე ფ ა ნ ე, პ ი ლ ა ტ ე, ი პ ო ლ ი ტ ე და მრავალი სხვა. ასევე ზეპირი გზითაა შემოსული ბერძნული სახელები, რომლებიც **იოს**-ზე ბოლოვდებიან სახელობით ბრუნვაში, ხოლო წო-

დებითში — ი-ზე. ამიტომაა, რომ ქართულში გვაქვს აკაკი, გიორგი, ალექსი, აპოლინარი (შეად.: აკაკიოს, გიორგიოს და სხვ.), რადგანაც ეს უკანასკნელი ფორმები ბერძნული სახელობითი ბრუნვის ფორმებია და ბერძენი ბერძენს დაუძახებდა (მოუხმობდა) არა სახელობითი ბრუნვის ფორმით (ასე: აკაკიოს!) არამედ წოდებითი ბრუნვის ფორმით (ასე: აკაკი!), — ეს გაიგონა ქართველმა და გადმოიღო კიდევაც ამ ფორმით. ახლა, რასაკვირველია, აკაკი, გიორგი და სხვა ქართულში სახელობითი ბრუნვის ფორმებიცაა.

ი-ბოლოკიდურით გადმოცემულია ძველსავე ქართულში ის ბერძნული სახელებიც, რომელთაც სახელობითში ჰქონდა „ეს“. ესენია: **არისტოტელი, დიოგენი, ევრიპიდი, სოფოკლი, დემოსთენი** და სხვ. შემდეგ დაბოლოება ი ქართული სახელობითი ბრუნვის დაბოლოებად იქნა გაგებული და ამით აიხსნება, რომ პარალელურად ჩნდება ძირი **არისტოტელ.** ასევე ძველ ქართულ მწერლობაში უფრო ხშირად გვხვდება **სოკრატ**, ვიდრე **სოკრატი.**

ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა ბერძნული სიტყვების ქართულში შემოსვლის ორი გზა — ზეპირი და ლიტერატურული, ამასთანავე, გაგვეგო, დაახლოებით რა ბერძნული სახელებია დამკვიდრებული ისტორიულ ქართულში. ქართველებს რომ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ბერძნებთან და რომ ბერძნებს და ქართველებს პირადი კონტაქტებიც ჰქონდათ ერთმანეთთან დამყარებული, ეს მშვენივრად ჩანს საკუთარი სახელების ლინგვისტური ანალიზითაც.

ბერძნული ენიდან შემოსულ სიტყვებსა და მათ ქართულ ეკვივალენტებს შორის გარკვეული მიმართება მყარდება, ამასთანავე, გასათვალისწინებელია შინაარსობრივი ცვლილებებიც.

დავჯერდეთ ორიოდე მაგალითს:

საღვთისმსახურო შენობას ძველ საქართველოში **საყდარი** ეწოდებოდა. ჩვენში ქრისტიანიზაციის შემდეგ ბერძნულიდან შემოვიდა სიტყვა **ეკლესია.**

დღევანდელ სიტყვახმარებაში **ეკლესია** და **საყდარი** სინონიმებია, მაგრამ წინათ მათ შორის განსხვავება იყო: **ეკლესია** საღვთისმსახურო ტაძრის ზოგადი სახელი იყო, **საყდარი** კი ეწოდებოდა ისეთ ეკლესიას, რომელიც ეპისკოპოსის ან ქორეპისკოპოსის საჯდომად ითვლებოდა. სულ პირველად **საყდარი** საჯდომს, ანუ ტახტს ეწოდებოდა. ამიტომ ასეთ ეკლესიას საეპისკოპოსო საყდარი ერქვა. მემატიანე ამბობს: ლეონ მეფემ „აღაშენა ეკლესია მოქვისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოველთა განგებითაო“. უკვე XIV საუკუნიდან ამ ორ ტერმინს შორის ისპობა განსხვავება და

ისინი სინონიმებად გვევლინებიან, რაც დღევანდლამდის შემორჩა ენას. რატომ მოხდა ეს? ამ დროიდან საყდრის გაგება, როგორც ტახტისა, სპარსულიდან შემოსულმა სიტყვამ შეცვალა. ეს სიტყვაა **ტახტი**, — **საყდარი** კი ზოგად ტერმინად იქცა და მას ეკლესიის სინონიმობა დაეკისრა.

ასე გაიფართოვა **საყდარმა** თავისი მნიშვნელობა...

სიტყვის მნიშვნელობის ცვლის კარგი ნიმუშია, აგრეთვე, **გალია**.

ეს სიტყვა დღეს ნიშნავს ცხოველისა და ფრინველის დასამწყვდევ ადგილს, მავთულის ან რკინის ბადით შემოზღუდულს. ძველად მას სხვა მნიშვნელობა ჰქონდა.

ძველ საქართველოში სხვადასხვა დანიშნულების სახლს სხვადასხვა სახელი ერქვა. იყო, მაგალითად, „სახლი სადედოფლო“, რომელსაც **გალიაკი** ეწოდებოდა. პირველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლში, შუშანიკის მარტვილობაში, სწერია: შუშანიკი, „რაჟამს შევიდა იგი ტაძარსა მას, არა დაჯდა იგი თჳსსა მას გ ა ლ ი ა კ ს ა, არამედ სენაკსა შინა მცირესაო“, ე. ი. კი არ დაჯდა თავის გალიაკს, ოთახში, რომელშიც ის იმყოფებოდა ჩვეულებრივ, არამედ პატარა ოთახში (სენაკი ოთახს ერქვა). სულხან-საბა ორბელიანი თავის ცნობილ „ქართულ ლექსიკონში“ ასე განმარტავს სიტყვას: **„გალია**: კაცთა საჯდომი“. V საუკუნეში **გალიაკი** ქალებისათვის განკუთვნილი დასაჯდომი ადგილის სახელი ყოფილა.

აქ საინტერესოა ერთი გარემოება: **გალიაკი (გალეაკრი)** თავის სამშობლო ენაში (ბერძნულია წარმოშობით) იმას ნიშნავს, რასაც თანამედროვე **გალია** (პირუტყვის თუ ფრინველთა დასამწყვდევი). საიდან მიიღო მან ძველ ქართულში ოთახის მნიშვნელობა? შეიძლება ვიფიქროთ, რომ დასასჯელი ადამიანის ოთახი იყო ის... მაგრამ შუშანიკი თავის თავს ხომ არ დასჯიდა, საკუთარ ოთახში რომ იჯდა! ივ. ჯავახიშვილი ამასთან დაკავშირებით ამბობს: მაზდეანები და შუშანიკის მეუღლე ვარსქენი რომ მოვიდნენ სტუმრად (ნაწარმოების მიხედვით), ვარსქენს უნდოდა, რომ შუშანიკი გამოსულიყო და ნადიმი გაემართა მათთვის. ამ დროს შუშანიკი ისედაც გულმოსული იყო თავის ქმარზე, არ სურდა მასთან ერთად ყოფნა და წამოიძახა: სად გაგონილა, რომ ქალი და კაცი ერთად იყვნენო! გალიაკის სახელი ცხადყოფს, რომ ქალს ჰქონდა თავისი სადგომი, სადაც სხვას, გარეშე პირს, შესვლა არ შეეძლო, ე. ი. ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც მაჰმადიანობის გავრცელების შემდეგ ე. წ. არამხანას მიენიჭა; ქალებისათვის ცალკე შენობა იყო, მამაკაცებისათვის — ცალკე. უცხო კაცს იქ არასგზით არ შეეძლო შესვლა. ქართულ ძეგლებში ასეთი ტერმინი როსტომის ხანამდე არ მოგვეპოვება. როსტომმა, როგორც ცნობილია, შემოიღო უკვე სპარსული და მაჰმადიანური წესები, თავისი

სასახლე სხვანაირად მოაწყო და სწორედ იმ დროს ჩნდება ეს, მაშინდელი მდგომარეობისათვის ფრიად დამახასიათებელი ტერმინი. იესე ოსესშვილს თავის „თავგადასავალში“ თეიმურაზ მეორის შესახებ აქვს აღნიშნული, რომ „შიგნით არმის სასახლე“, იყოო. 16 წლის იესე ოსესშვილს თვითონ უნახავს, როდესაც თეიმურაზ მეფე იქ დასახლებულა. არმის სასახლე არამხანას უდრის და ძველი გალიაკი უეჭველად ასეთივე მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო. რაკი **გალიაკი** ძველად სადედოფლო ბინის სახელი იყო, უნდა ვიფიქროთ, სასახლის ეს ნაწილი გარეშე პირთათვის შეუვალი და განცალკევებული ყოფილა.

სიტყვა **კრიალოსანი** მომდინარეობს ბერძნული **კირიე-ელეისონ**-ისაგან (ე. ი. „უფალო შეგვიწყალე!“). რა კავშირი აქვს **კრიალოსანს კირიე-ელეისონ**-თან? ძველად ეკლესიაში „უფალო შეგვიწყალე“ (ანდა: უფალო, შემიწყალენ“) ზოგჯერ რამდენიმეჯერ უნდა ეთქვა თავის გუნებაში მლოცველს ზედიზედ: 12-ჯერ, 40-ჯერ... იდგა ადამიანი ეკლესიაში და გულში უნდა გაემეორებინა ეს სიტყვები, ვთქვათ, 40-ჯერ. ასე თვლა კი ძნელი იყო. რომ არ შეშლოდათ, ხელში საჭირო რაოდენობით ასხმული მძივები ეჭირათ და რამდენსაც იტყოდნენ „უფალო, შეგვიწყალე“-ს, იმდენ მძივს ჩააგდებდნენ, — როცა გათავდებოდა, მექანიკურად გაიგებდნენ, რომ ლოცვა დასრულებულია. ამ სიტყვებს („უფალო შეგვიწყალე“-ს) ჩვენში უფრო ხშირად ბერძნულად ამბობდნენ („კირიე ელეისონ“, „კირიე ელეისონ“ და ა. შ.). ლოცვა კი ქართულად სრულდებოდა. გავიხსენოთ, რა წერია გიორგი მერჩულეს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში: „ქართლად ფრიადი ჰუეყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კკირიელეისონი ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად უფალო შეგვიწყალენ“.

კირიე ელეისონი შემდეგ ქართულ ენაში გადაკეთდა **კრიალოსანად** და იგი დაერქვა ასხმულ მძივებს, რომელსაც ჩვენს დროში აქა-იქ ზოგიერთი მოხუცებული ადამიანი თუ ატარებს. კრიალოსანიო, დღეს რომ ვიტყვით, ცხადია, **კირიე ელეისონის** (უფალო, შეგვიწყალე) მოგონებაც კი არ არის... დაბოლოს, ბერძნიზმებს განეკუთვნება ჩვენს ენაში გრამატიკული და ფრაზეოლოგიური კალკები. დამკვიდრებული უმთავრესად მწიგნობრული გზით.

ახლა განვიხილოთ ქართულ-ირანული შეხვედრები.

უხვად არის შემოსული ქართულში ირანული წარმოშობის სიტყვები, ეს შედეგია საქართველოს კულტურულ-ისტორიული მჭიდრო ურთიერთობისა სხვადასხვა ირანული მოდგმის ხალხებთან.

მეცნიერულმა ძიებებმა ნათელყო, რომ ირანულიდან შეთვისებული სიტყვები ქართულში სხვადასხვა ხასიათისა არიან და მომდინარეობენ

სხვადასხვა დიალექტური წრიდან. როგორც მზია ანდრონიკაშვილმა გამოარკვია, აქ შეიძლება შეხვდეთ სესხების ყველა სახეს, იქნება ეს ცოცხალი ენობრივ ურთიერთობის შედეგად შეთვისებული თუ ხელოვნური, წიგნური გზით შემოსული სიტყვები, ირანული გზით მომდინარე ე. წ. ინტერნაციონალური თუ ირანული წარმოშობის სიტყვები, შემოსული სხვა ენათა მეშვეობით (სომხურის, ბერძნულის, თურქულისა და სხვ.), ე. წ. შებრუნებული ნასესხობანი და სხვ. ირანული ლექსიკური ელემენტების შესწავლა გვარწმუნებს, რომ მათ გათვალისწინებას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება თვით ირანული ენების ისტორიის შესწავლის საქმეში. როგორც ზემოხსენებული მეცნიერის მონოგრაფიაში („ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან", I, 1966) ნაჩვენებია, ქართულში ირანული სიტყვები გვაქვს ამ ენათა განვითარების ყველა საფეხურზე (ძველი, საშუალო, ახალი), დამოწმებულია უმეტეს შემთხვევაში კარგად შენახული ფონეტიკური სახით. ამიტომ ქართულ ენას, რომლის ლიტერატურული ძეგლები უკვე V საუკუნიდან (ახ. წ.) არსებობს, ანგარიში უნდა გაეწიოს სპარსული ენის ისტორიის შესწავლასა და განსაკუთრებით ახალი სპარსულის წარმოთქმის დადგენის საქმეში, რისთვისაც ერთ-ერთ ძირითად წყაროს შეადგენს უცხოურ ენებში სპარსულიდან შესული ლექსიკა. მონაცემები ქართული ენისა, უძველეს ლიტერატურულ ძეგლებში დამოწმებული ირანული ლექსიკური ელემენტების სახით, — განაგრძობს ავტორი, — ძეგლებში, რომლებიც ზოგჯერ ირანული მოდგმის ხალხებსა და ქართველებს შორის არსებული ისტორიული ურთიერთობის ამსახველი საუკეთესო წყაროებს წარმოადგენენ, უეჭველია, მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს იმ დამხმარე წყაროებს შორის, რომლებიც ირანისტიკას ესაჭიროება, მეტადრე ზოგიერთი ისეთი ირანული ენის მიმართ, რომელთაც ხანგრძლივი მწერლობის ისტორია არა აქვს ან მხოლოდ ფრაგმენტული მონაცემები მოეპოვება, შესრულებული იდეოგრაფიული დამწერლობით.

ირანული წარმოშობის საკუთარი სახელები იყოფა სამ ჯგუფად: 1. საკუთარი სახელები, რომლებიც უშუალოდ შემოსულია ირანული ენებიდან, 2. არმენიზებული ფორმით შემოსული სახელები, 3. არაბიზებული სახით შემოსული სახელები.

ისტორიული ცნობები საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ ქართველი ტომების შეხვედრები ე. წ. ძველ ირანულ დიალექტებზე მოლაპარაკე ტომებთან. გარდა წერილობითი ძეგლებით დადასტურებული ძველი სპარსულისა და ავესტისა — ძველი ირანული ენებია: სკვითური, მიდიური, უძველესი საფეხური პართულისა, პაშტოსი და სხვათა, რომლებიც მხოლოდ საშუალო და ახალი ირანული ფორმებით არის

წარმოდგენილი. ირკვევა, რომ ქართულს შეხვედრის წერტილები აქვს ყველა იმ ირანულ სახეობასთან, განსაკუთრებით აღსანიშნავია მიდიურსა და სკვითურთან მიმართება, რისი საფუძველიც ისაა, რომ მიდიელებსა და სკვითებს უშუალო ტერიტორიული კონტაქტები ჰქონდათ დამყარებული ქართველურ ტომებთან.

მიდიელები — ის ირანული მოდგმის ხალხია, რომელიც პირველად გამოვიდა ისტორიის ასპარეზზე VII საუკუნის ბოლოს (ძვ. წელთაღრიცხვით) და პოლიტიკური ჰეგემონობა მოიპოვა ამიერკავკასიის მოსაზღვრე რეგიონში.

მიდიურიდან უნდა იყოს ნასესხები ჩვენს ენაში საკუთარი სახელები: **არტავაზი, ფარნავაზი,** საზოგადო სახელები: **ბაგინი, მოგვი, განძი, მასპინძელი** და სხვ.

გამორიცხული არ არის ენობრივი ურთიერთობა ძველ სპარსელებსა და ქართველ ტომებს შორის. მრავალ წყაროში (შუშანიკის მარტვილობა, ევსტათი მცხეთელის ცხოვრება, მუქცევაჲ ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება და სხვ.) გავრცელებულია სატომო სახელი **სპარსი.** ეს უძველესი ირანული ფორმა სატომო სახელისა წარმოდგენილია აქემენიდების ლურსმულ წარწერაში **პარსას** სახით. ძველი სპარსულიდანვე უნდა იყოს ნასესხები **არტაბანი, ვაშტაბანი,** ღვთაებათა სახელები **არმაზი, ზადენი** და სხვ. აქვე შემოდის ასეთი სიტყვა, როგორიცაა, **მონა,** რელიგიური სიტყვები — **ზვარაკი, ტაძარი, კერპი, ეშმა, ეშმაკი, ბარძიმი, ფეშხვენი** და სხვ.

ავესტური ტექსტების გავლენით არის შეთვისებული საკუთარი სახელი ერთი ქართული ზღაპრისა „ფრითინოსი“. ირანული ეპოსის ამ სახელგანთქმული გმირის სახელი სხვა უფრო ახალი ფორმებითაც არის ცნობილი, სახელდობრ, ქართლის ცხოვრებაში გვხვდება **აფრიდონი.** ავესტურ ტრადიციას უკავშირებენ აგრეთვე სიტყვებს — **დროშა, ფართო, ჯოჯოხეთი.**

ირკვევა ქართველი ტომების ისტორიული და ენობრივი ურთიერთობა ძველ ირანულ დიალექტზე მოლაპარაკე სკვითებთან და სარმატებთან. ივ. ჯავახიშვილი ამ ხალხებს კავკასიელთა (ადიღეურ-ჩაჩნურ-ავარულ ხალხთა) წინაპრებად მიიჩნევდა და ქართველებთან მათ გენეზისურ კავშირს ვარაუდობდა. სპეციალურ ლიტერატურაში ხაზგასმულია ის მნიშვნელოვანი როლი, რომელიც შეასრულა სკვით-კიმერიელთა ტომების შემოჭრამ და დასახლებამ საქართველოში, როგორც ძველი კოლხეთის, ისე აღმოსავლეთ საქართველოს — ქართლის ტერიტორიაზე. ამის კვალი ჩანს როგორც ტოპონიმიკაში და ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში დაცულ საკუთარ სახელებში, ისე არქეოლოგიურ მონაცემებში. სკვითებისა და სარმატების სახელწოდებაში დღევანდელი ოსების წინაპრებიც იგულისხმებიან.

ოსთა წინაპრები, რომლებიც ძვ. წ. VII საუკუნიდან ახ. წ. III საუკუნემდე ჩრდილოეთ კავკასიაში და სამხრეთ რუსეთში ბინადრობდნენ, შუა საუკუნეებში ცნობილი არიან უპირატესად ალანების სახელწოდებით. ოს-ალანებთან კულტურულ-ისტორიული ურთიერთობა ჩვენი ხალხისა ისტორიის პირველ საუკუნეებშივე დასტურდება. ალანთა გაქრისტიანების შემდგომ პერიოდში ქართველთა და ოსთა მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა. ბუნებრივია, ამ ურთიერთობის შედეგია ენობრივი კონტაქტები ქართველებსა და ალან-ოსთა შორის. მრავალი სიტყვა შეითვისა ოსურმა ქართულიდან, ასევე ქართულშიც დამკვიდრებულია არაერთი ოსური სიტყვა.

ოსურიდან არის ნასესხები ქართულში ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა **ჭუდი, ხიდი, ორმო, ქალალდი, ლუდი, დოღი,** ამასთანავე რაჭულში დადასტურებული **რანგი, ნახშობა, გუდუნი, ნუსადია, ფერცხალი, ურვათი,** სვანურში — **ინღა, ინაღა, ზად, დარგ, გურანა, არსან** და სხვა. ოსური სიტყვები შესულია სხვა დიალექტებშიც.

ოსურში დამკვიდრებულია ქრისტიანობასთან დაკავშირებული ქართული კულტურული ტერმინები. მეორე მხრივ, ქართულში გამოვლენილი ოსურ-ალანური სიტყვების საკმაოდ დიდი ნაწილი განეკუთვნება დიალექტურსა და პერიფერიულ ლექსიკას (რაჭული, მოხევური, ხევსურული).

ოსური, მართალია, ირანული მოდგმის ენაა, მაგრამ ისტორიულ წარსულში მასზე დიდ გავლენა მოუხდენია კავკასიურ ენებს, კერძოდ, ქართულ ენას. „რაც უფრო მეტად იკვლევა ოსური ენა, მით უფრო ცხადი ხდება, რომ იგი გაკავკასიურებული ენაა“, „ოსური ენის სისტემაში, როგორი სახითაც იგი გვევლინება დღეს, ირანული და არაირანული შერწყმულა ერთ მთლიანობად“. გამოჩენილი ოსოლოგის ვ. აბაევის სიტყვით, „ირანიზმი ოსური ენისა, ერთი მხრივ, და მასზე უცხოური ენის გავლენა, მეორე მხრივ, — ეს ორი ფაქტი ერთნაირად უდავო და მნიშვნელოვანია და ძნელია იმის თქმა, რომელი მათგანის უგულებელყოფა მიგვიყვანდა უფრო სამწუხარო შედეგებამდე“.

ქართული ფენის (ლექსიკური, გრამატიკული მოვლენები) გამოვლენას ოსურ ენაში — ქართულისა და ოსური ენობრივი კონტაქტების პირობებში — განსაკუთრებული ამაგი დასდეს ნ. მარმა, ვ. აბაევმა, გ. ახვლედიანმა, მ. ანდრონიკაშვილმა, ო. თედეევმა. აღსანიშნავია აგრეთვე შოგრენის, მილერის, შტაკელბერგის ღვაწლი ამ სფეროში. ო. თედეევის საფუძვლიან ნაშრომში („ნარკვევები ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობიდან“, 1983). შეჯამებულია და მთელ რიგ შემთხვევებში დაზუსტებულ-შესწავლილია ამ საგანზე გამოთქმული შეხედულებები.

ყველაზე საინტერესო ხანას ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობის ისტორიაში, როგორც ეს ნაჩვენებია მზია ანდრონიკაშვილის მიერ, წარმოადგენს ე. წ. საშუალო ირანული ენობრივი ეპოქა. საქართველოსა და ირანს შორის იმ დროისათვის მჭიდრო პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა იგულისხმება. გარდა ქართული საისტორიო წყაროებისა, ამაზე მიგვითითებს ბიზანტიელ და სომეხ ავტორთა ცნობები, არქეოლოგიური გათხრების მონაპოვრები, ონომასტიკური მონაცემები და სხვა. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა სასანური, ფალაური და პართელ მეფეთა ოფიციალური ენა.

გამორკვეულია, რომ **პართი** (ბიბლიურ ტექსტებში და სხვაგანაც) ბერძნულიდან არის შეთვისებული, ხოლო **პართევ-ელ-ი** სომხურიდან, **ფალაური ენა** და **ფალავანი** მოგვიანო ტექსტების კუთვნილებას წარმოადგენს და ახალი სპარსულიდან შემოსულა ქართულში.

პართული ლექსიკა ქართულში უმეტესად სომხური გზით შემოდის. არის გამონაკლისიც: **შარავანდი, ეშმაკი** და ზოგიერთი სხვაც, რაც პართელთა საქართველოსთან უშუალო ენობრივ კავშირზე მიგვანიშნებს.

პართული წარმომავლობის სიტყვებია ქართულში: **აბჯარი, ავაზაკი, ავაზანი, აზნაური, ჰამბავი, ამბორი, ამბოხი, ამპარტავანი, ბუნაგი, გუნდი, გუშაგი, ვარდი, ვერაგი, ჟამი, პატივი, პატიჟი, ტალავარი** და სხვა.

საშუალო სპარსული სიტყვებია ქართულში: **ანგარება, ამხანაგი, ანდერძი, ასპარეზი, აუგი, მასპინძელი, ბევრი, ახოვანი, ბერი, გუნდრუკი, ლაშქარი, მატიანე, პასუხი, პიტიახში, რემა, სპა, ტომი, ქურციკი, ჭეშმარიტი** და სხვ.

უხვად დაინერგა ჩვენს ენაში სპარსული სიტყვები სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის პირობებში. ბევრი სიტყვა ორგანულად შეიჭრა ქართულ მეტყველებაში, გადასხვაფერდა, იცვალა ბგერობრივი სახე, ახალი შინაარსობრივი ნიუანსი მიიღო, რთული სიტყვების შედგენილობაში შევიდა, ამასთანავე, არაერთმა მათგანმა განდევნა ქართული ეკვივალენტი და საბოლოოდ გაბატონდა.

დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი.

ჩვენთვის ცნობილია სიტყვა **სასახლე**. ეს სიტყვა, ძეგლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უმთავრესად XV საუკუნიდანაა გავრცელებული ქართულში. მანამდე ჩვენში ხმარობდნენ სხვა, უცხოური წარმოშობის, სიტყვებს: **ტაძარი** (სპარსულია). **პალატი** (ბერძნულ-ლათინურია), **დარბაზი** (სპარსულიდანაა). როგორც ირკვევა, სასახლე მარტო მეფეებს კი არ ჰქონიათ, არამედ აზნაურებსაც და გლეხებსაც.

ეტყობა, ამ შემთხვევაში სასახლეს რაღაც განსხვავებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ამ ნაგებობის ხასიათი მთლად ნათელი არ არის

ჩვენთვის. ის კი ცხადია, რომ გლეხის სასახლე სამეფო დარბაზის მსგავსი არ იქნებოდა.

საიდან წარმოდგება სიტყვა **სასახლე**? უნდა დაიშალოს ასე: **სა-სახლ-ე. სა** იგივეა, რაც სპარსული **სრა** (**რ** ამოგდებულია). აკი ცალკე გვხვდება **სრა**. მაგალითად: „**სრა** ედგა მოფარდაგული“ („ვეფხისტყაოსანი“). „როსტანს ჰკადრე, მიედ სრასა“ (იქვე), „ბატონის სახლი სრად მისცეს“ (ვაჟა). უფრო გვხვდება შეხამებით **სახლ**-სიტყვასთან: **სრა-სახლი**. მაგალითად: „ამ ხმაზე დიდი **სრა-სახლი** ლიბო-ჭერათურთ იძვროდა“ (ვაჟა); „მიჰმართეს მეფის **სრა-სახლსა** ვაით და ერთის ყოფითა“ (ვაჟა).

რაკი **სრა-სახლ**-ში **რ** დაიკარგა და მივიღეთ **სა-სახლი**, წაიშალა იმის გაგება, რომ აქ **სრა** სიტყვა იყო და **სა** გააზრებული იქნა, როგორც სა თავსართი (როგორც, მაგალითად, **სა-მელნე, სა-თავე...**): **სა** თავსართი კი სიტყვის ბოლოში ე ბოლოსართს მოითხოვს ჩვენი ენის კანონის მიხედვით: **სა-მელნ-ე, სა-თავ-ე**, ამიტომ აქაც გადაკეთდა: **სა-სახლ-ე**.

სხვათა შორის, **სრა** გვაქვს სიტყვაში **ქარვასლა**: უნდა ყოფილიყო **ქარვასრა**. შეადარეთ: **ქარავან-სარა. რ** გადაკეთდა **ლ**-დ.

სპარსულიდანვე ნასესხები სიტყვა **ფანჯარა** დღეს საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ იგი XVIII საუკუნემდის არ გვხვდება. წინათ იხმარებოდა ჯერ **საკუმელი**, მერე **სარკმელი**. ეს სიტყვა წარმომდგარია **საკუმევი**-საგან. **საკუმევი** თავდაპირველად ერქვა ხვრელს, რომელიც შენობის ნაგებობაში კერის ზემოთ არსებობდა და აქედან ადიოდა კვამლი, ბოლი. **კუმევა** ნიშნავს ბოლის ამოსვლას, **საკუმევი** დაახლოებით იგივე იყო, რასაც **საკომურს** ვუწოდებთ. ამრიგად, **საკუმელ-სარკმელი** სინათლის შემოსასვლელი კი არ იყო, არამედ კვამლის, ბოლის ასასვლელ ხვრელს წარმოადგენდა. რაკი სინათლეც აქედანვე ჩამოდიოდა შენობაში, ამიტომ მას ეს ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული (კედლებში მაშინ ასეთი ხვრელი არ იყო), როგორც ცნობილია, საუკუნეთა მანძილზე კაცობრიობა უფანჯროდ ცხოვრობდა. დროთა ვითარებაში სარკმელი კედლებში გააკეთეს, ე. ი. გაჩნდა გვერდითი სარკმელი. საკმელე კი დარჩა თავის ადგილას, იქედან კვამლი ადიოდა კვლავინდებურად. გვერდითა სარკმელს კი ის მნიშვნელობა მიენიჭა, რაც ამჟამად ჩვენთვის ცნობილია.

საინტერესოა შემდეგი გარემოება. გიორგი მერჩულეს თხზულებიდან ვიცით, რომ IX საუკუნეში ბერ-მონაზვნების სენაკებში სარკუმელი იყო, მაგრამ შენობაში ცეცხლს არ ანთებდნენ (ბერმა სიცივე უნდა აიტანოსო!). მაშ, სარკმელს მხოლოდ სინათლის შემოსავლის დანიშნულება ჰქონდა. ისიც ცხადია, რომ მაშინ სარკმელს გამოსაღები ფანჯარა არ ჰქონდა, ჰქონდა მხოლოდ ბადის მსგავსი ან დასაცველი

კარისებური დარაბა. დარაბას რომ გამოაღებდნენ, მას სხვა რამ არაფერი იცავდა.

რაც შეეხება **ფანჯარას**, რომელიც ამჟამად **სარკმელ**-ის მაგივრად იხმარება, წინათ მას სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ კიდევ XVII საუკუნეში **ფანჯარა** ერქვა საგანგებო დასაცავ მოაჯირს, რომელიც გაკეთებული ჰქონდა ნაგებობაში სარკმელს, ან სხვა ადგილს, საიდანაც გადავარდნა შეიძლებოდა. ეს დარაბა ხის ან ლითონისა იყო. მერე მიენიჭა **ფანჯარა**-სიტყვას ის მნიშვნელობა, რომელიც ამჟამად ჩვენთვის ცნობილია.

დღეს სიტყვა **სარკმელი** უპირატესად შემონახულია ხევსურულში, მოხეურში, ფშაურში, თუშურში, გარე-კახურში, ქიზიყურსა და რაჭულში.

მეხუთე საუკუნის ენობრივი ძეგლებიდან ჩანს, რომ ნაგებობის გარკვეული სახეობის აღსანიშნავად სპარსული სიტყვა **ტაძარი** (ანდა: **ტაზარი**) იხმარებოდა. იმ დროს **ტაზარი** ეწოდებოდა წარჩინებული მოხელის სახლს. ეს სიტყვა, საერთოდ, შენობის, სასახლის აღმნიშვნელი იყო. **ტაძარი** მაშინ სხვა იყო და სხვა — **ეკლესია.** ეს დაპირისპირება კარგად ჩანს შუშანიკის ძეგლიდან: „შუშანიკ თრევით მოითრია... ეკლესიით, ვიდრე ტაძრამდეო“, ე. ი. სასახლემდეო.

მომდევნო საუკუნეებშიც **ტაძარი** ამავე მნიშვნელობით იხმარება, როგორც ეს დასტურდება VIII—IX—X საუკუნეების ძეგლებით. ასე, მაგალითად, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში გვხვდება „კურაპალატის ტაძარი“, „აზნაურის ტაძარი“.

თანდათანობით ეს სიტყვა (**ტაძარი**) საეკლესიო ნაგებობის აღმნიშვნელად იქცა და გვერდში ამოუდგა სიტყვას — **ეკლესია,** რომელიც ბერძნულია და სამლოცველოს შენობას ეწოდებოდა.

რაკი **ტაძარი** ჯერ სასახლის აღმნიშვნელი იყო და შემდეგ სამლოცველოს ნაგებობას დაერქვა, საკითხავია: ამ პერიოდში სასახლეს რასღა უწოდებდნენ? პირველი სიტყვათაგანია **პალატი,** რომელმაც **ტაძარ**-სიტყვის ადგილი დაიკავა. „მეფე... წარვიდა პალატადო“, ნათქვამია, მაგალითად, ნინოს ცხოვრებაში. ძეგლში გვხვდება ასეთი ადგილიც: ჯიქურმა „აღაშენა ისანს პალატიო“, ე. ი. ისანში (დღევანდელ ავლაბარში) სასახლე ააგო. ამრიგად, უკვე XI—XII საუკუნეებში სასახლეს **პალატი** ჰქვია (სპარსულია).

შემდეგ ჩნდება ამავე ცნების გამოსახატავად **დარბაზი.** ეტყობა, იგი თავს იჩენს ქართულ ენაში X საუკუნიდან მოყოლებული. ეს სიტყვაც სპარსულია წარმოშობით. სპარსულში კი **დარბაზს** სხვა მნიშვნელობა ჰქონდა: **დერვაზ** (საიდანაც მომდინარეობს ქართული ფორმა **დარბაზი**) სპარსულში კარის აღმნიშვნელია, მისი ქართული შესატყვისია „სამეფო კარი“.

რატომ მიიღო ქართულში **დარბაზმა (დერვაზმა)** სასახლის მნიშვნელობა?

რაკი სპარსულად **დარბაზი** კარი იყო, სამეფო კარს დაერქვა სამეფო „დარბაზი“, რომელმაც სასახლის მნიშვნელობა მიიღო. იგი გაქართულდა, რაკიღა აღარავის ახსოვდა ამ სიტყვის სპარსულობა.

ძველ საქართველოში საცხოვრებელი ადგილისა და ნაგებობის სახელად **ვანი** იხმარებოდა. ესეც სპარსული სიტყვაა. იგი ძალიან ძველია და შემდეგ სრულიად ქრება ჩვენს ენაში. აქედან იყო ნაწარმოები ზმნა **დავანება** (დასახლება), არსებითი სახელი **სავანე**. იმერეთში დღესაც შემორჩენილია ეგ სიტყვა, როგორც სოფლის სახელწოდება.

მეხუთე საუკუნეში უკვე **სახლი** გვხვდება (შუშანიკის ძეგლში), ოღონდ თუ **ვანი** ჩვეულებრივი საცხოვრებელი ბინის სახელად გამოიყენებოდა, **სახლს** უფრო ზოგადი, შემკრებლობითი მნიშვნელობა ჰქონდა: ყოველგვარ საცხოვრებელს ერქვა, სხვანაირად რომ ვთქვათ, **ვანი** ნივთიერი ნაგებობის აღმნიშვნელი იყო, სახლი კი ნიშნავდა როგორც ნაგებობას, ისე ნაგებობაში მცხოვრებ მოსახლეობას, ოჯახს და საგვარეულოსაც კი. აქედანაა სიტყვა **სახლიკაცი**. სიტყვა ნაწევრდება: **სა-ხლ-ი**. აქ **სა** ჩვეულებრივი თავსართია, ძირია **ხლ**, სადაც ხმოვანი ამოვარდნილია. შეადარე მეგრული **ოხორე**, სადაც **ო** ქართული **სა** თავსართვის ბადალია, ძირია **ხორ**. რაკი **ხლ**-ში ხმოვანი უნდა ყოფილიყო, ადვილი მისახვედრია, რომ ეს ძველი ძირი დავინახოთ სიტყვაში **ხურო**. ეს სიტყვაც ხომ ამგებს ნიშნავს, ხოლო აგებას **ხუროობა** ეწოდება. იგივე ძირია ქართულ სიტყვაში **სახურავი**. თუ **სახლი** ძირეულად ქართული სიტყვაა, **ვანი** სპარსულსა და სომხურშიაც მოიპოვება.

სახლში და სხვა ნაგებობებში **სენაკები** იყო. **სენაკი**, ზოგჯერ — **სენა** ოთახს ერქვა. **სენაკები** ჩვეულებრივ საცხოვრებელ სახლებშიც იყო და ტაძრებშიც. როგორც იაკობ ცურტაველის თხზულებიდან ვგებულობთ, V საუკუნეში **სენაკები** ცალკეც, სასახლის გარეთაც იყო აგებული. აი ერთი ადგილი შუშანიკის მარტვილობიდან: „მივიდა... შუშანიკ მახლობლად... ეკლესიასა და იძია მცირედ სენაკი და მუნ დაეყუდა“. დროთა ვითარებაში ამ სიტყვის მნიშვნელობა დავიწროვდა: უკვე XI—XIII საუკუნეებიდან მხოლოდ ბერების საცხოვრებელ ოთახს ერქვა. რაკი **სენაკი** ბერების ოთახს დაერქვა, საერთოდ ოთახის გამოსახატავად სხვა სიტყვები ჩნდება. ესაა **ოთახი** და **ოდა**. XVII საუკუნიდან სწორედ **ოთახი** მკვიდრდება ენაში, XVIII საუკუნიდან დადასტურებულია **ოდა** (ორივე სიტყვა თურქული წარმოშობისაა).

ზემოხსენებული უძველესი ენობრივი კონტაქტები იმის დამადასტურებელია, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, ქართველი ტომები ბინადრობდნენ დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთაც, კერძოდ,

მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში, სამხრეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე. „ამას მოწმობს, ჯერ ერთი, კულტურის მხრივ ამ რაიონების მჭიდრო კავშირი, ხშირ შემთხვევაში სრული ერთობაც კი დასავლეთ საქართველოსთან, რაც კარგად ჩანს არქეოლოგიური მასალის შუქზე“ (გ. მელიქიშვილი).

მკვლევრები ვარაუდობენ, აღმოსავლეთ მცირე აზიაში ქართველური და ჩრდილოკავკასიური მოდგმის ტომების არსებობას და ასეთ ტომთა რიცხვს აკუთვნებენ მუშქებს (გვიანდელ მოსხებს — მესხებს), თაბალელებს (გვიანდელ ტიბარენებს, ქასქებსა (გვიანდელ ქაშაკებს) და ცუფანელებს (გვიანდელ წოვებს).

გარდა ინდოევროპული და სემიტური მოდგმის ეთნოსებისა, ღადასტურებულია ქართველი ტომების ენობრივი კონტაქტები მცირე აზიის ცენტრალურ და მესოპოტამიის ჩრდილო რაიონებში მოსახლე ხათურ (პროტოხეთურ) და ხურიტულ მოსახლეობასთან. შუმერული, ხათური („პროტოხეთური“)[1], ხურიტული, ურარტული, ელამური ანუ სუზური იმ ეთნოსების გადაშენებული ენებია, რომელთაც უძველეს დროს შექმნეს დიდი ცივილიზაცია და „დაარწიეს საკაცობრიო კულტურის პირველი აკვანი“.

„ხეთური ცივილიზაცია წარმოგვიდგება როგორც მესამე დიდი ძველაღმოსავლური ცივილიზაცია შუამდინარულისა ან ეგვიპტურის შემდეგ. იგი მოწინავე იყო სხვადასხვა ასპექტით: სამხედრო საქმის მაღალი ორგანიზებით ხეთებმა შეძლეს საუკუნეთა მანძილზე არაერთხელ შეენარჩუნებინათ გაბატონებული მდგომარეობა ძველს ახლოაღმოსავლურ სამყაროში; პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ რელიგიური ორგანიზაციის თვალსაზრისით ისინი მუდამ ინარჩუნებდნენ ინდივიდუალობას; ხეთური კანონმდებლობისა და მართლმსაჯულების შესრულება უდავოდ გამოირჩეოდა ორიგინალობით; მეტალურგიის განვითარების, განსაკუთრებით — რკინის წარმოებისა და გამოყენების თვალსაზრისით, ცენტრალური მცირე აზია ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში; ხეთური კულტურის ცალკეული მონაპოვარი (ხელოვნების, ლიტერატურის დარგებში) მოწინავე ადგილს იჭერს მსოფლიო კულტურის საგანძურში“ (გ. გიორგაძე).

მართალია, ქართული სამყაროს დაკავშირება ხეთურ სამყაროსთან გენეზისური ურთიერთობის პლანში არ განიხილება, მაგრამ არ უნდა

---

[1] ხათური უნდა განვასხვავოთ ხეთებისაგან. ხეთები ცენტრალურ ანატოლიაში (მცირე აზია) მობინადრე ხალხია (III—II ათასწლეულის მიჯნაზე), და ისინი ლაპარაკობდნენ ხეთურ ანუ ნესურ (ნესიტურ ან ქანესურ) ენაზე, რომელიც განეკუთვნება ინდოევროპული ოჯახის ანატოლიურ (ხეთურ-ლუკიურ) ჯგუფს. ხათური კი განეკუთვნება ინდოევროპულ ან სემიტურ ენათა ოჯახს, იგი პრეფიქსული ტიპის აგლუტინაციური ენაა, რომელიც გარკვეულ სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენს მთელ რიგ კავკასიურ ენებთან).

იყოს სადავო, რომ აქ უეჭველია ისტორიული კონტაქტების შედეგად მიღებული მსგავსება-დამთხვევანი. დეტალური კვლევა-ძიება ამ მიმართულებით უთუოდ საინტერესო პარალელებს გამოავლენს მომავალში, მაგრამ მიკვლეული ფაქტებიც მიმანიშნებელია ძველი ხეთების, — ცივილიზაციის შემქმნელი ხალხისა და ქართული ეთნოსის ოდინდელი მიმართებისა. საამისო მაგალითები გაბნეულია სათანადო ლიტერატურაში.

აღმოსავლური ენების ცნობილ სპეციალისტს პროფ. გ. გიორგაძეს თავის ხეთოლოგიურ წიგნში დამოწმებული აქვს საგულისხმო გრამატიკული და ლექსიკური პარალელები. უნდა დავეთანხმოთ ავტორს, რომ მსგავსებათა და პარალელთა ძირითადი ნაწილი საერთოქართველურში განსახილველია, როგორც უძველესი ინდოევროპული ნასესხობანი, რომლებიც არ განეკუთვნებიან ანატოლიურ ინდოევროპულ ენათა ხანას („სავსებით დასაშვებია მათი მიკუთვნება საერთოქართველურ, საერთოინდოევროპულ და საერთოსემიტურ ურთიერთობათა პერიოდისადმი"). მათი გარკვეული ნაწილი კი, მეცნიერის აზრით, წარმოადგენს სწორედ ისეთ მსგავსებებსა და პარალელებს, რომელთაც ადგილი უნდა ჰქონოდათ მრავალსაუკუნოვანი კონტაქტების შედეგად ან ხეთურსა და ქართველურ (საერთოქართველურ) ენებს შორის არაუადრეს ძვ. წ. II ათასწლეულისა, ანდა საერთოანატოლიურსა და საერთოქართველურ ენობრივ ერთეულებს შორის ძვ. წ. III ათასწლეულის მანძილზე. ეს გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქართველურ ტომთა განსახლების ძირითადი უძველესი კერები სამხრეთ-დასავლეთიდან ემეზობლებოდნენ სწორედ ანატოლიურ ინდოევროპულ ენობრივ თუ კულტურულ სამყაროს, ინდოევროპელთა თანდათანობითი გავრცელება მცირე აზიის ჩრდილოეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთში კი დამაჯერებლადაა დადასტურებული ხეთური ლურსმული ტექსტების მონაცემებით.

ქართული ხეთოლოგიური მეცნიერების განვითარებას, როგორც აღნიშნავს გ. გიორგაძე, გარკვეულად ხელი შეუწყო ხეთოლოგიის პატრიარქის ბ. ჰროზნის ჩამოსვლამ ჩვენს რესპუბლიკაში 1936 წელს. ჩვენი საზოგადოებრიობის ინტერესი ხეთებისადმი გასაგებია: ხეთების სამეფო ჩამოყალიბდა და საუკუნეების მანძილზე იარსება სწორედ ქართველურ ტომთა უძველესი განსახლების მეზობლად (სამხრეთ-აღმოსავლეთიდან). თავის ძლიერების ხანაში ხეთების პოლიტიკურ გავლენაში მოექცა მთელი მცირე აზია და მის მეზობლად მდებარე მრავალი რეგიონი, რომელთაც განიცადეს ხეთური კულტურის გავლენაც. ამ რეგიონთა რიცხვს მიეკუთვნება სამხრეთ-ამიერკავკასიის და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარე ცალკეული ოლქები,

რომლებიც ძველთაგანვე ქართველური წარმოშობის ტომებით იყვნენ დასახელებული. მცირეაზიულ, განსაკუთრებით, ხეთურ სამყაროსთან ქართველური ტომების ისტორიული, ენობრივი და კულტურული უტყუარი კონტაქტების გამოსავლინებლად დღეს იღვწიან ქართველი ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, არქეოლოგები („ათასი ღვთაების ქვეყანა").

მცირე აზიაში, სადაც ოდესღაც აყვავებული იყო ხეთური კულტურა, არის ერთი დიდი სოფელი, რომელსაც 1926 წლამდე ეწოდებოდა **ტოპადა**. ეს სოფელი განსაკუთრებით ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც იქ აღმოჩნდა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ხეთური იეროგრაფული წარწერა, რომლის ამოშიფრვაზე მუშაობდნენ სახელგანთქმული ხეთოლოგები, მათ შორის ჰროზნიც.

ამ ტოპონიმის (**ტოპადა**) ეტიმოლოგია დაადგინა ა. შანიძემ 1937 წელს ქართველური ენების მიხედვით. იგი შედგენილი სიტყვაა (კომპოზიტი) და ორი ნაწილისაგან შედგება: **ტოპა-და**. პირველი ნაწილი იგივეა, რაც ქართული **ტბა** (რომელიც შეკუმშვის გზით არის მიღებული: შეადარე მეგრულში დაცული **ტობა**, ჭანური **ტობა**, **ტიბა**, სვანური **ტომბ**), ხოლო მეორე ნაწილი უნდა ნიშნავდეს „მწარეს", რაზედაც მიგვითითებს ამ სოფლის ახალი თურქული სახელწოდება (**აჯიგიოლ**). მართლაც, ჯერ კიდევ ნ. მარმა ცხადყო, რომ უძველეს სომხურში ქართველური ენებიდან ნასესხებია სიტყვა **დარ-ნ** („მწარე"), რომელიც მიღებულია **დარე**-საგან (შდრ.: ქართული **მ-წარ-ე**, მეგრულ-ჭანური **ნ-წარ-ე**). აქ ბგერობრივი, ფონეტიკური გადასვლების დეტალიზაცია უადგილოა. ამრიგად, **დარ** ივარაუდება **ტოპადა**-სიტყვაში: **ტოპადარ** (**რ** მოკვეცილია). ეს სოფელი ტბის პირადაა და აქედან გასაგებია — „მწარე ტბა" (სოფლის სახელწოდება ამ ტბის სახელისაგან დარქმევია). ა. შანიძის ეტიმოლოგია ერთობ საყურადღებოა ხეთურ სინამდვილესთან საქართველოს დაკავშირების თვალსაზრისით.

ხეთოლოგიის განვითარებაში წვლილი შეიტანა აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ და ამით გვერდში ამოუდგა ამ უმნიშვნელოვანესი კულტურულ-ისტორიული დისციპლინის აღიარებულ მკვლევარებს.

ვიცით, რომ ქართველი ტომები ურარტუელთა ჩრდილოელი მეზობლები იყვნენ და ძლიერი ურარტუს სამეფოს არსებობის ხანაში მათთან უთუოდ ინტენსიური ურთიერთობა ექნებოდათ. ურარტუ მაღლობელი აღმოსავლეთის უძლიერესი სახელმწიფო იყო ძვ. წ. IX—VI საუკუნეებში, ამ ხალხმა შექმნა საკმაოდ მაღალგანვითარებული კულტურა, დაწინაურებული იყო ქვისა და ლითონის (ბრინჯაო, რკინა) დამუშავებაში, კერამიკის წარმოებაში, წერდნენ ქვაზე, ლითონსა და თიხაზე ასურელებისაგან შეთვისებული ლურსმული დამწერლობით. ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ამ ოდესღაც ძლიერი სა-

ხელმწიფოს განადგურებამ დააჩქარა ჩრდილოეთით მცხოვრები ქართველი ტომების კონსოლიდაციის პროცესი და შეუწყო ხელი დიდი ქართული გაერთიანებების შექმნას. ამ გაერთიანებებში მოხვდა ზოგიერთი არაქართველური ტომიც. საფიქრებელია, მათ შორის იყვნენ ურარტუელებიც, რომელთა ნაწილი შეერწყა ქართველ ტომებს და ამ გზით ქართველი ხალხის შემადგენლობაში შევიდა.

დაძებნილია საინტერესო ენობრივი პარალელები. ურარტულის მეშვეობით ხერხდება თანამედროვე ქართველისათვის გაუგებარი ისეთი გამოთქმის ახსნა, როგორიცაა **ყირამალა, თავდაყირა, ყირაზე გადასვლა.** ურარტულში **ყირა** (ყირა) ნიშნავს მიწას. აქედან გასაგებია, რომ **ყირა-მა(ღ)ლა** უდრის: **მიწა მაღლა,** თავდაყირა — თავით მიწისკენ, **ყირაზე** გადასვლა — მიწაზე (თავით) გადასვლა.

ძველაღმოსავლური, კერძოდ, ურარტული მონაცემებით აიხსნება მნიშვნელობა მთელი რიგი სიტყვებისა, რომლებიც ქართულ სიმღერებში იხმარება. წინააზიის არაერთი ღმერთის, ღვთაების სახელი შემორჩენილა სწორედ ქართულ სიმღერებში. ასეთია, მაგალითად, მოსავლის ღვთაება **არალე (ალალე),** რომელიც თავს იჩენს ქართულ გამოთქმებში: **ივრი ალალე, თარი არალე (ალალე), არი ალალე. ივრი** ურარტულად მეუფეს, ბატონს ნიშნავს, — ქართული მისამღერი **ივრი ალარე (ალალე)** ნიშნავს: „მეუფეო ალალე!“ **თარი** ურარტულად ძლიერს ნიშნავს, ხოლო **თარი არალე** იგივეა, რაც „ძლევამოსილო არალე“. **არი არალე**-ში **არი** ურარტულია. „იგი კანონზომიერი ფორმაა. ბრძანებითი კილოს მხოლობითი რიცხვის მეორე პირისა ურარტული ზმნის ძირიდან „არუ“, რაც „მიცემას“ ნიშნავს. ასე რომ „არი“ ურარტულად ნიშნავს: მომეც (მოგვეც!), ხოლო მთლიანად **არი არალე** იქნება: მომეც (ღმერთო) ალალე.

ქართველური ტომების შეხვედრებზე მცირე აზიის ცენტრალურ და მესოპოტამიის ჩრდილო რაიონებში მოსახლე პროტოხეთურ და ჰურიტულ მოსახლეობასთან მოწმობს აგრეთვე ელვა-ჰექის ღმერთის სახელი **ტარო, ტარუ,** რომელსაც ეფარდება ქართული **ტაროსი,** პროტოხეთური **ვორ** (ქვეყანა) — ქართ. **ვორ** (მიწა) და სხვ. (მ. წერეთელი). საინტერესოა ძვ. წ. II ათასწლეულში მცირე აზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრის (შემდგომ — ხეთების სამეფოს დედაქალაქის) ხატუსას მმართველი **ფასუსტ**-ის სახელი, რომელიც მოგვაგონებს სვანურში ბატონის, უფლის მნიშვნელობით დამოწმებულ სიტყვას **ფუსტ (ფუსდ).** ალბათ უცხო ენაზე მეტყველმა ხალხმა ხელისუფლების ზოგადი სახელი (ბატონი, უფალი, მმართველი) საკუთარ სახელად გაიაზრა და ასე გადმოსცა. უფრო გვიანდელი ხანიდან, ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მიწა-წყალზე ანტიკური მწერლების მიერ დამოწმებულია მრავალი სატომო

თუ ადგილთა სახელი, რომლებიც აშკარად ქართულ-ქართველური სამყაროს კუთვნილება ჩანს. არ შეიძლება დავივიწყოთ ჯერ კიდევ ძვ. წ. XII საუკუნიდან მცირე აზიის აღმოსავლეთ რაიონებში აქტიური როლის შემსრულებელი მუშქების სახელწოდებაც, რომელიც აგრეთვე ორგანულ კავშირშია ქართულ ეთნო- და ტოპონიმიკასთან, — იგულისხმება მესხების სახელი (გ. მელიქიშვილი).

კიპერტმა აღნიშნა, რომ მცირე აზიაში არის გეოგრაფიული სახელები, რომელთა ახსნა ბერძნული, ლათინური ენების საფუძველზე შეუძლებელია. ამ სახელების დაბოლოებებია, მაგალითად, **დოს, ასა, ესა, სოს, ანდა, ენდა, ინდა, ონდა** და სხვა. იგივე მეცნიერი დასძენს, რომ გეოგრაფიული სახელები ასეთი დაბოლოებებით ამიერკავკასიაში გვხვდებაო. ა. სვანიძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ **ისა** ხშირია საქართველოს ტოპონიმებში: **ჯვარისა, დღნორისა, ლომისა.** ხშირია აგრეთვე **ისი** დაბოლოება: **თბილისი, ქუთაისი, დმანისი, რუისი, ტირძნისი.** რაც შეეხება **ნდა-ნთა** დაბოლოებას, ეს ქართულ სინამდვილეშია დადასტურებული: **მინდა, გურიანთა, ლაღვათა, ბიჭვინთა, კვერთა, ლობიანთა** და სხვა.

ამავე მეცნიერის აზრით, ქართულ კონსტრუქციას და მნიშვნელობას ააშკარავებენ მდინარისა და მთების სახელები. უდიდეს მდინარეს მცირე აზიაში **გალისი** ეწოდება. ეს არისო ელინიზებული მეგრული სიტყვა **გალი,** ნიშნავს ხეობას, მდინარეს, წყალს. ასეთივე წარმოშობისააო მცირე აზიის მეორე მდინარის სახელი **გალუს,** ოღონდ ჭანური (ლაზური) დაბოლოებით. მესამე მდინარეს (ანკარის მახლობლად) **ეგურ-ჩაი** ეწოდება, ე. ი. ისეთივე სახელი, როგორიც აქვს მდინარე **ენგურს** საქართველოში. ასევე გამოთქმულია ვარაუდი, რომ მცირე აზიაში ქართველი ტომების ხანგრძლივი ცხოვრების დასამტკიცებელ საბუთად შეიძლება ჩაითვალოს **„ჯიკ“-ით და „ჯიხ“-ით დაბოლოებული** გეოგრაფიული სახელების ფართოდ გავრცელება მცირე აზიაში. ჩვეულებრივ ეს სახელი, გერმანული „ბურგ“-ის და თურქული „კალე“-ს მსგავსად, დაერთვის კარგად გამაგრებულ თავდასაცავ ადგილს. „ბურგი“-ც და „კალე“-ც ციხეს ნიშნავს. მეგრულად ჯიხა ციხეა. **არმენიჯიკ** — სომეხთა ციხე, **ოსმან-ჯიკ** — ოსმალეთის ციხე.

ა. სვანიძე ასახელებს მცირეაზიულ-ქართულ გეოგრაფიულ სახელთა ასეთ პარალელებს:

მცირე აზია

ლორი (მდ. ლიკუსის სათავეებში)
სორა
ქუთაია (ფრიგიის ქალაქი)

განგრა გორდიონ (ფრიგიაში)
მისტია
თიანითის
ქობულათუს
კვარაჯიკ
ჯიკ- დაგ (ზანურად: ციხე, თურქუ-
ლად: მთა).

საქართველო.

ლორი (თბილისის რაიონია).
სორი (რაჭაში)
ქუთაია (ქუთაისის ძველი სახელ-
წოდება)
გაგრა
გორდი (დას. საქართველო).
მესტია
თიანეთი
ქობულეთი
კვარაცხე
ჯიხათა

ქართველურ ენათა შეხვედრები ურარტულ ენასთან მხოლოდ ლექსიკური პარალელებით არ შემოიფარგლება. მთელმა რიგმა საზღვარგარეთელმა და საბჭოთა მეცნიერებმა საყურადღებო და ანგარიშგასაწევი დაკვირვებები წარმოადგინეს გრამატიკული სტრუქტურის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენების პარალელიზმის დადგენის თვალსაზრისით. პირველი ცდა ამ მიმართულებით ეკუთვნით გამოჩენილ ასირიოლოგებს ლენორმანს, სეისსა და ფრიდრიხს, მაგრამ კვლევამ პოზიტიური შედეგები არ გამოიღო. შემდეგ აღსანიშნავია ნ. მარისა და განსაკუთრებით აკადემიკოს ი. მეშჩანინოვის გამოკვლევები, რომლებიც ახალ ეტაპს ქმნიან ურარტოლოგიაში, მიუხედავად იმისა, რომ მათი ნააზრევი ამ დარგში გარკვეულ შენიშვნებს იმსახურებს. ი. მეშჩანინოვის მიერ აღნიშნულ ურარტულ-ქართველურ საერთო მოვლენათა შორის უთუოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საკითხს ე. წ. „პასიური კონსტრუქციის“ ანუ „ზმნის პასიურად“ აღქმის შესახებ (მეშჩანინოვის თვალსაზრისი ეყრდნობა უმთავრესად მარის ურარტოლოგიურ ნაშრომს, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციამდე გამოქვეყნდა რუსეთში).

საქართველოს მუზეუმში დაცული ურარტული ძეგლების მეცნიერულმა პუბლიკაციამ, რომლის ავტორია აკადემიკოსი გ. წერეთელი, ახალი ფურცელი გადაშალა ურარტოლოგიაში. აქ აღნიშნულია:

„...საერთო მოვლენები ზმნის დარგში მიუთითებენ ურარტულისა და ქართველურ ენათა მართლაც საოცარ მსგავსებაზე, მაგრამ ეს მსგავსება მარტო ამით არ განისაზღვრება. იგი საკმაოდ იჩენს თავს აგრეთვე მეტყველების სხვა ნაწილებში. ასე, მაგალითად, ურარტულ სახელთა ბრუნება, რომელიც აგლუტინაციურ ხასიათს ატარებს, განსაკუთრებით უახლოვდება ქართულს. არა მარტო ცალკეულ ბრუნვათა სინტაქსური მნიშვნელობა, არამედ მრავლობითი რიცხვი, ნაცვალსახელი, ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელის საშუალებით ზედსართავის წარმოება, ნაწილობრივ ზმნის სუფიქსაცია და სხვა მოწმობს, რომ ურარტული ერთგვარ ენობრივს კავშირში იმყოფება ქართველურ ენებთან“.

სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ არის ცნობილი პროფესორ მიხეილ (მიხაკო) წერეთლის შ უ მ ე რ უ ლ-ქ ა რ თ უ ლ ი შტუდიები, მაგრამ, რაკი ეს პარალელები, ავტორის ჩანაფიქრით, ენათა გენეზისური ნათესაობის ასპექტში არის წარმოდგენილი, ამაზე აქ აღარ ვილაპარაკებთ (იხ. ამ წიგნის თავი: „ქართული ენის წარმოშობის თეორიები“).

ქართულ ენაში შემოსულია სიტყვები ს ო მ ხ უ რ ი ე ნ ი დ ა ნ ა ც.

სომხები და ქართველები, როგორც უძველესი ცივილიზაციის შექმნის მონაწილე ხალხები, ერთმანეთთან ისტორიულად მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. ისინი უხსოვარი დროიდანვე ემეზობლებიან ერთმანეთს, მათი ურთიერთთანაშრომლობა ქრისტიანული აღმოსავლეთის კულტურის შექმნაში სრულიად განსაკუთრებულია და უაღრესად საინტერესო. მდიდარია და მრავალფეროვანი ამ ორი მოძმე ხალხის ლიტერატურული ურთიერთობა ძველი დროიდან მოყოლებული დღემდე; წინა საუკუნეებში გაჩაღებული იყო მთარგმნელობითი მუშაობა სომხურიდან ქართულად და ქართულიდან სომხურად.

ქართულ ენაში სომხურის გზით შემოსულია როგორც საკუთრივ სომხური სიტყვები, ისე ზოგიერთი სპარსული და სემიტური სიტყვაც. ქართულში დამკვიდრებული სიტყვების მნიშვნელობა თვითონ სომხური ისტორიული ლექსიკის ზოგი ბუნდოვანი საკითხის გადასაჭრელად ნაჩვენებია ჰიუბშმანის, მეიეს, მარის, აჭარიანის, შანიძის, კაპანციანის, აბულაძის, სევაკის და სხვა მკვლევართა ნაშრომებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. მარისა და ილ. აბულაძის გამოკვლევები.

ძველ ქართულში სომხურიდან არის შემოსული როგორც ძირეულად სომხური, ისე სხვა ენების სიტყვები: ა ვ ა ზ ნ ი, ა ხ ო ვ ა ნ ი,

დალიმი, პატივი, სასტიკი, ბილწი, კატაბანი, ჟამი, კოლტი, ქურუმი, ხარკი და სხვ.

ისევე, როგორც სომხურს გაუმდიდრებია ქართული ენის ლექსიკური მარაგი, ქართულ ენასაც მიუწოდებია სომხურისათვის არა ერთი და ორი სიტყვა. სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის პროცესში ქართულიდან შესულა სომხურში ისეთი სიტყვები, როგორიცაა ველი, ყრმა, ცხოვარი, პირი, საუნჯე, ვარდნა, და სხვ. (ნ. მარი, ჰ. ფოგტი). ამ ქართულ სიტყვებს სომხურში ფონეტიკური ცვლილებანი განუცდია.

ზემოთ დასახელებული სიტყვების ურთიერთსესხება განეკუთვნება სომხეთ-საქართველოს ურთიერთობის იმ დროს, როდესაც ორივე ერს თავთავისი მწიგნობრობა ჰქონდა შექმნილი.

ირკვევა, რომ ქართველებსა და სომხებს კონტაქტები ჰქონიათ უძველეს ეპოქებშიც, ე. ი. იმ ხანაში, როდესაც ყალიბდებოდა სომხური და ქართული ეთნიკური ერთეულები. ნ. მარი ამტკიცებდა, რომ იმ უძველეს ხანებში ქართველური ენებიდან ბევრი სიტყვაა შესული უძველეს სომხურ ენაში.

გავეცნოთ ამ საკითხს უფრო მიახლოებით.

როგორც ცნობილია, სომხური ენა მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახს. ეს ასეა, მაგრამ ცნობილმა ლინგვისტებმა შენიშნეს, რომ ამ ენაში მოიპოვება მნიშვნელოვანი ელემენტები, რომლებიც არ განეკუთვნებიან ინდოევროპული ენების საერთო ფონდს, ისინი სხვა რომელიმე სისტემის ენათა შემონატანია სომხურში. გამოჩენილი სომეხი მეცნიერის, აკადემიკოს აჭარიანის ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით, 10996 სომხური სიტყვის ძირიდან მხოლო 713-ია ინდოევროპული. ამრიგად, სომეხმა და უცხოელმა ენათმეცნიერებმა სომხურ ენაში გამოყვეს ინდოევროპული ენებისათვის უცხო ელემენტები.

სად იყო საძიებელი ეს უცნობი ენობრივი ფენა?

ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ნ. მარი იკვლევდა სომხური სალიტერატურო ენის საკითხებს, მეცნიერი ამბობდა: „მეხუთე-მერვე საუკუნეების ძველ სომხურ სამწერლობო ენაში მოხდა რაღაც გარდატეხა. ძველი სომხური სალიტერატურო ენის ზოგი თავისებურება, გაბატონებული ამ მომენტამდის, აშკარავდება იმ ქართული ძეგლების შესწავლით, რომლებიც ნათარგმნია სომხურიდან“ ამრიგად, ნ. მარი ქართულ მასალებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სომხური სალიტერატურო ენის საკვანძო საკითხის გადასაჭრელად. მაგრამ ეს ეხებოდა სალიტერატურო ენის პერიოდს. ზემოთ კი ჩვენ ვეხებოდით სალიტერატურო ენის პერიოდამდე

არსებული სომხური ენის შედგენილობას, ე. ი. გაცილებით უფრო ძველ ხანას.

და როცა დაისვა სომხური იქს ფენის ამოცნობის პრობლემა, იმავე ნ. მარმა, რომელიც წინათ მსჯელობდა სომხურ-ქართული სალიტერატურო ენების პერიოდებზე (ე. ი. ახალ ხანაზე), ამ შემთხვევაშიც სრულიად ლოგიკურად, საკვლევაძიებო გეზი ქართული ენისაკენ აიღო. 1903 წელს ნ. მარმა პეტერბურგში გამოაქვეყნა კაპიტალური წიგნი „ძველი სომხური ენის გრამატიკა", სადაც ავტორი აღნიშნავს: სომხური ენის აგებულება არ ამოიწურება არიული ელემენტებით; სომხური ინდოევროპულ ენათა ფენასთან შერწყმულია რომელიღაც უცნობი ლინგვისტური ოჯახის ნალექი; მაშასადამე, სომხური ნარევი ტიპის ენად გამოიყურება.

რომელი ლინგვისტური ოჯახის სინამდვილიდან მოდის ეს ნალექი თუ ფენა სომხური ენისა? — აყენებს საკითხს წიგნის ავტორი. პასუხი ასეთია: „ამ უცნობი ოდენობის ფიზიონომია თანდათან მოიხაზა ჩემთვის იმ მუშაობის დროს, რასაც ვაწარმოებდი სემიტურ ენებთან ქართული ენის გენეზისური ნათესაობის დასადგენად". სხვა ნაშრომში ნათქვამია: სომხურზე უძველეს პერიოდში დიდი გავლენა მოუხდენია სხვა ენებს. „გამვლენელ ენებში ადგილი აქვს ქართულსაც". უპირატესად ისეთ ქართველურ ენებს, — განაგრძობს მარი, — როგორიცაა მეგრული და ჭანური. თანაც ირკვევა, რომ, გარდა ამ მეზობელი ენების... გავლენისა, სომხეთის... ენის თვითჩასახვაში დიდი წილი უდევს... სვანურს... სვანურში უნდა ვეძიოთ ყველაზე უპირველესად სომხეთის ლურსმული წარწერების გამოცანის ახსნა"[1].

ყურადღებას იპყრობს ქართული ენის კონტაქტები სემიტურ ენებთან. ეს არის შედეგი სემიტურ სამყაროსთან ქართველების უძველესი კავშირ-ურთიერთობისა. სემიტურ ენებთან ქართულის შეხვედრები სავარაუდოა ძვ. წ. IV—III საუკუნეებში (იხ. ზემოთ გამყრელიძე-ივანოვის თვალსაზრისთან დაკავშირებით)[1]. ქვემოთ გვიანდელ პერიოდზე ვისაუბრებთ.

---

[1] ნ. მარმა ამ საკითხს უძღვნა ვრცელი შრომა: „იაფეტური (ე. ი. ქართველური — შ. ძ.) ელემენტები სომხეთის ენებში", რომელიც 11 ნაწილად გამოქვეყნდა რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში (1911-1919).

[1] ა. შანიძე მარის ქართულ-სემიტურ თვალსაზრისთან დაკავშირებით ამბობდა: „ის ელემენტები, რომლებიც ახლოვებს ქართულს სემაით ენებთან, ერთი ჩამომავლობისა კი არ არის, არამედ სულ სხვა ნიადაგზეა წარმოშობილი. სახელდობრ, ჩვენ საქმე გვაქვს იმ გარემოებასთან, რომ ჩვენს ძველისძველ წინაპრებს მჭიდრო კულტურულ-პოლიტიკური კავშირი ჰქონიათ ერთ რომელიღაც სემიტურ ენასთან, იმდენად მჭიდრო, რომ ამას თავისი კვალი დაუტოვებია ჩვენს ენებში" (1920 წ.).

ებრაულისა და არამეულის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მცხეთის არქეოლოგიური აღმოჩენების წყალობით. ჯერ კიდევ მანამდე მეცნიერებაში მკვეთრად იდგა საკითხი ქართული ბიბლიის ებრაულ ორიგინალთან მიმართების შესახებ. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში აღმოჩენილ იქნა მცხეთაში ებრაული (უფრო ზუსტად — თალმუდის არამეულ ენაზე) წარწერა, რომელიც გამოსცა ცნობილმა მეცნიერმა დ. ხვოლსონმა (1884 წ.). იმავე ენაზეა შესრულებული 1938 წ. იქვე მოპოვებული წარწერა იოსებ ბარ ჰაზანისა, რომელიც გამოიკვლია აკად. გ. წერეთელმა (1940 წ.).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის არამეული სამყარო. საქართველოში არამეული ტრადიციების შესახებ ჩვენ წინათაც შეგვეძლო ვარაუდი გვქონოდა იმ არამეული სიტყვების მიხედვით, რომლებიც გარკვეული რაოდენობით გვხვდება ქართულ'ი, მაგრამ ახალი აღმოჩენების მიხედვით დადასტურდა, რომ არამეული ენა იბერიის (ძველი საქართველოს) მმართველი წრეების ოფიციალური დოკუმენტების ენად იყო გამოყენებული. მეტიც: მცხეთა-არმაზის წარწერებიდან ჩანს, რომ არამეულს აქ იმდენად ხანგრძლივი ტრადიციები ჰქონია, რომ იბერიაში შეიქმნა არამეულის თავისებური შტო, მეტად ორიგინალური პალეოგრაფიული ნიშნებით და ზოგიერთი ენობრივი თავისებურებით. იბერიის სახელმწიფო წყობილების, სოციალურ ურთიერთობათა და პოლიტიკური ისტორიის საკითხების შესასწავლად ჩვენ მოგვეპოვება ავთენტიკური არამეული და აგრეთვე სპარსული ძეგლები, რომლებიც თავისი სულით, ხასიათით, ამავე დროს ქართულია (გ. წერეთელი). არამეულთან დაკავშირებულია ქართული ანბანის პრობლემებიც, რაზედაც ლაპარაკია ამ წიგნის სხვა თავში.

ქართულ ენას შეხვედრები უნდა ჰქონოდა სემიტური ენების ცალკეულ წევრებთან ადრინდელ ეპოქებში. ასე, მაგალითად, ძალიან ძველი ნასესხებია ქართულში სემიტური წარმოშობის ისეთი სიტყვები, როგორიცაა: ა ქ ლ ე მ ი, თ ა რ გ მ ა ნ ი, თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი, კ უ პ რ ი, ზ ე თ ი და სხვ.

განსაკუთრებით ბევრია ქართულ ენაში არაბული წარმოშობის სიტყვები. საქართველოს ურთიერთობა არაბებთან ისლამის პირველ საუკუნეშივე იწყება. VII საუკ. ორმოციან წლებში საქართველოს მოსახლეობა უშუალო კონტაქტს ამყარებს არაბებთან. ეს კავშირი არ შეწყვეტილა რამდენიმე საუკუნის მანძილზე. ამავე დროს არაბული კულტურის ძეგლები ითარგმნებოდა ქართულ ენაზე. ამრიგად, არაბული ლექსიკური მასალა ინერგებოდა როგორც არაბებისა და ქართველების პირადი ურთიერთობის, ისე მწიგნობრული გზით. ქართველმა მწიგნობ-

რებმა კარგად იცოდნენ არაბული ენა. ისინი არაბულ ხელნაწერებზედაც მუშაობდნენ.

არსებული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ სინის მთის ქართული მონასტრის ქართულ ხელნაწერებში გვხვდება არაბული დაწერილობის კვალი. სინის ქართულ ხელნაწერებში ნაკლებად იგრძნობა სირიულის გავლენა, ვიდრე ბერძნულისა, და შედარებით მეტადაა შენახული არაბული ენის გავლენის კვალი.

სინაზე ნაპოვნია არაბული ანბანი ქართველთათვის. თითოეული არაბული ასო განმარტებულია ქართული ასოთი. სინაზე არსებობდა არაბული ხელნაწერები რვეულთა ქართული ნუმერაციით და ქართული ხელნაწერები — არაბული ნუმერაციით (სიტყვებით). და, ბოლოს, სინის მთის ქართულ ხელნაწერებში ნაპოვნია ქართველთა ჩანაწერები და მინაწერები არაბულ ენაზე. არაბული მინაწერები და ჩანაწერები ქართულ ხელნაწერებში იმის მაჩვენებელია, რომ მაშინდელი გადამწერლები შესანიშნავად იცნობდნენ ორივე ენას და ჩანს, რომ სინაზე უკვე მაშინვე მტკიცედ იყო ფესვმოკიდებული ქართველების მიერ არაბული დამწერლობის შესწავლის ტრადიცია (ვეყრდნობით პროფ. ი. მეგრელიძის სპეციალურ გამოკვლევას).

ქართულ ენაში არსებული არაბული ელემენტების შესწავლა მნიშვნელოვანია არა მარტო ქართული ენის ლექსიკური შედგენილობის შესწავლისათვის. ეს, როგორც აღნიშნავს გ. წერეთელი, მდიდარ მასალას იძლევა აგრეთვე არაბული ენის ისტორიული ფონეტიკისათვის. ვინაიდან ძველთაგანვე არსებული ქართული წესი ხმოვანების ზუსტი აღნიშვნისა, შესაძლებელს ხდის გარკვეულ იქნეს ბუნება და ხასიათი ამა თუ იმ ბგერისა ისტორიულ ეპოქაში.

საინტერესოა, რომ თვით არაბების აღმნიშვნელი სახელები ქართულში შემოსულია სხვა ენების მეშვეობით ჯერ კიდევ ადრე, ვიდრე არაბები უშუალო კონტაქტს დაამყარებდნენ ქართველებთან. ასეთებია: ა რ ა ბ ი, ა რ ა ბ ი ე ლ ი და ს ა რ კ ი ნ ო ზ ი. ეს უკანასკნელი ქართული გადმოცემაა ბერძნული ფორმისა, რომელიც აგრეთვე არაბული ტომის სახელია. არაბების ამ ზოგადი სახელწოდებების გვერდით იმთავითვე ჩნდება ჩვენში არაბული ტომების აღმნიშვნელი სიტყვები. ასეთებია, მაგალითად, ტ ა ი ჰ ი, რომელიც ქართულში ცხენს ნიშნავს, მას საფუძვლად უდევს ჩრდილო არაბული ტომის სახელი (აქედანვეა, სხვათა შორის, სახელწოდება ტ ა ჯ ი კ ი), ქართულში ტაის ტომის აღმნიშვნელი სიტყვა შემოდის ჯერ არაბის, ბედუინის აღსანიშნავად, შემდეგ — არაბული ცხენისა.

ხალხისა და ტომების აღმნიშვნელი ტერმინების გვერდით ჩნდება ადამიანის საკუთარი სახელები: ჰ ა ბ ო, ა ბ დ უ ლ ა, ჯ ა ფ ა რ ი და სხვ. შემოსულია ქართულში აგრეთვე ისლამის პოლიტიკური და სარ-

წმუნოებრივი ტერმინოლოგია (ამირა და სხვ.), ზოგადი სახელები (ნიკრისი, აუზი, დავა, ვექილი) და სხვ.

„გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ ზოგიერთი სიტყვა ქართულიდან იყოს სემიტურში წაღებული“ (გ. წერეთელი).

აქ შეიძლება დავასახელოთ სიტყვა ღვინო, რომელიც ასეთ ეჭვს იწვევს. როგორც ვიცით, ეს სიტყვა გავრცელებულია სხვადასხვა სისტემის ენაში (ინდოევროპულში, სემიტურში...).

ზოგი მკვლევარი აღიარებდა, რომ ეს სიტყვა არაა ძირეულად ინდოევროპული, იგი ნასესხებიაო (ტომსონი). ზოგ სემიტოლოგსაც ეს სიტყვა არ მიაჩნდა სემიტური წარმოშობის სიტყვად (ლაგარდი, ჰომელი, გენეზიუსი).

ადრე ნ. მარი ვარაუდობდა, რომ ეს სიტყვა ქართული წარმოშობისაა.

აკად. გ. წერეთელი ფიქრობდა, რომ ადვილი შესაძლებელია, ეს სიტყვა სემიტურში ქართულიდან იყოს შესული. მისი მსჯელობა ასეთია: ქართულ ვი-ს მეგრულში შეესატყვისება გი (შდრ.: ქართ. ვირი. მეგრ. გირინი). ამიტომ ქართ. ღვინო-ს შესატყვისად ქართულშიც უნდა ყოფილიყო ღვინი, რომელიც ეფარდება მეგრულს და გვხვდება ძველ ტექსტებშიც, მეგრულში უნდა გვქონოდა გინი. ამ ფორმით ეს სიტყვა შემონახულია სომხურში, სადაც იგი მეგრულ-ჭანურიდან უნდა იყოს ნასესხები. სომხურს არ შეეძლო ეს სიტყვა შეეთვისებინა ინდოირანულიდან, რადგან იგი აღმოსავლურ ინდოევროპულ ენებში არ გვხვდება; გამორიცხულია სემიტურიდან სესხებაც... ქართულში რომ სიტყვა სემიტურიდან იყოს შემოსული, სომხურს ქართველური ენებიდან არ დასჭირდებოდა სიტყვის გადაღება, რადგან სემიტურიდან სესხების გზები მისთვის გახსნილი იყო. თუ გავიხსენებთ ბიბლიაში არსებულ ძველ გადმოცემას, რომელიც გვამცნობს, რომ ამიერკავკასია ვენახისა და ღვინის სამშობლოა, სერიოზული საფუძველი გვექნება, გამორიცხულად არ ჩავთვალოთ შესაძლებლობა, რომ მაღალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაჩვენებელი ისეთი სიტყვა, როგორიც არის ღვინო და თვით საგანი იმით აღნიშნული, ქართულიდან იყოს მთელ მსოფლიოში გავრცელებული (გ. წერეთელი).

თ. გამყრელიძემ და ვ. ივანოვმა ვრცელი ექსკურსი მიუძღვნეს თავიანთ ერთობლივ ნაშრომში ამ საკითხს: მათ დასაშვებად მიაჩნიათ, რომ ღვინის აღმნიშვნელი სიტყვა ინდოევროპული წარმოშობისაა და გავრცელებული წინა აზიის ენათა ფართო არეალზე, მათ შორის — ქართულში; ასევე ძველ ინდოევროპულ დიალექტებში დაძებნილია ქართული სიტყვის — ვენახის ფარდი ძირეული მასალა. ამ და-

კავშირების კვალობაზე — ქართულ ენაში ღვინო, ვენახი 6000 წლის წინათ უნდა დამკვიდრებულიყო.

მაინც უნდა ითქვას, რომ ძველ ქართულში არაბულიდან არ არის დანერგილი იმდენი სიტყვა, რამდენიც ეს მოსალოდნელი იყო. არაბიზმების ეს სიმცირე იმით აიხსნება, რომ ქართველი ხალხის მაღალი ეროვნული და ქრისტიანული სარწმუნოებრივი თვითშეგნება, რომელმაც გამოძახილი ჰპოვა იოანე საბანის ძის VIII საუკუნეში შექმნილი პატრიოტული ტენდენციით აღსავსე ძეგლში, უკარნახებდა ქართველ ხალხს, სასტიკი ბრძოლა გამოეცხადებინა ისლამისა და ყოველგვარი მაჰმადიანურის წინააღმდეგ, როგორც ქართული სარწმუნოებისა და სახელმწიფოებრიობის მტრისა. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ კლასიკური პერიოდის სამწერლობო ქართულს საფუძვლად დაედო ბიბლიის თარგმანისა და მის ნიადაგზე განვითარებული საეკლესიო ლიტერატურის ენა, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში განაგრძობდა ტრადიციით არსებობას. ტრადიცია იმდენად დიდი იყო, რომ XI საუკუნეში გიორგი მთაწმიდელი თავის ოთხთავის ტექსტში გაურბის არაბული სიტყვების ხმარებას, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ქართულ ენაში არაბული ლექსიკური ელემენტების საკმაო რაოდენობა მოიპოვებოდა (გ. წერეთელი).

არაბულიდან ნასესხებია: **ალამი, ადათი, იჯარა, ნისია, ქირა, ვექილი, ბუასილი, ექიმი, შაკიკი, ატლასი, ქურა, ყავა, ფიქრი, ყასაბი, საბაბი, არაქათი, ღალატი, სურათი, ათაბაგი, აქლემი, გავაზი, დავა, ვაზირი, მუშტარი, მარეხი, ოტარიდი, ქამარი, მანდილი, თასი, კოშკი, ლაჟვარდი, ხაბაზი, ნალი, ნარინჯი, ნუსხა, შარბათი, ფარდა, შაქარი, ჯალაბი, ჯილაგი** და სხვ.

მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ქართველებს სირიელებთან V—XIII საუკუნეებში. სირიულიდან უშუალოდ თუ შუალობით ქართულში შემოსულია: **ამირა, დარი, ზვარაკი, თარგმანი, კაკაბი, კუპარი, ზეთი, მაგალითი, მახათი, შაბათი, შამფური, შუკა, ქალაქი, ქანქარი, ქნარი** და სხვ.

ქართულ ენაში მოიპოვება აგრეთვე თურქული ენის ელემენტები. ძველ საუკუნეებში შემოსულია ანატოლიურ-თურქულიდან სიტყვები, უმთავრესად ზეპირი გზით. განსაკუთრებით ბევრია ნასესხები სიტყვა თურქულიდან ქართული ენის სამხრეთულ დიალექტებში.

მეზობელ აზერბაიჯანელებთან ურთიერთობას არ შეიძლებოდა ხელი არ შეეწყო აზერბაიჯანული და ქართული ენების ურთიერთზემოქმედებისათვის და არ განეპირობებინა ერთი ენის ლექსიკური შემადგენლობის ზრდა მეორე ენის ელემენტებით.

ნასესხები ლექსიკური ელემენტების ანალიზი და მათი კლასიფიკაცია სიტყვათა მნიშვნელობის თვალსაზრისით ზოგჯერ საშუალებას

გვაძლევს გამოვყოთ ხალხთა სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ის დარგებიც, რომლებიც ერთს უფრო მეტად ჰქონდა განვითარებული და სრულყოფილი, ვიდრე მეორეს. აზერბაიჯანული ელემენტები ქართულში ასახავს სახალხო მეურნეობის ისეთ მხარეებს, როგორიცაა მეცხოველეობა, თევზის მრეწველობის პროდუქტები და სხვ.

აზერბაიჯანულიდან ქართულში ნასესხებია სიტყვები: **თოხლი, შიშაგი, ყოჩი, იალაღი, დოლი, ბუღა, დოში, ხიზილალა, ტოლმა, ბუღლამა, ყაურმა, ბოზბაში, ოხუნჯი** და სხვ. (აკად. ს. ჯიქია).

აზერბაიჯანულში ქართულიდან ნასესხები მასალის კლასიფიკაცია კი გვიჩვენებს, რომ სესხება ხდება მევენახეობის, მეღვინეობის, მიწათმოქმედების ტერმინებისა. აკად. ივ. ჯავახიშვილმა სასოფლო-სამეურნეო იარაღების შედარებითი შესწავლისა და ამ საგანთა სახელწოდების დაწვრილებითი ფილოლოგიური ანალიზის საფუძველზე გამოარკვია, რომ ძველ საქართველოს მაღალი სამიწათმოქმედო კულტურა ჰქონდა. მეზობელი ხალხები — სომხები, აზერბაიჯანელები, ჩრდილო-კავკასიელები და სხვანი გარკვეულ შემთხვევებში ქართველებისაგან ითვისებდნენ როგორც გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, ისევე მიწის დამუშავების გაუმჯობესებულ ტექნიკას და, მაშასადამე, შესაბამის ტერმინებსაც. ივ. ჯავახიშვილი, მაგალითად, ჩერდება სიტყვაზე გუთანი და აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანულში ქართულიდან ნასესხებმა გუთან-სიტყვამ კოტან-ის სახით განდევნა საერთოთურქული საბან.

დადგენილია, აგრეთვე, რომ აზერბაიჯანულში ქართულიდან ნასესხებია ისეთი ტერმინები, როგორიცაა მოდგამი, რომელსაც აქვს მიწის კოლექტიური დამუშავების მნიშვნელობა. ქართულიდან ნასესხებია აგრეთვე სიტყვა თოხი (თოჯი ძველ ქართულ წერილობითს ძეგლებში გვხვდება XI საუკუნიდან). ეს აღნიშნულია რუსულ-აზერბაიჯანულ ოთხტომეულ ლექსიკონშიც, რომელიც ბაქოში გამოქვეყნდა 1943 წელს. ამ სიტყვას რომ ღრმად აქვს ფესვი გადგმული აზერბაიჯანულ ყოფა-ცხოვრებაში, იქიდან ჩანს, რომ მან მოგვცა რამდენიმე ახალწარმოებული ზმნა.

ს. ზელინსკის აზერბაიჯანულ სოფლის მეურნეობის ტერმინებს შორის ფიქსირებული აქვს სიტყვა მარგილ, რომელიც ვაზის შეყელვისათვის იხმარება. ეს სიტყვაც ქართულია. ქართულიდანვეა ნასესხები აზერბაიჯანულში შემდეგი სიტყვები: ჭაჭა, ჭინჭარი, ტალავარი (ტალავარი დადასტურებულია V—XI სს. ქართულ ხელნაწერებში) და სხვ. (ს. ჯიქია).

ქართველურ ენებში გვაქვს სიტყვა **სიმინდი**, მაგრამ ლაზურსა და მეგრულში თურქულიდან ნასესხებად ჩანს ამავე ცნების აღსანიშნავად **ლაზუტი** (თავისი ვარიანტებით). გამორკვეულია (ს. ჯიქია), რომ ეს

სიტყვა თურქულს ჩვენი ენობრივი წიაღიდან აქვს ნასესხები (ნიშნავს: „ლაზების მცენარე"). შემდეგ ისევ ჩვენს ენას დაუბრუნდა სიტყვა, გაფორმებული თურქული აფიქსაციით (ლაზუტი).

ქართულ ენას კონტაქტები აქვს რუსულ ენასთანაც, განსაკუთრებით მოყოლებული XVIII საუკუნიდან. მიუხედავად რუსეთთან ინტენსიური ისტორიულ-კულტურული ურთიერთობისა, ქართული სალიტერატურო ენა ასცდა რუსული სიტყვების უხვად შემოჭრას. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ჩვენს მწიგნობრულ ენას საუკუნოებრივი ტრადიცია უმაგრებდა ზურგს და რუსიციზმების დამკვიდრებისათვის საფუძველი არ არსებობდა. სამაგიეროდ, უხვად შემოვიდა რუსულიდან სიტყვები და გამოთქმები დიალექტებში და სასაუბრო ენაში, სადაც ლიტერატურული სანქცირებისათვის დამახასიათებელი შეზღუდვები გამორიცხულია.

სხვა საკითხია მეტყველების ფსიქოლოგიის სფერო: რუსული წინადადებების კონსტრუქციები, კალკები, ფრაზეოლოგიური შენაერთები ფართოდ იკაფავდა გზას, ჩვენი ენისათვის შეუფერებელი სინტაქსური შეხამებანი თანდათანობით მკვიდრდებოდა ენაში, მაგრამ დროდადრო სალიტერატურო ქართული ცდილობდა თავი დაეღწია ამგვარი გავლენებისათვის.

როგორც ვიცით, ინტერნაციონალური ლექსიკა (ე. წ. კულტურული ტერმინები, საერთაშორისო სიტყვა-გამოთქმები) ქართულ ენაში ჯერ კიდევ ძველ საუკუნეებში ინერგებოდა (ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან კონტაქტების პირობებში), მაგრამ ამ კატეგორიის ბევრი სიტყვა შემოვიდა რუსული ენის გზით, განსაკუთრებით XIX საუკუნეში. ეს „შუალობითი გზა" ალბეჭდილიც არის ქართულში. როგორც ცნობილია, ყოველი ენა თავისებურად გადააკეთებს უცხოურ სიტყვას, დაუმორჩილებს თავის ფონეტიკურ კანონზომიერებას. მაგალითად, რუსულს არა აქვს ბგერა „თ". ამიტომ იმ უცხოურ სიტყვაში, რომელშიაც „თ" ურევია „ტ"-დ გადააკეთებს ხოლმე. არც „ჰ" აქვს რუსულ ენას, — მის ადგილს „გ"-ს ხმარობს და ა. შ. რაკი ბევრი საერთაშორისო სიტყვა რუსულის მეშვეობით შემოვიდა ჩვენს ენაში, „თ"-სა და „ჰ"-ს შემცველი სიტყვები რუსულისებურად „ტ"-თი და „გ"-თია გადმოცემული, მიუხედავად იმისა, რომ ქართულს აქვს „თ" — „ჰ" ბგერები. ამით აიხსნება, რომ ქართულ სალიტერატურო ენაში არაიშვიათად გვხვდებოდა, მაგალითად, ესტეტიკა, ტემა, აპათია, ენტუზიასტი, სინტეზი, ფილანტროპია, ტერმომეტრი, ეპიტეტი, ატეისტი და მისთანანი. ბერძნულს ახასიათებს „თ", გერმანულ-ფრანგულსაც „თ" აქვს (თუმცა დღეს აღარ გამოითქმის, დაწერით კი „თ"-ს წერენ), ამიტომ ბერძნულ-გერმანულ-

ფრანგული საერთაშორისო სიტყვები, რომლებიც „თ"-თია წარმოდგენილი, ქართულში „თ"-თივე უნდა გადმოიცეს, და ასეცაა დღევანდელ ქართულ სალიტერატურო ენაში დაკანონებული (ესთეტიკა, სინთეზი, ეპითეტი...); თუ „ტ" არის ამ ენათა სათანადო სიტყვები, რასაკვირველია, „ტ"-თივე გადმოიცემა ქართულში (ბეტონი, ეტაპი, კაბინეტი, ვიტრინა...).

ასეთივე მდგომარეობაა „ჰ"-ს შემცველ სიტყვებში. რუსულს „ჰ" არა აქვს და ამიტომ „გ"-თი გადმოგვცემს, მაგალითად, სიტყვებს — гигиена, гимн, галюцинация, гипноз. ქართულისათვის კი ბუნებრივია ასეთი დამწერლობა: ჰიგიენა, ჰიმნი, ჰალუცინაცია...

არევ-დარევა იყო წინათ „გ"-ს შემცველ საერთაშორისო სიტყვებშიც. წერდნენ: ღრამატიკა, კატიღორია, ლოღიკა, ტრაღედია და სხვა. (ივ. მაჩაბლის თარგმანებში, მაგალითად, ტრაღედია გვხვდება!). ბერძნული γ მართლაც ნაირ-ნაირი ბგერა იყო „ი" და „ე"-ს წინ, სულ სხვანაირი — დანარჩენ შემთხვევაში. პირველ შემთხვევაში ის ისეთი ბგერა იყო, რომ ქართულმა საჭიროდ დაინახა მისი გადმოცემა „გ"-თი (ძველიდანვე ცნობილია გიორგი, გერონტი, მაგისტროსი), ხოლო მეორე შემთხვევაში ბევრგან „ღ" მოგვცა: პითაღორა, ლიკურღოსი, მაღნისია. ასე რომ, თუ ძველი წესი დარჩა ძალაში, სწორედ ლოგიკა უნდა იწერებოდეს და არა ლოღიკა, ტრაგიკული და არა ტრაღიკული. მაგრამ იმ მეორე შემთხვევაში „ღ" არ გამოხატავდა ზედმიწევნით γ-საგან განსხვავებულ მეორე γ-ს და ამიტომ შემდეგ ხანებში ორივე γ-ს გადმოცემა ერთმანეთში აირია (მაგალ.: დიოღენი). რაკი სალაპარაკო ენაში მეტწილად განიანი ფორმებია გაბატონებული და ეს „გ" გამართლებულია ისტორიითაც, „გ" დარჩა ისეთ შემთხვევებისთვისაც, როგორიცაა ლოგიკა და ტრაგიკული, სადაც „ღ"-ს არავითარი საფუძველი არ მოეპოვება, და, მაშასადამე, ბერძნულ-ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში „ღ", საზოგადოდ, არ გვექნება. ამგვარად, დღეს გაბატონებულია: აგიტაცია, ალეგორია, გენერალი, გენიოსი, გრამატიკა, ტრაგედია, ფრაგმენტი, ლოგიკა...

რუსულისავე გავლენით იხმარებოდა წინათ „ხ" ისეთ სიტყვებში, სადაც ბერძნულის კვალობაზე „ქ" უნდა ყოფილიყო ქართულშიც. ამბობდნენ და წერდნენ: არხაიზმი, ბრონხები, ტეხნიკა, ტეხნიკუმი, ტეხნოლოგია, ფსიხიკა, ხრონიკა, ხრონოლოგია და მისთანანი. რაკი ქართულში „ქ" მკვიდრი ბგერაა, დაკანონდა ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვების ასეთი დაწერილობა: არქაიზმი, ტექნიკა, ფსიქიკა...

უმართებულოდ იყო, აგრეთვე, ქართულში გავრცელებული ევროპის ენებიდან მომდინარე ისეთი სიტყვები, რომლებშიაც გვაქვს „ლა“ და „ლუ“ ჯგუფები. წინათ ქართულში იხმარებოდა: რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ა, ე ვ ო ლ ი უ ც ი ა, ი ლ ი უ ს ტ რ ა ც ი ა, ი ზ ო ლ ი ა ც ი ა, კ ო მ პ ი ლ ი ა ც ი ა, პ ო პ უ ლ ი ა რ უ ლ ი, მ ა ლ ი ა რ ი ა და მისთ. ამჟამად დაკანონებულია: რ ე ვ ო ლ უ ც ი ა, ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ა, ი ზ ო ლ ა ც ი ა, მ ა ლ ა რ ი ა... რატომ? ამ სიტყვების სამშობლო ენაში ლა — ლუ გვაქვს (მალარია, რევოლუცია...). რუსულმა ამ ჯგუფების შემცველი სიტყვები ასე გადმოიღო малярия, революция, ე. ი. ля და лю ჯგუფები გააბატონა. ეს იმიტომ, რომ რუსულს ორგვარი „ლ“ აქვს: მაგარი და რბილი. ქართულისათვის შესაფერია ლა — ლუ ჯგუფები და ამიტომაა დღეს გაბატონებული მ ა ლ ა რ ი ა-რ ე ვ ო ლ უ ც ი ა-ს ტიპის ფორმები, ისევე როგორც არის ამგვარი სიტყვების სამშობლო ენაში.

რუსულ ენაშიც შესულა ქართული სიტყვები. მაგალითად, რუსულად გამოცემულ უცხო სიტყვათა ლექსიკონში (იხ. ცნობილი წიგნი: «Словарь иностранных слов», 1937, с приложением таблиц и «Грамматики иностранных слов» проф. Н. В. Юшманова, гл. ред. Ф. Н. Петров, издательство Государств. институт «Советская Энциклопедия», Москва, 1937) მოცემულია ქართულიდან ნასესხები სიტყვები მ წ ი რ ი (мцыри), თ ა მ ა დ ა, მ ა წ ო ნ ი და სხვ. ამასთანავე, უხვად არის რუსულ გამოცემებში, (მაგალითად, ნათარგმნ თხზულებებში და სხვ.) ქართული სინამდვილისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ლექსიკური ერთეულები (ასეთი მასალა თავმოყრილია პროფ. გ. გოლეთიანის წიგნში: „Грузинская лексика в русском языке“, 1972, თბილ. უნივერსიტეტი; იხ. აგრეთვე ტ. შადურის საკანდიდატო დისერტაცია: „Грузинская лексика в русской литературе первой половины XIX века“).

ქართულიდან რუსულში დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულები შესულია არა მხოლოდ უცხო სიტყვათა ლექსიკონებში, არამედ რუსული ენის განმარტებით ლექსიკონებშიც (იხ., მაგალითად, უშაკოვის ცნობილი განმარტებითი ლექსიკონი). ვ. დალის განმარტებით ლექსიკონში დამოწმებულია ქართული სიტყვა „ცხრა“: Цхра: Игра в Цхру (Астраханская губерния).

საფიქრებელია, აქ იგულისხმება კარტის თამაშში გამოყენებული ლექსიკური ერთეული.

გოლეთიანის შემაჯამებელ წიგნში შეტანილია რუსულ ენაში ჯერ კიდევ ადრე აღბეჭდილი ქართული სიტყვები (მაწონი, ჩახოხბილი...), აქვეა ფართოდ გავრცელებული ქართული სიტყვები, რომელთაც ვერ უპოვიათ ადგილი რუსულ ლექსიკონებსა და ცნობარებში (სულგუნი,

საცივი, ჩურჩხელა...), ნაკლებ პოპულარული (შუშხუნა, საოჯახო, კრწანისული) და სხვა ენებიდან ქართულში შემოსული სიტყვები (აზარფეშა, ჯამი, კულა...).

წიგნი ძვირფას ინფორმაციას გვაწვდის და არსებითად იმ სიტყვების ლექსიკონს შეადგენს, რომლებიც დღეს რუსულ მეტყველებასა და შესაბამის წყაროებში გვხვდება. გამოყენებულია ცენტრალურ ორგანოებსა და რუსულ რესპუბლიკურ გაზეთებსა და ჟურნალებში წლების განმავლობაში გამოქვეყნებული ზოგიერთი რუსი მწერლის (პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი, პოლონსკი, გორკი, მაიაკოვსკი, ტიხონოვი, ერენბურგი, პაუსტოვსკი, პავლენკო, ანტონოვსკაია, ფედინი, გოლცევი, ჩორნი, ლეონოვი...) თხზულებები, თარგმნილი მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა.

ქართული ენის განშტოებები

ცნობები ქართული კილოების შესახებ გვხვდება ჯერ კიდევ XVIII ს. მიწურულისა და XIX ს. უცხოელ მოგზაურთა და მეცნიერთა ნაშრომებში (ალტერი, გიულდენშტედტი, ბროსე, როზენი, ერკეტი, შუხარდტი და სხვ.).

ქართული დიალექტების მეცნიერული შესწავლა XX ს. დამდეგიდან იწყება. 1910 წ. მარმა სამხრეთ საქართველოში შეისწავლა იმერხეული მეტყველება და 1911 წ. გამოსცა ტექსტები, რომლებსაც დაურთო შენიშვნები და ლექსიკონი. მისივე ხელმძღვანელობით პეტერბურგის უნივერსიტეტსა და მეცნიერებათა აკადემიაში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა დიალექტოლოგიურ კვლევას, შედგა ინსტრუქცია-პროგრამა, გაიშალა საექსპედიციო საქმიანობა, გამოიცა სალექსიკონო მასალა და მისთ. (ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ვ. ბერიძე).

1913 წ. კრებულ „ძველ საქართველოში“ დაიბეჭდა მ. ჯანაშვილის ვრცელი ნაშრომი ინგილოურის შესახებ.

დიალექტების გეგმაშეწონილი და სისტემატური შესწავლა პირველად თბილისის უნივერსიტეტში დაიწყო. ა. შანიძემ დასაბამი მისცა მთის კილოების ფუნდამენტურ კვლევას. ოციან წლებში გამოქვეყნდა ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას ფუძემდებლური დიალექტოლოგიური ნაშრომები, რომლებმაც განსაზღვრეს ამ დარგის განვითარება. ფართოდ გაიშალა აგრეთვე კვლევა-ძიება ჯერ ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში, ხოლო მოგვიანებით — მისგან გამოყოფილ ენათმეცნიერების ინსტიტუტში. მნიშვნელოვანი შედეგებია მოპოვებული რესპუბლიკის პედაგოგიური ინსტიტუტების ქართული ენის კათედრებზე.

ქართულ დიალექტოლოგიაში მუშაობა იმთავითვე რამდენიმე მიმართულებით წარიმართა. ამოცანად დაისახა: 1. დიალექტთა ყოველმხრივი და ამომწურავი შესწავლა (ტექსტების შეკრება-გამოცემა, ცალკეული დიალექტების ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებების სრული დახასიათება); 2. დიალექტური ლექსიკონების შედგენა; 3. ისტორიული დიალექტოლოგიის პრობლემების კვლევა; 4. მწერლის ენის შესწავლასთან ერთად პერსონაჟთა მეტყველების თავისებურებათა შესწავლა; 5. დიალექტთა საერთო მოვლენების წარმოშობა-განვითარების ძიება ქართული ენის განვითარების საერთო ფონზე და ქართული ენის დიალექტთა მასალის ანალიზის საფუძველზე ზოგადენათმეცნიერული საკითხების გაშუქება. გამოქვეყნებულია მონოგრაფიული გამოკვლევები და ცალკეული სტატიები; სპეციალურად შესწავლილია რამდენიმე დიალექტის ლექსიკა; დაბეჭდილია დიალექტოლოგიური ტექსტები და სხვ. საფუძველი ჩაეყარა დიალექტოლოგიური ატლასის შექმნას.

დიალექტური თავისებურებანი გამოვლენილია ძველი საუკუნეების წერილობით ძეგლებში — ძველ ქართულ თარგმანებში. ორიგინალურ მხატვრულ ლიტერატურაში, ისტორიულ საბუთებში და სხვ. მოგვეპოვება წინა საუკუნეებში ფიქსირებული ცოცხალი მეტყველების ტექსტებიც, რომლებიც დაცულია ნეაპოლის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (XVIII ს.).

ქართული ენა იყოფა მეტ-ნაკლებად განსხვავებულ დიალექტურ ერთეულებად. ისინი ტრადიციულად ერთიანდებიან აღმოსავლურ და დასავლურ ჯგუფებში (გამოყოფენ სამხრულ ჯგუფსაც), რასაც საფუძვლად უდევს უმთავრესად ეთნიკური და გეოგრაფიული საკლასიფიკაციო პრინციპი. დიალექტთა კლასიფიკაციის ლინგვისტური კრიტერიუმი კი კილო-თქმათა განმასხვავებელი ნიშნების ერთობლიობაში მღვომარეობს.

ა ჭ ა რ უ ლ ი გავრცელებულია აჭარის ასსრ-ში: ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის, ქობულეთის რაიონებში. აგრეთვე გურიაში — ჩოხატაურის რაიონის რამდენიმე სოფელში (დასახლებულან დაახლოებით ერთი საუკუნის წინათ). ამ დიალექტზე ლაპარაკობენ აჭარის იმ ნაწილშიც, რომელიც მოქცეულია თურქეთის ტერიტორიაზე. გამოიყოფა 2 კილოკავი: ზემოაჭარული და ქვემოაჭარული. ზემოაჭარული მოიცავს ხულოს, ქედისა და ნაწილობრივ ხელვაჩაურის რაიონებს (მდ. აჭარისწყლის ხეობაში), ქვემოაჭარული — ქ. ბათუმის ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონებს. ზოგი აჭარულს ყოფს „ბარის აჭარულად“ და „მთის აჭარულად“, ამ კლასიფიკაციით მთის აჭარული მდ. აჭარისწყლის ხეობაში (ხულოს, შუახევის, ქედისა და ნაწილობრივ ხელვაჩაურის რაიონებში) მცხოვრებ აჭარელთა მეტყველებაა, ბარის

აჭარული — ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში მოსახლე აჭარლებისა. აჭარული ძალიან ახლოს დგას შავშეთ-კლარჯეთის მეტყველებასთან. ზემოაჭარულს მრავალი საზიარო ფორმა აქვს მესხურთან და ჯავახურთან, ქვემოაჭარულს — გურულთან. აჭარულს უხვად შემოუნახავს არქაული მასალა. აჭარული ლექსიკა შეიცავს აგრეთვე თურქულ და თურქული ენიდან შემოსულ არაბულ-სპარსულ სიტყვებს. დღევანდელ აჭარულში თურქული ელემენტები თანდათან იზღუდება და მათ ნაცვლად ქართული ლექსიკური ეკვივალენტები ბატონდება. აჭარული გამოყენებულია ჭ. ლომთათიძისა და აჭარაში მომუშავე თანამედროვე ბელეტრისტების ნაწარმოებებში.

გ უ რ უ ლ ი შედარებით მცირე ტერიტორიაზეა გავრცელებული და მოიცავს ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის ადმ. რაიონებს; გავრცელებულია სამტრედიის რაიონის ზოგიერთ სოფელშიც. გურულში დადასტურებულია შინასხვაობა არა მხოლოდ მთისა და ბარის მიხედვით, არამედ თემებისა და სოფლების მიხედვითაც. გურულზე გავლენა მოუხდენია ჩრდილოეთ-დასავლეთით მეგრულ-ჭანურს, სამხრეთ-დასავლეთით მესხურსა და აჭარულს, აღმოსავლეთით — იმერულს; ისტორიულად გურიის ტერიტორიაზე ხდებოდა მოსახლეობის გადაადგილებანი, გასათვალისწინებელია მოსახლეობის გარედან დენის პროცესებიც, რასაც თავისი გამოხატულება უპოვია არაქართული წარმოშობის გვარსახელებში. გამოიყოფა ორი კილოკავი: ზემოგურული და ქვემოგურული. ქვემოგურული გავრცელებულია ლანჩხუთისა და მახარაძის რაიონებში, გარდა სამხრეთის მთიანი ნაწილისა, ზემოგურული — ჩოხატაურის რაიონში და ოზურგეთის რაიონის სამხრეთის მთიან ნაწილში. გურულში უხვად არის წარმოდგენილი ზანიზმები (მეგრულ-ჭანური ფენა), დაცულია არქაიზმებიც. საინტერესოა ინოვაციებითაც. გურულის თავისებურებანი ფართოდ არის წარმოდგენილი მწერლობაში, უმთავრესად ე. ნინოშვილის თხზულებებში. გურულიზმები გვხვდება აგრეთვე ლალიონის, ნ. ნაკაშიძის, ჭ. ლომთათიძის, პ. ჩხიკვაძის, ნ. დუმბაძისა და სხვათა ნაწარმოებებში. გურული ფორმები დადასტურებულია ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში და ძველ მწერლობაშიც („რუსუდანიანი“ და სხვ.).

თ უ შ უ რ ს ჩალმათუშურსაც უწოდებენ. გავრცელების არეა ახმეტის რაიონი. თუშურად მეტყველებენ წოვათუშებიც. შედის „მთის კილოების“ ჯგუფში. ხევსურულთან და მოხეურთან ერთად ქმნის ვიწრო ჯგუფს, რომელიც ცნობილია „ფხოურის“ სახელით. თუშური ძველთაგანვე გავრცელებული იყო პირიქითის ალაზნისა და თუშური (გომეწრის) ალაზნის აუზში, მთათუშეთის 4 თემში ანუ 8 საზოგადოებაში; ამჟამად კი 3 საზოგადოებაა: ჩალმა, გომეწარი, პირიქითი; მეოთხე საზოგადოება — წოვათა წარმოადგენს წოვათუშეთის სამფლო-

ბელოს (ახლანდელი ზემო ალვანი). ბარში (კახეთში — ზემო ალვანი, — ქვემო ალვანი) ჩამოსახლების შემდეგ ინტენსიური ხდება თუშურის კონტაქტები კახურ კილოსთან.

ი მ ე რ უ ლ ი ყველაზე მსხვილი დიალექტური ერთეულია (ქართლურის შემდეგ) და მოიცავს ხარაგოულის, საჩხერის, თერჯოლის, ზესტაფონის, ვანის, სამტრედიის, ბაღდათის, ხონის რაიონებს, ქ. ჭუთაისის, აგრეთვე ჭიათურის, ტყიბულისა და წყალტუბოს საქალაქო საბჭოების ტერიტორიებს. იმერლები სახლობენ სხვა (გარდაბნის, ბოლნისის, ლაგოდეხის, ყვარლის, ახალციხის) რაიონებშიც. ვრცელი გეოგრაფიული განფენილობის შესაბამისად, იმერული მჭიდროდ უკავშირდება ქართლურს, რაჭულს, ლეჩხუმურს, მესხურს, გურულს, მეგრულს. იყოფა ორ, საკმაოდ დიფერენცირებულ, კილოკავად: ზემოიმერულად და ქვემოიმერულად: აგრეთვე გამოყოფენ შუაიმერულს (ანდა „თერჯოლურს“), რომელსაც ახასიათებს კილოკავის ნიშნები; გარდამავალი დიალექტური ერთეულის გავრცელების არედ მიჩნეულია თერჯოლისა და ბაღდათის რაიონების, აგრეთვე ტყიბულის საქალაქო საბჭოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილი. განსხვავება ზემოიმერულ და ქვემოიმერულ კილოკავთა შორის დადასტურებულია მორფოლოგიასა და განსაკუთრებით ლექსიკაში, აგრეთვე ინტონაციაში. იმერულში მკვეთრად გამოიყოფა ზანური ფენა (მეტადრე ლექსიკაში, ტოპონიმიკაში). იმერულის თავისებურებები უხვად არის წარმოდგენილი ისტორიულ საბუთებში (XV—XVII სს.). იმერულმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში. მისი თავისებურებანი გამოყენებული აქვთ ძირითადად პერსონაჟთა მეტყველებაში ა. წერეთელს, დ. კლდიაშვილს, გ. წერეთელს, ნ. ლორთქიფანიძეს, რ. გვეტაძეს, კ. ლორთქიფანიძეს, ო. იოსელიანს, დ. კვიცარიძეს და სხვ.

ი მ ე რ ხ ე უ ლ ი — ეს ტერმინი ვიწროა და პირობითი, ფართო გაგებით წარმოადგენს ისტორიულად შავშეთ-კლარჯეთში (სამხრეთი საქართველო) გავრცელებული კილოს შემადგენელ ნაწილს. იმერხეული შემორჩენილია იმერხევის პროვინციაში, კლარჯეთის აღმოსავლეთ სოფლებში, რომლებიც მდებარეობენ მდ. იმერხევისა და მისი შენაკადების აუზში, მდ. ჭოროხის ხეობამდე (XVI ს-დან თურქეთში შედის). განიცდის თურქული ენის გავლენას; ამ მხარის მთელ რიგ რაიონებში ქართული დავიწყებულია. დღემდე შემორჩენილი არაერთი ტოპონიმი დადასტურებულია ძველ ისტორიულ და ლიტერატურულ ძეგლებში. იმერხეული ძალზე ახლოს დგას აჭარულთან და მტკვრის აუზის მესხურთან; გამოიყოფა ქართლური დიალექტის ფენაც.

ინგილოურის გავრცელების არეა საინგილო (კახეთის აღმოსავლეთი, ალაზნის მარცხენა მხარე, ისტორიული წყაროებით „გაღმა მხარი“; ამჟამად შედის აზერბაიჯანის სსრ-ში) და მოიცავს კახის (სოფლები: კაკი ანუ კახ-ინგილო, ალათემური, მუშაბაში, ალიბეგლო, ქოთუქლუ, თამასლო, ზავამი), ზაქათალის (სოფლები: ალიაბადი, მოსული), ბელაქნის (სოფ. ითითალა) რაიონებს. იყოფა კაკურ და ალიაბადურ კილოკავებად. შემორჩენილია ქართული გვარები (ტარტარაშვილი, როსტიაშვილი, გამხარაშვილი, ჯანაშვილი, ხუციშვილი, პაპიაშვილი და სხვ.). განიცდის აზერბაიჯანულის გავლენას, უმთავრესად ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში, ტოპონიმიკაში; მასზე გავლენას ახდენს აგრეთვე ხუნძური ენა. გარდა სხვა ენებთან კონტაქტების გზით წარმოქმნილი თავისებურებებისა, ინგილოური მდიდარია როგორც არქაული სიტყვებით, ისე ინოვაციებით და ნაკლებად განიცდის სალიტერატურო ქართულის ზემოქმედებას, რაც მკვეთრად განასხვავებს მას სხვა ქართული დიალექტებისაგან. ინგილოური ახლოს დგას ფერეიდნულთან, აგრეთვე კახურთან.

კახური ერთ-ერთი მსხვილი დიალექტური ერთეულია. გავრცელებულია საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, სიღნაღის, ლაგოდეხის, წითელწყაროს რაიონებში. ქართულთან ერთად დიდ როლს თამაშობს სალიტერატურო ქართულის ფორმირებაში, როგორც მისი ფუძედიალექტთაგანი (განსაკუთრებით ე. წ. აღორძინების ხანიდან მოკიდებული ერთ-ერთი მასაზრდოებელი წყაროა სამწერლობო ენისა). კახური კილო ნაირფეროვანია ამ მხარის მოსახლეობის არაერთგვაროვნების შესაბამისად: კახეთში დამკვიდრებული არიან წარმოშობით სხვადასხვა კილოზე მოუბარნი, რომლებსაც მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული აქვთ თავიანთი დიალექტის თავისებურებები. კახეთის ზოგიერთ რაიონში ცხოვრობენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც (რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, ბერძნები, უდიელები, ქისტები), რომლებიც ლაპარაკობენ კახურ დიალექტზედაც. გამოიყო 3 კილოკავი: გარეკახური, შიგაკახური და ქიზიყური. გარეკახური გავრცელებულია თბილისის გარეუბანში, საგარეჯოსა და ნაწილობრივ გურჯაანის რაიონებში; შიგაკახური — გურჯაანის, ლაგოდეხის, თელავის, ახმეტის, ყვარლის რაიონებში; ქიზიყური — სიღნაღის, წითელწყაროს რაიონებში. კახურში განსაკუთრებით გამოირჩევა ქიზიყური, რომელსაც მეტად შემოუნახავს არქაიზმები (ზოგი მკვლევარი მას ცალკე დიალექტურ ერთეულად გამოყოფს). კახიზმები ჭარბად გვხვდება საისტორიო ძეგლებში, მოყოლებული XV ს-იდან. კახურის თავისებურებები წარმოდგენილია კახეთიდან გამოსული მწერლების ენაში (თეიმურაზ I, არჩილი, თეიმურაზ II, ა. ჭავჭავაძე, ი. ჭავჭავაძე, რ. ერისთავი, ი. ევდოშვილი, დ. მაჩხანელი, გ. ლეონიძე და სხვ.).

ლ ე ჩ ხ უ მ უ რ ი გავრცელებულია ძირითადად ცაგერის რაიონში, ნაწილობრივ წყალტუბოს საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე და ამბროლაურის რაიონში. ლეჩხუმურზე მოუბარნი ჩასახლებული არიან გურჯაანის, ახმეტის, ბოლნისის, ოჩამჩირის რაიონებშიც. ლაილაშის მკვიდრი ებრაელებიც ლეჩხუმურად ლაპარაკობენ. განიცდის სვანურისა და მეგრულის გავლენას (ისტორიულად დღევანდელი ლეჩხუმის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ სვანები და ზანები). განსაკუთრებით ეს ჩანს ტოპონიმიკასა და ლექსიკაში. ძირითადად ლეჩხუმური ქვემოიმერულის ტიპისაა, ახლოს დგას ქვემო რაჭულთანაც. ლეჩხუმური პირობით შეიძლება დავყოთ ქვემოლეჩხუმურად და ზემოლეჩხუმურად (ქვემოლეჩხუმური ანუ კტედაღმართული-ტედაღმართული გავრცელებულია მდ. რიონის შუა წელზე. მექვენის ზემოთ. სოფ. ალპანამდე), ზემოლეჩხუმური კი — რიონის ხეობის ერთ ნაწილში (ნიკორიძერიდან ასკვეელითავამდე) და ლაჯანურის ხეობისა (აჭარის ხიდიდან ძუღურ-ფაქუშამდე) და ცხენისწყლის ხეობის (გორდიდან კლდეკარამდე) რეგიონში. ზემოლეჩხუმურში არის მცირეოდენი შინაგანი სხვაობა, იყოფა ცაგერსქვემოურ და ცაგერსზემოურ მეტყველებად. ლეჩხუმურის ზოგი თავისებურება დამოწმებულია XVII—XVIII სს. ისტორიულ საბუთებში.

მ ე ს ხ უ რ ი ეწოდება მტკვრის აუზის მეტყველებას (ახალციხის, ასპინძის, ადიგენის რაიონები). იგი ჯავახურთან ერთად საქართველოში ისტორიულად გავრცელებული მესხური კილოს ნაშთია; ჭოროხის ხეობის დიალექტთან ერთად ძველ საუკუნეებში წარმოადგენდა ქართული ენის სამხრეთულ განშტოებას. სამხრეთ საქართველოში ცნობილი ისტორიული ცვლილებების შედეგად ამ მხარის ქართული მეტყველება გაქრა და შემორჩა იმერხეულისა და ახალციხურ-ახალქალაქურის სახით. ისტორიულად მესხური წარმოადგენდა სალიტერატურო ენის ერთ-ერთ საყრდენ კილოს. ამჟამად მესხურის გავრცელების არეალია სოფლები: ტატანისი, მიქელწმინდა, მუსხი, ღრელი, წყორძა, ურაველი, ხეოთი, ანდა, ანდრიაწმინდა, ივლიტა, ვალე, ტოლოში. ნაქალაქევი, აწყვიტა (აძგვიტა), ქუნცა, ძველი (ზველი), ჭობარეთი, თმოგვი, რუსთავი, უდე, არალი, ბოლაჯური. ზოგ მათგანში შერეული მოსახლეობაა (ცხოვრობენ იმერლები, გუდამაყრელები, რაჭველები და სხვ., აგრეთვე სომხები, ქართველი ებრაელები, რუსები, ბერძნები). თანამედროვე მესხური. ძირითადად ქართული კილოს ტიპისაა, მაგრამ მასში გამოიყოფა დიდი ფენა, რომელიც ნიშანდობლივია დასავლური კილოებისათვის (უწინარესად ჭოროხის მეტყველებისათვის); ივი რამდენადმე გარდამავალი სახეობის დიალექტია; უფრო ახლოს დგას ჯავახურთან. ლექსიკა-ფრაზეოლოგია განიცდიდა თურქულის გავლენას. შუა საუკუნეებში ზეპირი (აგრეთვე მწიგნობრული) გზით შემოსული ბერძნულ-

თურქულ-სპარსულ-სომხური სიტყვები, პირველ ყოვლისა, სამხრეთ საქართველოს ენობრივი წრის მეშვეობით ინერგებოდა ქართული ენის საზოგადო ლექსიკონში.

მ თ ი უ ლ უ რ-გ უ დ ა მ ა ყ რ უ ლ ი. საკუთრივ მთიულური (მთიულთა მეტყველება) გავრცელებულია მდ. მთიულეთის არაგვის აუზში (საქართველოს სამხ. გზაზე), ფასანაურის სადაბო და ქვეშეთის სასოფლო საბჭოებში შემავალ სოფლებში (დუშეთის რაიონი), საკუთრივ გუდამაყრული (გუდამაყრელთა მეტყველება) კი — გუდამაყრის ქედიდან გამომდინარე მდ. გუდამაყრის არაგვის ხეობაში (სოფლები: დუმაცხო, ჩოხი, ათნოხი, გამსი, მაქართა, წინამხარი, ლუთხუბი და სხვ.). ამ კილოს წარმომადგენლები ცხოვრობენ სხვა რაიონებშიც (თიანეთის, თელავის, კასპის, ახალგორის, წითელწყაროს, ასპინძისა და სხვ.). გუდამაყრული მიჩნეულია მთიულურის კილოკავად; ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია „გრძელი ხმოვნები“, გამოწვეული ტონური მახვილით (გაქრობის გზაზეა. ამჟამად ძირითადად მოქმედია დინამიკური მახვილი) და ქართლურის გავლენის გაჩენილი ახალი წარმონაქმნებით თუ სხვა მოვლენებით. მთიულურ-გუდამაყრული შედის მთის კილოთა ჯგუფში, უმთავრესად არქაული მოვლენების მიხედვით; ახალი მოვლენებით ენათესავება ქართლურსა და კახურს.

მ ო ხ ე უ რ ი ხევის მეტყველებაა, გავრცელებულია ყაზბეგის რაიონში, მდ. თერგის ორივე მხარეზე გაშენებულ სოფლებში, აგრეთვე თერგის მარჯვენა შენაკადის სნოსწყლისა ანუ ღუდუშაურის არაგვის ხეობაში. მოხეურს უხვად შემოუნახავს არქაული ლექსიკა და უმთავრესად ამით ენათესავება მთის კილოებს. ბევრი საზიარო ფორმა აქვს აგრეთვე ქართლურთან და კახურთან. მწერლობაში მოხეური კილოს ნიმუში გამოიყენა ი. ჭავჭავაძემ „მგზავრის წერილებში“; მოხეური ფართოდ არის წარმოდგენილი ა. ყაზბეგის პერსონაჟთა მეტყველებაში (ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მოხევიზმები გვხვდება მწერლისეულ ენაშიც).

რ ა ჭ უ ლ ი გავრცელებულია ონისა და ამბროლაურის რაიონებში. რაჭულად უქცევენ ქ. ონში მცხოვრები ებრაელებიც. იყოფა მთარაჭულ, ზემორაჭულ და ქვემორაჭულ კილოკავებად. მთარაჭული გავრცელებულია მთის რაჭის სოფლებში: გლოლაში, ღებსა და ჭიორაში (ონის რაიონი), ზემორაჭული — ზემო რაჭაში (ონის რაიონი გლოლა-ღებ-ჭიორის გამოკლებით და ამბროლაურის რაიონის ლიხეთის ხეობა), ქვემორაჭული — ქვემო რაჭაში (ამბროლაურის რაიონი). მთარაჭული ახლოს დგას მთის კილოებთან. ქვემორაჭული არსებითად უახლოვდება იმერულს და ლეჩხუმურს.

ფ ე რ ე ი დ ნ უ ლ ი ირანის ერთ-ერთ პროვინციაში — ფერეიდანში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაა. ფერეიდნელი ქართველების

წინაპრები XVII ს. დასაწყისში შაჰ-აბასმა გადაასახლა ირანში კახეთიდან. ქიზიყ-საინგილოდან. ცოცხალ ქართულ კილოთა შორის ფერეიდნულის პროფილი არსებითად განსხვავებულია იმის გამო, რომ სრულიად მოწყვეტილია მოძმე ქართულ კილოებს, აცდენილია სალიტერატურო ქართულის ზემოქმედება-გავლენას, მოქცეულია სხვა ენების გარემოცვაში; უპირველეს ყოვლისა, განიცდის სპარსული ენის ძლიერ გავლენას. ფერეიდნელები ორენოვანნი არიან. ირანიზმები უხვად გვხვდება ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში, ქართულ სიტყვას სპარსული ცვლის, დიალექტი აჭრელებულია სპარსული (და მისი მეშვეობით — არაბული) ლექსიკური ერთეულებით. ირანიზმები შეჭრილია ქართული მეტყველების ფსიქოლოგიაშიც: ფრაზები აგებულია სპარსული ენის თარგზე, უხვად არის კალკები; უცხოური ენის გავლენას ვერ აცდა არტიკულაციაც. გავლენები ენის აღნაგობაში შეზღუდულია, მორფოლოგია და სინტაქსური ურთიერთობის სახეები არსებითად შეუცვლელია. დაცულია არქაული ფორმები. შეინიშნება შინაგანი ევოლუციის გზით მიღებული ახალი თავისებურებანიც. ზოგიერთი საზიარო მოვლენა ქართული კილოებისაგან დამოუკიდებლად გაჩენილა. ყველაზე ახლოს დგას ინგილოურთან.

ფშაური საკუთრივ ფშავის მეტყველებაა, რომელიც იხმარება დუშეთის, თიანეთის, ახმეტის, წითელწყაროს, საგარეჯოს, თელავის, ყვარლის რაიონებში. ტიპობრივი ფშაური კილო უფრო უკანაფშავშია შემონახული; ფშავის არაგვის შუა წელზე მდებარე სოფლების მეტყველებას ჭარბად ატყვია ქართლურის გავლენა. ჟინვალის ზემო სოფლებში ნარევი მოსახლეობაა, რაც თავის გამოხატულებას პოულობს დიალექტში. განსხვავებულია ერწო-თიანეთის ფშაურიც. შედარებით უკეთ აქვთ შემონახული ფშაური კილო ქვემოქედელ ფშაველებს, რამდენადაც ისინი აქ კომპაქტურად არიან დასახლებული. „მთის კილოთაგან“ ფშაური იმითაც გამოირჩევა, რომ მას ძლიერ ატყვია ბარის კილოების გავლენა. ფშაური კილოს თავისებურებები მწერლობაში გამოიყენეს რაზიკაშვილებმა, განსაკუთრებით ვაჟა-ფშაველამ.

ქართლური ერთ-ერთი უმსხვილესი დიალექტური ერთეულია. გავრცელებულია ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გორის, დმანისის, დუშეთის, თეთრი წყაროს, კასპის, მარნეულის, მცხეთის, ქარელის, წალკის, ხაშურის რაიონებში. ქართლური სალიტერატურო ქართულის ფუძედიალექტია. შიგადიფერენციაციის საფუძველია ქართლურ დიალექტზე მეტყველი მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე. დიალექტოლოგიურად ქართლი იყოფა რამდენიმე ნაწილად: ქართლის ცენტრალური ნაწილი (შიდა ქართლი), ქართლის დასავლეთის ნაწილი (ბორჯომის, ხაშურისა და სურამის მიდამოები), ქართლის სამხრეთის ნაწილი

(ქვემო ქართლი), ქართლის ჩრდილოეთის ნაწილი (ლენინგორის რაიონი და დუშეთის რაიონში შემავალი ქართველებით დასახლებული სოფლები). ქართლურის კილოკავებია: ცენტრალურქართლური (შუაქართლური ანუ შიდაქართლური), დასავლურქართლური, ჩრდილოურქართლური, სამხრეთულქართული (ქვემო ქართლური). ქვემო ქართლურში გამოიყოფა თქმები: წერაქვ-სიონისა და რეხისა. ქართლური შეიცავს დიალექტთა ურთიერთგავლენის საფუძველზე აღმოცენებულ რამდენიმე გარდამავალ ერთეულს (ქართლურ-მთიულური, ქართლურ-ფშაური, ქართლურ-ჯავახური, ქართლურ-მესხური, ქართულ-იმერული). ქართლურის ნიშანდობლივი ელემენტები თავს იჩენს მხატვრულ ლიტერატურაში. ცალკე უნდა გამოიყოს ქართლიზმები, რომლებიც უხვადაა წარმოდგენილი პერსონაჟის ენაში, განსაკუთრებით XIX—XX სს. ლიტერატურულ ქმნილებებში გამოყვანილი გმირების ენის სტრუქტურაში (ს. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური, ა. ფურცელაძე, შ. არაგვისპირელი, ე. გაბაშვილი, მ. ჯავახიშვილი, გ. შატბერაშვილი, ო. ჩხეიძე და სხვ.).

ყ ი ზ ლ ა რ-მ ო ზ დ ო კ უ რ ი ჩრდილოეთ კავკასიაში — ქ. მოზდოკსა და ყიზლარში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაა (ყიზლარის ყოფ. ოლქის სოფლები: სასოფლო და სარაფანი). ხალხური გადმოცემით, ქართველები ამ რეგიონში ჩასახლებულან XVIII ს-ში ქართლიდან და კახეთიდან, უმთავრესად ლეკთა ლაშქრობების გამო, ზოგიერთი მათგანი შამილის წინააღმდეგ ომის მონაწილე ყოფილა. ისტორიული წყაროების მიხედვით, თავდაპირველად ყიზლარში ქართული ახალშენი დააარსა რუსეთს მიმავალი ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ამალის ერთმა ნაწილმა 1724 წ. ამ მოსახლეობას თანდათან ემატებოდნენ ქართველთა სხვა ჯგუფებით. შემორჩენილია ქართული გვარები (ზედგენიძე, ლომიძე, ფხაკაძე, ბიწაძე და სხვ.), უმეტესობა შეცვლილია რუსული გვარებით. ქართული მეტყველება გაქრობის გზაზეა. ამ დიალექტისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა ქართული კილოს თავისებურებათა შერევა და რუსული ენის ძლიერი გავლენა.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი. ხევსურები, გარდა საკუთრივ ხევსურეთისა, ცხოვრობენ საქართველოს რამდენიმე რაიონში. ამ გეოგრაფიულ განფენილობის გამო ხევსურული კილო გავრცელებულია დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, ახმეტის, მცხეთის, თელავის, საგარეჯოს, წითელი წყაროს, გარდაბნისა და ზოგ სხვა რაიონში. ხევსურულის გავრცელების ძირითადი არეალია პირიქითი ანუ გადაღმა ხევსურეთი და პირაქეთი ანუ გადმოღმა ხევსურეთი. ხევსურული განეკუთვნება მთის კილოებს. მასში არის შინასხვაობაც: არხოტულ-შატილური მეტყველება ფონეტიკურ-მორფოლოგიური და ლექსიკური თავისებურებებითა და ინტონაციით რამდენადმე განსხვავდება პირაქეთული ხევსურულისაგან.

ამის გამო პირობითად გამოიყოფა 2 კილოკავი: „პირაქეთულ-არხოტული“ და „შატილურ-მიღმახეური“. გეოგრაფიული არეალია ბარისახოსა და ბაცალიგოს (პირაქეთ ხევსურეთში) და არხოტისა და შატილის (პირიქით ხევსურეთში) რეგიონები (ახლანდ. ბარისახოს სოფსაბჭო). ხევსურული მდიდარია არქაული სიტყვებით.

ჯ ა ვ ა ხ უ რ ი გავრცელებულია ახალქალაქის რაიონში (სოფლები: აფნია, გოგაშენი, ოკამი, პტენა, ჩუნჩხა, კოთელია, მურჯახეთის, ვარევანი, ბარალეთი, გოკიო), ასპინძის რაიონში (სოფლები: ხიზაბავრა, თოკი, სარო, ვარგავი), ბორჯომის რაიონში (ბალანთა, ჭიხარულა). ჯავახები ამ ბოლო ხანებში სხვა რაიონებშიც დასახლდნენ (ლაგოდეხის, ყვარლის, გორის და სხვ.). ისტორიულ წარსულში ჯავახურის გავრცელების არე უფრო დიდი იყო. ჯავახური ახლოს დგას ქართლურთან, განსაკუთრებით მესხურთან. ისტორიულად მესხურთან ერთად ზემო ქართლურს განეკუთვნებოდა. ჯავახური შეზავებულია დასავლურქართული კილოების თავისებურებებით. ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში უხვადაა დანერგილი თურქულ-არაბული.

ქართული სალიტერატურო ენა

ქართული სალიტერატურო ენის ძეგლები ჩვენამდის მოღწეულია ახ. წ. V საუკუნიდან.

ქრისტიანობის გავრცელებამ საქართველოში (ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად იქცა უკვე IV საუკუნის დასაწყისში) უთუოდ მოსპო და გაანადგურა წარმართული კულტურის ძეგლები. ცნობილია, რომ საქართველოში ქრისტიანობის პირველ დღეებშივე აუტოდაფეს უმართავდნენ არათუ „წარმართულ“ ლიტერატურას, არამედ ქრისტიანობიდან გადახრილ, „ერეტიკული“ იდეების შემცველ თხზულებებსაც.

მივყვეთ ქართული სალიტერატურო ენის რ ე ა ლ უ რ ი ს ტ ო რ ი ა ს და ენის იმ ძეგლების ზოგად დახასიათებას, რომლებიც შექმნილია V საუკუნიდან მოყოლებული.

V—VI საუკუნის ქართული მწერლობის დიაპაზონი ფართო ყოფილა. ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებს იცნობდნენ სხვებიც, მახლობელი თუ შორეული ერები.

ასე, მაგალითად, სირიულ „წიგნში ხალხებისა და ქვეყნების შესახებ“, რომელიც დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში, მსოფლიოს ხალხთა შორის მოხსენებული არიან ქართველებიც. ამ ძველ ხელნაწერში ვკითხულობთ: „სემის, ქამისა და იაფეტისაგან წარმოიშვა 73 ხალხი, ტომი და ენა. მათ შორის ისეთებიცაა, რომლებსაც აქვთ დამწერლობა, 15 ხალხი; დანარჩენები კი არ განირჩევიან მხეცთაგან, ხეტიალობენ

დედამიწაზე, როგორც პირუტყვები, და არ არიან გონებით დაჯილდოებულნი". აქვე ნათქვამია: „მწიგნობრობა რომ აქვთ, ესენია: სირიელები, ებრაელები, ბაბილონელები, სპარსელები, ელამიტები, ეგვიპტელები, კუშიტები, ინდოელები, ფინიკიელები, იონიელები, ამორიელები, ალანები, რომაელები, სომხები, ტაიელები, ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი".

VI საუკ. ერთ-ერთი სომხური ცნობის მიხედვით, 506 წელს ქართველებსა და სომხებს მოუწვევიათ საეკლესიო კრება. აქტები კრებისა დაწერილი ყოფილა ქართულ ენაზედაც.

ყველაზე საყურადღებოა VI საუკუნის პირველი მეოთხედის ბერძნულ მწერლობაში არსებული ერთი ცნობა. აქედან ჩანს, რომ ქართველებს VI საუკუნეში უკვე ჰქონიათ თავიანთ დედაენაზე სახარება, სამოციქულო, ჟამნი სამხრისა და სხვ. ცხადია, ენის ეს ძეგლები ერთბაშად ვერ გაჩნდებოდა VI ს. დასაწყისში.

„ეპისტოლეთა წიგნიდან" ჩანს, რომ საქართველოში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე ტარდებოდა. ქართველ კათალიკოზს მიწერ-მოწერა ჰქონია სომხეთის, იერუსალიმისა და რომის პატრიარქებთან.

IX საუკუნეში ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებს დასავლეთშიც იცნობენ. სლოვენთა განმანათლებლის კონსტანტინეს (ე. ი. კირილეს) ცხოვრებაში მოთხრობილია შემდეგი: როცა ის ვენეციაში იყო, მას ჰკითხეს: რა ნება გაქვს შენ, სლავებს მწიგნობრობა შეუქმნა, როდესაც ღვთისმსახურება შეიძლება მხოლოდ ებრაულზე, ბერძნულსა და ლათინურზეო! კონსტანტინეს უპასუხია: ჩვენ ვიცით ბევრი ერი, რომელთა წიგნი იციან და ღვთისადმი დიდებას აღავლენენ თავისი საკუთარი ენითო, და ჩამოთვლის ასეთ ერებს, რომელთა შორის მოხსენიებული არიან ივერიელებიც, ე. ი. ქართველები.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ძველი სალიტერატურო ქართული ენის ძეგლები თანამედროვე ქართველისათვის ძირითადად გასაგებია. დღევანდელ ქართულ ენაზე თარგმნა არ ესაჭიროებათ. დღეს გასაგებია არათუ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", არამედ V საუკუნეში შექმნილი თხზულებანი. მათ ძირითად შინაარსს ძველ ქართულში გაუწვრთნელი პირიც ადვილად გაიგებს.

ქართული ენის ეს კონსერვატიზმი საინტერესოა ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც.

ქართული ენის კონსერვატიზმის ახსნის ცდა ეკუთვნის აკად. გ. ახვლედიანს, რომელმაც გამოთქვა შემდეგი დებულებები:

1. ქართული ბგერების სახე ისტორიულად ნაკლებ შეცვლილია, ვიდრე, მაგალითად, ევროპული ენებისა;

2. დღევანდელი სალიტერატურო ქართულის ბგერითი სისტემა — უშუალო გაგრძელება ძველი ქართული სალიტერატურო ენისა — თითქმის თანხვდენილია დიალექტების ბგერითს სისტემასთან;

3. ქართული ენის ბგერათა შეუცვლელობის ფაქტორებია — შინაგანი (ფსიქო-ფიზიოლოგიური) და გარეგანი (სოციალ-პოლიტიკურ--კულტურული). შინაგანი ფაქტორები: ა. არტიკულაციის მკაფიო გამოკვეთილობა; ბ. სუსტი მახვილი; გ. ბგერათა უმრავლესობა გამოყენებულია სიტყვის მცველ ელემენტებად, უმთავრესად ზმნებში. გარეგანი ფაქტორები: ა. დიალექტური ბგერითი თავისებურებანი შეზღუდულია ქართველი ხალხის კომპაქტურობის გამო (მოთავსებულია მცირე ტერიტორიაზე, მტკიცედ შეგნებული აქვს ენობრივი ერთიანობა...); ბ. არსებობს ერთი სალიტერატურო ენა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს დიალექტებზე, დიალექტურ წარმოთქმაზე; გ. ქართველ ხალხს არ გამოუცვლია ტერიტორია სალიტერატურო ენის ისტორიულ პერიოდში, არ განუცდია ენათა შერევა, არ განუცდია უცხოური ენის ძლიერი გავლენა იმდენად, რომ შეცვლილიყო წარმოთქმა.

სალიტერატურო ქართულის განვითარების პერიოდებია: ძველი (V—XI სს.), საშუალო (XII—XVIII სს.) და ახალი (XIX ს. დღევანდლამდის).

სალიტერატურო ენას საფუძვლად დაედო ე. წ. ხანმეტური დიალექტი — ისტორიული ქვემო ქართლის მეტყველება (გავრცელებული მცხეთა-ბოლნისის რეგიონში და მის ახლო მხარეებში), რომელსაც ახასიათებდა **ს**-ს ხმარება მეორე პირის სუბიექტურ და მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსად, ამასთანავე, სიტყვაწარმოებით პრეფიქსად უფროობითი ხარისხის ფორმებში, უკვე IX საუკუნიდან პრეფიქსი **ხ**, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, „ხანმეტია“ (XI ს. მწერალი და მთარგმნელი გიორგი მთაწმიდელი სწორედ ამგვარ ტექსტებს უწოდებს „ხანმეტს“); VIII ს. ხანმეტურ დიალექტს ცვლის ე. წ. ჰაემეტური დიალექტი, რომელსაც ახასიათებს **ხ**-ს ნაცვლად **ჰ** პრეფიქსი. ეს ქრონოლოგიური თანმიმდევრობა არ ნიშნავს, რომ ხანმეტური დიალექტი გადაიზარდა ჰაემეტურში, რამდენადაც **ხ**-ს გადასვლა **ჰ**-ში ქართული ენისათვის არ არის დამახასიათებელი. შეიცვალა მხოლოდ საყრდენი დიალექტები: მწიგნობრობა ხანმეტურ დიალექტზე წყდება და განაგრძობს არსებობას ჰაემეტურ დიალექტზე. IX—XI სს. კლასიკური სალიტერატურო ენა ჰაემეტური დიალექტების გაგრძელებას და შემდგომ განვითარებას წარმოადგენს. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით სალიტერატურო ენა ხასიათდება მხოლოდ მთავარი თავისებურებებით — **ჰ**-ს დაკარგვით ხმოვნების წინ ან მისი გადასვლით **ს**-ში. ტექსტები აღმოაჩინეს და გამოიკვლიეს ი. ჯავახიშვილმა და ა. შანიძემ.

ქართების ენის (საკუთრივ ქართულის) საერთოეროვნულ ენად გადაქცევის პროცესებმა იმთავითვე გამოიწვიეს ადგილობრივი კილოკავების ნიველირება და შთანთქმა. ძველ ლიტერატურულ ძეგლებში ვამოსჭვივის დიალექტურ ფორმათა სიმრავლე და მრავალფეროვნება.

მათში არეკლილია ცოცხალი ენის ბგერობრივი პროცესები, ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა სიტყვა, სავარაუდებელია სხვადასხვა დიალექტური წრიდან მომდინარე ლექსიკური ერთეულები. ფორმათა რყევა გრამატიკულ მოვლენებსაც შეეხება. მიუხედავად ძველი სალიტერატურო ენის მრავალფეროვნებისა, თავის არსებით ნაწილში იგი მონოლითურია და მტკიცედ ჩამოყალიბებული ნორმების შემცველი.

ჩვენამდის მოღწეული პირველი წერილობითი ძეგლებია: წარწერები და პალიმფსესტები — ტყავის ხელნაწერები, რომლებზედაც ძველი გადაფხეკილია და ახალი ტექსტია დაწერილი; ისინი განეკუთვნებიან V—VI საუკუნეებს: პალესტინის (ბეთლემის-იერუსალიმის ახლოს) წარწერა (V საუკუნის პირველი ნახევარი), ბოლნისის სიონის წარწერა (493—494 წლისა), მცხეთის ჯვრის მონასტრისა და წყისის (ახალციხის რაიონში) წარწერები (VI საუკუნის პირველი ნახევარი), ე. წ. ხანმეტი და ჰაემეტი პალიმფსესტები (V—VIII საუკუნეები), ხანმეტი ლექციონარი (VII საუკ.), პირველი ორიგინალური მხატვრული ნაწარმოები იაკობ ხუცესისა (წმიდა შუშანიკის წამება, დაწერილია 483 წლებს შორის, მაგრამ ჩვენამდის მოღწეულია XI საუკუნეში გადაწერილი ხელნაწერის სახით). V საუკუნეში თარგმნილია ბიბლიური ტექსტები. ყველაზე ადრე ქართულად სახარება ითარგმნა.

უძველეს ხანაში ქართულ ენაზე არსებულა ბიბლიის ცალკე წიგნთა წმინდა სამეცნიერო გამოცემებიც — კომენტარების დართვით. ჩვენს დრომდის შემონახულა ერთი ასეთი ძეგლი — ეპისტოლეთა წიგნისა და მოციქულთა აქტების სამეცნიერო გამოცემა. გამოცემა ფილოლოგიური თვალსაზრისით კარგად არის შესრულებული. დახვეწილი ტერმინოლოგია, პუნქტუაციის ზუსტად დამუშავებული სისტემა და სხვ. მაჩვენებელია ქართული მწიგნობრობის მაღალი დონისა ამ ეპოქაში (ვ. ინგოროყვა).

ქართული სულიერი კულტურის ძეგლები, მრავალრიცხოვანი ხელნაწერები, შექმნილი ძველი ქართველი ლიტერატორების მიერ, დაცულია სხვადასხვა ადგილას: საქართველოში (თბილისში, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, საქართველოს არქივში, ქუთაისის, ახალციხის, ზუგდიდისა და მესტიის შუზეუმებში), რუსეთში (მოსკოვში, ლენინგრადში და სხვაგან), სირიაში, პალესტინაში, ბულგარეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთში, ინგლისში, იტალიაში, ავსტრიაში, ამერიკაში. მათი მარტო აღწერილობა ტომებს შეადგენს.

ქართული კოლონიური მონასტრები ანუ ძმობანი იყო იერუსალიმში, სინაზე, შავ მთაზე ანტიოქიის მახლობლად, ოლიმპოსთან (ულუმბოსთან), ათონზე და ბევრ სხვა ადგილას. სწორედ ეს ძმობანი უწყობ-

დნენ ხელს ქართული ქრისტიანული ლიტერატურის უძვირფასესი ძეგლების დაცვას. სწორედ იქ მზადდებოდა ახალი ქართული თარგმანები, ზოგჯერ იმისათვის, რომ აღმოეფხვრათ ყოველგვარი რეინისცენცია ეროვნული წარმართობისა, ზოგჯერ იმ კეთილი განზრახვით, რომ ხელი შეეწყოთ აღმოსავლური წყაროს — სირიულ-სპარსულ-სომხური და ოდესღაც ქართული საეკლესიო ტრადიციების შერიგებისათვის გვიანდელი, უკვე ბიზანტიური წყაროს ნორმებთან. იყო კეთილი განზრახვა, ეროვნული წარმოშობიდან მომდინარე საერთო-ყოფითი ჩვეულებანი შეეხამებინათ იმ წესრიგთან, რომელიც ახასიათებდა გარკვეულ სოციალურ ფენებს ქრისტიანული სარწმუნოების შეტანის შედეგად (ნ. მარი).

ქართული ქრისტიანული ლიტერატურის განვითარების პირველ ეტაპებზე შეიქმნა სალიტერატურო ენის შესანიშნავი ძეგლები. ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ რამდენიმე ათეული ავტორის (საეკლესიო მწერლის) სახელი — იაკობ ცურტაველი, კირიონ კათალიკოსი, გრიგოლ დიაკვანი, იოანე საბანიძე, სეით მთარგმნელი, არსენ დიდი კათალიკოსი, ლეონტი მროველი, სტეფანე მტბევარი, სტეფანე სანანოისძე, დავით ტბელი, ბასილი ზარზმელი, არსენი II კათალიკოსი, იოანე ზოსიმე, გრიგოლ ოშკელი, იოანე მტბევარი, მიქელ მოდრეკილი, იოანე ბოლნელი ეპისკოპოსი, პოეტები — იოანე მინჩხი, ეზრა, იოანე ქონქოზისძე, კურდანაძ, ფილიპე და სხვა მრავალი, რომელთა თხზულებანი დაკარგულია ან შემონახულია მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც.

ნათარგმნი ქრისტიანული ლიტერატურით საქართველო ამ საუკუნეებში საკმაოდ მდიდარი იყო. თარგმნილი იყო საეკლესიო სამსახურისა და წესების ამსახველი ძეგლები, ცხადია, ლიტურგიითურთ, ბიბლიის ყველა წიგნი, აპოკრიფები, ცხოვრებანი და მოღვაწეობანი, რელიგიური პოეზია, ეგზეგეტიკა, თეოლოგია დოგმატიკითურთ, საეკლესიო კანონები, აგრეთვე, ბუნებრივია, პოლემიკა, და სხვ. ამ თარგმანების მნიშვნელობა მსოფლიო ქრისტიანულ ლიტერატურაში მით უფრო დიდია, რომ ქართველები მათ თარგმნიდნენ არა მხოლოდ ბერძნულიდან, არამედ სირიულიდან, სომხურიდან და არაბულიდან. ეს მთარგმნელობითი ლიტერატურა დაკარგულ ნაწარმოებთა აღმოჩენისათვის მნიშვნელოვან ფონდს წარმოადგენს.

გარდა სასულიერო ხასიათის თხზულებებისა, ძველ საქართველოში მდიდრად იყო წარმოდგენილი თარგმნილი საერო ლიტერატურის უბრწყინვალესი ნიმუშები — შესანიშნავი ძეგლები ქართული სალიტერატურო ენისა.

„არაბებთან ქართველების დაახლოების დღიდან რელიგიურ ლიტერატურაში აღიძრა ინტერესი მსოფლიო სიუჟეტისადმი“ (მარი).

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია არაბულ-სირიული ლიტერატურული სამყაროდან ნათარგმნი ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლი სალიტერატურო ქართული ენისა, როგორიცაა „ბალავარის სიბრძნე“. როგორც ცნობილია, ეს ნაწარმოები ქართულიდან ბერძნულად თარგმნა ექვთიმე მთაწმიდელმა. შემდეგ თარგმნეს ლათინურად და გავრცელდა ევროპაში. ეს რომანი შუა საუკუნეებში მთელი მსოფლიოს ქრისტიან ხალხთა ლიტერატურაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

დამახასიათებელია, რომ შავთელის თხზულებაში, გარდა სამღვთო წერილებიდან, სქოლასტიკური ნაწარმოებებიდან თუ სპარსული პოემებიდან მომდინარე საკუთარი სახელებისა, გვხვდება ჰომეროსის „ილიადას“ გმირთა სახელებიც, რომლებსაც პოეტი ხშირად მიმართავს პოეტურ შედარებებში. ნ. მარი სამართლიანად შენიშნავს, რომ ცოცხალი პიროვნებების შედარებები „ილიადას“ გმირებთან არა სპეციალურ სქოლასტიკურ შრომაში, არამედ პოეტურ თხზულებაში, რომელიც ფართო მკითხველისათვის იყო განკუთვნილი, ნათლად მოწმობს, რომ ჯერ კიდევ XII საუკუნეში განათლებული ქართველები კარგად იცნობდნენ ჰომეროსის უკვდავ ქმნილებას — „ილიადას“.

ქართული ენის სტიქია კარგად არის გამოვლენილი სპარსული ლიტერატურის ისეთი ძეგლების ძველ ქართულ თარგმანებში, როგორიცაა „შაჰ-ნამე“, „ვისრამიანი“, „ქილილა და დამანა“, „ლეილ-მაჯნუნიანი“ და მრავალი სხვ.

აქ შეუძლებელია წარმოვადგინოთ ცოტად თუ ბევრად სრული სურათი ძველ საქართველოში ნათარგმნი ძეგლების ენისა. ეს არც შეადგენს ჩვენს მიზანს. ვიტყვით მხოლოდ, რომ ისტორიულად ქართული ენის განვითარების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი სწორედ თარგმანები გახლავთ. თარგმანებმა გააფართოვეს ჩვენი ენის ფარგლები, სხვა ენების სტრუქტურასთან შეხებისას უფრო განმტკიცდა და მოქნილი გახდა ქართული ენის მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებები, გამდიდრდა ენის ლექსიკური მარაგი.

თარგმნილი ლიტერატურის თუ პირადი კონტაქტების გზით ქართულ ენაში დამკვიდრებულია ბერძნული, სირიული, არაბული, არამეული, სპარსული, სომხური სიტყვები.

ერთი ძველი ქართველი მთარგმნელი ამბობს, რომ თარგმნის დროს ნაკლულოვანება ენისა ივსებაო.

ძველ საქართველოში მთარგმნელობითი მუშაობის გაშლა მოითხოვდა ლიტერატურულ დახელოვნებასთან ერთად მშობლიურ და მისგან არსებითად განსხვავებულ ენათა ღრმა ცოდნას. ამან გამოიწვია დიდი ფილოლოგიური კვლევა-ძიება. შეიქმნა მიმართულებები თარგმნითს ხელოვნებაში. საინტერესო ცდებია ჩატარებული XI საუკუნის მოღვაწეების — გიორგი მთაწმიდლისა და ეფრემ მცირეს მიერ სალიტერა-

ტურო ენის სტილისტიკურ დარგში. ეფრემ მცირესა და იოანე პეტრიწს განხილული აქვთ გრამატიკის ძირითადი საკითხები. დიონისე თრაკიელისა და აპოლონიოს დისკოლოს გრამატიკათა საფუძველზე მათ ღრმა მეცნიერული მუშაობა ჩაუტარებიათ ქართული სამეცნიერო ენის შესაქმნელად. ეფრემ მცირემ მოახდინა ქართული პუნქტუაციის რეფორმა, მანვე შეადგინა გაუგებარ სიტყვათა ლექსიკონი და გამოთქვა საინტერესო აზრები ქართული ვერსიფიკაციის შესახებ. საერთოდ, იმდროინდელი გრამატიკა და ლექსიკონი მთლიანი სახით ჩვენამდე არ მოღწეულა. შემონახულია მხოლოდ 1210 წლის ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ოთხთავის გაუგებარი სიტყვებისა და „ებრაელთა ენის“ საკუთარ სახელთა ლექსიკონს.

V საუკუნიდან მოყოლებული ქართველებმა შექმნეს უმდიდრესი ორიგინალური მხატვრული ლიტერატურა.

საუკუნეთა მანძილზე მუშავდებოდა, იხვეწებოდა და სრულყოფილი ხდებოდა ქართული პოეტური ენა იმ პირველხარისხოვანი ნაწარმოებების მეოხებით, რომლებიც წარმოადგენენ ქართული სალიტერატურო ენის ფასდაუდებელ ძეგლებს.

ლექსთწყობის ის სისტემა, რომელიც წმინდა სახით ჩამოყალიბდა კლასიკურ ეპოქაში (XI—XII სს.), თავისი წარმოშობით უფრო ადრინდელ ხანას ეკუთვნის. ქართულ სილაბურ-ტონურ ლექსს წინ უძღოდა ხანგრძლივი ტრადიცია ჰიმნოგრაფიული პოეზიისა, რომლის სტრუქტურას განსაზღვრავდა არა მოწესრიგებული ტონიკა, არამედ გალობის კანონებიო, ამბობს პროფ. ა. გაწერელია.

1902 წელს ნ. მარმა აღმოაჩინა 13-სტრიქონიანი ლექსი ფილიპესი (X საუკუნე), სადაც უკვე რითმებია გამოყენებული. ამით ქართული პოეტური ენის ისტორიის ქრონოლოგიური ფარგლები უფრო გაფართოვდა.

ქართულმა ენამ სრულყოფილობას მიაღწია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.

რუსთაველის პოემის სახით ჩვენ გვაქვს კლასიკური ეპოქის ნაწარმოები, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს მომდევნო საუკუნეების მწერლობის ენაზე. „ამ გავლენის პარალელურად მოდის მეორე ხაზი, რომელსაც სათავე აქვს ჰიმნოგრაფიასა და ჩახრუხაძის ოდებში, გამოივლის ბესიკს (XVIII ს.) და უკანასკნელ თავშესაფარს პოულობს XIX საუკუნის პირველი ნახევრის არქაისტებში... რუსთაველის ენის უბრალოება როდია ხალხური ენის ფორმათა უკრიტიკოდ მიღების შედეგი. ხალხური ნაკადი მის პოემაში შესულია გადამუშავებული სახით და შენარჩუნებული აქვს პირვანდელი საწყისის მნიშვნელობა. კონტროლისათვის რუსთაველი მიმართავს კლასიკურ ქართულ ენას. „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს რაფინირებული უბრალოების საუკეთესო

მაგალითს. ამიტომ შეინარჩუნა მან დღემდე სტილურად დაუძლეველი ნაწარმოების სახელი“ (ა. გაწერელია).

ა. შანიძის სიტყვით, „ვეფხისტყაოსანი მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული ქმნილებაა, მაგრამ, პირველ ყოვლისა, ის არის ქართული ენის დოკუმენტი, რომელიც მაჩვენებელია გარკვეული ეტაპისა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში“.

ნ. მარის სიტყვით, „შოთას ენა არათუ ადგილობრივი არ არის, იგი უკვე მსოფლიო ენაა“.

უდავოა, რომ ქართული პოეტური ენის მდიდარი ტრადიციები, რომლებიც შედიან ქართული ლიტერატურის საერთო საგანძურში, ქართული ენის განვითარების ერთ-ერთი უმძლავრესი ფაქტორთაგანია. ქართულმა ენამ შეიძინა და განივითარა არაჩვეულებრივი პლასტიკურობის უნარი, უკიდურესობამდე მისული გამოთქმის ხატოვანება, მუსიკალობა და ღრმა ექსპრესიულობა. სწორედ პოეტური ენის დიდი ტრადიციულობით აიხსნება, რომ „ქართული ენა უფრო მხატვრულად ხორცს ასხამს ყოველ აზრს და არა დახსნილ-დაქსაქსულად აგვიწერს და არა მხოლოდ ზოგად ცნებებზე გადაიღებს საჭირო აზრს“ (ნ. მარი).

ძველ საქართველოში შეიქმნა და დამუშავდა მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი და ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი ე ნ ა.

ქართული ენის მონუმენტური ძეგლია „ქართლის ცხოვრება“, რომელმაც საგრძნობლად შეუწყო ხელი სამეცნიერო ენის განვითარებას.

ეს ვეებერთელა კრებული შეიქმნა XII საუკუნეში და შიგ შეტანილი თხზულებები მოგვითხრობენ ქართველი ხალხის ისტორიას უძველესი დროიდან VIII საუკუნემდე. შემდეგ საუკუნეებში ამ კრებულს დაუმატეს შემდგომ საუკუნეთა ისტორიის შემცველი თხზულებები. „ქართლის ცხოვრებაში“ არის ორი ციკლის თხზულებები: „ძველი ციკლისა (XIV საუკუნემდე) და ახალი ციკლისა (XIV—XVII საუკუნეებისა). XVIII საუკუნეში დაიწერა სხვა საისტორიო ძეგლები, რომლებიც XIX საუკუნის ქართულმა ისტორიოგრაფიამ „ქართლის ცხოვრების“ ძეგლებად გამოაცხადა და მათ ტრადიციულ ტექსტთან ერთად ბეჭდავდა.

სოციალ-პოლიტიკური, ეკონომიკური, ისტორიული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისათვის „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს განუზომელი მნიშვნელობა აქვს.

ძველთაგანვე შეიქმნა ქართული ფილოსოფიური ენა.

სპეციალური ფილოსოფიური ენის შექმნას იმთავითვე ხელი შეუწყო თეოლოგიური ლიტერატურის თარგმანებმა. ქართულად უთარგმნიათ გრიგოლ ნოსელის, ნაზიანზელის, დამასკელის და სხვათა დოგმატიკურ-თეოლოგიური ნაწარმოებები. ეფრემ მცირემ თარგმნა

იოანე დამასკელის „დიალექტიკა“, რომელსაც მრავალი მიმდევარი გაუჩნდა.

ისეთ სოლიდურ სამეცნიერო ორგანოში, როგორიცაა „რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოების აღმოსავლეთის განყოფილების მოამბე“, 1910 წელს აკადემიკოსი ნ. მარი წერდა:

„X და XI საუკუნეებში ქართველები ფილოსოფიის სფეროში იმ საკითხებით იყვნენ დაინტერესებულნი, რომლებიც აფიქრებდა მაშინდელი კაცობრიობის მოწინავე ადამიანებს როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, იმ განსხვავებით დანარჩენებისაგან, მაგალითად, ევროპელებისაგან, რომ იმდროინდელი ქართველები სხვებზე აღრე გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს მაშინდელი ფილოსოფიური აზრის ახალი მიმდინარეობის შესახებ; ამავე დროს ისინი შეიარაღებულნი იყვნენ იმ დროისათვის სანიმუშო ტექსტუალური კრიტიკის იარაღით და მუშაობდნენ უშუალოდ ბერძნულ ორიგინალებზე“.

XI საუკუნეშივე ქართული ფილოსოფიური ენა განვითარების მაღალ დონეზე იდგა. ზემოთ დასახელებულ სამეცნიერო ჟურნალში იგივე ავტორი ამბობს:

„XI საუკუნეშივე ქართული მეტყველება წარმოადგენდა სრულიად ჩამოყალიბებულ სალიტერატურო ენას ადგილობრივი თავისებურებებით ამა თუ იმ კულტურული და, კერძოდ, ფილოსოფიური ცნების გამოსახატავად. სალიტერატურო ენის ეს რეალური თავისებურებანი ინერგებოდა განსაკუთრებულ პირობებში, როდესაც ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ქართველთა კულტურული ცხოვრება ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდებში“.

ქართული ფილოსოფიური ენის შემქმნელად ითვლება XI—XII საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი.

იოანე პეტრიწი შუა საუკუნეთა ფილოსოფიური აზროვნების დიდი წარმომადგენელია. გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების (კერძოდ, პეტრიწის) კავშირი იმ დროს ბიზანტიაში ფილოსოფიურ მოძრაობასთან აშკარა ფაქტია. „ბარბაროსული“, კერძოდ, ქართული ელემენტი რომ დიდ როლს ასრულებდა იმდროინდელი ფილოსოფიის აღორძინებაში ჯერ კიდევ XI საუკუნეში, ამას ბერძნული წყაროებიც მოწმობენ.

პეტრიწის კალამს ეკუთვნის ორიგინალური და თარგმნილი ფილოსოფიური ნაწარმოებები. მან ბერძნულიდან თარგმნა ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“, პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“, არისტოტელეს თხზულებანი და სხვ. იოანე პეტრიწის მთარგმნელობითმა მოღვაწეობამ შექმნა ახალი მთარგმნელობითი სკოლა, რომელიც უპირველეს ამოცანად ისახავდა დედნის ზედმიწევნით თარგმნას. თარგმანები აღჭურვილია ვრცელი კომენტა-

რებით. განმარტება, ჩვეულებრივ, განსამარტავ თავზე გაცილებით დიდია. გარდა ამისა, ტექსტს ახლავს შესავალი და ბოლოსიტყვაობა.

პეტრიწის პირველი მკვლევრის ნ. მარის სიტყვით, იოანე ტრიალებს როგორც ნეოპლატონიკოსთა, ისე ანტიკური პოეტებისა და ფილოსოფოსების წრეში. ჰესიოდე და ჰომეროსი ამარაგებენ მას მასალით; ჰიპოკრატე, ემპედოკლე, პარმენიდი ხშირად მისი ავტორიტეტებია; პლატონს, რომელსაც განსაკუთრებით ამკობს ეპითეტები „მზე“, „სალმრთო“, უფრო ხშირად იმოწმებს: სახელი სოკრატე ძეგლის თითქმის ყველა გვერდზე იხსენიება; ქართველი ფილოსოფოსი იმოწმებს არისტოტელესაც და აკრიტიკებს კიდეც; ზოგჯერ მას ბუნდოვანს უწოდებს; არისტოტელეს თხზულებათაგან განსაკუთრებულ ყურადღებას ის „ორგანონზე“ ამახვილებს; იცნობს პერიპათეტიკოსებს და არისტოტელეს სჭოლასტებსაც; რა თქმა უნდა, იგი სხვადასხვა ნეოპლატონიკოსსაც იმოწმებს, მათ შორის ყველაზე ხშირად პლოტინს, იამვლიხოსსა და პორფირის.

მკვლევარები აღნიშნავენ იოანე პეტრიწის თარგმანის მაღალმხატვრულ ღირსებებს და, ამასთანავე, მისი თარგმანების სიახლოვეს დედანთან არა მხოლოდ აზრის გადმოცემაში; არამედ გარეგნულ ფორმაშიც — ფრაზებისა და ცალკეულ სიტყვათა და ტერმინთა აგებაში, ბერძნულის ეკვივალენტური ნაწილაკების განლაგებაშიც კი. „უნდა ვაღიაროთ იოანე პეტრიწის უდიდესი დამსახურება ქართულ ლიტერატურაში: მას უნდა ვუმადლოდეთ ქართულ ენაზე შექმნილი მზამზარეული ფილოსოფიური ტერმინოლოგიისათვის, რომელიც ქართული ძირებით არაჩვეულებრივად ზუსტად გადმოსცემს ყველა ტერმინს, ევროპულ ენებზე ბერძნული ან ლათინური ნასესხობების სახით რომ არსებობს; ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სიმდიდრე მკვდარ კაპიტალად არ დარჩენილა, როცა საქართველოში მშობლიური ლიტერატურა ყვაოდა“. შეიძლება მხოლოდ გაკვირვებას მიეცე იმ ამოუწურავი მარაგის გამო, იმ პირდაპირ ჯადოქრული ძალების გამო, რომლებსაც პეტრიწი ფლობდა, რომ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ეპოვა ქართულ ენაში საჭირო მასალა აზრთა ყველა უმცირესი ნიუანსის და ნაირგვარობის გადმოსაცემად ბერძნული ენის ნიმუშის მიხედვით, უაღრესად განყენებული და რთული დიალექტიკის ყველა სიძნელის გადასალახავად“. და მართლაც, „ამავე ენით სარგებლობს იგი არა მხოლოდ მაშინ, როცა თარგმნის, არამედ დამოუკიდებელი ფილოსოფიური მსჯელობის დროსაც“ (ნ. მარი).

გვიანდელი საუკუნეების (XVII—XVIII) მოღვაწეებიც ცდილობდნენ მიებაძათ პეტრიწისათვის და უწოდებდნენ მას ქართული ენის „მამზევებელსა“ და „მადღეებელს“.

იოანეს პროგრესული იდეებისათვის გარკვეული წრეები დევნიდნენ როგორც საქართველოში, ისე ბიზანტიაში. ამას იგი გარკვევით ლაპარაკობს ერთ-ერთ თავის თხზულებაში („ვინაჲ მემრჩობლეთა და მრავალმრჩობლთა და ერთვითთა ლმობათაგან მიდმო-ვიბნეოდი, სენთა, უცხოებათა და შურთა და ვერაგობათა საჯუმილთისა-გან მექმე და ამის ჟამისა ქართველთა და ბერძენთა შორის“). აქვე პეტრიწი იმოწმებს ფილოსოფოს სოკრატს: „ვითარ იტყუის სოკრატ, რამეთუ ძნელ სენი, არამედ უფიცხეს უმეცრებაჲ სენისა“ (ძნელია ავადმყოფობა, მაგრამ უფრო ძნელია იმის შემეცნება, თუ რა გჭირს) და განაგრძობს: მე რომ კარგად მომპყრობოდნენ და დამხმარებოდნენ, ქართულ ენას ბერძნული ენის სიმაღლემდე ავიყვანდი და ფილოსოფიის დარგში არისტოტელესავით ვიმოღვაწებდიო.

პეტრიწის ნაწარმოებები ჩვენთვის ძვირფასია აგრეთვე ქართული სპეციალური მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავების თვალსაზრისით. ვასილ წერეთლის წიგნიდან („ქართული საფილოსოფოსო ტერმინოლოგია პეტრიწის მიხედვით“) და სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ შედგენილი პეტრიწის ლექსიკონიდან მშვენივრად ჩანს, თუ რა ტერმინები გვხვდება პეტრიწის ტრაქტატებში გეომეტრიის, არითმეტიკის, რიცხვთა თეორიის, მუსიკის თეორიისა თუ სხვა სპეციალური დარგებიდან.

კლასიკური სალიტერატურო ენის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საგანმანათლებლო ცენტრებმა და ლიტერატურულმა სკოლებმა.

დავიმოწმოთ აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე:

„ათონ — შავი მთის სკოლას, რომელიც ჩამოაყალიბეს ექვთიმე ათონელმა, გიორგი მთაწმიდელმა და ეფრემ მცირემ, ახასიათებს ქართული ენისა და სტილის ბუნებრიობა და, თუ შეიძლება ითქვას, ძალდაუტანელობა. მორფოლოგია, სინტაქსი და ლექსიკა ამ სკოლიდან გამოსული თარგმანებისა და ორიგინალური ნაწარმოებებისა არ ღალატობს წმინდა ქართულ ნორმებს და არ ატარებს ბერძნული ენის მონურად მიმდევრობის კვალს. მართალია, ექვთიმეს თარგმანები უფრო თავისუფალია და ქართული, ვიდრე გიორგისა, რომელსაც წინ წადგა ერთი ნაბიჯი ჩვენი ენის ბერძნულ დედნებთან დაახლოების საქმეში და რომელსაც თავის მხრივ, ეფრემ მცირემ გადააჭარბა, მაგრამ ეს იყო ტენდენცია მატერიალური დაახლოებისა, ბერძნული დედნებისა და მათი შინაარსის, აზრის მთლიანად და უცვლელად ამოწურვისა. მეორე სკოლას საფუძველი ჩაეყარა დაახლოებით XI საუკუნის მეორე ნახე-

ვარში — კონსტანტინეპოლში; იმ პირთა წრეში, რომელთაც სისტემატური განათლება მიიღეს მანგანის აკადემიაში. მაგრამ ვინაიდან ეს სკოლა განვითარდა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა პეტრიწონის სალიტერატურო ცენტრში, უმთავრესად იოანე პეტრიწის ხელში, მას მე პეტრიწონულ სკოლას ვუწოდებ, ეს სკოლა მიზნად ისახავს არა მარტო მატერიალურ სიახლოვეს ბერძნულ დედნებთან, არამედ ენობრივსაც: მას უნდა აზრის გადმოცემაში ქართული ენა აიყვანოს ბერძნული ენის მოქნილობამდე და ამიტომ ამ სკოლის ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი და ლექსიკა აგებულია ბერძნულ ნორმებზე და ჩამოსხმული ბერძნულ ყაიდაზე".

XII—XVIII საუკუნეების ენა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც გარდამავალი ეტაპი, ერთგვარი შუალედური პერიოდი, რომელიც წარმოგვიდგენს ძველი ქართულის ნიშანდობლივი ელემენტებისა და ახალი ენობრივი ნაკადის თავისებურ ნაზავს, თვისებრივად ახალ ეპოქას სალიტერატურო ენის ევოლუციის გრძელ გზაზე. არსებითად ეს ხანა აღბეჭდილია ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებული გრამატიკულ-ლექსიკური თავისებურებების აქტივიზაციით, თანდათანობით ირღვევა ძველი საეკლესიო ენის ერთფეროვანი შტამპი და დოგმატური სტილი; სასაუბრო მეტყველებასთან დაახლოებამ გამოიწვია გრამატიკულ ფორმათა ნაირნაირობა, სიჭრელე ლექსიკაში, თანდათანობით ინერგებოდა ახალი ლიტერატურული ფორმებიც.

ძველ ქართულ ენას კი, როგორც სალიტერატურო ენის საეკლესიო სტილს, არსებობა არ შეუწყვეტია და დიდხანს გამოყენებული იყო სასულიერო მიზნებისათვის.

გვიანფეოდალურ ეპოქაში, ე. წ. აღორძინების ხანის ენაში (XVI—XVIII სს.) უფრო მეტი გასაქანი მიეცა სამწერლობო ენაში დიალექტებიდან მომდინარე ლექსიკურ-გრამატიკულ ფორმებს. ამდროინდელი კლასიკური მწერლობის ენაში ერთმანეთის გვერდით გვხვდება დიალექტური და ძველი ლიტერატურული ნორმები, რამდენადმე დაირღვა სამწერლობო ენის უნიფიცირებული სისტემა და ფაკულტატურმა ენობრივმა ფორმებმა ლიტერატურულ ნორმალიზაციას თავისი დაღი დაასვა.

XVII—XVIII საუკუნეების ქართული ენის უმნიშვნელოვანესი ძეგლებია: საზღაპრო ეპოსი „რუსუდანიანი", თეიმურაზ I-ის, არჩილის, ბესიკის, ვახტანგ VI-ის, თეიმურაზ II-ის, საიათნოვას და სხვა მწერალთა მხატვრული ქმნილებანი. განსაკუთრებული ადგილი უკავია სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის ენას.

იქმნებოდა საისტორიო ხასიათის თხზულებანი. ანტონმა, გაიოზ რექტორმა და სხვებმა რუსეთიდან გადმოიტანეს საქართველოში რუსული სასულიერო-სქოლასტიკური განათლების ტრადიციები... თბი-

ლისის და თელავის სემინარებისათვის სახელმძღვანელო ლიტერატურა უმეტესად რუსულიდან ითარგმნებოდა. უხვად ითარგმნებოდა აგრეთვე ტექნიკურ-სამხედრო და მათემატიკურ-საბუნებისმეტყველო ლიტერატურა.

მნიშვნელოვანია რუსული ენიდან დრამატულ თხზულებათა თარგმნა-გადმოკეთება. ქართული ენის სტიქია კარგად არის გამოვლენილი სპარსული ლიტერატურის ისეთი ძეგლების ქართულ თარგმანებში, როგორიცაა „შაჰ-ნამე“, „ქილილა და დამანა“, „ლეილ-მაჯნუნიანი“ და სხვ.

საშუალო ქართულის ფორმირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა მრავალრიცხოვანი ისტორიული საბუთები, აგრეთვე ეპიგრაფიკული მასალა. ისტორიულ დოკუმენტებში ასახულია კულტურულ-ეკონომიკური და სოციალური ტერმინები, ამასთანავე, ისინი შეიცავენ მდიდარ მასალას ისტორიული ფონეტიკის, მორფოლოგია-სინტაქსისა და სიტყვაწარმოების საკითხების ახსნისა და გაგებისათვის. ეს ძეგლები სხვადასხვა ლოკალური წარმოშობისაა, სხვადასხვა კუთხეშია შემუშავებული, რაც ხელს უწყობდა ფორმათა სიჭრელესა და მრავალფეროვნებას. სტილური სხვადასხვაობის მიუხედავად, ამ ტიპის თხზულებანი ძირითადად სალიტერატურო ენის მაგისტრალურ ხაზს მიჰყვებიან და საშუალო ქართულის საერთო სტრუქტურის შემადგენელ ნაწილად გვევლინებიან.

XI—XII საუკუნეებიდან მოყოლებული უმაღლეს წერტილს აღწევს ქართული სამეცნიერო და ფილოსოფიური ენა. „ქართლის ცხოვრებამ“, საისტორიო ხასიათის ამ კაპიტალურმა თხზულებამ, დიდად შეუწყო ხელი მეცნიერული ენის განვითარებას.

განსაკუთრებით XIII—XIV საუკუნეებიდან ქართულ ენაში ინერგება აღმოსავლური ენებიდან მომდინარე სიტყვები (ირანიზმები, თურქიზმები და სხვ.). საშუალ ქართულში მთავრდება ამ ენათაგან ნასესხები სიტყვების ფონეტიკური მოდიფიკაცია და ქართულ საარტიკულაციო ჩვევებთან შეგუება.

ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში მომხდარი ძირეული გადახალისებისა და ცვლილებების გარდა, საშუალო ქართული ამჟღავნებს მთელ რიგ თავისებურებებს ფონეტიკისა და გრამატიკის დარგებში. დაიწყო მოქმედება ფონეტიკურმა კანონმა, რომლის ძალითაც სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მჟღერი ჩქამიერი თანხმოვნები ყრუვდება; კოარტიკულაციის პროცესში საგრძნობია აგრეთვე ბგერათა კომბინატორული ცვლილებები სხვადასხვა პოზიციაში, მათ შორის ანლაუტში; ბგერათა მონაცვლეობის იშვიათი შემთხვევები გვიჩვენებს საშუალ ქართულში განვითარებულ ამ ახალ კანონზომიერებას (არტიკულაციის წინ წამოწე-

ვა, ან ველარიზაცია; ლაბიალიზაციისა თუ დელაბილიაზაციის პროცესები), ანდა ძველად მოქმედი შესაძლო ბგერათგადაწევის გადმონაშთს, იშვიათად კი — არტიკულაციის თავისებურებას სუბსტრატი ენის გავლენის შედეგად: ბრუნებისას ფუძეხმოვნიან უკვეცელ სახელებში გამარტივებულია დიფთონგი, ემფატიკური „ა“ ხმოვანი იკარგება და შემდეგ ვითარდება „ი“; იცვლება კავშირებისა და ზმნიზედების ფორმა; ვრცელდება ზედსართავთა უფროობითი ხარისხის ფორმები; სიტყვაწარმოებაში ფართოდაა გამოყენებული კნინობითობის სუფიქსები; ზმნის ხოლმეობითის ფორმებში ორგანული წარმოება ადგილს უთმობს აღწერით ფორმებს; თურმეობითში ჩნდება „ნ“ სუფიქსი; ნამყო წყვეტილის მესამე პირის მრავლობითის დაბოლოებაში ჩნდება გარჩევა გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში; სუსტდება სახელობითში დასმული სახელის სინტაქსური ძალა, და სხვ.

XVIII საუკუნიდან დასაბამი ეძლევა ახალ პერიოდს სალიტერატურო ენის ისტორიაში (საქმიანი, საკანცელარიო დოკუმენტების ენა, სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის ენა), მაგრამ ენის ბუნებრივ განვითარებას მთელი ასი წლის განმავლობაში გზა გადაუღობა ქართული ენის პირველი სრული გრამატიკის ავტორის — ანტონ კათალიკოსის გრამატიკულმა სკოლამ.

ანტონმა, რომელიც ეყრდნობა „სამი სტილის“ თეორიას, დანერგა არქაიზებული და ხელოვნური ფორმები. ანტონისეული გრამატიკული პრინციპები ედო საფუძვლად XIX ს. შუა წლებამდე გამოქვეყნებულ სასკოლო გრამატიკებს. არქაიზებულია XIX საუკუნის პირველი ნახევრის რომანტიკოსი პოეტების (ა. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის. ნ. ბარათაშვილის) ენა.

ქართველი არქაისტების თვალსაზრისს თეორიული საყრდენი ჰქონდა ლოგიცისტური გრამატიკული სისტემისა და შუა საუკუნეების თეოლოგიის საფუძვლების სახით. მათთვის მისაბაძი იყო იოანე პეტრიწის ენა და არა იმდენად ძველი ლიტერატურის კლასიკური ენობრივი ძეგლები. იმდროინდელ პრესაში გაბატონებული იყვნენ ანტონის სკოლიდან გამოსული ლიტერატორები, ქართული პუბლიცისტური სტილი (ორმოცდაათიან-სამოციანი წლ.) მთლიანად ეყრდნობოდა არქაიზებული და ხელოვნური ენის ნორმებს. მიუხედავად ამისა, იყო ცდები (გიორგი ერისთავის კომედიები) სასაუბრო მეტყველების ნორმების წარმოჩენისა მწიგნობრულ ენაში.

ილია ჭავჭავაძე პირველი იყო, რომელმაც გაბედულად გაილაშქრა ენობრივი კონსერვატიზმის წინააღმდეგ და ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების მძიმე ტვირთი იკისრა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფეოდალურ-კლერიკალურ ლიტერატორებთან პოლემიკის გაშლა არცთუ ისე იოლი საქმე იყო. არქაისტე-

ბის შეხედულებებს ადასტურებს საკმაოდ ხანგძლივი ლიტერატურული ტრადიცია, რომანტიკოსი მწერლების პოეტური ენის პრაქტიკა. ე. წ. „სამი სტილის“ თეორიას, რომელსაც ისინი ეყრდნობოდნენ, დიდი გავალი ჰქონდა მთელ მსოფლიოში.

დრომოჭმულ ენობრივ ნორმათა უკუგდების აუცილებლობა და თანამედროვე ლიტერატურული ენის ნორმალიზაციის ინტერესები დღის წესრიგში აყენებდა ტრადიციული თვალსაზრისის კრიტიკას, არქაისტების მეთოდოლოგიის თეორიულ დაძლევას, ერთი მხრივ, და ახალი სამწერლობო ენის შენებას, ახალი ნორმების დამკვიდრებას, მეორე მხრივ.

ანბანის გამარტივება, არქაული და ხელოვნური ლიტერატურული ნორმების განდევნა, ხალხურ მეტყველებასთან დამოკიდებულება, უცხოური (საერთაშორისო) სიტყვების დამკვიდრება, ტერმინოლოგიის მოწესრიგება, — აი, წრე ძირითადი მნიშვნელობის საკითხებისა, რომლებიც დაისვა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძის წინაშე.

ამ პრობლემების გადაწყვეტაში ილია ჭავჭავაძეს გვერდში ედგა აკაკი წერეთელი, მეორე დიდი მოამაგე და მოჭირნახულე ქართული ენისა, ახალი ლიტერატურული მოძრაობის მეორე დიდი მედროშე და სულისჩამდგმელი. აკაკი წერეთელი ილია ჭავჭავაძესთან ერთად მხოლოდ ლიტერატურული პრაქტიკით როდი ახორციელებდა საერთოეროვნული ენის პრინციპებს, იგი თეორიულადაც ასაბუთებდა ახალი ენობრივი პოლიტიკის ძირითად დებულებებს.

არქაისტების თეორიულ ქვაკუთხედს წარმოადგენდა ე. წ. „სამი სტილის“ თეორია, რომელსაც ფესვები ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ჰქონდა გადგმული, ხოლო აღორძინების ეპოქაში მან საყოველთაო გავრცელება ჰპოვა. ჩვენში ეს თეორია ანტონ პირველმა გადმონერგა. რას ნიშნავდა „სამი სტილის“ თეორია? ამ მოძღვრების თანახმად, არ არსებობს ერთი სალიტერატურო ენა, არ შეიძლება ერთი და იმავე სახის ენით ვიმსჯელოთ სხვადასხვა საგანზე. მაგალითად, ღვთისმეტყველებას შეეფერება „მაღალი შტილი“ — აღზევებული, მაღალფარდოვანი ენა; ყოველდღიური სასაუბრო მეტყველება „დაბალ შტილს“ მოითხოვს (ასეთია, მაგალითად, გლეხთა ენა); ისტორიული ხასიათის თხზულებისათვის „საშუალო შტილია“ შესაფერისი, სხვაგვარი ტერმინოლოგიით — არსებობს „ეკლესიური“, „დარბაისლური“ და „გლეხური ენა“.

გასული საუკუნის სამოციან წლებში თავი იჩინა ერთგვარმა რევიზიონისტულმა შეხედულებამ: სალიტერატურო ენის საფუძვლად გამოცხადდა „საშუალო შტილი“, ე. ი. „დარბაისლური მეტყველება“. გლეხთა ენა „მდაბალი კატეგორიებისათვისაა“ განკუთვნილი!

ილია ჭავჭავაძის უდიდესი დამსახურება ისაა, რომ მან ხალხური მეტყველება გამოაცხადა სალიტერატურო ენის საყრდენად და ამით რადიკალურად დაუპირისპირდა ტრადიციულ თვალსაზრისს. ეს იყო გაბედული რევოლუციური ნაბიჯი, რასაც მოჰყვა მწვავე რეაქცია ძველი თაობის ლიტერატორთა მხრივ. პოლემიკა გაიშალა „მამების“ ორგანოში — ჟურნალ „ცისკარში“.

სქოლასტიკური ფილოსოფიის საფუძველზე აღმოცენებულმა „სამი სტილის“ თეორიამ მარცხი განიცადა. ი. ჭავჭავაძემ უფლებები აღუდგინა სალიტერატურო ენის იმ სტრუქტურას, რომელიც საწყისებს სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის სამწერლობო ენაში პოულობდა. გამთელდა ის ხაზი, რომელიც გაწყდა XVIII საუკუნეში ანტონისეული გრამატიკული სკოლის ზეგავლენით.

პირველად ილია ჭავჭავაძემ მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ ქართულ ენაში გვაქვს მთელი რიგი რთული სიტყვები (კომპოზიტები), რომლებშიც მონაწილეობს სიტყვა „დედა“.

„ქართველებისათვის დედა მარტო მშობელი არ არის, — ამბობს ილია. — ქართველი ღვიძლს ენასაც დედა-ენას ეძახის, უფროსს ქალაქს — დედა-ქალაქს, მკვიდრ და დიდ ბოძს სახლისას — დედა-ბოძს, უდიდესს და უმაგრეს ბურჯს — დედა-ბურჯს, სამთავრო აზრს — დედა-აზრს, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი — გუთნის-დედას, რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავალგვარებულია, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი“.

დიდად საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის მსჯელობა იმ სიტყვების თაობაზე, რომლებიც შინაარსობრივად გამოიფიტნენ, გაღარიბდნენ და ვეღარ გამოხატავენ მათში ჩაქსოვილ ცნებას. ამგვარი სიტყვა, ილიას რწმენით, ჩვენი დღევანდელი ენის დაქვეითების მომასწავებელია და ამიტომ საჭიროა ზრუნვა მათი ისტორიული უფლებების აღდგენისათვის. „დადნა საგანი, დადნა სახელიცა“ — ამ ფორმულით მონათლა ილია ჭავჭავაძემ ცნებაგაღარიბებული სიტყვები, რომლებიც მჭევრმეტყველური დადასტურებაა იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების დაკნინებისა და გადაგვარებისა. ასეთია, მაგალითად, სიტყვა **მამული.**

„**მამულის** ხსენებაზე ეხლანდელ ქონდრის-კაცს თავისი მიწა წარმოუდგება ხოლმეო“, ამბობს ილია. ეს ზოგადი ცნების, სამშობლო ქვეყნის, აღმნიშვნელი სიტყვა გამოიფიტა, დავიწროვდა და ამ პროცესს ილია ჭავჭავაძე უკავშირებს იმ იდეის გაქრობას, რომელიც ჩამარხულია ხსენებულ სიტყვაში. „მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზედ სადავო საჩივარია; მამულისათვის ძლევამოსილობა — მოგებულის საქმის განაჩენის პირია,

ჯეროვნად შემოწმებული; მამულის სიმაგრე — ტყრუშული ღობეა, ვენახ გარეშემო შემორტყმული; მამულის პატივი — ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულის შვილობა — მხვნელისა და მთესველის სახელი-ღაა".

ახალი სალიტერატურო ენა მოითხოვდა ორთოგრაფიის რეფორმასაც. ილია ჭავჭავაძემ დაასაბუთა, რომ ასოები ჲ, ჴ, ჱ, ჯ, ჭ, რომლებიც ძველი სალიტერატურო ენის ფონეტიკურ სისტემას შეეფერებიან, შეუფერებელია ახალი ენისთვის. არქაისტები თავგამოდებით იბრძოდნენ ანბანის გამარტივების წინააღმდეგ, ზემოხსენებული ასოების განდევნა წიგნის ენიდან მათ მიუტევებელ შეცოდებად მიიჩნიეს. დასაბუთება ასეთი იყო: თუ, მაგალითად, ჴ ასო განვდევნეთ, მაშინ როგორღა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან „ხელი" (გიჟი) და „ჴელი" (ადამიანის სხეულის ნაწილი)? ეს არგუმენტი უსუსურია: ყოველთვის გადამწყვეტია კონტექსტი, სწორედ კონტექსტს ენიჭება ენაში სადიფერენციაციო მნიშვნელობა: განა ომონიმები ჩვენს მეტყველებაში ბადებენ რაიმე უხერხულობას? ენათმეცნიერების ეს კანონი კარგად იცოდა ილიამ, როდესაც უპასუხებდა თავის მოკამათეს: „თუ ეგრე არის, მაშინ „დააროიგე" (ქალალდის დარიგება) და „დააროიგე" (დარიგების მიცემა) სხვადასხვა „დ"-ებით უნდა დაიწეროს? „ააგეთ" (ააშენეთ) და „ააგეთ" (ვთქვათ, მწვადი ააგე) სხვადასხვა ასოებით უნდა დაიწეროს? „გავეცი" (მითომ სხვას მივეო) და „გავეცი" (ხმა ამოვიღეო) სხვადასხვა ასოებით უნდა დაიწეროს? ესე რომ მიჰყვეთ, ათას სხვა მაგალითს გიჩვენებთ, მაშასადამე, თქვენი თეორიით ათასი სხვადასხვა ასო უნდა შემოვიტანოთ და ჩვენი ახალი მოსწავლეები ძალიან მადლობელი იქნებიან". როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძე ყოველთვის მეცნიერულ თვალსაზრისზე იდგა.

ი. ჭავჭავაძემ დიდი ამაგი დასდო სალიტერატურო ქართულის ლექსიკური შედგენილობის შევსებას ახალი ცნებებითა და ტერმინებით. მან დაამკვიდრა ქართულში ბევრი სიტყვა, რომლებიც სამუდამოდ შევიდნენ ენის ლექსიკურ ფონდში. ასეთებია, მაგალითად, „შინაარსი", „აგებულება", „სინამდვილე", „მიმართულება", „ღირებულება", „შთაგონება", „განყოფილება", „აღებ-მიცემობა", „გაკვრით" და სხვ.

სწორედ დიდმა ილიამ აღადგინა თავის მხატვრულ ენაში სიტყვა „მამულის" ადრინდელი გაგება და საბოლოოდ დააკანონა იგი ქართულ ენაში, როგორც „სამშობლოს" სინონიმი.

ფორმულის — „დაღნა საგანი, დაღნა სახელიცა" მშვენიერი დადასტურებაა აგრეთვე ქართული სიტყვა **დედაკაცი**. ილია გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ეს მშვენიერი სიტყვა „დაიფუყა", შეიკუმშა, დაპატარავდა... დღეს დედა დედაკაცი კი არ არის, ქალია... დღეს „დედაკაცი" მდაბიოთა სახელი-ღაა, თითქოს „კაცი — დედა" მარტო მათღა

შერჩენიათ... „დღეს „დედაკაცი“ რომ ან თავადის, ან აზნაურის ქალს, ან ერთობ „შლიაპოსანს“ უწოდოთ, გიწყენთ, იუკადრისებს, ითაკილებს: მე ქალი ვარ და არა დედაკაციო“, თითქოს ქართული „დედაკაცი“ და რუსული „баба“ ერთი და იგივე იყოს. ცოდვა არ არის, „დედაკაცი“ სათაკილო იყოს და „ქალი“ თავმოსაწონებელი! „დედაკაცი“ — ეს ბრგე და ახოვანი ადამიანი, „ქალად“ დავადნეთ!.. ცოდვა არ არის, „დედაკაცი“ დავკარგეთ და „ქალი“ შევიძინეთ!“.

ამ ამონაწერის ქვეტექსტი არაა ძნელი მისახვედრი და, ამდენად, ზემოხსენებული მსჯელობა არ შეიძლება გავიგოთ, როგორც ტერმინის ვიწრო ლინგვისტური ინტერპრეტაცია.

ახალი სიტყვა-ტერმინების დამკვიდრება, საერთოდ, ერთბაშად და უმტკივნეულოდ როდი ხდება. შეჩვევის მომენტს ამ პროცესში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. ეს გარემოება კარგად აქვს გათვალისწინებული ილია ჭავჭავაძეს, როცა იგი მსჯელობს სიძნელეებზე, რომლებიც აღიმართება პირველხანად ახალი სიტყვის გავრცელების დროს, თუნდაც ეს ახალი სიტყვა ენის მორფოლოგიის კანონების მიხედვით იყოს შედგენილი და შემუშავებული.

ილიას არ გამოჰპარვია ახლადდაბადებული სიტყვის თუ ტერმინის ფეხის ადგმის სირთულენი და მკითხველს ერთგვარი მობოდიშებით მიმართავდა:

„ბოდიშს ვიხდი ჩვენს მკითხველებთან, რომ სიტყვა ჩვენი მძიმეა და ადვილად გასაგები არ არის; იმ საგნისათვის, რომლის გამოც ჩვენ მოგვიხდა ამჟამად ლაპარაკი, ტერმინები და თვით წყობა სიტყვიერებისა ჯერ არ არის, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს ენაში შემოტანილი და გაშინაურებულიო“. და შემდეგ: „რაც უნდა კარგად მოიგონო სიტყვა, თუნდაც წმინდა ქართულიც იყოს, რაკი იმ სიტყვას ახალს მნიშვნელობას მისცემ, ისიც გაუგებარი იქნება ჯერხანად, როგორც უცხო ენის სიტყვა... რასაკვირველია, ამ სიტყვის აზრს შევეჩვიეთ თავის დროზედ, მაგრამ მანამ შევეჩვევით, იმ დრომდე ეგენი ბნელნი იქნებიან და ძნელად გასაგონი“.

მართლაც, სიტყვის „მოშინაურების“ პროცესი აქ ლაკონიურად და სრული ჰეშმარიტებით არის დახასიათებული. ბევრი „ბნელი“ და „ძნელად გასაგონი“ ილიასეული სიტყვა-გამოთქმა, როგორც ვიცით, საბოლოოდ „მოშინაურდა“ ქართულ მეტყველებაში, რაკი ისინი ჩვენი ენის ბუნებისა და თვისების მიხედვით არიან შექმნილი.

იმდროინდელ სამწერლობო ენაში ფეხს იკიდებდა არაბუნებრივი სინტაქსური კონსტრუქციები, უცხოური ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც არ ეგუებოდნენ ქართული ენის შინაგან კანონზომიერებას. რუსული ენის მეშვეობით ბევრი საერთაშორისო სიტყვა შემოვიდა ქართულ მწერლობაში და პირველი გაბედული ნაბიჯები ამ სფეროში, როგორც

ზემოთ დავრწმუნდით, თვით ილიას მიერ იყო გადადგმული: მაგრამ სხვა არის ლექსიკური ერთეულების შემოტანა და სხვა — წინადადებების წყობის, სინტაქსური კონსტრუქციების შეცვლა განსხვავებული სისტემის ენის გავლენით. სინტაქსური რუსიციზმების დამკვიდრება უთუოდ საზიანო იყო ქართული ენისათვის. იცვლებოდა ბუნებრივი ქართული გამოთქმები, ვრცელდებოდა სპეციფიკური რუსული ფრაზეოლოგიური შეხამებანი და დავიწყებას ეძლეოდა მათი ფარდი ქართული შესატყვისობანი, იბღალებოდა „ენის სული“; როგორც კარლ მარქსი იტყოდა. ამ მავნე ტენდენციების აქტივიზაციას უმთავრესად ხელს უწყობდა უხეირო, სიტყვასიტყვითი თარგმანები, სადაც ანგარიში არ ეწეოდა ჩვენი ენის თავისებურებებს, საუკუნეთა მანძილზე შემუშავებულ ბუნებრივ ენობრივ ფორმებს.

ილია ჭავჭავაძე სასტიკად გმობდა ქართული ენის შერყვნისა და დამახინჯების ამგვარ ტენდენციებს.

იაკობ მანსვეტაშვილი თავის მემუარებში საინტერესო ცნობებს გვაწვდის იმის თაობაზე, თუ როგორ ასწორებდა ილია რედაქციაში შემოსულ მასალებს და როგორ „რანდავდა და აშალაშინებდა“ ქართული ენის ყაიდაზე რუსიციზმებით აღსავსე კორესპონდენციებს. ამ მხრივ გამოირჩეოდა თურმე ცნობილი პუბლიცისტის ილია ხონელის ნაწერები. ილია ჭავჭავაძე დაიწყებდა ილია ხონელის წერილების „ქართულად მონათვლას...“

„შევიდოდა სიტყვიერების სივრცე-სიღრმეში, დაიწყებდა მეტყველების სალაროში კვლევა-ძიებას, ძებნას მალული ძალებისას და ქართული ენის სიმდიდრიდან... მარგალიტებს გადმოგვიფენდა. ერთ-ერთ ამ საგანძურს ჩავსვამდით იმ ადგილს, სადაც... რუსიციზმი იჯდა, ფელეტონს სულ სხვა ფერი დაედებოდა, ქართული ნათელ-მირონი ეცხებოდა“.

ჩვენამდის მოაღწია ერთმა დოკუმენტმა; რომელიც, როგორც ა. შანიძე ამბობს, უთუოდ ილიას თაოსნობით არის შედგენილი. ეს არის უწყება სხდომის შესახებ, რომელიც „ივერიის“ რედაქციაში უნდა შემდგარიყო და რომელსაც სადავო გრამატიკული საკითხები უნდა გადაეწყვიტა.

ხალხური ზეპირსიტყვიერება რომ სათავეა სალიტერატურო ენის ლექსიკონის გამდიდრებისა და გაპოხიერებისა, ეს უტყუარი დებულება არასოდეს დავიწყებია ჩვენს დიდებულ პოეტს აკაკი წერეთელს, სწორედ ეს აძლევდა მას საფუძველს ეთქვა: „ძვირად რომელიმე ხალხი გვეგულება, რომ ქართველებისავით მდიდარი ლექსიკონი ჰქონდესო“. შემდეგ დასძენდა: „მეტი გზა არ არის, ზეპირსიტყვიერებას უნდა მივაქციოთ ყურადღება“! აკაკი ხაზგასმით აცხადებდა, რომ ენა ხალხმა

კარგად იცის და არ ვიცით მხოლოდ ჩვენ, რადგან კაბინეტში ვზივართ და ხალხს არ ვიცნობთო. განა ყრმობასა და ჭაბუკობაში შეთვისებული ხალხური ლექსიკით იფარგლებოდა პოეტი, — იგი ხანდაზმულობის უამსაც ხარბად იწერდა ირშვიათ სიტყვებს და იყენებდა თავის ნაწარმოებებში.

„აი, ახლაც სოფლელებს ზღაპარს ვათქმევინებ ხოლმე, — ამბობს აკაკი, — და, უნდა ნახოთ, რამდენს სიტყვებს მისთანას ხმარობენ, რომელიც მე ან დავიწყებული მაქვს და ან არ მცოდნია, მაგრამ ნამდვილი ქართული სიტყვები კი არის... ხალხში ჩამდგარი არა ვართ, მათს სიტყვა-პასუხს ყური ვუგდოთ“...

გავეცნოთ ერთი ტერმინის დადგენის ისტორიას.

დაისვა საკითხი რუსული „ვოდოპადის“ ქართული ეკვივალენტის დადგენის თაობაზე. უაღრესად საინტერესოა აკაკის ძიება ამ მიმართულებით. იგი გულდასმით სწავლობს ხალხში ამ ცნების შინაარსს, უკვირდება კლდიდან გადმომსკდარი წყლის ნაირსახეობებს და აგროვებს შესაბამის დიფერენცირებულ ტერმინოლოგიას. „დიდი კამათობა გამოიწვია იმან, თუ როგორ უნდა ითარგმნოს რუსული სიტყვა „ვოდოპად“? — ამბობს აკაკი, — ზოგმა „წყალვარდნილი“ იხმარა, ზოგმა „ჩანჩქერი“, ზოგმა რა და ზოგმა კიდევ რა! ვერ შეთანხმდნენ და ერთ გადაჭრილს ვერ დაადგნენ... არ იციან, რა დაუძახონ, მაშინ როდესაც სიტყვა „ვოდოპადი“ ქართულად სხვადასხვა წოდებით იხმარება, მათ-„მათი განსაკუთრებითი ხასიათის შესაფერადო“, და გვაწვდის ამ „ამ განსაკუთრებითი ხასიათის“ შესაფერ სახელწოდებებს, შეკრებილს ხალხში. აი ეს სიტყვებიც: „ჩქერი“ ანუ გადამახინჯებულად „ჩაქერი“ ჰქვია მდინარის იმ ადგილს, სადაც ქვები ყრია და გაქანებული წყალი, ქაფად გამსქდარი, თავზე ევლება ლოდებს... რუსები იმას „პაროგს“ ეძახიან, — სიტყვა ჩაქერი“ „ჩქარისაგან“ უნდა იყოს წარმომდგარი. — როდესაც მაღალიდან კლდეზე გადმოჩუხჩუხებს წყალი და კლდის კედლებს კი არ შორდება, იმას ეძახიან ჩანჩქერს“ ანუ „ჩენჩქერს“, — როდესაც მაღლიდან სცემს ცოტად და კლდის კედელს არ ეკარება, იმას „საჩქეფი“ ჰქვია. აგრეთვე როცა მაღლიდან უფსკრულისაკენ ექანება, ჯურღმულში ჩადის და კაცი ზეიდან დაჰყურებს, თუ პატარა წყალია, „ჩახრიალა“ ჰქვია და თუ დიდი წყალი — „ჩაქუხა“. ეს ხალხმა კარგად იცისო“, დასძენს ავტორი.

აკაკი თავს ესხმოდა ისეთ მწერლებს, რომლებიც ხელოვნურად, დედაენის კანონების გაუთვალისწინებლად თხზავდნენ ახალ-ახალ სიტყვებს და არ ეცნობოდნენ ხალხური მეტყველების წიაღში ფესვგადგმულ და დაბუდებულ ლექსიკურ საუნჯეს. ასეთი მწერლები „თავის საკუთარი გამონაგონი სიტყვებით და ფრაზებით ნავარდობენ, სიტყვე-

ბის მნიშვნელობა არ ესმით და აზრს აუკუღმართებენო“, გულისტკივილით ამბობდა იგი.

აკაკი იმასაც მიიჩნევდა, რომ ხალხური მასალების გაუთვალისწინებლობის შედეგად ენა ნაგვიანდება გაუმართლებელი უცხოური სიტყვების შემოტანით და დანერგვით. ამავე დროს, ჩვენი პოეტი ყურადღებას აქცევდა იმ გარემოებას, რომ ისტორიულად სხვადასხვა ენიდან შემოსულ სიტყვებს ოდნავადაც არ შეუბღალავთ ქართული ენის ლექსიკონი, არ შეუცვლიათ მისი სახე, არ გაუდევნიათ ძირეული სიტყვობრივი მასალა. აკაკიმ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა არქაისტებს თეორიული სტატიებით, მან ილიასებური როლი შეასრულა ამ პოლემიკაში მხატვრული მეთოდის გამოყენებითაც.

აკაკის, ისევე როგორც ილიას, აუმხედრდნენ. არქაისტებმა „აკაკიებსა და ბაკაკიებს“ დარბაისლური ქართულის, რუსთაველის ქართულის შერყვნა და გადაგვარება შესწამეს. „მდაბიურ“, „სოფლურ ენაზე“ წერა ქართული ენის „მტერობად“ ჩაუთვალეს. ილიასა და აკაკის შიერ ენის ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით სწორედ არჩეული გეზი ათვალისწუნებისა და სატირული გამოხდომების საგნად იქცა.

ზოგიერთ ჩვენს თანამედროვეს ჰგონია, რომ ეს უბრალო კინკლაობა იყო, მაგრამ ისტორიული ვითარების ობიექტური შეფასება და მოვლენებში ღრმად ჩაწვდომა გვიკარნახებს, თავი შევიკავოთ თაობათა შორის ჩვენი ენის ირგვლივ გაშლილი დაუნდობელი ბრძოლის გაუბრალოებისა და შეუფასებლობისაგან.

აკაკის პირველსავე ლექსს („საიდუმლო ბარათი“), რომელიც გამოქვეყნდა 1860 წლის „ცისკრის“ იანვრის ნომერში, მწვავედ გამოეხმაურნენ „დარბაისლური ენის“ მებაირახტრენი. ახალგაზრდა პოეტს უკიჟინებდნენ „მდაბიო ენაზე“ წერას და ტრადიციული პოეტური მეტყველების უგულებელყოფას. ასე, მაგალითად, ანჩისხატის დეკანოზი, ეფრემი აკაკის სწერდა:

„გილოცავ მოშაირობას და თანვე გთხოვ, მამაშვილობას, ამისთანა ლექსებს მდაბიო ენით ნუ სწერ! დარბაისლური ენა ეჭირვება და შენ კი რაღაც სოფლური ენითა სწერ. და ეს მით უფრო საშიშია, რომ შენი ლექსი ყველას გულში ხვდება, გამოსვლისთანავე სასიმღერო ლექსად გადაიქცა. განსაკუთრებით ქალები იმღერიან, და ვაი, თუ შენ ენას შიეჩვიონ და გადიგდონ გულიდან ძველი დარბაისლური ქართულიო“.

თავადი ირაკლი ლორთქიფანიძეც ენას უწუნებდა ახალგაზრდა მგოსანს და სთხოვდა, ძველი ქართულით ეწერა. აკაკი დასძენს:

„ამ წერილებმა, ცოტა არ იყოს გამაყოყოჩეს. ცხრამეტი წლის ახალგაზრდას სულსა და გულს მიტკბობდა უფრო ის, რომ „ქალები

იმღერიანო“. და მეც გადავწყვიტე, რომ თავი დავუდვა მწერლობას, მაგრამ სახალხო ენით და არა დარბაისლურად ვწერო“.

ცხადია, ღვარჭნილი ქართულის, ენის ხელოვნური კონსტრუქციების უკუგდება ოდნავადაც არ ნიშნავდა კლასიკური ქართული სალიტერატურო ენის საღი ფორმების უგულებელყოფას ახალი ქართული სამწერლობო ენის შენების პროცესში. აკაკი ურჩევდა მწერლებს, რომ ენის გამდიდრებისათვის ძველი წიგნები გადაეკითხათ, რათა იქიდან ამოეკრიფათ შესაფერისი, ქართული ენის ბუნებისა და თვისების მქონე ფორმები, ფრაზეოლოგიზმები და ლექსიკური მასალა. „ძველ წიგნებს აღარ ვკითხულობთო“, — გულისტკივილით ამბობდა პოეტი. მართლაც, აკაკისეულ ენაში იგრძნობა, რომ პოეტი ჩინებულად ფლობს ძველ სალიტერატურო ენას და ზომიერად იყენებს ბრწყინვალე ენობრივ ძეგლებს, რომლებიც დაგვიტოვეს ძველი საქართველოს გამოჩენილმა სიტყვის ოსტატებმა.

მართლაც, ახალი სალიტერატურო ლექსიკონის შემუშავება ხალხური ენის გარდა, ძველი წერილობითი ძეგლების გამოყენებასაც მოითხოვდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ახალი სიტყვების ძიება, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობას იღებდა ჩვენი პოეტი.

ახალი სალიტერატურო ქართულის შედგენილობაში დამკვიდრდა ის ტრადიციული ენობრივი კონსტრუქციები და სიტყვობრივი ელემენტები, რომლებიც სამუდამოდ დაინერგა ენაში კლასიკური მწერლების უკვდავი მხატვრული ქმნილებების გზით.

სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისას, აკაკის აზრით, უნდა ვხელმძღვანელობდეთ ენის საზოგადო პრინციპებითა და კანონებით. ენის ხალხურობა არ ნიშნავს ლიტერატურული მეტყველების სტრუქტურის დაყვანას დიალექტური მეტყველების სტრუქტურამდე, სამწერლებო ენა ხალხური მეტყველების გადამუშავების შედეგია, — იგი ხალხური ენის უმაღლესი ფორმაა, და ეს გადამუშავება თუ სტილისტური დახვეწა გულისხმობს ენის გრამატიკული აღნაგობის ნიშანდობლივი თვისებების გათვალისწინებას, საერთოეროვნული ენის სტრუქტურული თავისებურებების ანალიზს. აქედან გასაგებია, რომ აკაკი უარყოფდა ენობრივი ნატურალიზმის გამოვლენას ახალ ქართულ მწერლობაში და მოითხოვდა ხალხური ენის შერჩეული და დედაენის ბუნების შესაბამისი ფორმების დამკვიდრებას ლიტერატურაში. აკაკი აღნიშნავდა, რომ აუცილებელია, სიტყვის ოსტატები „ენის ხასიათს დაუკვირდნენ, მისი გრამატიკული კანონები შეისწავლონ...“

გარდა მხატვრული მწერლობისა, ქართული ენის განვითარებას ხელი შეუწყო მეცნიერული და პუბლიცისტური ლიტერატურის ფარგლების გაფართოებამ, განსაკუთრებით XIX ს. მეორე ნახევრიდან მოყოლებული. ჯერ კიდევ 70-იანი წლების პრესაში უხვად გვხვდება ციტატები

იმდროინდელი ევროპის მოწინავე მოაზროვნეთა ნაშრომებიდან. ეს თანდათან საფუძველს უყრის პოლიტიკურ-პუბლიცისტური სტილის ჩამოყალიბებას.

აქვე არ უნდა დავივიწყოთ წვლილი ქართული თეატრისა (რომელსაც საფუძველი გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ჩაეყარა, თუმცა არსებობს აზრი, რომ ქართულ თეატრს გაცილებით ხანგრძლივი ისტორია აქვს). ეროვნული დრამატურგიის შექმნა-განვითარებამ, ქართული სასცენო მეტყველების დახვეწამ, უდავოდ, დიდი როლი შეასრულა სასაუბრო ლიტერატურული ენის განვითარებაში.

უაღრესად მნიშვნელოვანი იყო მრავალსაუკუნოვანი ქართული მთარგმნელობითი ტრადიციის აღორძინება. საზოგადოებას საშუალება ეძლეოდა, მშობლიურ ენაზე გასცნობოდა მსოფლიო მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს. საკმარისია თუნდაც შექსპირის ტრაგედიების მაჩაბლისეული თარგმანების დასახელება. არ უნდა დავივიწყოთ, აგრეთვე, ავალიშვილის, მაჭავარიანის, სახოკიას და სხვათა მიერ ქართულად აჟღერებული მსოფლიო მწერლობის არაერთი ქმნილება. ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი ხდებოდა სომხური, აზერბაიჯანული, უკრაინული, რუსული და სხვა მეზობელი ხალხების ლიტერატურული კლასიკა თუ თანამედროვე მწერლობის ნიმუშები.

თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენა არის შედეგი ილიას, აკაკისა და ვაჟას ენის შემდგომი განვითარებისა. არცთუ მცირეა თანამედროვე მწერალთა წვლილი ამ საქმეში.

ბოლო ათწლეულების მანძილზე სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინათა ქართული სკოლების გაჩენამ, ქართველი მეცნიერების აქტიურმა ჩაბმამ ფიზიკის, მედიცინის, ისტორია-არქეოლოგიის, ფილოსოფიის და სხვ. აქტუალური პრობლემების კვლევის საქმეში შედეგად მოიტანა თანამედროვე ქართული სამეცნიერო მეტყველების ჩამოყალიბება.

ამრიგად, ქართულ ენას არასოდეს ჰქონია განვითარებისა და გავრცელების ისეთი ასპარეზი, როგორიც დღეს. წინათ უუფლებო, სკოლასა და სახელმწიფო დაწესებულებებში უაღრესად შევიწროებული ჩვენი ენა დღეს საქართველოს სახელმწიფო ენაა. ამ ენაზეა ამეტყველებული საშუალო თუ უმაღლესი სასწავლებლები, კულტურული დაწესებულებანი, მეცნიერებათა აკადემია და სხვ.

ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლა არის ყველა ჭეშმარიტი შამულიშვილის ზრუნვის საგანი.

დიდ ეროვნულ საქმიანობას ეწევა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია“, რომელიც რესპუბლიკის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებობს (ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე),

კომისიის მიზანია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა უნიფიკაცია და მათი პრაქტიკული დანერგვა. კომისია თავის სხდომებზე ამტკიცებს და კანონის ძალას ანიჭებს იმ ენობრივ ნორმებს, რომლებსაც სარეკომენდაციოდ წარმოადგენს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო. აღნიშნული ინსტიტუტი ამზადებს და აქვეყნებს ისეთ სპეციალურ კრებულებს, როგორიცაა „ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“ და „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, რომელთა რამდენიმე ტომი გამოსულია. სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვა მტკიცე საფუძვლებს ქმნის სწორი და გამართლებული ენობრივი ნორმების დასანერგავად და ფართო მასებში გასავრცელებლად; ქართული საბჭოთა კულტურის განვითარების ისტორიაში უთუოდ მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს 8-ტომიანი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც წარმოადგენს ქართული ენის ფუნდამენტურ ძეგლს და რომელშიც ფართოდ არის ასახული ქართული ენის განვითარების ის ეტაპიც, რომელიც განეკუთვნება რევოლუციის შემდგომ პერიოდს.

გაფართოვდა და გაღრმავდა მთარგმნელობითი მუშაობა. ინტენსიურად ითარგმნება მსოფლიო მწერლობის საუკეთესო ნიმუშები, მოძმე ხალხებისა და რუსული კლასიკური და საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებები.

სალიტერატურო ქართულის სარეზერვო ფონდს წარმოადგენს დიალექტებიდან მომდინარე დახვეწილი მასალა.

ჩვენი ენის ლექსიკა დღეს ძალიან მდიდარია. შეიქმნა ასეულობით ახალი სიტყვა და გამოთქმა, ფრაზეოლოგიური ერთეული, რომლებიც გამოხატავენ ჩვენი ქვეყნის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას. ქართული ენა შეივსო ისეთი სიტყვებით, რომლებიც წარმოიშვნენ სოციალისტური წყობილების შეცვლასთან, წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ჩვენი ენა ამ ხნის განმავლობაში შეივსო სხვა ენების ხარჯზეც. ამან კიდევ უფრო გაამდიდრა, გააძლიერა და სრულყოფილი და მოქნილი გახადა ქართული ენა. ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკა ამ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ივსებოდა როგორც ნეოლოგიზმების შექმნით, ისე უცხოური ენებიდან სესხების გზით, ქართულ ენაში არსებული სიტყვების შინაარსობრივი ცვლილების საშუალებით.

საქართველოში ცენტრალური სამეცნიერო ტერმინოლოგიური კომიტეტის ჩამოყალიბებიდან დღემდე გამოქვეყნებულია ხუთ ათეულზე მეტი ტერმინოლოგიური ლექსიკონი მეცნიერების სხვადასხვა დარგის: მათემატიკისა და ელექტრონიკისა, ლიტერატურისა და ლინგვისტიკისა,

ნორმალური ანატომიისა, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა, ბიბლიოგრაფიისა და პოლიგრაფიული საქმისა, ენტომოლოგიისა გეოლოგიისა და პალეონტოლოგიისა, საავიაციო საქმისა, მედიცინისა, ეკონომიკისა, ნიადაგთმცოდნეობისა, მეტალურგიისა, სტატისტიკისა, ტექნიკისა, სოფლის მეურნეობისა, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და რადიოტექნიკისა, ჰიდროტექნიკისა, იურიდიული და მრავალი სხვა.

ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის გამტკიცებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს მთავრობის 1979 წლის 10 აპრილის დადგენილება რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. ეს გახლავთ ჩვენი ენობრივი პოლიტიკის ღირსშესანიშნავი გამოხატულება, რომელიც ახალ ეტაპს ქმნის ჩვენი მშობლიური ენის როგორც მეცნიერული შესწავლის გაფართოება-გაღრმავების, ისე მისი სიწმინდისათვის ბრძოლის გაშლის, მისი სწავლების ფორმების გარდაქმნა-გაუმჯობესების თვალსაზრისით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1983 წელს განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 10 აპრილის დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შესახებ“, იმსჯელა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისა და შესწავლის სრულყოფის, ქართული სალიტერატურო ენის შემდგომი განვითარების დამატებით ღონისძიებათა შესახებ. განხილვის დროს აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, სამინისტროები, უწყებები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და სასწავლებლები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შემდგომი სრულყოფის, ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისათვის. სულ უფრო ფართოდ ინერგება სწავლების ახალი, ეფექტიანი მეთოდები, გადამუშავდა და დაიხვეწა მეტი წილი სასწავლო პროგრამები, შეიქმნა მთელი რიგი ახალი სახელმძღვანელოები, ნიადაგ იზრდება ქართული ენისა და ლიტერატურის მეცნიერული კვლევა-ძიების მოცულობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებელთა კათედრებზე. გამოდის განმარტებითი, ორთოგრაფიული, რუსულ-ქართული ლექსიკონები, აგრეთვე მთელი რიგი სხვა სპეციალური ლექსიკონები.

ენათმეცნიერების ინსტიტუტში ფართოდ არის გაშლილი მუშაობა ქართული ენის ისტორიის ფუნდამენტური მონოგრაფიის ექვსტომეულის შესაქმნელად. ეს ვრცელი შრომა წარმოგვიდგენს ქართული ენის მეცნიერული შესწავლის მთლიან სურათს და გრამატიკული სტრუქტუ-

რის სრულ აღწერას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოებია შესრულებული. ჩვენი ენათმეცნიერები დიდ ყურადღებას უთმობენ ენობრივი მშენებლობის პრობლემებს, მეტყველების კულტურის ცალკეულ საკითხებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება გამოვიტანოთ საერთო დასკვნა: თანამედროვე ქართული ენა ერთ-ერთი ცივილიზებული ენაა, რომელსაც შესწევს ძალა — სრულად ასახოს და გამოხატოს დღევანდელი მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ-ახალი მიღწევები, თავისი შინაგანი მდიდარი შესაძლებლობებით ღირსეულად აღბეჭდოს მსოფლიოს კულტურული მონაპოვარი.

ქართული დამწერლობა

მსოფლიოში ცნობილია დამწერლობათა შემდეგი სისტემები და ანბანები:

1. ლათინურის საფუძველზე შედგენილი ანბანები: ევროპის ქვეყნების უმრავლესობა, ამერიკისა და ავსტრალიის ქვეყნები, აფრიკის ქვეყნების უმრავლესობა. აზიის ზოგიერთი ქვეყანა: თურქეთი, ინდონეზია, ნაწილობრივ ფილიპინები;

2. სლავურ-კირილურ საფუძველზე შედგენილი ანბანები: სსრკ (გარდა საქართველოსი, სომხეთისა, ლატვიისა, ლიტვისა, ესტონეთისა), ბულგარეთი, იუგოსლავიის მნიშვნელოვანი ნაწილი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა;

3. არაბულის საფუძველზე შედგენილი ანბანები: არაბეთის ქვეყნები (ეგვიპტე, სირია, იორდანია, ლიბანი, ერაყი, მაროკო, ტუნისი და სხვ.), ირანი, ავღანეთი, ჩინეთი და სხვ.;

4. ინდური მარცვლოვანი დამწერლობის საფუძველზე შედგენილი ანბანები: ინდოეთის, ინდო-ჩინეთის დიდი ნაწილი, ცეილონი;

5. ჩინეთის ლოგოგრაფიული დამწერლობა: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (გარდა ტიბეტისა, სინძიანისა და ჩინეთის მონღოლეთისა);

6. იაპონური ლოგოგრაფიულ-მარცვლოვანი დამწერლობა (ისტორიულად მომდინარეობს ჩინურისაგან);

7. კორეული ლიგატურულ-ბგერობრივი დამწერლობა;

8. ეთიოპიური მარცვლოვანი დამწერლობა;

9. ბერძნული;

10. ქართული;

11. სომხური;

12. ებრაული;

13. მონღოლური;

14. სირიული.

როგორც ვხედავთ, ქართულ ანბანს ერთ-ერთი დამოუკიდებელი ადგილი უჭირავს მსოფლიოს დამწერლობათა ცნობილ სისტემებში.

ქართული ანბანის რეალური ისტორია, როგორც ზემოთ ითქვა, იწყება V საუკუნის პირველი ნახევრიდან (ჩვ. წ.) ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ძეგლების მიხედვით. მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი, რომ ჩ ვ ე ნ ა მ დ ე მ ო ღ წ ე უ ლ ი ქართული ალფაბეტი უნდა წარმოშობილიყო წინაქრისტიანულ ხანებში.

გავეცნოთ ჰიპოთეზებს, რომელთა მიხედვითაც ქართველ ტომებს დამწერლობა ჰქონიათ ძალიან ძველ ხანაში.

გარდა იმისა, რომ ქართულ ენაში კითხვისა და ასოს აღმნიშვნელი ტერმინები („კითხვა", „ასო") ძველისძველ ტერმინებად ჩანან, ინტერესს იწვევს წერის აღმნიშვნელი სახელი „წერა". იგი თავდაპირველად ჭრას, კვეთას ნიშნავდა. აქედანაა „წერაქვი", ე. ი. საჭრელი, საკვეთი. „წერა" ხვნის მნიშვნელობით („მიწის ჭრა, კვეთა") მთლიანად საქართველოში და „წერეული" — ყანის ნაკრეფი, შეკონილი, „საწერელი", ე. ი. მჭამელი, თითის ერთგვარი ავადმყოფობა, ნათლად ადასტურებს „წერა" სიტყვის ამ ეტიმოლოგიის სისწორეს (ს. ჯანაშია). იგივე ტერმინები გვიხსნიან წერასთან დაკავშირებული მეორე ტერმინის წარმოშობას. ესაა „წერტილი". რომელიც ნაწარმოებია ზმნისაგან „წერტა". ეს უკანასკნელიც ნიშნავს ჩხვლეტას, ამოკვეთას, ჭრას. მაშასადამე, ორივე ტერმინი იმ ხანისაა, როცა წერა რეალურად იყო პროცესი რაიმე მავარ საგანზე (ქვაზე, თიხის დაფაზე, ლითონზე) ამოჭრის, ამოკვეთისა.

ეს ტერმინები ქართველთა უძველესი წინაპრების დამწერლობაზე უნდა მიუთითებდეს, როცა ლურსმული წერა იყო გავრცელებული.

ანტიკური ხანის ბერძენ-რომაელ ავტორთა თხზულებებში დაცული ცნობები და, მეორე მხრივ, უკანასკნელი ხანის არქეოლოგიური აღმოჩენები საბუთს იძლევიან ვივარაუდოთ, რომ უძველეს ქართველ ტომებს, რომლებიც უდავოდ მაღალ კულტურულ დონეზე იდგნენ, ჰქონდათ დამწერლობა. აკად. შ. ამირანაშვილი თავის წერილში „საქართველოში ნაპოვნი არქაული ხანის დამწერლობის ნიმუშები" (1961 წ) სრულიად კატეგორიულად აღნიშნავს, რომ „ენეოლითური და ბრინჯაოს კულტურის განვითარების მხატვრული დონე უთუოდ ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ ჩვენი ქვეყნის (საქართველოს — შ. ძ.) მოსახლეობას დამწერლობა უნდა ჰქონოდა". პროფ. ბ. კუფტინმა აღმოაჩინა ფიალა სიმბოლური ნიშნებით, რომლებიც პიქტოგრამულ დამწერლობას უკავშირდება და პროტოელამურ ნიშნებს ემსგავსება. ფიქრობენ, რომ ეს ნიშნები ქართველთა უძველესი ტომის — ტაბალების (ტიბარენების, იბერების) მიერ შექმნილი ხატოვანი დამწერლობა იყო (გ. გობეჯიშვილი). პიქტოგრაფიული ხასიათისავე უნდა იყოს 1960 წ

ტ. ჩუბინაშვილის მიერ ჯავახეთში აღმოჩენილ ჭურჭელზე არსებული ნიშნები, რომლებიც თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისით (შ. ამირანაშვილი).

ასეთივე აღმოჩენები საქართველოში სხვაცაა, მაგრამ მათზე აჭ აღარ გავაგრძელებთ სიტყვას.

არის საბუთები, ვიფიქროთ, რომ ძველ კოლხებს დამწერლობა ჰქონდათ.

როგორც ვიცით, ბერძნები კოლხებს მდიდარი კულტურის ტომად მიიჩნევდნენ. მრავალთაგან დავიმოწმოთ მხოლოდ ერთი ცნობა.

აგათია სქოლასტიკოსი ახასიათებს ერთ-ერთ ქართველ ტომს, ლაზებს, და ამბობს: „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ: ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია, არცთუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწა-წყლის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით... ისინი არც ბარბაროსები არიან, არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ რომაელებთან კავშირის წყალობით თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონითი სახე მიუციათ“ (გეორგიკა, III, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა).

ასეთია კოლხ-ლაზების ცხოვრების შეფასება ანტიკური ხანის ავტორის მიერ (დასავლეთ საქართველოს, როგორც ვიცით, ჯერ კოლხეთი ეწოდებოდა, დაახლოებით I საუკუნეებიდან — ლაზიკა).

ბერძნულ წყაროებში მოიპოვება ცნობები კოლხური (ე. ი. ქართული) უძველესი დამწერლობის შესახებ.

კლასიკური ფილოლოგიის დოქტორს, პროფ. ა. ურუშაძეს თავის ძალზე საყურადღებო წიგნში არგონავტების შესახებ თავმოყრილი აქვს ანტიკური ლიტერატურის ის მასალები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს ძველ კოლხთა დამწერლობის შესახებ.

კოლხური დამწერლობის თაობაზე ბერძნულ წყაროებში ორი სახის ცნობა მოიპოვება. ერთია ელინისტური ხანის ანონიმი ავტორისა და ახ. წ. II საუკუნის ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის ხარაქს პერგამონელის ცნობები. მეორე სახისაა უფრო ადრინდელი ცნობა კვირბებზე („კვირბები“ — უმთავრესად მაგარ საგანზე შესრულებული წარწერები).


ამ ძველ წყაროებში ნათქვამია: „ხარაქსი ამბობს, რომ ოქროს საწმისი იყო ეტრატებზე აღნუსხული ხერხი ოქროს დამწერლობისა, რომ-

ლის გამოც, ამბობენ, როგორც ღირსსარწმუნოა, „არგოს“ ლაშქრობა მოეწყო“; კოლხეთში დაცული (ტყავი) ნამდვილად ოქროს საწმისი კი არ იყო (ეს პოეტური მონაჭორია), არამედ ტყავებზე ნაწერი წიგნი, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით“. ახ. წ. VII ს. ისტორიკოსი, „მსოფლიო ქრონიკის“ ავტორი იოანე ანტიოქელი ამბობს: „იასონმა და მისმა მხლებლებმა, პონტოს ზღვის კოლხეთს მიღწეულებმა, მოიპოვეს მედეა და ე. წ. ოქროს საწმისი. ეს ის კი არ იყო, როგორც პოეტურად გადმოგვცემენ, არამედ წიგნი, ტყავებზე ნაწერი წიგნი, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით“. ეგეთე ცნობაა X ს-ის ლექსიკონში სიტყვის — „საწმისის“ ქვეშ: „ოქროს ბეწვიანი საწმისი, რომელიც იასონმა და არგონავტებმა მოიპოვეს, როდესაც პონტოს ზღვით კოლხეთში მივიდნენ... ეს იყო ტყავებზე დაწერილი წიგნი...“

სხვა ცნობებს აქ არ დავიმოწმებთ.

უაღრესად საინტერესოა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ (IV საუკ.) მოწოდებული ცნობები. ყურადღებას იპყრობს გადმოცემა კვირბებზე. „იგი პირველი ცნობაა ძველ ქართულ ტომებში (კოლხებში) არსებული დამწერლობის შესახებ“ (ურუშაძე). არგოსი კოლხეთიდან ელადისაკენ მიმავალ არგონავტებს მოუთხრობს აიას (კოლხიდის) დაარსების ამბავს და დასძენს, რომ კოლხებს „შენახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კვირბები, რომლებზედაც მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“. ამრიგად, კოლხებს ჰქონიათ ძველისძველი წერილობითი ძეგლები („მამათაგან ნაწერი“) სამანძილო კვირბების სახით. ამგვარ კვირბებს კოლხები პრაქტიკული მიზნით იყენებდნენ — ზედ აღნიშნავდნენ წყლისა და ხმელეთის გზებისა და საზღვრების მდებარეობას. ცნობილი გეოგრაფი რიტერი ამბობს: „კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონება სრულიადაც არ ეკუთვნით ბერძნებს. მას ბევრად უფრო ადრე ხმარობდნენ კოლხეთის ვაჭრები“.

ქართული ანბანი, რომელიც ამჟამად იხმარება, „მხედრული ანბანის“ სახელითაა ცნობილი. თანამედროვე ქართული ასოების დაწერილობა უკვე XI საუკუნეში ჩაისახა. XI საუკუნემდე კი ჩვენი ქართული ასოები სხვაგვარი მოყვანილობისა იყო. მხედრული დამწერლობა მისგან არის განვითარებული. ამ წინა საფეხურის ასოთა დაწერილობას ნუსხა-ხუცურის სახელით ვიცნობთ. ნუსხა-ხუცური, თავის მხრივ, განვითარებაა, გაგრძელებაა წინა საფეხურისა, ე. წ. მრგვლოვანი ასოებისა. მრგვლოვანისაგან ნუსხა-ხუცური (ანუ მოკლედ: ნუსხური) უკვე მეცხრე საუკუნეში განსხვავდა.



ამრიგად, ქართულ ანბანს განვითარების სამი საფეხური გაუვლია: პირველი საფეხურია მრგლოვანი, რომელსაც ვიცნობთ მეხუთე საუკუნის ძეგლებიდან მოყოლებული, ვიდრე მეცხრე საუკუნემდის. ესაა ძველი საფეხური. მეორე საფეხურია ნუსხური, რომელსაც ვიცნობთ მეცხრე საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე მეთერთმეტე საუკუნემდის, ესაა საშუალო საფეხური. მესამე საფეხურია მხედრული, რომელსაც ვიცნობთ მეთერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე დღევანდლამდის. ესაა ახალი საფეხური.

ზემოთ ვთქვით, რომ ქართული ანბანის განვითარების სამი სახეობა გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მრგვლოვანი დამწერლობა შემდეგ საუკუნეებშიც არ გვხვდებოდეს, ასევე — ნუსხურიც. არა, ქართულში შრიფტის სახეობები ერთმანეთის პარალელურად იხმარებოდა მეცხრე საუკუნის შემდეგაც, ოღონდ განსაზღვრული იყო მათი გამოყენების არე; მრგლოვანს სულ ბოლო დრომდის ხმარობდნენ წარწერებისათვის (ქვებზე, კედლებზე) და სათაურებისათვის წიგნებში. ნუსხური უმთავრესად გამოყენებული იყო საეკლესიო წიგნების ძირითადი ტექსტებისათვის, ე. ი. მრგლოვანი და ნუსხური ბოლომდის შერჩა ეკლესიას, ამიტომ დაარქვეს მათ „ხუცური“. ტერმინი „მხედრული“ იმაზე მიუთითებდა, რომ ეს შრიფტი სამოქალაქო საჭიროებისათვის იყო გამოყენებული.

მრგლოვანი, ნუსხური და მხედრული ერთი შეხედვით სხვადასხვა ანბანად მოგვეჩვენება, მაგრამ, როგორც მეცნიერულმა დაკვირვებებმა გამოარკვია, მეორე პირველის განვითარებაა, მესამე — მეორისა. ეს გარემოება ცხადყო ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც გაითვალისწინა ამ სახეობების გარდამავალი საფეხურები და ქართული შრიფტის ერთიანობა დაასაბუთა. იყო სხვა მოსაზრებაც: მხედრული დამოუკიდებელი დაწერილობაა, რომელსაც ფესვები ღრმა წარსულში აქვსო. ეს მოსაზრება გამოთქვა ნ. მარმა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართული პალეოგრაფია ძირფესვიანად არ იყო შესწავლილი. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწერა ივ. ჯავახიშვილის ფუძემდებლური წიგნი „ქართული პალეოგრაფია“ (1926). აქ კი ნაჩვენებია, თუ რა ევოლუცია განიცადა ქართულმა ასოებმა მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული დღემდის.

ვიდრე გადავიდოდეთ საკითხზე, თუ როგორია გენეზისი ქართული ანბანისა, უნდა ვიკითხოთ: რა ხნოვანებისაა ის ქართული დამწერლობა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ; ქართული ანბანი ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნის წარმონაქმნია, თუ შორეულ წარსულში აქვს ფესვები?

როგორც ცნობილია, მეხუთე საუკუნეზე ადრინდელი ქართული წერილობითი ძეგლები დღესდღეობით არ მოგვეპოვება: უტყუარი

წერილობითი ძეგლები მხოლოდ ამ საუკუნიდან გვაქვს. ამრიგად, რეალური ისტორია ქართული მწიგნობრობისა აქედან იწყება.

როგორც ითქვა, უკანასკნელ დრომდის ჩვენამდე მოღწეულია პირველი ქართული წარწერა (ბოლნისის ტაძარზე შესრულებული; ბოლნისი თბილისიდან 60 კილომეტრითაა დაშორებული) განეკუთვნება 493-494 წლებს. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ეს წარწერა იმდენად გამოკვეთილია და ჩამოყალიბებული, რომ შეუძლებელია იგი მივიჩნიოთ პირველ ქართულ ნაწერ ძეგლადო; უთუოდ მრგლოვან დამწერლობას განვითარების გრძელი გზა უნდა გაევლოო. ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლეოდა ნაწერის სრულყოფილობა პალეოგრაფიული თვალსაზრისით. ივ. ჯავახიშვილი წერდა, რომ ქართული დამწერლობის განვითარების შესწავლა გვიხდება იმ დროის მასალებით, როდესაც მას უკვე განვითარების რამდენიმე, სულ ცოტა, ორი დიდი საფეხური მაინც ჰქონდაო განვლილი. ეს იყო 1926 წელს.

ამის შემდეგ აღმოსავლეთის ქვეყნებში (პალესტინა, სირია, ეგვიპტე) აღმოჩენილ იქნა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, რომლებიც მეტყველებდნენ ჩვენი წინაპრების კულტურულ-შემოქმედებითს მუშაობაზე ადრინდელ საუკუნეებში. ეს ძეგლებია — ცამეტი ეკლესია და მონასტერი. ეგვიპტის უდაბნოში აღმოჩნდა V საუკუნეში პეტრე იბერის მიერ აგებული ეკლესია. იტალიელმა მეცნიერმა კორბომ პალესტინაში აღმოაჩინა მონასტერი ქართული წარწერებით, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის თვალსაზრისით.

თუ ამ აღმოჩენამდე უძველეს ქართულ წარწერად ითვლებოდა ბოლნისის წარწერა 493-94 წლისა, ამიერიდან მეცნიერებას შეემატა უძველესი ქართული წარწერა, რომელიც ნახევარი საუკუნით უსწრებს ბოლნისის წარწერას. პალესტინის წარწერები მეცნიერულად გამოკვლია აკადემიკოსმა გ. წერეთელმა და ცხადყო, რომ ვარაუდი ქართული დამწერლობის არსებობისა V საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრინდელ ეპოქაში ამჟამად ბევრად უფრო დამაჯერებელია.

„პალესტინის უდაბნოს ქართული წარწერების სახით ჩვენ მივადექით იმ მიჯნას, რომლის იქით, ზოგიერთი ჰიპოთეზის მიხედვით, ქართული დამწერლობის არსებობა არ ივარაუდებოდა. ამ ეპოქის შესანიშნავი ეპიგრაფიკული ძეგლების აღმოჩენის შემდეგ, ისიც საქართველოდან ესოდენ დაშორებულ ქვეყანაში, როგორც პალესტინაა..., ეს ჰიპოთეზა საბოლოოდ უკუგდებული უნდა იქნეს. V საუკუნეზე ადრე ქართული დამწერლობის არსებობა... ამჟამად უფრო შესაძლებელი და რეალური ჩანს“ (გ. წერეთელი).

ამრიგად, აღნიშნავენ, რომ, მართალია, ქართული ანბანი რეალურად V საუკუნის დასაწყისიდან არსებობს, მაგრამ იგი გაცილებით

ΑΠΟΦΑΣΗ ΤΟΥ ΔΙΟΙΚΗΤΙΚΟΥ ΣΥΜΒΟΥΛΙΟΥ ΤΗΣ ΕΤΑΙΡΕΙΑΣ ΜΕ ΤΗΝ ΟΠΟΙΑ ΕΓΚΡΙΝΕΤΑΙ Η ΠΡΟΤΑΣΗ ΤΟΥ ΔΙΟΙΚΗΤΙΚΟΥ ΣΥΜΒΟΥΛΙΟΥ ΓΙΑ ΑΥΞΗΣΗ ΤΟΥ ΜΕΤΟΧΙΚΟΥ ΚΕΦΑΛΑΙΟΥ ΤΗΣ ΕΤΑΙΡΕΙΑΣ ΜΕ ΚΕΦΑΛΑΙΟΠΟΙΗΣΗ ΑΠΟΘΕΜΑΤΙΚΩΝ ΚΕΡΔΩΝ

უფრო ძველი წარმონაქმნია, მისი წარმოშობა წარმართობის ხანის სიღრმეში უნდა ვივარაუდოთ. რა ვუყოთ, რომ ძველი ძეგლები არ შენახულა!

როგორ დგას მეცნიერებაში საკითხი დღევანდლამდის მოღწეული ქართული ანბანის (ასომთავრულის) წარმოშობის შესახებ?

ძველ საქართველოში ეს საკითხი წამოჭრა გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა ლეონტი მროველმა (XI საუკუნე). ქართული მწიგნობრობა მან ქართველთა მეფის ფარნავაზის შემოღებულად მიიჩნია (IV—III საუკუნე ძვ. წ.).

ლეონტი მროველი ამბობს:

„...ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობაჲ ქართული“ („ქართლის ცხოვრება“)“.

არსებობს ძველი სომხური ვერსიაც ქართული ანბანის წარმოშობის თაობაზე. ვითომ ქართული დამწერლობა შექმნა V საუკუნის სომეხმა მოღვაწემ მესროპ-მაშტოცმა. ეს აზრი მიეწერება V საუკუნის სომეხ ისტორიკოსს კორიუნს, რომელმაც აღწერა მესროპ-მაშტოცის ცხოვრება. თითქოს მესროპ-მაშტოცმა შეუქმნა ანბანი სომხებს, ქართველებს და ალბანელებს (ალბანელები — კავკასიის მკვიდრი ხალხი იყო, რომელიც შემდეგ აირია სხვა კავკასიელ ტომებში და გაქრა).

მაგრამ საქმე ისაა, რომ ისტორიკოს კორიუნის თხზულების V საუკუნისეული (ე. ი. თავდაპირველი) ტექსტი არ შენახულა, არსებობს მხოლოდ მომდევნო საუკუნეებში გადაწერილ-გადაკეთებული რედაქციები. ივ. ჯავახიშვილმა დაწვრილებით და მთელი სიღრმით შეისწავლა ეს საკითხი და დაასკვნა: კორიუნის, როგორც V საუკუნის ავტორის თხზულების თავდაპირველ რედაქციაში (რომელიც არ შენახულა) არ იქნებოდა საუბარი იმის თაობაზე, რომ მესროპ-მაშტოცმა ქართველებსაც (და ალბანელებსაც) შეუქმნა ანბანიო. საიდან ჩანს ეს? V საუკუნისავე სომეხი ისტორიკოსის ლაზარე პარფელის თხზულებაში, სადაც დეტალურად არის გადმოცემული კორიუნის ისტორიული თხზულების შინაარსი, არ არის ნათქვამი, რომ ქართველებს დამწერლობა მესროპ-მაშტოცმა შეუქმნა. არის კიდევ სხვა საამისო საბუთებიც, რაზედაც აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ. ხოლო მომდევნო საუკუნეების სომხურ საისტორიო თხზულებებში რომ წესად იყო წინა საუკუნეების ნაწარმოებებში ცვლილებების, დანართების თუ ახალი გააზრების შეტანა, ეს ხომ ცნობილიაო, ამბობს ივ. ჯავახიშვილი, და მოჰყავს ამის მაგალითები. ეს ჩართვა კორიუნის თხზულებაში მომდევნო საუკუნეში უნდა მომხდარიყო, ასკვნის იგი (ამ აზრს იზიარებს ს. ჯანაშიაც).

სომხურ საისტორიო მწერლობაში ახალი საუკუნეების განწყობილებებისა და ტენდენციების მიხედვით ძველი ტექსტების გააზრების ტრადიციას ადასტურებდა ისეთი გამოჩენილი სომეხი ისტორიკოსიც, როგორიც იყო პროფესორი ადონცი.

ივ. ჯავახიშვილი ამ საგანზე ვრცლად მსჯელობს წიგნებში: „ქართული პალეოგრაფია“ (1926) და „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“ (1935).

სომხური ცნობა რომ გვიანდელია, უფრო და უფრო ნათელი ხდება ახალი მეცნიერული გამოკვლევებით. 1968 წელს ქართველმა არმენისტმა ზაზა ალექსიძემ ვამოსცა „ეპისტოლეთა წიგნი“ (სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით). აქ კიდევ უფრო გაღრმავებულია ჩვენთვის საინტერესო პრობლემა და მიღებულია დასკვნა, რომ მესროპთან დაკავშირებული ვერსია სომხურ საისტორიო მწერლობაში ცნობილი არ ყოფილა VIII საუკუნის დასაწყისში. ერთი უმნიშვნელოვანესი სომხური საისტორიო თხზულება იმასაც გვაფიქრებინებს, რომ ეს აზრი პოპულარული არ ყოფილა X საუკუნეშიაც.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ აკადემიკოსი ნ. მარი მაშტოცს სომხური ანბანის გამომგონებლადაც არ თვლიდა. ნ. მარის ვარაუდით, მესროპ-მაშტოცის დამსახურება ისაა, რომ მან მხოლოდ სრულყოფილი გახადა სირიული წარმოშობის ძველი სომხური დამწერლობა და ბერძნული ნორმების მიხედვით გააწყო.

აქვე დავძენთ, რომ კორიუნის თხზულებაში სომხური ანბანის გამოგონების მოთხრობა დანიელ ასურის ანბანის დახასიათებით იწყება. თურმე დანიელ ასურ ეპისკოპოსს სომხური ანბანი შეუდგენია. მაშტოცს არ მოსწონებია ეს ანბანი. შემდეგ იგი ჭ. სამოსატში გამგზავრებულა; იქ ერთ მშვენიერ დღეს ღვთაებრივი ხელით გამოსახული სომხური ასოები მოსჩვენებია და ეს ნიშნები სასწრაფოდ ჩაუნიშნავს. შემდეგ ერთი ბერძენი მწიგნობრის დახმარებით ანბანის მოხაზულობა დაუხვეწავს და გაუმართავს.

ზოგიერთი მეცნიერი მაშტოცს თვლის არა ასოთა გამომგონებლად, არამედ წინათ არსებული ანბანის მხოლოდ რეფორმატორად[1].

როცა ორ ანბანს ერთმანეთს ვუდარებთ, ძირითად ორ კითხვაზე უნდა იქნეს გაცემული პასუხი: 1. როგორია საანალიზო ასოების მოხაზულობა და 2. რა თანამიმდევრობითაა დალაგებული ეს ასოები.

---

[1] „სომხურის ვერსიას“ პირუთვნელი მეცნიერები, მათ შორის არმენისტები, დღეს გაუგებრობის ნაყოფად მიიჩნევენ (მაგალითისათვის მიეუთითებ ა. კარახანიანის ნაშრომზე: «Переднеазиатский сборник», II, მოსკოვი, 1966).

ცნობილია, რომ ანბანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რომელ ასოს რომელი მოსდევს, ე. ი. განსხვავდებიან ასოთა დალაგების მიხედვით. გამოსარკვევია, აგრეთვე, ასოების რიცხობრივი მნიშვნელობის საკითხი; სანამ ციფრებს შემოიღებდნენ, რიცხვები ასოების საშუალებით გამოიხატებოდა.

ი. ჯავახიშვილის მიერ ჩატარებული შედარებითი ანალიზის შედეგად სავსებით ეჭვმიუტანელი ხდება, რომ 1. ქართულ-სომხური ასოების მოხაზულობა სხვადასხვაა, 2. ასოთა თანმიმდევრობა სხვადასხვა პრინციპებზეა აგებული, 3. ასოების რიცხვობრივი გამოხატულებაც სხვადასხვა წესს ემორჩილება.

ამრიგად, სომხური ვერსია უსუსურია და მოკლებულია დამაჯერებლობას, მით უმეტეს, რომ როგორც გამორკვეულია, ცნობა ქართულის არმცოდნე პირის მიერ ერთბაშად სამი ანბანის შექმნისა (და ისიც „ღვთაებრივი ძალით“) მესროპის თავგადასავლის აღმწერის (კორიონის) ხელიდან გამოსულ ტექსტში არ ყოფილა, შემდეგ საუკუნეებში ჩაუმატებიათ, როგორც ეს სჩვეოდათ ხელნაწერთა ძველ გადამწერლებს.

ზოგი მეცნიერი ქართულ ანბანს გენეზისურად უკავშირებს ბერძნულ ანბანს. ამ აზრს იცავდა ბერძნული პალეოგრაფიის მკვლევარი, პროფესორი გარდტჰაუზენი, რომელმაც ეს თეორია წამოაყენა ჯერ კიდევ 1876 წელს (იგივე შეხედულება გაიმეორა მან 1913 წელს თავის კაპიტალურ წიგნში „ბერძნული პალეოგრაფია“; 1921 წელს მესამედ შეეხო ამ საკითხს).

აზრი ბერძნული ანბანისაგან ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ არ გაიზიარა მარკვარტმა. 1917 წელს მან გერმანიაში გამოაქვეყნა სპეციალური ნაშრომი, სადაც გაკრიტიკებულია გარდტჰაუზენის დებულებები. ასეთივე აზრისაა მეორე გერმანელი მეცნიერი იუნკერი (1925 წელი).

ქართული დამწერლობის წარმომავლობის იდეას ბერძნული დამწერლობისაგან იცავდა ჩვენი ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. იგი ამბობდა: „თუ ჩვენ ჩვენის ანბანის თუ ალფაბეტის ასოების რიგს მივაქცევთ ყურადღებასა, შევნიშნავთ, რომ იგია ბერძნულის ალფაბეტის ასოების რიგი. გარდა ამისა, ზოგი ქართული ასოები თავის ფორმებით მიემსგავსება ბერძნულის ასოების ფორმებსა“ (1889). ისტორიკოსის აზრით, ქართული ანბანი შეიქმნა ბერძნული კულტურის გავლენით ჯერ კიდევ შავი ზღვისპირეთის ბერძნული კოლონიების არსებობის ხანაში, ე. ი. ბევრად უფრო ადრე ფარნავაზამდე. ავტორი განაგრძობს: „ჩვენი ალფაბეტი... ჩემი... მოაზრებით, დაარსებულია ბერძნული კულტურის გავლენის იმ დროს, როდესაც ბერძნული კოლონიები დამყარებულან ჩვენ მეზობლად შავი ზღვის ნაპირზე“. ამასვე აღნიშნავდა დავით კარიჭაშვილიც: „გადამწყვეტი იმ საკითხისა, თუ

რომელის ანბანისაგან წარმოსდგა ქართული, ბერძნულისაგან თუ არამეულისაგან, იმდენად მსგავსება არ არის, რამდენადაც სხვა მოსაზრებანი. საქმე ის არის, რომ არამეულისა და ბერძნულს ანბანში ასოები ერთნაირ რიგზე არიან დალაგებულნი, მაგრამ მნიშვნელობა კი ყველას ერთნაირი არა აქვთ. ეს იმით აიხსნება, რომ ბერძნებმა ებრაული–ფინიკიურის ანბანის გადმოღების დროს ზოგიერთს ასოს მიათვისეს სხვა ხმა. მაგალითად, მე-8 ასო, არამეულში რომ გამოხატავდა ხმას **ხ**, ბერძნებმა მიიღეს ასანიშნავად ხმისა **ჱ**, მე-11 ასო, რომელიც არამეულში გამოხატავდა ხმას **ჭ**, ბერძნებმა მიიღეს ასანიშნავად **კ**, აგრეთვე, მე-15 ასო არამეულში აღნიშნავდა ხმას **ს**, ბერძნულში კი მას მიათვისეს ხმა **ჭს**. მე-17 ასო არამეულში გამოხატავდა ხმას **ფ** ან **ჶ**, ბერძნულში კი ხმას **პ**, მე-18 ასო არამეულში გამოხატავდა ხმას **ყ**, ხოლო ბერძნულში, ისევ ხმას **კ**, რისთვისაც ბოლოს დროს აღარ იხმარებოდა და დარჩა ანბანში მხოლოდ რიცხვის გამოსახატავად, მე-20 ასო არამეულში გამოხატავდა ხმას **შ**, ხოლო ბერძნულში ხმას **ს**. ქართულის ასოების რიგი ანბანში მისდევს ბერძნულის ასოების რიგს ასე, როგორც ისინი დალაგებულნი არიან რიცხვების აღსანიშნავად. იმ შემთხვევაში, როდესაც ბერძნული ასო გამოხატავს ქართულში არ არსებულს ხმას, ქართულს ანბანში მოთავსებული აქვს სხვა რომელიმე წმინდა ქართული ხმა. ასეა მაშინაც, როდესაც რომელიმე ბერძნული ასო იმეორებს წინათ აღნიშნულ ხმას. **უ** ბერძნულს ანბანში არა აქვს თავის გამომხატველი განსაკუთრებული ასო. იგი გამოიხატებოდა ორის ასოთი. აგრეთვე იყო ძველს ქართულს ასომთავრულს ანბანშიც — **ოჳ**. რიცხვითი მნიშვნელობა ქართულის ასოებისა ისეთივეა, როგორც ბერძნულში. იმ ქართულის ხმების აღსანიშნავად, რომელთა მსგავსები ბერძნულში არ მოიპოვებიან, ასოები საგანგებოდ არიან შედგენილნი ბერძნულის ასოებითგან და მოქცეულნი ბოლოში. ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ ქართული ანბანი წარმოებულია ბერძნულისაგან. არამეულის ანბანითგან რომ ყოფილიყო წარმოებული, უეჭველია, ქართული ხმები იმ რიგით იქნებოდნენ აღნიშნული, როგორც არამეულშია...“ (1954 წ.).

ასეთია დ. კარიჭაშვილის მიერ ჩამოყალიბებული ფონეტიკური პრინციპი.

„ბერძნული“ თეორიის მომხრეა კ. კეკელიძეც. ა. შანიძის აზრით, ქართული ანბანის რიგი „მისდევს ძველ ბერძნულს“ (იგულისხმება არქაული და არა კლასიკური ბერძნული!).

პ. ინგოროყვას შეხედულებით, „ქართული ანბანი გამომუშავებულია მცირე აზიაში, არქაული ბერძნულის ალფაბეტის საფუძველზე, VIII—VII საუკუნეთა მიჯნაზე, 700-იანი წლების ახლოს ჩვენს დრომ-

დე“ (1939); ქართული მწერლობის დიდი სიძველის მაჩვენებელია უწინარეს ყოვლისა თვით ქართული ანბანი, რომელიც თავისი ტიპით წარმოადგენს ფინიკიურ-ბერძნული ოჯახის ალფაბეტების ადრინდელ სახეობას; ქართული ანბანი არის განშტოება ბერძნულისა, მაგრამ არა კლასიკური ბერძნულისა, არამედ არქაული ბერძნულისა; რომ ქართული ანბანი მომდინარეობს ბერძნული ალფაბეტისაგან, ამას ცხადყოფს ქართული და არქაული ბერძნულის შედარებითი პალეოგრაფიული ანალიზი (ქართულ ანბანში შერჩენილია არქაული ბერძნულიდან მოხაზულობის თავისებურებანი), შერჩენილია აგრეთვე ასოთა რიგი, შერჩენილია გარკვეულ ადგილებში ის ასოები, რომლებიც გვიან ხანაში გამოაკლდა ბერძნულ ალფაბეტებს. ამას გარდა, ქართულ ალფაბეტში თავდაპირველად მიღებული ყოფილა არქაული ბერძნულისათვის დამახასიათებელი „ბუსტროფედონური“ წერა. აღნიშნულის მიხედვით, ქართული ანბანის წარმოშობა არ შეიძლება მიეკუთვნოს უფრო გვიან დროს, ვიდრე VII საუკუნეს ძველი წელთაღრიცხვისა... ფარნავაზის დროს, ჩანს, ჩატარდა რეფორმა ქართული ანბანისა, დართვა ანბანის ბოლოში ცალკე საგანგებო ნიშნებისა სპეციფიკური ქართული ბგერებისათვის, რაც არქაულ პერიოდში, ჩანს, ნიშანთა შეერთებული დაწვრილობით გადმოიცემოდა (1970).

„ბერძნულ“ თეორიასთან დაკავშირებით უნდა გავეცნოთ ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმულ შეხედულებებს:

„მეცნიერთა მთელი რიგი, მათ შორის ბერძნული პალეოგრაფიის კარგი მცოდნე პროფ. გარდტჰაუზენიც, ფიქრობდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ქართული ანბანი ბერძნული ანბანისაგან არის წარმომდგარი. ამ აზრის სიმართლისათვის შესაძლებელია ის გარემოებაც იყოს გამოყენებული, რომ ქართული ანბანის წესრიგი თავიდან ოცდამეექვსე ასომდე, ორი გამონაკლისის გარდა, გასაოცრად უდგება ბერძნულისას“. ქართული ანბანის ასოთა რიგი თავიდან მოყოლებული ჯ და უ-მდის, ორი გამონაკლისის გარდა (ჲ, ჳ — შ. ძ.); 23 ასოთათვის იგივეა, რაც ბერძნულ ანბანშია და მხოლოდ ამის შემდგომ ქართული ენის ბგეროვანი შედგენილობისათვის დამახასიათებელი ზედმეტი ასოებიც მისდევენ. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ქართული ანბანის რიგი უძველეს ბერძნულის რიგს მისდევს“.

ამასთანავე, დიდი მეცნიერი საყურადღებო ეჭვს გამოთქვამს: ქართული ანბანის რიგი უძველესი ბერძნულისას მისდევს, მაგრამ გადასალახავია მთელი რიგი დაბრკოლებები: ზოგიერთი ასო (კ, ფ, ქ) არქაულ ბერძნულში არ არის, ამასთანავე, მხოლოდ ფონეტიკურ პრინციპზე დაყრდნობით ძნელი ასახსნელია ჲ და ჳ, ასევე ასახსნელია ქართული ანბანის გრაფიკული სისტემა, ქართული ასოების (ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ, ჰ) ფონეტიკურ-გრაფიკული სახეობა და მისთ. ერთი

სიტყვით, ამ თვალსაზრისით, ფონეტიკური პრინციპი გადაულახავ დაბრკოლებებს აწყდება.

ქართულ მეცნიერებაში, ადრე გამოითქვა დებულება, რომ ქართული ანბანი არ არის წარმომდგარი ბერძნული ანბანისაგან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავსო, თითქოს მათ შორის არ იყოს გარკვეული მსგავსება, წარმომდგარი საბერძნეთთან საქართველოს კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შედეგად ქ რ ი ს ტ ი ა ნ უ ლ ხ ა ნ ა შ ი.

ამ გარემოებას ხაზს უსვამდა აკადემიკოსი გ. წერეთელი თავის სპეციალურ ნაშრომში, რომელიც გამოქვეყნდა მოსკოვში 1951 წელს.

ჯერ-ერთი, ზოგიერთი მსგავსება ქართულსა და ბერძნულ ანბანში იმითაც შეიძლება აიხსნებოდეს, რომ ორივეს საერთო წყარო აქვს.

უდავოა, რომ საქართველოს ქრისტიანიზაციის დროს საბერძნეთმა ძლიერი გავლენა მოახდინა საქართველოზე. ეს გავლენა თავს იჩენს ანბანის სტრუქტურაზედაც. სავარაუდებელია, რომ ქრისტიანიზაციასთან დაკავშირებით ჩვენში ჩატარდა წერის ერთგვარი რეფორმა ბერძნული დამწერლობის გავლენით. ადვილი შესაძლებელია, რომ სომხურ ცნობაში მესროპის მოღვაწეობის შესახებ აღბეჭდილია შორეული გამოძახილი თუ ანარეკლი ამ რეფორმისა (გ. წერეთელი).

რა აქვს საერთო ბერძნულ-ქართულ ანბანებს? რა გავლენა შეიძლებოდა მოეხდინა ბერძნულ წერას ქართულზე?

1. როგორც ზემოთ ითქვა, ბერძნულმა შეცვალა სემიტურ ანბანში მიღებული მიმართულება: ბერძნები ხომ მარცხნიდან მარჯვნივ წერდნენ. ასეთივეა ქართულიც. აქ უეჭველი გავლენაა; 2. თანხვდენილობაა ასოთა რიგში; 3. ორივე ანბანს საერთო აქვს წერის დუქტუსი, სტილი, საერთო მანერა; 4. ბერძნულის გავლენით უნდა იყოს შემოღებული ხმოვნები წერაში (მანამდის ხომ მხოლოდ თანხმოვნები იწერებოდა). გ. წერეთელი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ არა მარტო ხმოვანთა სისტემაა წერაში შემოღებული ბერძნულის მიხედვით, არამედ ბერძნულის მსგავსია ზოგიერთი ხმოვნის მოხაზულობაც ჩვენს ანბანში.

აკად. თ. გამყრელიძე ფინიკიური, ბერძნული და ქართული ასომთავრულის ასოთა რიგის ერთმანეთთან შედარების საფუძველზე ასკვნის, რომ ქართული ანბანი მისდევს ბერძნულს და წარმოგვიდგენს იმ ცვლილებებს, რაც ბერძნულში მოხდა ფინიკიური ანბანის რიგთან შედარებით. აქედან ვღებულობთ ვარაუდს: ქართული ანბანი ბერძნულის საფუძველზეა წარმოქმნილი თუ გარდაქმნილი.

არსებობდა შეხედულება, რომლის მიხედვითაც ქართულ დამწერლობას საფუძვლად უდევს ავესტური ანბანი (ავესტური სახეობაა ირანული დამწერლობისა (ფ. იუნკერი); სპარსულ-არამეულთან დაკავშირების ცდა ეკუთვნის ე. ტეილორს.

ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ჯერხანად ცნობილი ქართული დამწერლობის ძეგლები ისეთი მაღალხარისხოვანი კალიგრაფიული განვითარების საფეხურს წარმოადგენენ, რომ ქართული ანბანის დასაწყისი ხანა სულ ცოტა 7—8 საუკუნის უწინარეს არის საგულისხმებელი". ქართული ანბანის წარმოშობას ადრე წარმართულ ხანას უკავშირებდნენ თ. ბავრატიონი, აკად. ბროსე, ი. ოქრომჭედლიშვილი.

სად უნდა ვეძიოთ, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართული ანბანის ფესვები? მცირე აზიაში! დეტალური ანალიზის გზით მეცნიერი მივიდა იმ დასკვნამდის, რომ ქართული ანბანი გენეზისურად უკავშირდება ფინიკიურ-სემიტური ანბანის სისტემას.

ფინიკიურ-სემიტური ანბანი ისტორიულ წარსულში სხვა კულტურულ ერთა დამწერლობის მისაბაძ მაგალითად იქცა და საფუძვლად დაედო მათი ანბანის განვითარებას.

სემიტური ანბანი ორი მიმართულებით გავრცელდა: აღმოსავლეთში და დასავლეთში. აღმოსავლეთში ის, უპირველესად, თვით სემიტური მოდგმის ერთა შორის განმტკიცდა: მოაბელთა, ფინიკიელთა, ებრაელთა, არამეელთა და არაბებს შორის. თვით არამეელთა[1] დამწერლობა მეზობელ და შორეულ ხალხთა შორის ფართოდ გავრცელდა ისე, რომ მისგან არა ერთი ახალი დამწერლობა გაჩნდა. ყველაზე ადვილი იყო მისი შეთვისება სპარსელებისათვის, რომელთაც ლურსმული დამწერლობის მივიწყების შემდეგ ე. წ. ფაჰლაური დამწერლობა შექმნეს. აი, ამ წრეს უკავშირდება ქართული ანბანის წარმოშობა.

დასავლეთში სემიტური ანბანი ყველაზე ადრე ბერძნებმა შეითვისეს.

ქართული ანბანის ფინიკიურ-არამეულისაგან მომდინარეობის იდეა კატეგორიულად წამოაყენა ნ. მარმა (ქართული ლიტერატურის ისტორიის საუნივერსიტეტო კურსი, წაკითხული პეტერბურგის უნივერსიტეტში 1905 წლიდან მოყოლებული. იხ. აგრეთვე 1928 წ. დაწერილი „ქართული ენა", რომელიც 1929 წ. დაიბეჭდა გერმანულად, ხოლო 1929 წ. რუსულად).

ამრიგად, საზღვარგარეთელი მეცნიერები ერთი მხრივ, და ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, მეორე მხრივ, ამტკიცებდნენ, რომ ქართული ანბანი წარმომდგარია სემიტური წარმოშობის აღმოსავლური დამწერლობისაგან (კერძოდ, ფინიკიურ-არამეულისაგან).

ივ. ჯავახიშვილი მეცნიერული სიფრთხილისათვის თავის შეხედულებას ჰიპოთეზად ნათლავდა; ერთ-ერთ დაბრკოლებად მიიჩნევდა

---

[1] არამეული ენა, ენა ერთ-ერთი სემიტური ტომისა, გავრცელებული იყო წინა აზიაში. უძველესი ძეგლები არამეული ენისა განეკუთვნება VIII საუკუნეს (ძვ. წ.).

ქრონოლოგიურ და ტერიტორიულ დაშორებას შესადარებელ ერთეულებს შორის (ე. ი. სემიტურ სამყაროსა და საქართველოს შორის).

ეს დაბრკოლება შემდეგ მოიხსნა.

1940 წელს იმავე ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები საქართველოს უძველეს დედაქალაქში (მცხეთა-არმაზში), სადაც აღმოჩნდა მსოფლიო მნიშვნელობის წარწერიანი ქვა. წარწერა ორენოვანია: ბერძნული და არამეული. გ. წერეთელმა ამოიკითხა ეს წარწერა და დაადგინა არამეული ანბანის სახეობა, რომელსაც „არმაზული დამწერლობა“ უწოდა.

რა მნიშვნელობა აქვს „არმაზული დამწერლობის“ ტიპის აღმოჩენას ქართული ანბანის ისტორიისათვის?

საქმე ისაა, რომ საქართველოს ძველ სატახტო ქალაქში — მცხეთაში — აღმოჩენილი ეს დამწერლობა განსხვავებულია ყველა ანბანისაგან, რომლებსაც კი დღემდის ვიცნობდით. ეს გარემოება გვიკარნახებს, ვივარაუდოთ რაღაც კავშირი ქართულ ანბანსა და ამ ახლადაღმოჩენილ ანბანს შორის. ეს ანბანი რომ აღმოჩენილიყო სადმე სამხრეთ არაბეთში ან აბისინიაში, მაშინ ქართულ ანბანთან ზოგიერთი პარალელი შეიძლებოდა გაგვეგო, როგორც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღმოცენებული ნიშნების შემთხვევითი მსგავსება.

გ. წერეთელმა თავის ფართოდ გახმაურებულ წიგნში „არმაზის ბილინგვა“ მიიღო დიდად მნიშვნელოვანი დასკვნა: არმაზულ ანბანსა და ქართულ ანბანს უთუოდ აქვთ საერთო, ცალკეულ ასოთა მოხაზულობა ერთმანეთის მსგავსია, ასოების დამატებითი ელემენტებითა და საერთოდ, ცალკეულ ასოთა მოხაზულობა ერთმანეთის მსგავსია, ასოების დამატებითი ელემენტებითა და საერთო სტილით ამ ორი ტიპის ანბანი ერთმანეთს უახლოვდება.

ძალიან საყურადღებოა შემდეგი გარემოება. ზოგიერთი ქართული ასო ამჟღავნებს უფრო მეტ სიძველეს, არქაულობას, ვიდრე შესაბამისი არმაზული ასო. მეტიც: ეს ქართული არქაული ნიშნები პროტოტიპია არმაზული ნიშნებისა. აქედან დასკვნა: ქართული ანბანი არ შეიძლება მივიჩნიოთ არმაზული დამწერლობის შემდგომ საფეხურად თუ განვითარებად; იგი მონათესავეა არმაზულისა; ორივე ერთად (ქართულიც და არმაზულიც) მომდინარეობს საერთო წყაროდან — არამეულისაგან.

როგორც ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, მეცნიერები ქართული დამწერლობის დასაბამად მიიჩნევენ არა V საუკუნეს (რა დროიდანაც შემონახულია ქართული წერილობითი ძეგლები), არამედ წინაქრისტიანულ ხანას, წარმართულ ეპოქას. „სამუდამოდ უკუგდებული უნდა იყოს აზრი ქართული ანბანის V ს-ში გამოგონების შესახებ ახალი წელთაღრიცხვით და უნდა განმტკიცდეს აზრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი

შორეულ წარსულში და მცირე აზიაში და არა საბერძნეთში უნდა ვეძიოთ" — ამბობს ივ. ჯავახიშვილი თავის კაპიტალურ მონოგრაფიაში „ქართული დამწერლობათა ისტორია ანუ პალეოგრაფია" (1926).

ეს კარდინალური მნიშვნელობის ვარაუდი ქართულ მეცნიერებაში შემაკრებულია კულტურულ-ისტორიული ხასიათის არგუმენტაციით.

თავს ნებას მივცემთ, დავიმოწმოთ ციტატა ჩვენი წიგნიდან, სადაც მოცემულია ცდა, შეჯამებულად წარმოვადგინოთ არსებული არგუმენტაცია აღძრულ პრობლემასთან დაკავშირებით.

„ქართველოლოგიურ მეცნიერებაში სავსებით კატეგორიულად გამოთქმულია ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ ქართული მწიგნობრობა წარმოიშვა არა V—VI საუკუნეებში, არამედ მისი ფესვები უფრო შორეულ წარსულში უნდა ვივარაუდოთ. მართალია, რეალური ისტორია ქართული ჰწერლობის — ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ძეგლების მიხედვით — იმ ეპოქიდან იწყება, მაგრამ, სავარაუდოა, უძველესი წინაქრისტიანული მწიგნობრული დოკუმენტები სხვადასხვა ფაქტორის წყალობით დაიკარგა და გაუჩინარდა.

რას ეყრდნობა ეს შეხედულება?

უმთავრესად, ორ, კარდინალური მნიშვნელობის გარემოებას: ჯერ ერთი, V—VI საუკ. ქართული დამწერლობა (ანბანი) ისე ჩამოყალიბებული და ჩამოყალიბებული, რომ შეუძლებელია ის ერთბაშად ამ სახით მიგვეღო: მას გრძელი გზა უნდა გაევლო (აკად. ი. ჯავახიშვილი). ამ აზრს ახალ საბუთიანობას ჰმატებს არმაზში აღმოჩენილი ორენოვანი წარწერის გამოკვლევის შედეგები (აკად. გ. წერეთელი), ხოლო ამ ბოლო ხანებში პალესტინის უძველესი წარწერების შესწავლამ (აკად. გ. წერეთელი) კიდევ უფრო დამაჯერებელი გახადა ქართული ანბანის არსებობა V საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრინდელ ეპოქაში (აღსანიშნავია, რომ ამაზე მიუთითებს წარწერის ორთოგრაფიული და ენობრივი ნორმებიც, რომლებიც ტექსტში უკვე დადგენილი და ჩამოყალიბებული ჩანს).

ამრიგად, არსებობს პალეოგრაფიული კრიტერიუმი.

მეორე მხრივ, მიუთითებენ, რომ ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული მხატვრული ქმნილება იმდენად სრულყოფილია, რომ შეუძლებელია მას არ უსწრებდეს მდიდარი ლიტერატურული ტრადიცია. არსებითად ეს არის სტილური ნიშნების, მხატვრული ენის აგებულების საფუძველზე აღმოცენებული შეხედულება".

იმ შედეგებს, რომლებიც მიღებულია ჩვენს ნაშრომში, გარკვეული **მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ზემოხსენებული პრობლემისათვის.**

სახელდობრ, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება:

ენათმეცნიერებაში დაქვემდებარებული წინადადების კონსტრუქცია დიდი ხანია, მიჩნეულია ენის განვითარების მაღალი საფეხურების შეს-

ბამის სინტაქსურ კონსტრუქციად. იგი მანიშნებელია ლოგიკური აზროვნების განვითარების მაღალი დონისა. ჰიპოტაქსის, ანუ რთული დამოკიდებული წინადადების აღნაგობა ნიშანდობლივია სალიტერატურო ენისათვის. პარატაქსი უფრო ხალხურ მეტყველებას, დიალექტებს ახასიათებს, ჰიპოტაქსი კი სამწერლობო ენას კუთვნილებაა, — ჰიპოტაქსი — კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების რთული სახეობებით. მართალია, როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, რთული დამოკიდებული წინადადება, ემბრიონის სახით ე. წ. „პრიმიტიული ენებისათვისაც“ არ წარმოადგენს იშვიათობას, მაგრამ ამ კონსტრუქციის ჩამოყალიბება და სინტაქსურ ნორმად ქცევა განვითარებულ სამწერლობო ენაში ხდება, როგორც განვითარებული აზროვნების კუთვნილება. ლიტერატურაში მკაფიოდაა გამოთქმული მოსაზრება, რომ ჰიპოტაქსი ნიშანდობლივია და განსაკუთრებით მტკიცე და მიუცილებელი სამეცნიერო და, ზოგადად, საქმიანი, თუ შეიძლება ითქვას, „მსჯელობითი ლიტერატურისათვის“. რთული წინადადების ჰიპოტაქსური ფორმა სრულყოფილად წარმოგვიდგენს სინთეზურ მსჯელობას; ჰიპოტაქსში აღბეჭდილია რთული სინთეზი, პარატაქსული ფორმა კი უფრო ანალიზურ მსჯელობას გადმოგვცემს: პირველი უფრო წინადადებათა აბსტრაქტული ურთიერთობის გამომხატველია, მეორე — წინადადებათა კონკრეტული ურთიერთობისა. სწორედ მწერლობამ შეუწყო ხელი თანწყობის (პარატაქსის) კონსტრუქციიდან რთული ქვეწყობილი წინადადების გამოყოფას და მტკიცე ნორმად ჩამოყალიბებას. ასეთია საგნის სპეციალისტების აზრთა მსვლელობა.

თუ ეს დებულება სწორია, — და მე ვფიქრობ, ეს თვალსაზრისი გარკვეული შეზღუდვით უთუოდ გასაზიარებელია, — მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ უცილობელი დებულების საფუძველზე სათანადო პოზიტიური დასკვნები შეიძლება გაკეთდეს ქართული სალიტერატურო ენის მიმართაც. სახელდობრ: ჩვენი ნაშრომის („კავშირები ქართულ ენაში“) აღწერითი ნაწილის მთავარი პათოსია იმის ნათელყოფა, რომ სალიტერატურო ქართულის უძველეს საფეხურზე (იგულისხმება V—VI და მომდევნო საუკუნეების ენა) სავსებით ჩამოყალიბებულ-ჩამონაკვთულია წინადადების რთული დაქვემდებარების სისტემა კავშირთა მრავალნაირი სახეობებით, და, რომ ეს რთული კონსტრუქცია გაფორმებულია წინადადების ყველაზე მკაფიო გრამატიკული საშუალებებით — კავშირებით (საკუთრივ კავშირებით, მიმართებითი ნაცვალსახელებითა და მიმართებითი ზმნიზედებით, კერძოდ, განსაზღვრებითი წინადადებით, რომელიც ყველაზე ტიპობრივი „მწიგნობრული“ კონსტრუქციაა). სხვანაირად რომ ვთქვათ, უძველესი პერიოდის სალიტერატურო ქართულში ჰიპოტაქსი სინტაქსური ნორმაა. ეს

ფაქტია. აქედან დასკვნა: V—VI საუკ. სალიტერატურო ქართული, მდიდარი რთული წინადადებების კონსტრუქციებითა და კავშირების მრავალფეროვანი სისტემებით, არ შეიძლებოდა „ციდან ჩამოვარდნილიყო“, იგი შედეგია სამწერლობო ენის ტრადიციისა.

ამრიგად, როდესაც ვმსჯელობთ ქართული მწერლობის ხნოვანებაზე, შეუძლებელია არ მოვიმარჯვოთ ეს გრამატიკული კრიტერიუმი, რომელიც მხარში ამოუდგება ზემოხსენებულ პალეოგრაფიულ და სტილისტურ კონცეფციებს, დამადასტურებელს სალიტერატურო ქართულის ღრმა ისტორიული ფესვებისა.

სალიტერატურო ენის სტრუქტურული ნიშნების შემდგომი ჩაღრმავებული ანალიზი, ვფიქრობთ, კიდევ უფრო განამტკიცებს წამოყენებულ დებულებას და მიღებული შედეგები საპატიო ადგილს დაიჭერს ქართული მწიგნობრობის დასაბამის კვლევაში. ჯერჯერობით კი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებზე დაკვირვება და კავშირების დიფერენცირებული სისტემის მონაცემები სრული ეჭვმიუტანლობით ადასტურებენ მეცნიერებაში წამოყენებულ ვარაუდს ქართული ლიტერატურული ტრადიციების შორეული წარსულის თაობაზე“ („კავშირები ქართულში“, 1969).

ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიტანეთ, რომ ხაზი გაგვესვა სალიტერატურო ენის სტრუქტურული ნიშნების დიდ მნიშვნელობაზე ჩვენთვის საინტერესო პრობლემის კვლევისას.

ივ. ჯავახიშვილი თავის დროზე სრულიად კატეგორიულად ამბობდა: „ქართული ანბანის წარმოშობილობის საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება მარტო ბერძნულ და ქართულ ანბანთა წესრიგის შედარებით, აქ უმთავრესი მნიშვნელობა, რასაკვირველია, თვით ასოთა მოყვანილობა-მოხაზულობის მსგავსებასა და იგივეობასა აქვს“.

ქართული ასოების ასოთა მოყვანილობა-მოხაზულობის, ქართული ანბანის გრაფიკული წარმომავლობის კვლევა განსაკუთრებით ბოლო ხანებში გაცხოველდა, თუმცა ამ მიმართულებით ძიებას ადრე ჩაეყარა საფუძველი (უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია ივ. ჯავახიშვილის ღვაწლი).

ქართული დამწერლობის პრობლემისათვის, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს ანბანის გრაფიკული საწყისების ღრმად გამოკვლევას. ეს პრობლემა უკავშირდება ძველი ქართული დამწერლობის — ასომთავრულის შექმნის პერიოდს და ასომოხაზულობათა თავდაპირველ გრაფიკულ ფორმებს. რაკი ახ. წ. V საუკუნეზე ადრინდელი დამწერლობის ნიმუში არ მოგვეპოვება, ამიტომ ძალაში რჩება ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული აზრი: „სანამ ქართული დამწერლობის უფრო ძველი და უძველესი ძეგლები მიწის გულიდან ამოღებული არ არიან, მეცნიერს

მსჯელობის დროს მეტისმეტი სიფრთხილე და განსაკუთრებული სამეცნიერო ღონეობით თავისი თავის მძიმე შეცდომებისაგან შეძლებისამებრ უზრუნველყოფა მართებს".

ქართული ანბანის სამივე სახე გრაფიკული განვითარების მხრივ ერთი მთლიანი, შეკრული ციკლია, სადაც „დამწერლობის ერთი სახეობიდან მეორეზე გადასვლა ხდებოდა თანდათანობით, დამწერლობის თითოეულ სახეს თავისი დამახასიათებელი მხატვრული სტილი აქვს, მაგრამ თუ თვალს გავადევნებთ ცალკეულ ასოთა გრაფიკული განვითარების გზას, თვალნათლივ დავინახავთ თანამედროვე მხედრულის კავშირს ძველ ასომთავრულთან, რამდენადაც ამ საერთო განვითარებაში ქართული ასომთავრულის გრაფიკულმა ფორმებმა განსაზღვრა ნუსხურისა და შემდგომ მხედრული დამწერლობის ჩამოყალიბება, ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლების კვლევაც ძველი ქართული დამწერლობის — ასომთავრულის გრაფიკულ ანალიზს უკავშირდება" (ელ. მაჭავარიანი).

ქართული დამწერლობის გრაფიკული სისტემის კვლევის დარგში უნდა მოვიხსენიოთ გ. სევაკის ნაშრომი. გამოჩენილი სომეხი მეცნიერი (არმენისტი და ქართველოლოგი), მართალია, არ იძლევა გრაფიკული სისტემების შედარებით ანალიზს (1962), მაგრამ დაასკვნის, რომ სტილისა და ფორმის მიხედვით ქართული, სომხური და ალბანური ასოები ერთმანეთის მსგავსია და უთუოდ მათი შემქმნელი ერთი და იგივე პიროვნებაა!


დასანანია, რომ, გაუგებრობაზე აღმოცენებული და შეუმოწმებელი „სომხური თვალსაზრისი" გაზიარებულია ზოგიერთი რუსი და უცხოელი ავტორის მიერ.

ცალკეული ასოების მოხაზულობათა წარმოშობის თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს რ. პატარიძის ძიებები: ავტორი იძლევა ქართულ-ბერძნული დამწერლობის გრაფიკულ შეპირისპირებას და იმ აზრს იცავს, რომ ორივე ანბანი ფინიკიური ანბანის გრაფიკული ნაირსახეობაა, ამასთანავე, ზოგიერთ ასო-ნიშანს იდეოგრაფიული მნიშვნელობა ენიჭება.

რ. პატარიძე წერს:

„ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ ქართული ასომთავრული თავისთავადი და თავისებური მონუმენტური სახეობის დამწერლობაა და იგი განხილული უნდა იქნეს დამწერლობის მონუმენტური პრინციპებისა თუ მონუმენტური გრაფიკის თვალსაზრისის საფუძველზე.

...კვლევამ ცხადყო, რომ ქართული ასომთავრული დამწერლობა თავისთავადი მონუმენტური დამწერლობაა, მსგავსად ბერძნული კაპიტალური დამწერლობისა და საბეური მონუმენტური დამწერლობისა.



...დამწერლობის ქართული მონუმენტური სახეობა თანდათანობითი ევოლუციის შედეგად კი არ არის ჩამოყალიბებული, არამედ იგი შექმნილია ერთ დროს და ერთდროულად. ამასთანავე, ქართული მონუმენტური დამწერლობის შექმნისას გათვალისწინებულია, ზოგადად, მონუმენტური დამწერლობის ბერძნული გრაფიკის პრინციპები.

...ბერძნული დამწერლობის მონუმენტური გრაფიკა შეცნობილი იქნა ძვ. წ. V საუკუნეში, ხოლო საბოლოოდ იგი ძვ. წ. IV საუკუნეში დაიხვეწა. შესაბამისად, ქართული ასომთავრული ანბანი ვერ შეიქმნებოდა უადრეს ძვ. წ. V—IV საუკუნეებისა" („ქართული ასომთავრული", 1980).

რ. პატარიძის დასკვნით, ქართული დამწერლობა (ქართული ასომთავრული) შექმნილია არა უადრეს 403 წლისა (ძვ. წ.), როცა საბოლოოდ ყალიბდება კლასიკური ბერძნული დამწერლობა, და არა უგვიანეს 284 წლისა (ძვ. წ.), როცა ქართული ასომთავრული უკვე შემოღებულია, როგორც სახელმწიფო დამწერლობა.

ბერძნულ გრაფიკასთან ურთიერთობაშია განხილული ქართული ანბანი გერმანელი ქართველოლოგის ვ. ბოედერის ნაშრომშიც.

თ. ჩხენკელის ნაშრომში „ასომთავრულის გრაფიკული სტრუქტურა" მოცემულია ქართული ასომთავრულის გრაფიკული სისტემის,

როგორც გეომეტრიული სტრუქტურის დახასიათება (კვადრატის პრინციპზე დაყრდნობით).

მოვუსმინოთ ავტორს:

„ჩვენი თვალსაზრისით, ასომთავრული ანბანის გრაფიკულ სისტემაში უცილობელ ფაქტად უნდა ვაღიაროთ არა მარტო ის, რომ ასოები კვადრატშია გამოყვანილი, არამედ ისიც, რომ ასოთა ელემენტებიც კვადრატის მეოთხედშია ჩახაზული. მეოთხედი კვადრატი ასო-ნიშნების შემადგენელი ნაწილების გეომეტრიული „სახლი“ ანუ „ამოსავალი პრინციპია“. ჩვენთვის ნათელია, რომ ბერძნულ-ლათინური და ქართული ანბანის ესთეტიკური იერის მკვეთრი სხვაობის მიუხედავად, ასომთავრულის შემოქმედს სწორედ ბერძნულ-ლათინური ანბანების გრაფიკულ-გეომეტრიული ანალიზის საფუძველზე აქვს შემუშავებული არა მარტო ასოთა მბრუნავი სიმეტრიის მეთოდი, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ასო-ნიშნების მეოთხედ-კვადრატული ელემენტების დონეზე, არამედ ამ ელემენტებსა და ასოთა კორპუსებს შორის არსებული გრაფიკული კოორდინაციის ორიგინალური სისტემაც.

ანბანს, რომელიც ასეთი მყარი გეომეტრიული პრინციპების საფუძველზეა აგებული, რა თქმა უნდა, „განვითარება“ აღარ დასჭირდებოდა, იგი „შექმნილი“ უნდა ყოფილიყო. და მართლაც, ასომთავრულის გრაფიკული სისტემა ერთიანი ესთეტიკურ-გეომეტრიული ხედვით არის აღბეჭდილი, რაც აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ იგი ერთპიროვნული შემოქმედებითი აქტის ნაყოფია“.

ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლების ძიებას ეძღვნება ელ. მაჭავარიანის მონოგრაფია (1982), სადაც გრაფიკული, მხატვრული და პოლიგრაფიული თვალსაზრისით ნაჩვენებია ასომთავრულის თვითმყოფადი სახე, ხოლო კომპოზიციური აგების საერთო პრინციპებითა და საწყისებით ეს სტრუქტურა ძველ ქართულ არქიტექტურულ ძეგლებთან არის დაკავშირებული. ძველი ქართული ანბანის — ასომთავრულის გრაფიკული შესწავლის საფუძველზე მიღებულია დასკვნა, რომ ასოთა მოხაზულობებში მოქმედი ელემენტები წრიხა და სწორისაგან არის ნაწარმოები, და რომ ამ ელემენტებს შორის გარკვეული პროპორციული დამოკიდებულება არსებობს, ავტორის კონცეფციით, ქართული ასომთავრულის სტრუქტურის ამოსავალია მარტივი კვადრატი, ეს მარტივი კვადრატული გეგმა დაედო საფუძვლად კლასიკური ფორმების მქონე, მკაცრი გეომეტრიული კანონების საფუძველზე შექმნილ ასომთავრულის გრაფიკის მონუმენტურ შენობას. გავლებულია პარალელი იმ დარბაზული ტიპის შენობებთან, რომელთაც ოთხკუთხა წყობის გვირგვინოვანი გადახურვა აქვთ. „ქართული ასომთავრულის გრაფიკული სტრუქტურა მხატვრული გადაწყვეტით... ეროვნულ ფორმა-

თა განვითარების საერთო ხაზს მიეკუთვნება... ეს საერთო ხაზია გეგმის მოხაზულობისა და გადახურვის კონსტრუქციული გადაწყვეტით: განვითარების დასაბამი გლეხური საცხოვრებელი სახლია, ხოლო განვითარების მწვერვალი — მცხეთის ჯვარი. ამ საერთო ევოლუციაში ქართული ასომთავრულის გრაფიკული სტრუქტურა თავისი აგების მარტივი ფორმებით ადრეული ხანის ხალხური არქიტექტურის უმარტივეს ფორმებთან — კვადრატულ გეგმაზე დამყარებულ დარბაზული ტიპის შენობებთან ამყღავნებს კავშირს, პროპორციული გადაწყვეტით კი იმ დარბაზულ შენობათა ტიპს უკავშირდება, რომელიც მესხეთში განვითარებული ოთხკუთხოვანი კუთხური წყობის გადახურვის სისტემითაა ცნობილი“, ავტორი ასკვნის, რომ ჩვენს ხელთ არსებულ V საუკუნის ძეგლებს, რომლებიც უკვე განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე დგანან, ვერ მივიჩნევთ დამწერლობის თავდაპირველ ნიმუშებად, მათ წინ უძღვით განვითარების გარკვეული პერიოდი, საიდანაც ეს პროცესი დაიწყო; ქართული ანბანი საქართველოში ქრისტიანობის მიღებამდე არსებობდა; ასომთავრულის გრაფიკული სტრუქტურის შეძენის საწყისებიც, არქიტექტურულ ძეგლებთან მსგავსების გამო, ქრისტიანობამდელ ხანაში უნდა ვეძიოთ; ქართული ანბანის დათარიღების საკითხთან დაკავშირებით ავტორი გვეუბნება, რომ მის მიერ მიღებული შედეგები არ ეწინააღმდეგება საისტორიო წყაროებში ასახულ ლეონტი მროველის ცნობას ფარნავაზის მიერ ძვ. წ. III საუკუნეში ქართული დამწერლობის შემოღების შესახებ.

საქართველოს მიწა მრავალ საიდუმლოებას ინახავს, და უნდა ვიმედოვნებდეთ, აღმოჩნდება უძველესი ეპიგრაფიკული წარწერები, რაც ფარდას ახდის ქართული დამწერლობის საწყისების ამსახველ ვითარებას და თვალს გავადევნებთ ჩვენი სულიერი კულტურის საუკუნეთა სიღრმეში შემუშავებულ უნიკალურ ნიმუშებს.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მიკვლეულია ქვა-ჯვარი, რომელიც სოფელ დავათის ღვთისმშობლის ეკლესიაშია დაცული და რომელზედაც სრულად არის გამოსახული ქართული ასომთავრული ანბანი. წინასწარი შონაცემებით, გ. აბრამიშვილმა და ზ. ალექსიძემ ქვა-ჯვრის გამოკვეთის ზედა მიჯნად მიიჩნიეს VI საუკუნე, რ. რამიშვილმა ძეგლის შექმნის საორიენტაციო დროდ V საუკუნე განსაზღვრა, რ. პატარიძემ ძეგლი დაათარიღა IV საუკუნის 60-იანი წლებით, გ. ნარსიძის გამოკვლევით — ქვა-ჯვარი შექმნილია ახ. წ. 362-381 წლებში. არსებობს სხვა მინიშნებებიც. ეს საკითხი ღრმა დამუშავებას მოითხოვს.

დასასრულ, ვიკითხოთ: თუ მივიღებთ დებულებას, რომ ქართული ასომთავრული საქართველოს ქრისტიანიზაციის შემდგომი პერიოდის ნაყოფია, რა ახსნა უნდა მოეძებნოს XI საუკუნის ქართველი ისტორი-

კოსის ლეონტი მროველის კატეგორიულად გამოთქმულ აზრს, რომ ქართული დამწერლობა წარმართულ ხანაში, ფარნავაზ მეფის დროს შეიქმნა? რატომ გაუჩინარდა უძველესი წერილობითი ძეგლები? მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი, რომ წარმართობის დროინდელი წერილობითი ნიმუშები ქრისტიანული იდეოლოგიის მსხვერპლია.

ამასთან დაკავშირებით გავეცნოთ გერონტი ქიქოძის მოსაზრებებს:

„ძნელი დასაჯერებელია ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში რამდენჯერმე გამოთქმული აზრი, თითქოს იბერიელებს განვითარებული წარმართული მწერლობა ჰქონოდეთ და ქრისტიანობას სრულიად გაენადგურებინოს იგი. არსად დედამიწის ზურგზე ეს ქრისტიანობას არ ჩაუდენია. თუ ქრისტიანობას თავისი ისტორიული მისია წარმართული ხელოვნების და მწერლობის ძეგლების სრული განადგურებით დაეწყო, იგი ვიწრო ებრაულ სექტად დარჩებოდა და ვერასოდეს მსოფლიო რელიგიად ვერ გადაიქცეოდა. ქრისტიანობამ ძველი წარმართული კულტურა კი არ მოსპო, არამედ გადალახა, ე. ი. ამ კულტურიდან უკუაგდო, რაც თავისთვის მიუღებლად მიაჩნდა, და აითვისა, რაც მისთვის აუცილებლად საჭირო იყო. მან თავისი საკულტო მიზნებისათვის გამოიყენა რომაული ბაზილიკა, მოზაიკა და ფერწერა, ნაწილობრივ თვით წარმართული ჰიმნოგრაფია. ქრისტიანულმა აზროვნებამ ბევრი რამ აითვისა პლატონის, არისტოტელეს, ნეოპლატონიკოსებისა, სტოიკოსების ფილოსოფიიდან. მას არ გაუნადგურებია თვით წარმართული ბერძნული და რომაული მხატვრული ლიტერატურის ძეგლები. პირიქით. ამ ძეგლების დიდი ნაწილი თანამედროვე კაცობრიობას ქრისტიანულმა მონასტრებმა შეუნარჩუნეს. ბოლოს, ქრისტიანულმა საზოგადოებამ შეინარჩუნა ანტიკური სასწავლებელი, რომელიც მხოლოდ შემდეგ დაემხო, როდესაც დასავლეთ რომის იმპერიის ნანგრევებზე ბარბაროსები დასახლდნენ. რაც შეეხება ქრისტიანულ აღმოსავლეთს, აქ ანტიკური სკოლის ტრადიციებმა ბევრად უფრო დიდხანს გასძლო.

არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ახლად მოქცეული ქართველი ქრისტიანები უფრო შეურიგებლად ყოფილიყვნენ განწყობილი წარმართული კულტურის ძეგლებისა და მწერლობისადმი, ვიდრე ჟვროპელი და წინააზიელი ქრისტიანი ერები იყვნენ. პირიქით, ცნობილია, რომ არც წინაფეოდალური ეპოქის და არც საშუალო საუკუნეების ქართველ ქრისტიანებს სხვა რჯულის მიმდევრებისათვის არასოდეს ისეთი კოცონები არ დაუნთიათ, როგორსაც მათთვის დროგამოშვებით ბიზანტიელები და ევროპელი კათოლიკები ანთებდნენ...

თუ ქართული წარმართული ლიტერატურის ძეგლები არ დაგვრჩა, საფიქრებელია, ეს იმით კი არ აიხსნება, რომ ისინი ქრისტიანობამ მოსპო, არამედ იმით, რომ ისინი საზოგადოდ არ არსებულან. ძნელი წარმოსადგენია, რომ მებრძოლ ქრისტიანულ ეკლესიას ყველა წარმართუ-

ლი შინაარსის პაპირუსი და პერგამენტი გაენადგურებინოს. მით უმეტეს წარმოუდგენელია, რომ ის აკლდამებში შეჰრილიყოს და იქ ყველა წარმართული დროის წარწერა მოესპოს, ხოლო ბერძნული, არამეული, ებრაული წარწერები ხელუხლებლად დაეტოვებინოს.

ქრისტიანობის შემწეობით მოხდა ქართველი ერის თვითგამორკვევა. ქრისტიანობამ, როგორც უფრო დემოკრატიულმა რელიგიამ, წარმოშვა მოთხოვნილება ხალხური ენის გამოყენებისა მღვდელთმსახურებისა და ქადაგებისათვის, და გვგონია, რომ ქართული მწერლობის წარმოშობის თარიღი ქართლის მოქცევის დღიდან უნდა ვეძებოთ. ჩვენ არ უნდა გაგვაკვირვოს იმ გარემოებამ, რომ უკვე ერთი საუკუნის შემდეგ დამწერლობის შემოღებიდან ქართულ ენაზე ისეთი მაღალხარისხოვანი ნაწარმოები შეიქმნა, როგორიც შუშანიკის ცხოვრებაა, სწორედ იმიტომ, რომ იაკობ ხუცესის წინამორბედნი „ზენდავესტის“ ტექსტებსა და პლატონის დიალოგებს, ალბათ, დედანში კითხულობდნენ“.

ისიც არის სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული, რომ ქართული დამწერლობის შემოღების შესახებ ცნობა (მროველისა) ალბათ გულისხმობს სახელმწიფოს საჭიროებისათვის საკანცელარიო მიზნებით ბერძნულის ან არამეულის გამოყენებას. სხვაგვარად ძნელად აიხსნებოდა ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნია ადრეული ხანის ბერძნული, არამეული და ა. შ. ძეგლები, ქართული კი — არა. სხვათა შორის, არმაზის ბილინგვა მოგვითხრობს იბერიის სამეფო კარის ამბავს ბერძნულად და „არამეულად“, მაგრამ არა ქართულად. იმ დროისათვის ქართულ დამწერლობას თუ ვივარაუდებთ, ამ ფაქტს ახსნა დასჭირდებოდა“ (ზ. სარჯველაძე).

როგორადაც არ უნდა გადაწყდეს ასომთავრულის პრობლემა, უაღრესად მნიშვნელოვანია თ. გამყრელიძის ახლად წამოყენებული ვარაუდი, რომ წინაქრისტიანულ ქართულ სახელმწიფოში არსებობდა „მწიგნობრობა“, თუნდაც მხოლოდ „ალოგოგრაფიის“ სახით. გასათვალისწინებელია შესაძლებლობა ლიტერატურული ტრადიციის არსებობისა ზეპირსიტყვიერების სახითაც (დაწვრილებით: „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა“, 1989).

მოვისაუბროთ ამ საკითხებზე: 1. როგორ დაერქვა ასოებს ასეთი თუ ისეთი სახელები, და 2. რა საფუძველზეა დაყრდნობილი ასოთა ასეთი თუ ისეთი თანმიმდევრობა ანბანში.

როგორც ცნობილია, ანბანური დამწერლობა გამომუშავდა ხატოვანი დამწერლობისაგან: ხატოვანი წერის დროს თითოეული სიტყვისათვის ცალკეული ნახაზი იყო. როცა ხატოვანი დამწერლობა განვითარდა, როგორც ვიცით, ასეთი წესი გამომუშავდა: დახატული იყო

საგნები და წარმოითქმებოდა ამ საგანთა მხოლოდ დასაწყისი ბგერა. გავიხსენოთ: ვთქვათ, ეხატა ხარი და ენა, წაიკითხავდნენ „ხე“, ამ საგნების სახელთა დასაწყისი ბგერების მიხედვით (მოგვყავს ქართული მაგალითი).

ამ წესის, ე. ი. აკროფონის საფუძველზეა, მიღებული ბერძნულში ა-ს სახელი „ალფა“, ბ ასოს სახელი — „ბეტა“. ბერძნულში ისინი სემიტური წარმოშობისაა; სემიტურში „ალეფი“ ხარს ნიშნავს და „ბეტ“ სახლს. მაშასადამე, ამ ასოების სახელწოდებანი ხატოვანი დამწერლობის პერიოდიდან მომდინარეობენ, როდესაც ა-ს წაკითხვისათვის ხარი იხატებოდა ბ-ს წაკითხვისათვის სახლი. ასევე: ბერძნული გ-ს სახელია „გამა“ (სემიტურად „გამელ“ აქლემს ნიშნავს) და დ-ს სახელია „დელტა“ (სემიტურად „დელტა“ კარს ნიშნავს), და სხვა.

გავიხსენოთ ქართული ასოების სახელწოდებანი: ან, ბან, გან, დონ, ენ, ვინ, ზენ, თან, ინ, კან, ლას, მან, ნარ, ჲე, ონ, პარ, ჟან, რაე, სან, ტარ, ჳე, უნ, ფარ, ქან, ღან, ყარ, შინ, ჩან, ცან, ძილ, წილ, ჭარ, ხან, ჯარ, ჰან, ჰაე.

აქედან 21 ასოს სახელი ნ თანხმოვნით ბოლოვდება (ან, ბან, გან...), დანარჩენი 15 ასოდან (ნარ, პარ, ტარ...) სახელი რ თანხმოვნით მთავრდება, 4 ასოს (იე, რაე, ვიე, ჰაე) ბოლოში ე ხმოვანი აქვს, 2 ასო (ძილ, წილ) ლ თანხმოვნით თავდება.

ახლა — ასოთა თანმიმდევრობის შესახებ ანბანში.

ბერძნული ანბანის მწკრივი სემიტური ანბანის სისტემას მისდევს. სემიტურში კი არ ვიცით, რის საფუძველზეა მიღებული ასოთა თანმიმდევრობა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ანბანის დაწყება ა-თი, ე. ი. ალფათი (ბერძნულში), ალეფით (სემიტურში) შესაძლოა სარწმუნოებრივი მოტივით აიხსნებოდეს: ხარი მთელ რიგ ერებს, მათ შორის სემიტებს, წმინდა ცხოველად მიაჩნდათ (ალეფი ხომ ხარს ნიშნავს), ალეფით დაწყება საქმის დასაწყისის წინ ვედრების გამომხატველი იქნებოდა, ისევე, როგორც ქრისტიან ერთა დამწერლობაში ძველად ყოველი ნაწერი აუცილებლად ჯვრის ნიშნით იწყებოდა.

ზოგიერთ ანბანში (მაგალითად, არაბულში) ასოები მოხაზულობის პრინციპით არის დალაგებული, ე. ი. ერთადაა მიჯრილი ერთმანეთის მსგავსი ასოები.

ქართულ ანბანს თავიდან მოყოლებული — 23 ასომდის ასოთა ისეთივე თანმიმდევრობა აქვს დაცული, როგორიც უძველეს სემიტურსა და ბერძნულ ანბანთა მწკრივში იყო, ხოლო შემდეგ მომატებულია ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბგერების გამომხატველი ასოები. ეს დანართი ასოებია: ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ. აქაც თანმიმდევრობა შემთხვევითი არ არის: ღ — ყ თანხმოვნებს მიჰყვება სისინა და შიშინა წინაენისმიერ ბგერათა ნ ასოსაგან შემდგარი ჯგუფი.

ქართულ ლექსიკოგრაფიას საფუძველი ეყრება ძველ საქართველოში. მართალია, უძველესი ლექსიკონები არ მოგვეპოვება, მაგრამ ქართული მწიგნობრობის უძველეს ნიმუშებს არაიშვიათად ახლავს ლექსიკოლოგიური მინაწერები, განმარტებები, ტექსტის გაგება-შესწავლასთან დაკავშირებული დაკვირვებები, რაც მოწმობს იმდროინდელი მთარგმნელ-მწიგნობრების მომზადების გარკვეულ დონეს.

ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარებაში აღსანიშნავია X—XI საუკ. მოღვაწეების — ექვთიმე მთაწმიდლის, ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, იოანე სინაელის (ზოსიმეს), გიორგი მთაწმიდლისა და სხვათა ღვაწლი. ექვთიმეს ბიოგრაფი გ. მთაწმიდელი ამბობდა:

„ნეტარი ექვთიმე, რომლისა-იგი სახელი ოდენ კმა არს სათნოებათა მისთა სიმაღლისა გამოჩინებად, რომელი-იგი გამოჩნდა სამკაულად ნათესავისა ჩუენისა და მობაძვად წმიდათა მოციქულთა, განათლდა ქართველთა ენაჲ და ქუეყანაჲ, რამეთუ ვითარცა წამებენ მის მიერ თარგმნილთა წიგნთა შინა აღწერილნი ანდერძნი, ამის ღირსისა მოღუაწებითა განსწავლულ იქნა ყოვლითა სიბრძნითა განმანათლებელად და შემამკობელად ეკლესიათა ჩუენთა, რომლისა-იგი ნამუშაკევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა, და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკბოებაჲ, ვითარცა ნესტჳ როჲსაჲ ჴმა-მაღალი, ოხრის ყოველთა ქუეყანასა, არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისაცა, რამეთუ ბალაჰვარი და აბუკურაჲ სხუანიცა რაოდენნი წერილნი ქართულისაგან ითარგმნნა ბერძნულად“.

მთარგმნელობის გაფართოება მოითხოვდა განმარტებითი და ენციკლოპედიური ლექსიკონების შედგენის აუცილებლობას.

ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძში, მაგალითად, ეფრემ მცირე შენიშნავდა:

„ბერძენთა ენაჲ უფსკრულ ღრმა არს და იგივე და ერთი სიტყუაჲ შრავალსა პირსა აღიარებს. და უპირატესად ყოვლისა მას ადგილსა ზედა მიწევნით გამოიკულევს წმიდაჲ იოვანე ოქროპირი და განცხადებულად უეჭუელ ჰყოფს ვითარებასა მისსა. ამა ესე ვითართა ღრმათა ადგილთა, სადაც უჴმდა შეცვალებაჲ და სხუებრ ცვალებაჲ სიტყუასა სამოციქულოსა ქართულსა, რომელი მაშინ-ღა ძლით გულისჴმა იმყოფებოდა. ოდეს სამნი, გინა ოთხნი თარგმანნი პავლისანი და ეგოდენნივე ლექსიკონნი (ესე არს ღრმათა წიგნურთა სიტყუათა ანბანსა ზედა განწყობილნი სიტყუანი) ერთად შემოვკრიბი, მაშინ-ღა ძლით მოუპოჲ ქართული მსგავსებული სიტყუაჲ“.

ქართულ ენაზე შედგენილ პირველ ლექსიკონად უნდა მივიჩნიოთ 1080 წელს დაწერილი მომცრო სიტყვარი ეფრემ მცირისა, რომელშიც

განმარტებულია ასამდის ლექსიკური ერთეული, გაწყობილი ანბანზე (გამოაქვეყნა მ. შანიძემ 1968 წელს).

ძველი ქართველი მწიგნობრები თარგმნიდნენ კიდევაც ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებს — „ძნელოვანთა სიტყვათა“ ლექსიკონებს. ჩვენამდის შემონახულია 1184 წელს გადაწერილი ხელნაწერი, სადაც შესულია კირილე ალექსანდრიელის (გარდაიცვალა 444 წელს) „ძნელოვანთა სიტყვათა განმარტებაჲ“, ლექსიკონი, რომელშიც შესულია 92 უცხოური წარმოშობის საკუთარი სახელი.

მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში ჩნდებიან ქართველი პროფესიული ლექსიკოგრაფები.

საერთოდ, პირველი ბეჭდური ქართული წიგნი — ლექსიკონია: 1629 წელს რომში გამოდის „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, რომლის ავტორია ნიკიფორე ირბახი — ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მწიგნობარი, ფრიად განათლებული პიროვნება. ისტორიკოს მიქელ თამარაშვილის სიტყვით, ნიკიფორემ „საკმაოდ შეისწავლა იტალიური ენა და მასთანვე ცოტა ქართულიც ასწავლა სტეფანე პაულინას, რომელმაც ნიკიფორესთან ერთად შრომა მიიღო ამ ლექსიკონის გამოცემისათვის“. აღსანიშნავია აგრეთვე ფარსადან გორგიჯანიძის (დაიბ. 1626 წელს) პოლიგლოტური ხასიათის ლექსიკონი „ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი“.

1712 წელს დაიბეჭდა ვახტანგ მეექვსის რედაქციით „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც შეიცავს პოემის ძნელად გასაგები სიტყვების განმარტებებს (650-მდე). ეს ლექსიკოგრაფიული ახსნა-განმარტებები „წარმოადგენს პირველ ცდას სპეციალური ლექსიკონის შედგენისას. ეს ცდა უთუოდ მნიშვნელოვანია თავისი შედეგით“ (ა. შანიძე).

ქართული ლექსიკოგრაფიის გვირგვინია სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონი — „სიტყვის კონა“, რომელიც პირველი **განმარტებითი** ლექსიკონია და რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ქართულ ლექსიკოგრაფიაში. ნ. მარის სიტყვით, ეს ლექსიკონი **ამდროინდელ** საერთაშორისო ლექსიკონებს შორის გამოირჩევა ლაკონიზმითა და განმარტებათა სიზუსტით.

საბას განსამარტავი სიტყვები ამოუკრებია დიდძალი ლიტერატურული წყაროდან — როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი თხზულებებიდან.

მოვუსმინოთ ავტორს:

„რომელნიცა ვიცოდი, დავწერე, და რომელნიცა ძნელნი სიტყუანი არ ვიცოდი, ღრმათა წიგნებთა შინა ვიძიე და რომელიმე სხუათა ენათა შევამოწმე და გამოწვლილივით რომელიც ვპოე, ადვილად თან მოვაწერე. რომელიცა ვერა ვპოე, საცილობელი არ დავწერე“; „რაოდენ ძალ შედვა, ვიცადე ელლენთა, ლათინთა, სომხურთა, რუსთა და არაბთა

წიგნებისაგან და მით გამოვიღე"; „ამა ენათა რომელნიცა სწორედ თქუეს, გინა რომელმან დამაჯერა, იგი დავწერე. რომელნი არა ემოწმნენ, არცა მე დავწერე და თქუენ იგულის-მოდგინეთ"; „მე უწინარეს ლათინური და ელლენური ლექსიკონი ვერ ვნახე, თვარა უკეთესის რიგით აღვწერდი. მას უკან ვნახე და ზოგი რამ იმით გავმართე და რიცხვებიც წვრილთანი თან ჩართვით დაუსხი"; „რომელიცა წერილთა შინა ვნახე, გამოვიღე, სამღთო წერილთა და ღუთისმეტყუელებათა შინა, რომელიმე ღრმათა ფილასოფოსთა წიგნებთაგან და ღუთის-მეტყუელებათა კავშირთა პროკლეს პლატონურთა დიოდოხოსთა, არისტოტელისა და პორფირის კათიღორიათაგან გამოვიღე, ნემესიოს და იოანე დამასკელის პლატონურის სიტყვის საქცევები აღვწერე, რომელიმე არა მათებრ ღულარჭნილად, არამედ მათივე წმიდათა მამათაგან საადვილო ვპოე და საადვილონი აღვწერენ, რათა ისწაონ ენა ქართული შესრულებული და განვრცელებული ფარნაოზ ქართველთა პირველისა მეფისა მიერ, ბრძნისა და გონიერისა, რომელი იყო ძეთაგან ქართლოსიანთა, წარმართი".

აქედან მშვენივრად ჩანს, რა სიფრთხილით ეკიდებოდა საბა ყოველ სალექსიკონო ერთეულს, რა ფართო და უხვი იყო ლიტერატურული წყაროები, რაზედაც ეფუძნებოდა მისი უკვდავი ლექსიკონი. როგორც გამოთვლილია (ა. ღლონტი), ლექსიკონში გამოყენებულია 140-ზე მეტი წყარო, ზოგი წყაროდან 200—300-ზე მეტი სიტყვაა ამოკრებილი, ზოგიდან კი — თითო-ოროლა. ამასთან, იგი სხვა წყაროსთანაც ამოწმებს ერთი ძეგლიდან ამოწერილ სიტყვას, კრიტიკულად ცხრილავს მას, უცხოურ სიტყვებს ადარებს სათანადო ლექსიკონებს და შემდეგ შეაქვს ლექსიკონში. საბას ლექსიკონის შედგენა დაუწყია სიყრმის ჟამს (1676—1680) და მისი პირველი ძირითადი ვარიანტი დაუსრულებია ჰაბუკობისას (1680—1686). „ავტორს არც ამის შემდეგ შეუწყვეტია ლექსიკონის სრულყოფა-გაშალაშინება. 1716 წელს კონსტანტინეპოლს გადაუწერია ლექსიკონის შევსებულ-შეჯერებული პირი. მუშაობა არც ამით დამთავრებულა. ეს მუშაობა ავტორს მთელი სიცოცხლის განმავლობაში უწარმოებია. შემდეგი მუშაობის მიზანი ლექსიკონის სრულყოფა ყოფილა და არა ახალი რედაქციის შექმნა. მთავარი საქმე (მასალის შეკრება-გაწყობა, ძირითადი სისტემის ჩამოყალიბება, უმთავრესი განმარტებები) შესრულდა XVII საუკუნის 80-იან წლებში, ეს სისტემა არ შეცვლილა. ამიტომ საბა XVII საუკუნის 80-იანი წლების ლექსიკოგრაფად უნდა მივიჩნიოთ და არა XVIII საუკუნისა. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა საბას ლექსიკონი და მისი ორიგინალური ლექსიკოგრაფიული თეორია (ა. ღლონტი). სავსებით გასაზიარებელია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, რომ

საბა თავის ლექსიკონს და ლექსიკოგრაფიულ თეორიას ქმნიდა იმ ეპოქაში, როდესაც თეორიული ლექსიკოგრაფია რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში ეს-ეს იყო, ფეხს იდგამდა და ისახებოდა. საბა აღზრდილი იყო ქართულ მასალაზე და არ იცნობდა ფრანგულ ლექსიკოგრაფიულ სკოლას, რომელმაც სწორედ XVII საუკუნის მიწურულს მოგვცა ლექსიკოგრაფიული შრომების საუკეთესო ნიმუშები და მთელი ეპოქა შექმნა ცოდნის ამ დარგის განვითარებაში. საბა თავის „ანდერძნამაგში“ დასძენს: ჩემს ლექსიკონში „თუცა ესრე სრული ვერ იშოვნო, და ვერა ჰპოო, ერთისა და ორის კლებისათვის ნუ დაიწუნებთ, სრული გვიან საპოვნელიაო“.

ქართული ენის ლექსიკა რამდენადმე ასახულია 1787—1791 წლებში დაბეჭდილ, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივის მიერ გამოცემულ ისეთ მნიშვნელოვან ნაშრომში, როგორიცაა „Сравнительные словари всех языков и наречий“. აქ შესულია ქართველურ ენათა (საკუთრივ ქართულის, მეგრულის, სვანურის) მასალები აკად. გიულდენშტედის, ახვერდოვის, მოურავოვისა და სხვათა ჩანაწერების მიხედვით. ეს გახლავთ პირველი ბეჭდური პუბლიკაცია რუსულ ენაზე ქართულ-ქართველური სიტყვობრივი ფონდისა. ამ ენათა მეცნიერული შესწავლის ინტერესების გაღვივებისათვის რუსეთსა და დასავლეთში აკადემიის ზემოხსენებულ პუბლიკაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

სულხან-საბა ორბელიანის მიმდევარია ნიკო ჩუბინაშვილი, XIX საუკუნის პირველი ოთხი ათეული წლის ცნობილი ლექსიკოგრაფი. მას ეკუთვნის ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები. ეს კაპიტალური წიგნები დიდხანს გამოუცემელი იყო, დაიბეჭდა 1961 წ. და 1973 წ. ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით.

ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის უმთავრესი წყაროებია ორბელიანის ქართული ლექსიკონი და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული რუსული ლექსიკონი. ლიტერატურული თხზულებებიდან ამოწერილი საილუსტრაციო მასალა დოკუმენტირებულია მრავალი წყაროთი. ამასთანავე, გამოყენებულია დიალექტებიდან მოხმობილი მასალაც.

რუსულ-ქართული ლექსიკონი გამოირჩევა ამ ტიპის ხელნაწერი ლექსიკონებისაგან მაღალი მეცნიერული ღირსებებით.

ნ. ჩუბინაშვილი ან სიტყვასიტყვით იმეორებს საბას განმარტებებს, ან გვაწვდის ოდნავი რედაქციული ცვლილებებით, ანდა იძლევა ახლებურ განმარტებებს, ან კიდევ ზოგჯერ სრულიად სცილდება საბას და მცდარ განმარტებებს გვთავაზობს. დამახასიათებელია, რომ ლექსიკოგრაფი არსებითად ახალი ქართული ენის სიტყვობრივ მასალას ეყრდნობა.

ქართულ ლექსიკოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის დავით ჩუბინაშვილის (ჩუბინოვის) მიერ შექმნილ კაპიტალურ ლექსიკონებს, რომლებიც პეტერბურგში ქვეყნდებოდა და მათზე თაობები იზრდებოდნენ. ეს ლექსიკონებია: ქართულ-რუსულ-ფრანგული (1840), ქართულ-რუსული (1877—1890), რუსულ-ქართული (1846). ვუკოლ ბერიძე აღნიშნავს: „ჩუბინაშვილი ბრმად არ მისდევს არსებულ ლექსიკონებს არც სიტყვათა დალაგებაში, არც განსაკუთრებით ახსნაში. იმის თქმა არ მინდა, რომ იგი ყველგან მაღლა დგას-მეთქი თავის წინამორბედებზე. არა, ზოგ რამეში კიდევაც ჩამოუვარდება მათ, მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ მას თ ა ვ ი ს ი ს ა კ უ თ ა რ ი შეხედულება აქვს ამა თუ იმ სიტყვის შინაარსზე, იგი თავისი საკუთარი განწყობით ხელმძღვანელობს“.

ჩვენს დროში, საქართველოში ლინგვისტური მეცნიერების განვითარების შედეგად ქართული ლექსიკოგრაფია გამდიდრდა სხვადასხვა სახის ლექსიკონებით.

მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსულ-ქართულმა და ქართულ-რუსულმა ლექსიკონებმა, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოვიდა. მათ შორის უნდა გამოვყოთ თბილისის უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებული კოლექტიური ფუნდამენტური წიგნი „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (1937), გ. დათიკაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ (1943-48), სამტომიანი „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (მთ. რედაქტორი ქ. ლომთათიძე, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია), აკადემიისავე გამოცემა — „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (მთ. რედაქტორი ქ. ლომთათიძე, 1983) და სხვ.

ჩვენსავე დროში დამუშავდა და გამოიცა ქართული ენის დიდი განმარტებითი ლექსიკონი 8 ტომად (1950—1962) არნ. ჩიქობავას მთავარი რედაქციით. ეს არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქართული კულტურის ისტორიაში. ლექსიკონი შეიცავს 113-ათასამდის სიტყვას. გამოცემის წინასიტყვაობაში აღნიშნულია: „ახალი სალიტერატურო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის დანიშნულებაა ა ღ ნ უ ს ხ ო ს და გ ა ნ მ ა რ ტ ო ს ყ ვ ე ლ ა ს ი ტ ყ ვ ა, რაც კი არის დ ა მ კ ვ ი დ რ ე ბ უ ლ ი ამჟამად სიტყვაკაზმულ მწერლობაში, სამეცნიეროსა და პოლიტიკურ ლიტერატურაში, პრესაში, — ერთი სიტყვით, წ ი გ ნ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა შ ი, სათანადოდ გვაჩვენოს, თუ რა ლ ე ქ ს ი კ უ რ ი მ ა რ ა გ ი მ ო ე პ ო ვ ე ბ ა ჩვენს ენას, ხელშესახები გახადოს, როგორ გ ა მ დ ი დ რ დ ა ქართული ე ნ ი ს ლ ე ქ ს ი კ ა საბჭოთა პერიოდში და რა წყაროები გააჩნია მას შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის“. მდიდრადაა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ფრაზეოლოგია.

გამოცემულია: ტერმინოლოგიური, ორთოგრაფიული, დიალექტური, სიმფონიური, ეტიმოლოგიური (გ. კლიმოვი) ლექსიკონები, აგრეთვე უცხოურ სიტყვათა, ხატოვან (ფიგურალურ) სიტყვათა, „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ (არნ. ჩიქობავა).

მართალია, ჩვენში წინათ იყო ცდები ენციკლოპედიური ლექსიკონების შედგენისა და 1898—1899 წლებში გამოიცა კიდევაც „სალარო ცოდნისა: რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი“ (ოთხ ნაწილად) ივ. როსტომაშვილისა, (თავის დროზე ამ წიგნმა კარგი სამსახური გაუწია ჩვენს საზოგადოებრიობას), მაგრამ მხოლოდ ჩვენს დროში განხორციელდა ჩვენი წინაპრების სანუკვარი ოცნება: გამოქვეყნდა 11-ტომიანი „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ — ეროვნული ლექსიკოგრაფიის მშვენება, ცხადლივ მანიშნებელი ძირძველი მწიგნობრული მეტყველების განვითარების უწყვეტობისა და ახალი ქართული მეცნიერული აზროვნების მაღალი დონისა.

უცხოეთში გამოცემულ ლექსიკოგრაფიულ ნაშრომთაგან დავასახელებთ შემდეგს (გარდა ქართულ-იტალიური ლექსიკონისა, რომელზედაც ზემოთ ვისაუბრეთ):

1. რ. მეკელაინი: „Georgisch—Deutsches Wörterbuch„ 1928 (ბერლინი და ლაიფციგი).

2. რ. მეკელაინი: „Deutsch-Georgisches Wörterbuch“, 1937—1943 (ბერლინი და ლაიფციგი).

3. ე. ჩერქეზი: „Georgian — Englich Dictionary“, 1950 (ოქსფორდი).

4. ი. მოლიტორი: „Altgeorgisches Glossar Ausgowählten Bibelstexten“ 1952 (რომი).

5. ი. მოლიტორი: Glossarium Ibericum“, 1962 (რომი).

6. ი. მოლიტორი: „Glossarium Ibericum, 1964 (რომი).

7. კ. ჩხენკელი: „Georgiches Wörterbuch“ (1—6), 1960 — 1963 (ციურიხი).

8. კ. ჩხენკელი: „Georgisch-Deutsches Wörterbuch“. Bearbeitet Iolanda Marchev (1—20), 1964—1970 (ციურიხი).

ქართული სამწერლობო ენის სიწმინდისათვის ბრძოლის ისტორიიდან

ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის ბრძოლის აუცილებლობა განსაკუთრებით მკვეთრად ისახება ე. წ. აღორძინების ხანის

ენაში. ეს ხანა ჩვენი ენის განვითარებაში მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება.

უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია იმდროინდელ სამწერლობო ენაში ფორმათა სიჭრელე, გამოწვეული უმთავრესად ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებით: მართლაც, ამ ეპოქის მხატვრულ ლიტერატურაში მძლავრად იჭრება სხვადასხვა დიალექტიდან მომდინარე ნაკადი, რაც, ბუნებრივია, თავისებურ დაღს ასვამს მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე ლიტერატურული ენის ნორმალიზაციას. ასე, არჩილის, თეიმურაზ მეორის, დავით გურამიშვილის სამწერლობო ენის ქსოვილში ხალხური მეტყველების ფორმები შეზავებულია საერო ლიტერატურის კლასიკური ხანის ლიტერატურულ ნორმებთან. ამ ფორმებს ზოგჯერ სტილისტური დამუშავება და დახვეწა აკლია, ისინი ჯერ არ ამაღლებულან სალიტერატურო ენის დონემდე, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მათი განვითარების გეზი ენის დემოკრატიზაციისაკენ მიემართება.

მეორე მხრივ, დამახასიათებელია უცხოური ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ელემენტების მომძლავრება სალიტერატურო ენაში. სპარსული და თურქული ენებიდან მომდინარე სიტყვებით და გამოთქმებით ივსებოდა ქართული ლექსიკონი; ხშირად ისეთი სიტყვებიც ინერგებოდა, რომელთა ეკვივალენტი ჩვენს ენას კარგა ხანია ჰქონდა. ეს გარემოება შესაბამის ქართულ სიტყვებს გაქრობასა და სამუდამო დავიწყებას უქადდა, ქართულ სალიტერატურო ენას რომ არ ჰქონოდა დიდი ტრადიცია და შინაგანი წინააღმდეგობა არ გაეწია ისეთი უცხოური ლექსიკური ელემენტებისათვის, რომელთა დანერგვას ქართული ენის მდიდარი ლექსიკონი არ საჭიროებდა.

ე. წ. აღორძინების ხანის სალიტერატურო ენის საერთო სტრუქტურაში ერთმანეთის გვერდით არსებობენ არქაული ენით დაწერილი სამეცნიერო თხზულებანი და ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებული ლიტერატურული ნაწარმოებები, მომძლავრებულია ე. წ. საბუთების ენა (რომელიც თავისებურ ადგილს იკავებს იმდროინდელ მწიგნობრულ ენაში), — ყოველივე ეს ხელს უწყობს სტილთა აღრევას და ერთიანი სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის რღვევას.

ამგვარ პირობებში ენის სიწმინდისათვის ზრუნვა აუცილებელი იყო ერთიანი სამწერლობო ენის გამომუშავების საჭიროებით.

არ არის შემთხვევითი, რომ პირველი, ვინც ხმა აღიმაღლა ენის უფლებების დასაცავად და გაბედულად გაილაშქრა სალიტერატურო ენის დამახინჯებათა წინააღმდეგ, არჩილი იყო. როგორც ვიცით, არჩილი ახალი ლიტერატურული მოძრაობის მეთაურია, იგი ეროვნულ-რეალისტურ თვალსაზრისზე დგას და თანმიმდევრულად იღვწის ქართული ენის სიწმინდისათვის.

არჩილისათვის მიუღებელია, მაგალითად, თეიმურაზის ნ ა რ ე ვ ი სტილი, რომელიც საკმაოდ შეიცავს ბარბარიზმებს. თავის ნაწარმოებში „სამიჯნურონი“ პოეტი საკამათოდ აღიარებს თეიმურაზის მაჯამას, როგორც უცხო პოეტური ენის სამყაროდან შემოსულ ფორმას, „განსაკუთრებით ენობრივი სარჩულის გამო“. გავიხსენოთ ეს ადგილი:

„მკითხველ-მთარგმნელო, მ ა ჯ ა მ ა ს წ ი ნ მეც ეს მამირთმევია,
ჩემი და ჩემმაგიერად, არვისთვის წამირთმევია;
მ ი თ ქ ვ ა მ ს ქ ა რ თ უ ლ ი ს ე ნ ი თ ა, ს ხ ვ ა ე ნ ა ა რ უ რ ე ვ ი ა;
ვიცი, შეიტყობთ უცდურად, თუ სიტყვა ამირევია“.

არჩილი არ იზიარებს თეიმურაზის განცხადებას, რომ „მძიმეა ენა ქართველთა“, მას აღელვებს იმავე პოეტის სიტყვები: „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“. აკი თეიმურაზი სავსებით აშკარად აღიარებს:

„მე ოდენ ქართულ ენასა მარილად ურთე სპარსული,
თათრულიც გამირევია, მიქია მათი არსული“.

გავიხსენოთ „გაბაასება“, სადაც არჩილი რუსთაველის პირით ეუბნება თეიმურაზს: „მძიმედ გჩანს ენა ქართველთა, მაშ ბძანე არაბულ-თო“.

ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ არჩილი უკიდურესი პურისტი იყო!. არა, მან კარგად იცის, რომ უცხოური ენის ელემენტები არ არის დასაგმობი, რომ ენა ვერ ასცდება სხვა ენიდან შემოსულ ლექსიკურ მასალას... ენამ „ბევრი სხვაც უნდა იცოდეს, სრულ არ უბნობდეს ქართულადო“. მისი აზრით, უცხოურ ენათა შესწავლა სასარგებლო საქმეა:

„ენა და წიგნი რამდენი ვინც იცის, ესეც იმდენად
ჩავაგდოთ თვითო ზნეობად, სხვის ქვეყნის ამბავ მოსმენად“.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ენა დავანაგვიანოთ უცხოური ენის სიტყვებითა და გამოთქმებით, შევრყვნათ ჩვენი ენის ლექსიკონი. აი, მაგალითად, რას ამბობს არჩილი:

„ნუ გგონიათ, რომ სხვა ენა მეც არ ვიცოდე სხვასავით,
მაგრამ ცუდია გარევა ქ ა რ თ უ ლ ენაში სხვას ავით“.

ქართული ლექსიკის სიწმინდის დაცვაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უკვდავი „ქართული ლექსიკონის“ ავტორმა — სულხან-საბა ორბელიანმა.

საბა ბრძოლას უცხადებს „სხვათა ენებიდან“ შემოსულ ისეთ სიტყვებს, რომელთა დამკვიდრება ჩვენს ენაში არ არის გამართლებული. განსაკუთრებით ეს ისეთი სიტყვებია, რომლებსაც ქართული ეკვივა-

ლენტი დაეძებნება, და ლექსიკოლოგის ვალია, სათანადო კვალიფიკაცია მისცეს ამ კატეგორიის ლექსიკურ მასალას. ეს აუცილებელია, რათა მკითხველმა იცოდეს, რომელია ქართული და რომელი — უცხოური. „სხვათა ენებიდან“ ძალადობის გზით შემოსულ სიტყვებს სულხან-საბა „უხმარს“ უწოდებს, რომ ხელი შეუწყოს მათ განდევნას და მივიწყებული ქართული შესაბამისი სიტყვის დამკვიდრებას. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უძველესი ავტოგრაფი, რომელიც ამჟამად ცნობილია მეცნიერებაში „D რედაქციის“ სახელით. ენის სიწმინდისათვის ბრძოლა კარგად არის ასახული, მაგალითად, შემდეგს განმარტებებში:

ქარავანი — ეს ქარავანი არაბთა ენაა; ჟამთა ვითარებით შემოღებულა, ქართულად მოგზაური ეწოდების (D).

ქაფი — ესე ქაფი თათართა ენაა, ჟამთა ვითარებით ვიტყვით, ხოლო ქართულად უწოდ პერსა (D).

ლეში — სომხურია და უჯმარი, ქართულად მძორი ჰქვიან (D).

ფიქრი — არაბულია, გულისთქმას უხმობენ, უჯმარად ვიტყვით, ქართველნი (D).

ფოხალი — ქართული არაა და უჯმარცა (D).

სულხან-საბა ნამდვილ, ძირეულ ქართულ სიტყვებს ხალხში ეძებს და არაიშვიათად სინონიმებზედაც მიუთითებს ამა თუ იმ დიალექტური წყაროს ჩვენებით. მაგალითად:

ოჯიჯი — ბადე მეგრულად.

დაკავებას უხმობენ გურიელნი დაჭერას.

მენასა — კახნი ტაგარსა უწოდებენ, და მრ. სხვა.

D ნუსხაში — სიტყვა **ისრ**-ის განმარტების ერთ-ერთ მინაწერში, ავტორის მიერ თავმოყრილია ბერძნულ, ყივჩაღურ და ქართულ სასროლ იარაღთა სახელები. საბა ხედავს ქართული მასალის სიმდიდრეს და ამბობს: „ამისთანაები მე ამისთვის ჩაურთევ, რომ სხვა ენაში არ მოვა და არც იციან“ — იგულისხმება ისრების ქართული სახელები, რომლებიც საბას დიდი გულმოდგინებით შეუკრებია (ე. მეტრეველი).

განსაკუთრებით მწვავედ ქართული ენის სიწმინდის საკითხები დაისვა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, 60-იანი წლებიდან. როგორც ვიცით, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით დიდი გარდატეხა მოხდა სალიტერატურო ქართულის განვითარების ისტორიაში, ჩატარდა ორთოგრაფიის რეფორმები, საბოლოოდ უკუგდებული იქნა არქაიზებული ენის (resp. ანტონისეული გრამატიკის) ნორმები, თეორიულად დასაბუთდა ახალი ქართულის უფლებანი, ენა დაადგა სრული დემოკრატიზაციის გზას, ფართო პერსპექტივები გადაიშალა საერთო-ეროვნული ენის განვითარებისათვის, მწიგნობრულ ენაში ამოტივტივდა სა-

უკუნეთა მანძილზე ქართულ ხალხურ მეტყველებაში არსებული გრამატიკული ფორმები და ლექსიკური ელემენტები.

ქართულ მწერლობაში ბრძოლა სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის გამძაფრდა XIX ს-ის 80—90-იან წლებში. უნდა გარკვეულიყო სამწერლობო ენის საორიენტაციო დიალექტების საკითხი, არქაიზმებთან ურთიერთობა, მოსაგვარებელი იყო სალიტერატურო ენის კონკრეტული საკითხები — ლიტერატურული ნორმების პრაქტიკული საკითხები და სხვა.

რა საენათმეცნიერო მეთოდს იმარჯვებდნენ სალიტერატურო ენის იმდროინდელი თეორეტიკოსები ლიტერატურული ნორმების დადგენის დროს?

ისინი ეყრდნობოდნენ უმთავრესად კეთილხმოვანების (ევფონიის) პრინციპს, რომელიც მეტ-ნაკლები თანმიმდევრობით გამოიყენებოდა გრამატიკული მოვლენების შერჩევისას ნორმების დამდგენი სპეციალისტების მიერ.

„ესა თუ ის ენობრივი მოვლენები უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად არ ეჩოთირება იგი ყურს, რამდენად კეთილხმოვანია, საამო მოსასმენი — აი კრიტერიუმი, რომლითაც უნდა უარვყოთ ერთი გრამატიკული ნორმა და უპირატესობა მივცეთ მეორეს!“ ცნობილმა გრამატიკოსმა სილოვან ხუნდაძემ, რომელიც მეთოდური თანმიმდევრობით ახორციელებდა ამ პრინციპს, ასე განსაზღვრა ევფონია გრამატიკაში: „...ყოველს კულტურული ერის სალიტერატურო ენაში კეთილხმოვნებას, როგორც მუსიკაში ჰარმონიას, მცირე ადგილი არ უჭირავს, და თუ რომ განვითარებულ მსმენელს კი აქვს ნება რომელიმე მუსიკალური თუ სასიმღერო ჰანგი ჰარმონიულათ ან დისჰარმონიულათ აღიაროს, ენის მკვლევარსაც ვერავინ დაუშლის, მეცნიერულ დასაბუთებასთან ერთად, კეთილხმოვანობაც იმოწმიოს“.

თავის ცნობილ წიგნში „სალიტერატურო ქართული“, რომელიც 1901 წელს გამოვიდა, სილოვან ხუნდაძემ მკვეთრად ჩამოაყალიბა ევფონიის საფუძველზე დადგენილი ენობრივი ნორმები, კეთილხმოვანება გრამატიკაში უნივერსალურ მეთოდად დასახა. ასე, მაგალითად, ენა ცდილობს „გააადვილოს გამოთქმა „სიტყვებში **ბრძანება, გრძელი, გაზრდა** და ამიტომ უნდა დავაკანონოთ **ბძანება, გძელი**... (გვ. 102—103). „მეტათ უსიამოვნო მოსასმენია ახლანდელ მწერლობაში ძველებური ფორმა ბრუნვებში: „საქმესა კაცისასა, საქმესა კაცისასა, საქმითა კაცისათა“, ამიტომ უნდა ვთქვათ: კაცის საქმეს“, და ა. შ.

კეთილხმოვანება ერთ-ერთ პრინციპად ჰქონდა მიჩნეული სერ. გორგაძეს გრამატიკული მოვლენების დადგენის დროს.

კეთილხმოვანების საფუძველზე არჩევდა მთელ რიგ გრამატიკულ ნორმებს აკაკი წერეთელი. ასე, მაგალითად, იაკობ გოგებაშვილთან პოლემიკის დროს აკაკი აღნიშნავდა, რომ სიტყვათა შეხამებაში „თავის დღეში“ ორ „ს“-ს (თავისს) არ ვხმარობ, რადგან ამას კეთილხმოვანება მოითხოვსო.

იაკობ გოგებაშვილი ზმნის ფორმას „ვაღიარე“ უპირატესობას აძლევდა „აღვიარე“-სთან შეპირისპირებით იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი „უფრო ძნელი გამოსათქმელია“. ქართულ ენას გოგებაშვილი კეთილხმოვანების თვალსაზრისით ერთ-ერთ საუკეთესო ენად მიიჩნევდა, „ნაზხმიანი“ ბგერები (გ, ჰ, თ, ფ, ქ, ძ) გვაქვს, გარდა ორი ბგერისაო (ყ, ჯ).

კეთილხმოვანება სუბიექტური მეთოდია და მისი გამოყენება გრამატიკული მოვლენების ანალიზისას შეუწყნარებელია. ის, რაც ერთს კეთილხმოვნად მიაჩნია, მეორისათვის შესაძლოა არ იყოს კეთილხმოვანი; მით უმეტეს, ეს მიდგომა გასაგებია, როდესაც საქმე გვაქვს სხვადასხვა დიალექტთან. ევფონია გამართლებულია პოეტური ენისათვის, ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენები კი ობიექტური საზომით უნდა იქნეს შეფასებული.

1895 წელს პეტრე ჭარაიამ „მოამბეში“ გამოაქვეყნა ძალზე საინტერესო წერილი „ქართული სალიტერატურო ენა და ქართული მართლწერა“, სადაც სასტიკად გაილაშქრა კეთილხმოვანების, როგორც სუბიექტური მეთოდის წინააღმდეგ. ენის განვითარება არ მიემართება ევფონიის მოთხოვნილებათა მიხედვით, ეს არ არის მეცნიერული ცნებაო, — სავსებით სამართლიანად ასკვნიდა იგი.

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან-ოთხმოცდაათიან წლებში ახლებურად დაისვა სალიტერატურო ქართულის ს ა ო რ ი ე ნ ტ ა ც ი ო დ ი ა ლ ე ქ ტ ე ბ ი ს საკითხი.

სამწერლობო ენის კარები განსაკუთრებით ფართოდ გაეღო დასავლურ დიალექტებს; რაზიკაშვილებმა, ნამეტურ ვაჟა-ფშაველამ, მთის მეტყველების ფორმებს ფართო გასაქანი მისცეს მწიგნობრულ ენაში.

იმერულის (და საერთოდ ქართული ენის დასავლური განშტოების) საღი ფორმების შემოტანის აუცილებლობა მწერლობის ენაში თითქმის ერთხმადაა აღიარებული იმდროინდელი გრამატიკოსების მიერ, იმერულისა, რომელიც ისტორიულად შეზღუდული იყო ამ თვალსაზრისით. ასე, მაგალითად, იაკობ გოგებაშვილი ყოველთვის ითვალისწინებდა დასავლური კილოების მასალას თავის უკვდავ სახელმძღვანელოებში და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ, მართალია, ეს კილოები საფუძვლად არ დასდებია ჩვენს სამწერლობო ენას, მაგრამ საერთოეროვნული ენის ფორმირებაში დასავლური განშტოების ქართულ ენას საპატიო ადგილი უნდა დაეთმოსო. წერილში „უმეცრების ამაყობა“ ჩვენი

დიდი პედაგოგი ამბობს: „საქართველოს ზოგიერთ კუთხეში იხმარებიან იმისთანა გამოთქმანი, რომელნიც ზედ გამოჭრილნი არიან საგანზედ, აზრზედ და რომელნიც იშვიათად იხმარებიან დანარჩენ კუთხეში. პირველსაკითხმა წიგნმა უნდა გაავრცელოს ეს მოხერხებული გამოთქმანი მთელს საქართველოში და გამარჯვება დაუმკვიდროს მათ არსებითს ბრძოლაში“... ი. გოგებაშვილმა კარგად იცის, რომ შესაძლოა, იმერულ დიალექტში შეგხვდეს ისეთი სიტყვა-გამოთქმა, რომელსაც უპირატესობა მიენიჭება შესაბამის ქართლურ ფორმასთან შედარებით. მაგალითად, იმერეთში ამბობენ: „შენი წიგნი იქ დატოვე, ქართლში იტყვიან: შენი წიგნი იქ დავაგდე. პირველი სიტყვა... სჯობს ამ შემთხვევაში ქართლურ სიტყვასა, რომელიც ორაზროვანია“. ი. გოგებაშვილს ასეთი მაგალითი დასავლური კილოებიდან ბევრი სხვაც დაუმოწმებია.

სხვადასხვა დიალექტიდან ზომიერად შერჩეული და შემოტანილი ფორმები და ლექსიკური ერთეულები სალიტერატურო ქართულის გამდიდრების საწინდრად მიაჩნია ალ. ხახანაშვილსაც. ავტორი დადებით მოვლენად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ „ვაჟა-ფშაველამ ძმებითურთ და ყაზბეგმა შემოიტანეს ლიტერატურაში მთაში დარჩენილი სიტყვები და ფორმები“. ამავე წერილში ნათქვამია, რომ დავით კლდიაშვილმა და ეგნ. ნინოშვილმა იმერულ-გურული სასაუბრო მეტყველების ბევრი საინტერესო მასალა შესძინეს მშობლიურ სამწერლობო ენას. და რომ ნინოშვილი გვაძლევს ძვირფას მასალას ჩვენი კილოების შესასწავლად. ავტორი დასძენს, რომ კილოური ელემენტების „შეტანა სალიტერატურო ენაში უნდა მოხდეს სიფრთხილით“, რადგან ამას „მწერლობის განვითარება თხოულობს“.

ამავე სიმკვეთრით იმერული კილოს მონაცემების გამოყენებაზე უფრო ადრე ლაპარაკობდა ცნობილი გრამატიკოსი სილოვან ხუნდაძე. ავტორისათვის ამოსავალია დებულება: „ლიტერატურული ენა უნდა იყოს შეზავებული ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხის მშვენიერი ფორმებისგან და სიტყვებისაგან“. ავტორი ამბობს, „ამერულ კილოს (იგულისხმება ქართლური — **შ. ძ.**) მეტი ადგილი სჭერია და უნდა ეჭიროს ჩვენს ლიტერატურულ ენაში, მანამ იმერულს, მაგრამ იმერული კილო, იმერული ელემენტი ისე აუცილებელია... როგორც თევზისათვის წყალი... იმერული კილო ამსუბუქებს ჩვენს ენას, აკეკლუცებს მას და პოეტურ სილამაზეს აძლევს“.

წიგნში „სალიტერატურო ქართული“ (1901, ქუთაისი) სილ. ხუნდაძე უფრო განზოგადებულად ლაპარაკობს: „ქართველი ლიტერატორი რომელიმე ერთი კუთხის ენით არ უნდა ხელმძღვანელობდეს, არამედ საქართველოს ყოველი კუთხის ენას უნდა აქცევდეს ყურადღებას...“

1911 წელს სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ „განათლებაში“ ცხოველი კამათი გაიმართა იმის თაობაზე, თუ რა ფორმები უნდა დავამკვიდროთ სალიტერატურო ენაში.

დისკუსიის საბაბი იყო 1911 წელს ქუთაისში გამოცემული „ქართული მართლწერა“. ჟურნალ „განათლებაში“ დაიბეჭდა გრიგოლ ყიფშიძის ბიბლიოგრაფიული წერილი, სადაც დადებით მხარეებთან ერთად აღინიშნა წიგნის მცდარი დებულებები. გრ. ყიფშიძე მკაცრად აკრიტიკებს ამ პროექტში მიღებულ ზოგიერთ ნორმას, რომელიც ეწინააღმდეგება ქართლური კილოს მონაცემებს და როგორც გაუმართლებელ იმერულ ფორმას, მას არ შეიწყნარებს. ლიტერატურის ენა. როგორ უნდა გვესმოდეს, ავტორის აზრით, ქართული სალიტერატურო ენის მიმართება დიალექტებთან?

„ქართლის კილოსა და ლაპარაკს უნდა დავუგდოთ ყური“, — ამ თვალსაზრისით არის დაწერილი ყიფშიძის წერილი. მკაცრი იყო ავტორის დასკვნა: „თუ ქართლის კილოს აღვიარებთ სალიტერატურო ენის ქვა-კუთხედად, რაიცა აუცილებელია პროგრესისა და კულტურის ინტერესებისათვის, მაშინ ზემოხსენებულ წიგნაკში (იგულისხმება „ქართული მართლწერა“ — **შ. ძ.**) ბევრი უნდა მივიჩნიოთ წყლის ნაყვად და უსაქმური კაცის ჩხირკედელაობად“. არ არის დავიწყებული წიგნის დადებითი მხარეებიც: წიგნაკში ბევრი მართალი შენიშვნაც არისო.

გრ. ყიფშიძის სტატიას გამოეხმაურა სილ. ხუნდაძე.

სილ. ხუნდაძე იცავს „ქართული მართლწერის“ ნორმებს. მაგ., უნდა დავაკანონოთ „კეთილ კაცს“, „მოვიდენ“ და არა ყიფშიძის პროექტი — „კეთილს კაცს“, „კეთილის კაცის“, „მოვიდნენ“ და მისთანანი. ხუნდაძე არ უარყოფს, რომ ქართლური სალიტერატურო ენის ფუძე-დიალექტია. მართალია, „ქართლის ენის ს ა ძ ი რ კ ვ ე ლ ო ბ ა ს ჩვენ არ უარვყოფთ, — ამბობს ავტორი, — ხოლო კედლებისა და საზოგადოთ ენის შენობის სილამაზის შემოქმედებაში სრული ნება აქვს მონაწილეობა მიიღოს, მაგალითად, იმერულმა“.

სხვა ადგილას უფრო კატეგორიულად არის გამოთქმული სილ. ხუნდაძის თვალსაზრისი: „სალიტერატურო ენისათვის მარტოთ-მარტო არც ქართლის ენა გამოდგება, არც კახეთისა, არც იმერეთისა და არც სხვა კუთხის. ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: სალიტერატურო ენის შექმნაში მონაწილეობას უნდა იღებდეს მთელი ხ ა ლ ხ ი, მთელი ერი, და არა რომელიმე ერთი კუთხე, რადგან ზოგიერთი ტერმინი ან ფორმა ერთი კუთხისაა აზრიანი და კეთილხმოვანი, ზოგი კი მეორე კუთხისა. ხ ა ლ ხ ი ს შემოქმედება მარტო ერთ კუთხეში კი არ ამოძრავებს ადამიანის ნიჭს, არამედ ყოველ კუნჭულში“ და თუ ზოგჯერ

იმერულში აღმოჩნდება სალიტერატურო ენისათვის მისაღები ფორმა ან სიტყვა-გამოთქმა, არ იქნება სწორი, ვთქვათ, „ეს იმერულია და ამიტომ არ მინდა მივიღოო“. სანიმუშოდ დასახელებულია მ ქ ვ ი ა, მ შ ი ა, მ წ ყ უ რ ი ა ტიპის ფორმები (ესენი დასავლეთში იხმარება, მ ქ ვ ი ა ნ... უარსაყოფელიაო).

ჟურნალის ამავე ნომერში დაიბეჭდა გრ. ყიფშიძის „პასუხად ბ-ნ ხუნდაძეს“, სადაც ნათქვამია: „ჩვენ სრულიადაც ათვალწუნებით არ ვეკიდებით ამ კილოებს (იგულისხმება დასავლური კილოები — **შ. ძ.**), როგორც იქნებ ბ-ნ სილოვანს ეგონოს; პირიქით, დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ და დიდის სიხარულითა და აღტაცებით ვეწაფებითო!“... დამოწმებულია დ. კლდიაშვილისა და ეგნ. ნინოშვილის შესანიშნავი ნაწარმოებები, სადაც გამოვლენილია ბევრი საყურადღებო კილოური მოვლენა, ღირსი ლიტერატურული კანონიზაციისა. ასევე ესარჩლება ავტორი ფშაურ კილოს, რომლის საღი ფორმები და ლექსიკური ერთეულები გვხვდება ვაჟასა და ბაჩანას ნაწერებში.

გრ. ყიფშიძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ლაზურ-მეგრულსა და სვანურს საზოგადო ქართული ენის ისტორიული განვითარების შესწავლისათვის: „ლაზურ-მეგრული და სვანური შუქსა ჰფენს ჩვენის საერთო და საზოგადო ქართულის იმ პერიოდს, როცა ჯერ ჩვენის ერის ისტორია არც კი დაწყებულიყო: ბევრი ძირი და ფესვი ჩვენის სიტყვებისა, აწ უკვე გაუგებარი, შესაძლოა მივიკვლიოთ ამ იდიომების შესწავლითაო“, სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა გრ. ყიფშიძე.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის ძალიან საყურადღებოა ის გარემოება, რომ ავტორი მეგრულ-ჭანურ-სვანურის მონაცემებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქართული სალიტერატურო ენის სტრუქტურის შესწავლის თვალსაზრისით. მოვუსმინოთ მას: „...ლაზური, მეგრული, სვანური დიდის ყურადღებისა და შესწავლისა და კვლევა-ძიების ღირსად მიგვაჩნია. მაგ., იდიომების შესწავლას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენის საერთო, სალიტერატურო ენის ბუნებისა და აგებულების შესწავლის საქმეში...“. სწორი დასკვნაა.

ეს ვრცელი ციტატები იმიტომ დავიმოწმეთ, რომ გვეჩვენებინა, რა საღი შეხედულებები იყო გამოთქმული ქართული ენის შესახებ ჩვენი ენის ცნობილი გუშაგების მიერ.

გრ. ყიფშიძე თავისი დებულების საილუსტრაციოდ ასახელებს საინტერესო მაგალითებს. გვაქვს სიტყვა „ჩაქინდვრა თავისა“ („რას ჩაგიქინდრავს თავი?“). ქართველი ამ სიტყვას ხმარობს, მაგრამ არ ესმის მისი თავდაპირველი შინაარსი, „არა იმერელი მწერლისათვის“ ეს გამოთქმა ბუნდოვანიაო. სამაგიეროდ, იმერულში გვაქვს, — განაგრძობს ყიფშიძე — სიტყვა **ქინდრი**, რომელიც ნიშნავს კეფას, კისერს, ქედს. აი, ასე ამდიდრებს, კერძოდ, იმერული ჩვენს ენასო.

კიდევ ერთი მაგალითი:

გრ. ყიფშიძე ამბობს, რომ ქართლურში არის სიტყვა **ჯიხური**. ამ სიტყვის „ძირი და მისი პირვანდელი აზრი ძნელად მისახვედრია, რადგან მისი შეგნება ქართელს აღარ აქვს“, მაგრამ მეგრულად **ჯიხა** ნიშნავს ციხეს, კოშკს და არის სოფელი **ჯიხაიშიო**, დასძენს ავტორი.

პეტრე მირიანაშვილი თანამედროვე სალიტერატურო ენის საყრდენ კილოდ მესხურ მეტყველებას მიიჩნევს. ავტორი იმოწმებს ქართული სალიტერატურო ენის ძველ საფეხურებს და აღნიშნავს, რომ სამხრეთ საქართველოს მეტყველებამ უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი სამწერლობო ენის ისტორიაში. მირიანაშვილმა ბრძოლა გამოუცხადა რაზიკაშვილების მიერ შემოტანილ ფშაურ ფორმებს სალიტერატურო ენაში.

პ. მირიანაშვილის შეხედულებას აკრიტიკებს ნიკო ურბნელი (ნ. ხიზანიშვილი) თავის წერილში „მესხური კილო და მისი მოსარჩლე“.

ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველამ სალიტერატურო ენის საორიენტაციო დიალექტად ფშაური კილოც ჩათვალა.

ზემოთქმულიდან გასაგებია, თუ როგორ იდგა დიალექტიზმებისადმი ახალი ქართული სალიტერატურო ენის მიმართების საკითხი. ისტორიულად სამწერლობო ენის განვითარებაში მეტ-ნაკლებად რამდენიმე ქართული დიალექტი იღებდა მონაწილეობას, მაგრამ ფუძედიალექტს ქართლური წარმოადგენდა. სხვა კილოების მონაწილეობა წიგნის ენის ფორმირებაში ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა ახალი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისას. ჩვენი სალიტერატურო ენის თეორეტიკოსები ერთხმად აღიარებდნენ, რომ ლიტერატურულმა ენამ მთელი სისავსით უნდა შეისრუტოს ის მრავალფეროვანი ქართული დიალექტური ელემენტები, რომლებიც დედაენის საერთო სტრუქტურის თვალსაზრისით გამართლებულია.

ასე განისაზღვრა ჩვენი ენის გეზი და მიმართულება.

ჰ და **ს** პრეფიქსების საკითხი დაუსრულებელ დავას იწვევდა ყოველთვის. ზოგიერთი გრამატიკოსი ამ ნიშნებს ზმნაში ზედმეტად მიიჩნევდა, ზოგიერთი კი მათ ხელშეუხებლობას აღიარებდა.

აქ აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი:

როდესაც მსჯელობდნენ **ჰ** და **ს** ნიშნების თაობაზე, ყურადღებას არ აქცევდნენ მათი გამოყენების მორფოლოგიურ წესს, — საკითხი განიხილებოდა მხოლოდ და მხოლოდ ფონეტიკის თვალსაზრისით. სხვანაირად რომ ვთქვათ, იმას კი არ ამბობდნენ, გარკვეული კატეგორიის ზმნებში **ჰ**-ს ვიხმართო და გარკვეული კატეგორიის ზმნებში არაო, არამედ მარტივად აყენებდნენ საკითხს: ან ყოველ ზმნასთან, ან არც ერთთან!

ძველ ქართულ ლიტერატურულ ენაში კი, როგორც ცნობილია, გარკვეული კანონზომიერება იყო დაცული: მეორე პირის სუბიექტურ

ნიშნად, მაგალითად, **ჰ, ს** (იყო სხვა ნიშნებიც) თხრობით კილოში იხმარებოდა, ბრძანებითში — არა. ასე, „ჰპოვე"-ც იხმარებოდა, „პოვე"-ც, „სწერე"-ც და „წერე"-ც; იმისდა მიხედვით, თუ რა როლს ასრულებდნენ წინადადებაში. ასევე: მესამე ობიექტურ ნიშნად **ჰ, ს** (იყო სხვა ნიშნებიც) ისეთ ზმნას მოუდიოდა, რომელიც ირიბობიექტიანი იყო. ამიტომ იხმარებოდა „კლა" (და არა „ჰკლა"); მაგრამ: „ჰკითხა" (და არა „კითხა"); იხმარებოდა „წერს" (საერთოდ). მაგრამ: „სწერს" (წერილს მას). ძველი ქართულის ამ კანონზომიერებას სალიტერატურო ენის იმდროინდელი თეორეტიკოსები არ ითვალისწინებდნენ.

ჰაეს წინააღმდეგ თავგამოდებით იბრძოდა სილ. ხუნდაძე როგორც თავის ცნობილ „ქართულ გრამატიკაში" და გამოკვლევაში „სალიტერატურო ქართული", აგრეთვე პოლემიკურ წერილებში, რომლებიც ქვეყნდებოდა 90-იანი წლების ქართული პრესის ფურცლებზე. ჯერ კიდევ 1889 წელს სილ. ხუნდაძე აკრიტიკებდა არ. ქუთათელაძის „ქართულ გრამატიკას" და მიუთითებდა, რომ **ჰ** უნდა განიდევნოს როგორც ზმნებიდან, ისე **ჰაზრი** სიტყვიდან. იმავე წელს არ. ქუთათელაძემ არ გაიზიარა ხუნდაძის მოთხოვნილება და **ჰაეს** ხმარების აუცილებლობა იმით დაასაბუთა, რომ **ჰ**-ს ხმარობენ რუსთაველი, საბა, გურამიშვილი, ილია, აკაკი, რ. ერისთავი; აკაკი **ჰაზრი** სიტყვასაც ხმარობსო. „პასუხის პასუხში" სილ. ხუნდაძემ უფრო გაამახვილა ყურადღება მის მიერ წამოჭრილ საკითხზე: 1. არც ერთ ძირეულად ქართულ სიტყვაში **ჰ** არა გვაქვსო, ამბობდა ავტორი, **ჰაერი, ჰავა, ჰუნე, ჰუბუტი** ნასესხები სიტყვებია და არ არის შემთხვევითი, რომ ხალხში **ავა, აერი** იხმარებაო. აქედან: 2. ზმნაშიც „ხორცმეტია" **ჰ**: იგი იხევია გასადევნი, როგორც **ჯ, ჲ, ჱ**...

პრეფიქსების საკითხს გამოეხმაურა იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც „გიორგიძის" ფსევდონიმით „ივერიაში" მოათავსა წერილი — „ქართული ენა და სილოვანი": ავტორი ამბობს, რომ „ჰქონია"-ს თუ **ჰ** ჩამოვაცალეთ, „ქონია" გამოვა, ე. ი: „ქონი არისო". უმთავრესად აკრიტიკებს „მიცა" „ფორმას": „მისცა" იხმარება ძველ ენაში, ქართლურ-მესხურ დიალექტებში; „მიცა"-ს არც იმერული უჭერს მხარსო. უფრო ვრცლად ჩერდება იაკობი „მიცა" ფორმაზე წერილში: „ენის მკვეცელებს".

ჰაე-სანის პრობლემას იაკობ გოგებაშვილი არსებითად წყვეტს იმის მიხედვით, რომ ამ ნიშნების უხმარებლობა ორაზროვნებას ქმნის, რასაც, ავტორის აზრით, ენა თავს უნდა აღწევდეს.

იაკობი აკრიტიკებს „კვალს", რომელიც „ამჯობინებს ორ-აზროვან ფორმებსა და ცთილობს გაამეფოს ამრევ-დამრევი კილო": ავტორის აზრთა განვითარება ასეთია: ვთქვათ, ზმნები „ცთილობს, ცხოვრობს"

მოითმენენ უპრეფიქსობას, მაგრამ როგორღა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ასეთი ფორმები: „ბავშვს მიძინებია“ — „მე ბავშვი მიძინებია“, „შედგა ბოთლი“ — „შედგა იგი“, „გადგა სურა განზე“ — „გადგა თვითონ განზე“ და სხვა. პირველ შემთხვევაში უნდა იყოსო: „მისძინებია“, „შესდგა“, „გასდვა“... ანდა: სიტყვაში „ჰყვავის“ ჰ რომ ჩამოვაშოროთ („ყვავის“), მივიღებთ სიტყვის — „ყვავის“ ნათესაობით ბრუნვას; „შეკრა ძნა“ — „შეკრა გამიძნელდა“. უნდა იყოს: „შეჰკრა ძნა“.

სილოვან ხუნდაძემ „კვალის“ ფურცლებზე გააკრიტიკა გოგებაშვილი: გრამატიკულ საკითხებს იმის მიხედვით წყვეტს, რომ ორაზროვნება თავიდან ავიცდინოთ, კონტექსტს კი ანგარიშს არ უწევსო!

ჰაესა და **სანის** საკითხის გარშემო კამათი ატყდა ჟურნალ „განათლებაშიც“. 1911 წელს ჟურნალის მეხუთე ნომერში დაიბეჭდა სამ. ცომაიას წერილი სიმონ ქვარიანის ცნობილი წიგნის — „საქართველოს ისტორიის“ თაობაზე. ავტორი მიუთითებს წიგნში გაპარულ ზოგიერთ პროვინციალიზმზე. „მძიმე გრამატიკულ შეცდომად კი ბ-ნ ს. ქვარიანის „ისტორიაში“ უნდა ჩაითვალოს ჰ-ს განდევნა ხმარებიდან... თავისებურება. ჰ-სი ქართულ ფონეტიკაში ყოველ დაკვირვებით მოაზროვნე ქართველისათვის აშკარაა და ამიტომ მისი განდევნა ალფაბეტიდან... გასაკიცხიაო“, დაასკვნის სამ. ცომაია.

სიმონ ქვარიანი თავის საპასუხო წერილში სომხურისა და სპარსულის ზეგავლენით ხსნის „ჰ-ს შემორჩენას ჩვენს ენაში. იგი შესაძლებლად მიიჩნევს ამ ბგერის დატოვებას სიტყვაში „ჰაერი“ და შორისდებულებში: აჰა, ჰე, ოჰ, ჰოჰ, ჰერი და ზოგიერთ უცხოურ სიტყვაში, როგორიცაა, მაგალითად, ჰაოსი, შაჰაბასი, შაჰი, ჰეინე და სხვ.

ჟურნალის იმავე ნომერში გამოქვეყნებულია ი მ ე რ ე ლ ი ს წერილი სათაურით: „განა **ჰაე** ხორცმეტია?“ ავტორს ჰგონია, რომ ძველ ქართულ ტექსტებში (დასახელებულია ნ. მარის მიერ გამოცემული ხანძთელის ცხოვრება) გარკვეულ შემთხვევაში **ჰაეს** არხმარება „დაუდევრობის ბრალია“ (ან ძველი ავტორების, ან ძეგლის მეცნიერ-გამომცემელთა), თორემ ეს ასო ყველგან უნდა იყოს დაწერილიო (მაგალითები: „ყვეს“, „ყავ“ და სხვა). ამ წერილს გამოეხმაურა სილ. ხუნდაძე.

სილ. ხუნდაძემ წერილში „სალიტერატურო ქართული“ (1901) ფართოდ ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები **ჰაე-სანის** ხმარების შესახებ. ავტორი თვლის, რომ ჰ ძველად უცხოური ენების გავლენით შემოუღიათ, ხალხში კი ჰ არ ისმის და მის შემცველ სიტყვებს ასე გამოთქვამს: „ხაერი“ — „აერი“, „ხავა“ — „ავა“ და სხვა. ძველ მწერლობაშიც ყოველთვის არ იხმარებოდა ჰ; დღევანდელ ქართულშიც ჰ-ს გამოყენებაში სრული არევ-დარევაა. რაც შეეხება ს-ს, იგი კე-

თილხმოვნების თვალსაზრისით უნდა გამოვიყენოთ ზმნებში. მაგ., უნდა იყოს „მისცა“, „გასცა“ და არა „მიცა“, „გაცა“, საჭიროა ეს ბგერა ცხრა თანხმოვანის წინ და ა. შ.

ამრიგად, ხუნდაძე **ჰაე-სანის** საკითხს კეთილხმოვანების პრინციპის მიხედვით აშუქებს.

სადავო იყო ამ ტიპის ფორმები: „მოვიდნენ“ — „მოვიდენ“, „იდნენ“ — „იყვენ“.

სილ. ხუნდაძე თავის წერილში ასაბუთებდა, რომ კეთილხმოვანება მოითხოვს **დენ, ენ** დაბოლოებებს. „სალიტერატურო ქართულში“ ავტორი ვრცლად ეხება ამ საკითხს და აღნიშნავს, რომ ძველ მწერლობაშიაც არაიშვიათია გამარტივებული დაბოლოებები **დენ, ენ**. „ვისრამიანში“ **დნენ** სულ არ იხმარება, რამდენიმე მაგალითიღაა **ნენ**-ის ხმარებისა, უმეტესად მის ადგილს ეს დაბოლოება იკავებსო („მოვიდეს“, „იყვნეს“...), ასევე იმოწმებს „ვეფხისტყაოსანს“, შემდეგ საბას, გურამიშვილის და სხვათა ნაწერებს.

იაკობ გოგებაშვილი თავგამოდებით იცავდა **დნენ** დაბოლოებას. ავტორისათვის ამოსავალი დებულება ისევ და ისევ ორაზროვნებაა, რომელსაც იწვევს გამარტივებული დაბოლოება და რომელიც დასაგმობია ენაში. მაგალითები: „ავიდნენ ისინი ზევით“ — „ავიდენ მე ბოლსა“, „მოვიდნენ ისინი ჩვენსას“ — „მოვიდენ მე ოფლსა“. „ადგნენ სტუმრები ზეზე“ — „ადგენ წიგნსა“ და სხვა. მათი გაერთიანება კი გამოიწვევს ორაზროვნებასო, დაასკვნის ავტორი. ამავე თვალსაზრისს იცავდა გრ. ყიფშიძეც: მასაც სწამდა, რომ **დენ** დაბოლოების გაბატონება შეიძლება იყოს წყარო გაუგებრობის და ორაზროვნებისა.

სილ. ხუნდაძემ ჟურნ. „განათლებაში“ მოთავსებულ წერილში ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი თავისთავად სწორ დებულებას, რომ კონტექსტს ენაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს: „ისინი წავიდენ“ — „ცხვირში სისხლს წავიდენ“ როგორ უნდა გაარჩიოთ? — ამბობს სილოვანი, — ძალიან ადვილათ: თუ რომ ცხვირში სისხლის დენა გენატრებათ და ან სიცხე მოგცესთ და ოფლი იდინოთ, მაშინ სისხლის დენასა და ოფლის მოდენაზე ილაპარაკეთ, და თუ წასვლა-წამოსვლაზეა ლაპარაკი, იმედია მიხვდებით, რადგან ამის გაგებას დიდი სიბრძნე არ სჭირდება“.

„ივერიასა“ და „კვალს“ შორის დიდი კამათი ატყდა ზმნის ფორმების **აღვიარებ** და **ვაღიარებ** გამო. კამათში მონაწილეობა მიიღეს: აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, გიორგი წერეთელმა, სილოვან ხუნდაძემ, კოტე დოდაშვილმა, დუტუ მეგრელმა და სხვებმა.

აკაკი წერეთელმა ამ საკითხს მიუძღვნა 3 წერილი, იაკობ გოგებაშვილმა — 10 წერილი და 17 ფელეტონი, გიორგი წერეთელმა — 4

წერილი, სილ. ხუნდაძემ — 6 ფელეტონი, კ. დოდაშვილმა — 7 ფელეტონი, დუტუ მეგრელმა — 1 წერილი.

საკითხი ასე წამოიჭრა: აკაკი წერეთელმა „კვალის“ 1894 წლის 28-ე ნომერში მოათავსა წერილი სათაურით: „ჰრელი ფიქრები“, სადაც შეეხო ი. გოგებაშვილის საბავშვო ზღაპრებს, დაბეჭდილს „ივერიაში“. ზღაპრის შინაარსი ასეთია: ერთი ჭკვიანი დაითანხმებს გუგულს, რომ გალობაში ბულბულს შეეჯიბროს, მოსამართლედ დანიშნავენ ვირს. გაიმართება მეჯლისი და შეეჯიბრებიან ერთმანეთს გუგული და ბულბული. ვირი გუგულის სასარგებლოდ გამოიტანს განაჩენს და ასე დაამარცხებს ბულბულს, რომელთანაც მას კერძო ინტერესები აქვს. აკაკის მოჰყავს ზღაპრის შინაარსი და დასძენს: „ერთი წუნი ამ ვირისა ის არის, რომ ქართული არ სცოდნია: იმის ნაცვლად, რომ გუგულს უთხრას პირველ მგალობლად „აღგიარებ“, ჩიქორთულად ეუბნება „გაღიარებ“.

ამას მოჰყვა იაკობის პასუხი „პაწია სამაგიერო“. აქ აღნიშნულია, რომ **აღგიარებ** ძველი ფორმაა, **გაღიარებ** — ახალი. ორივე მართებულია, ამჟამინდელი ფორმა კი დასაკანონებელიაო.

წერილში „არ ცოდნა არ ცოდვაა“ აკაკი წერეთელი ამბობს: „ბატონმა დოდაშვილმა, გიორგი წერეთელმა და მე დავასკვენით პირობა, რომ „კვალისათვის“ კიდევ ერთი განყოფილება მოგვემატებია: „ს ა ს წ ო რ-მ ე ტ ყ ვ ე ლ ო“ და ჩვენს მწერლობაში როცა შევნიშნავდით ურიგო ქართულს, გვემხილებია ხოლმე. პირველი ისარი გავტყორცნე და იმ ისარმაც ყურში გაუზუზუნა ბ-ნ იაკობ სიმონის ძეს“ (ი. გოგებაშვილს — **შ. ძ.**). შემდეგ დასძენს, არ გვეგონა, რომ იაკობი იწყენდა ჩვენს შენიშვნასო. პაექრობაში სხვებმაც მიიღეს მონაწილეობა და, ამრიგად, ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ორგანო: „კვალი“ და „ივერია“.

აღვიარებ-ვაღიარებ ფორმების გამო გამართულ პაექრობას მოჰყვა იუმორისტული ხასიათის ლექსები როგორც „კვალში“, ისე „ივერიაში“.

„ივერიაში“ დაიბეჭდა სახუმარო ფელეტონი, რომელსაც ხელს აწერს „ივანიკა და გოჯასპირი“. როგორც ამჟამად გამორკვეულია, ეს ფსევდონიმი იაკობ გოგებაშვილისაა.

აღვიარო ფორმის უპირატესობის საენათმეცნიერო დასაბუთება სცადა კ. დოდაშვილმა, რომელმაც „კვალში“ გამოაქვეყნა რამდენიმე ფელეტონი. ავტორის აზრით, ეს ფორმა საღვთო წერილში გვხვდება; „წინ ჯდომა პირის მაჩვენებლისა უნდა ჩაითვალოს საზოგადო კანონად ქართულის ზმნებისა“ (**ვაღიარო** თუ სწორია, მაშინ კანონიერი იქნება ასეთი ფორმებიც: **„ვადაწერ“**, ე. ი. დავწერ და მისთანანი). „მკითხველებისათვის მიგვინდია, იმათ გასინჯონ, აკაკი თუ ბატონი სიმონიძე (გოგებაშვილი — **შ. ძ.**) სჭრის ხარს კუდსა და შუბლზე აბამს“. ამას-

თანავე, დოდაშვილი გრამატიკული ცნებების აღრევას უკიჟინებს გოგებაშვილს.

ი. გოგებაშვილი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ საანალიზო ფორმაში „აღ“ პრეფიქსი (sic) შეხორცებია ძირს „იარ“, „შენ მე მაღიარებ და არა აღმიარებ, უღიარებია და არა აღუარებია...“

გ. წერეთელი მხარს უჭერდა ფორმას — **აღვიარო;** ძველ ქართულში **ვაღიარო** შეუძლებელი ფორმაა და გოგებაშვილის მიერ დამოწმებული ადგილი „წმინდა ესტატეს ცხოვრებიდან“ სარწმუნო არ არის, ხელნაწერის დაზიანების ბრალია, როგორც ამას დიმ. ყიფიანიც ადასტურებსო. გ. წერეთელი საბინინისეულ ტექსტს უდარებს ხელნაწერს, სადაც არ გვხვდება **ვაღიარო.**

„კვალში“ 1894 წელს დაიბეჭდა სილ. ხუნდაძის წერილი უცნაური სათაურით: „ვინ უნდა გამართოს სადილი?“.

„მე ვიყავი მედიატორედ, — ამბობს სილოვანი, — კამათმა გამოარკვია, რომ გოგებაშვილი არ არის მართალი“; რაკი თავიდანვე დათქმული იყო, რომ წაგებულმა სურამში უნდა გამართოს სადილი, ამიტომ ი. გოგებაშვილი ვალდებულია ეს პირობა შეასრულოსო. ავტორი დასძენს: „მიგვიპატიჟოს სადილათ... და ჩვენ ჩვენი მხრით მოლხენას არ მოვაკლებთ: აკაკი შაირებით დაატკბობს საზოგადოების სმენას, ვე ჩანგურს დავუკრავ და ზედ დავამღერებ ჩვენებურათ — ძველებურათ. დასასრულ ბატონ სიმონიძის (გოგებაშვილის — **შ. ძ.**) სადღეგრძელოს გიახლებით და ვისურვებთ მის ბედნიერ ცხოვრებას და წარმატებას ქართული ენის საკეთილდღეოთ და ჩემს სიტყვას ასე დავასრულებ:

„ესეც ღმერთმან ადღეგრძელოს,
ვის უღვივის კვლავ იმედი,
ვის ახარებს, ვის აცოცხლებს
ქართულ ენის კარგი ბედი,
ვინ არ ზოგოს იმისათვის
თვით სიცოცხლე, თვისი მკერდი,
გაუმარჯოს „აღგიარებ“-ს
წმინდა ქართულს ალავერდი!“.

აღსანიშნავია, რომ **აღვიარო-ვაღიარო** ფორმათა საკითხი დასმულია სალიტერატურო ქართულის ნორმების პროექტში, რომელიც დაიბეჭდა 1921 წელს („სალიტერატურო ქართულისათვის. პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად, შემუშავებული საორგანიზაციო კომისიისა და მიღებული სასწავლო კომიტეტის მიერ“). იქ მიღებულია **აღვიარებ, აღვიარე,** ნაცვლად ამისა: **ვაღიარებ, ვაღიარე.**

ახალ სალიტერატურო ენაში დაკანონებულია ფორმა: **ვაღიარე.**

ენის სიწმინდის დაცვის ინტერესები მოითხოვდა, რომ ყურადღება

გამახვილებულიყო ქართული ენის კონსტრუქციებზე, თავიდან აგვეცდინა სხვა ენების გავლენები წინადადების აგებულებაში, არ დაჩრდილულიყო ქართული ბუნებრივი ფრაზეოლოგიზმები, არ შეყვნილიყო „სული ენისა“.

სალიტერატურო ქართულის თეორეტიკოსები ამ გარემოებასაც აქცევდნენ ყურადღებას.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა დიმიტრი ყიფიანის (ბაქარ ქართლელის) წერილი „უცნაური ნადირობა“, მოთავსებული 1880 წლის ჟურნალ „ივერიაში“. ავტორი აანალიზებს ოცამდე წინადადების კონსტრუქციას და ასაბუთებს მათს შეუფერებლობას ჩვენი ენის სინტაქსის თვალსაზრისით. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს:

1. „სიკვდილს მორჩა“, „ხიფათს გადარჩა“. მორჩა ნიშნავს: გაათავა, შეასრულა. უნდა ყოფილიყო: „სიკვდილს გადარჩა (ან გადაურჩა)...“.

2. „უფროსთან მუნდერში მივიდა, მერე კი სერთუკში იყოო“; „ავათმყოფი მოვლაში ჰსაჭიროებს და მშიერი საჭმელშიო“. დ. ყიფიანი ასეთ შენიშვნას აკეთებს: „ქართველი იტყვის: ალბათ ის მუდრეგი მუნდერი ისეთი რამ ყოფილა, რომ უფროსიცა და უმცროსიც ორნივე შიგ თავსდებოდნენო“. უნდა: „მუნდირით მოვიდა, სერთუკით იყო; ავადმყოფს სჭირდება მოვლა, მშიერს — საჭმელი“.

3. „წყლის იქით“, „მთის იქით“, „სახლის უკან“... ასწორებს: „წყალს იქით“, „მთას იქით...“.

4. „სპილო მძლავრი პირუტყვია, ხილის ნაყოფი უყვარს და ხორციელს არა სჭამსო“; ასწორებს: „სპილო ძალოვანია“ (მძლავრი ნიშნავს მედიდურს, ამაყს...); „ხილის ნაყოფი არის მეტისმეტი პლეონაზმი, — ამბობს ყიფიანი, — რადგან ხილი არის ნაყოფი და ნაყოფი არის ხილი“. უნდა ითქვას „ხის ნაყოფი“.

5. „ვერ დავინახავ, თვალი თუმცა ახილული მქონდესო“. ასწორებს: „ვერ დავინახავ, თვალი თუმცა ახილული მაქვს“.

ავტორი მოუწოდებს მწერლებს, „ნაწილ-ნაწილად“ დაყონ „უშველებელი პერიოდები“, რათა წინადადება უფრო ელასტიკური იყოს.

იმავე ჟურნალში მოთავსებულია სარედაქციო წერილი სათაურით „ხილად“, სადაც განხილულია რუსული ენის გავლენით შემუშავებული წინადადებები. მაგალითი: „ჩვენ არ გარდავსთვლით (перечислим) ყველა იმ პირობებს“ (გვ. 120). რუსიციზმად არის აგრეთვე მიჩნეული პირის ნაცვალსახელების უადგილო და მოჭარბებული ხმარება ქართულში, მაშინ როდესაც ისინი (ნაცვალსახელები) თვითონ ზმნაში იგულისხმებიან, ჩვენის ენის გრამატიკულ ფორმის წყალობითა“.

წერილში „გაზეთი „ივერია“ და მისი ენა“ სილ. ხუნდაძეს მოჰყავს ქართული ენისათვის შეუფერებელი წინადადებები, მაგ., „თუ ბოლგა-

რია ან სერბია რუსეთის პოლიტიკის მომხრეობას გასწევენ, მაშინ ავსტრია რუსეთის წინაშე მეტად სუსტი იქნებოდა". დროში შეუთანხმლებობა არისო. ასეთი მაგალითები წერილში მრავლადაა დასახელებული. იგივე ავტორი ერთ წერილში იწუნებს ილიას ლექსიდან ადგილს: „თვალში ცრემლით განებებთ თვალსა" — რუსიციზმიაო.

სტილისტური დამახინჯების საინტერესო მაგალითებია დამოწმებული თედო სახოკიას წერილში „ქართული ენა", რომელიც რამდენიმე ფელეტონად დაიბეჭდა „სახალხო გაზეთში" 1911 წელს (№ 340, 343 და სხვა).

წერილში „პასუხად „კვალის" რაზმსა" ი. გოგებაშვილი ასახელებს ქართული კონსტრუქციების შებღალვის საგულისხმო ნიმუშებს. დავიმოწმოთ ერთი მათგანი: „ამითი მაინც მოგეცით მიზეზი ჩემი შეცდომები აღგედგინათ (შეცდომებს განა აღდგენა უნდათ და არა გამტყუნება?) და კიდევ უფრო დიდი ნათელი მოეფინებათ ჩვენს (?) ისტორიის წყვდიადზედ (გამოდის ჩვენი წყვდიადი ისტორიისა, რომლისა?). თუ სხვა სარგებლობა არა მომიტანია რა, თქვენი გენიოსური სტილი მოსაზრება და კვლევა მაინც გამომიწვევია თქვენგნით (თქვენი სტილით თქვენგნით გამომიწვევია — ზეთიანი ზეთი გამომიხდია). როგორც მოგეხსენებათ, ქუთაისის ქალაქში, (ქუთაისის სოფელი რომელიღაა?!) უნდა აშენდეს სასულიერო სემინარიისათვის სახლი, რომლის ასაშენებლად (აშენდეს ასაშენებლად?) ჯერ ჯერობით ადგილი არ არის გადაწყვეტილი (ადგილი ამოირჩევა და არა გადაწყდება), მაგრამ ყოვლად სამღვდელო გაბრიელი და უმრავლესობა სამღვდელოებისა კი გადაწყვეტით (აკი გადაწყვეტილი არ არისო?) ამბობს (ეპისკოპოსი ღა სამღვდელოება ამბობს? დამიხედეთ რედაქტორის ეტიმოლოგიას) ბაგრატის ტაძრის გვერდით ძველი ციხის დანგრევას (დანგრევას ამბობს?)... მეათე საუკუნისა და მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს (ორი საუკუნის დამდეგს მეფედ ყოფნა? პირჯვარი დაიწერეთ) ყოფილ მეფედ მოგვაჩვენაო".

მოსაწესრიგებელი იყო საერთაშორისო სიტყვების დაწერილობის საკითხებიც.

გაზ. „ივერიამ" (№ 261, 1903) საგანგებო მეთაური მიუძღვნა ქართულ სალიტერატურო ენაში უცხოური სიტყვების დანერგვასა და გავრცელებას. მეთაურში აღნიშნულია, რომ საერთაშორისო სიტყვები უნდა შემოვიდეს ჩვენს სალიტერატურო ენაში ზომიერად. ამასთანავე, ეს სიტყვები უნდა დაემორჩილოს ქართული ენის ფონეტიკურ სისტემას, „ისე როგორც დედა-ენის გრამატიკა, მისი ბუნება და აგებულება მოითხოვს და უცხო სიტყვების ზომიერი ხმარება ჩვენს ენას ვერას დააკლებს, ვერ შეჰბღალავს, რადგან ყოველი სიტყვა დაექვემდებარება

დედაენის გრამატიკას, მის დარჯაკში გაივლის და ისე მოიქნება, როგორც ყოველი ქართული სიტყვაა მოქნილი".

„წერილში რედაქციის მიმართ" ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ბევრი მწერალი უალაგო ადგილას ხმარობს უცხოურ სიტყვებს, მაშინ როდესაც ჩვენს ენას ბლომად მოეპოვება სათანადო სიტყვები და გამოთქმები.

სილ. ხუნდაძის გამოკვლევაში „სალიტერატურო ქართული" ფართო ადგილი ეთმობა ჩვენს ენაში შემოსულ უცხოურ სიტყვებს. ავტორი მიუთითებს მთელ რიგ დამახინჯებებზე და დაასკვნის, რომ „ამ შემთხვევაშიც ენის სიწმინდის დაცვა მწერლობის აუცილებელ მოვალეობას შეადგენს". ისიც ნათქვამია, რომ ძველად ჩვენს ენაში დაინერგა ბევრი არასაჭირო უცხოური სიტყვა, რომელთაც განდევნეს ადგილობრივი ლექსიკური ერთეულები. დასასრულ, სილ. ხუნდაძე ილაშქრებს ზოგიერთი უცხოური სიტყვის გადმოქართულების წინააღმდეგ. მაგალითად, შეუწყნარებელია რუსული „სამოვარი" ვთარგმნოთო („თვითმადუღებელი").

როგორც ვიცით, დღევანდელ წერაში (ე. ი. მხედრულ დამწერლობაში) სტრიქონის პირველი სიტყვა, ერთი მხრივ, და საკუთარი სახელები, მეორე მხრივ, მთავრული ასოებით არ იწყება, როგორც ეს, მაგალითად, რუსულ და სხვა ევროპულ ენებშია მიღებული.

მე-19 საუკუნეში დაისვა საკითხი, რომ ქართულშიც შემოეღოთ მ თ ა ვ რ უ ლ ი ა ს ო ე ბ ი.

ჯერ კიდევ დიმიტრი ყიფიანი ამბობდა: „რატომ ასომთავრულებს აღარ ვხმარობთ?... ევროპული ქრისტიანული მართლწერა გეთაკილებათ, თუ უფრო თათრულსა და არაბულს ამჯობინებთ?".

მთავრულებს განსაკუთრებით იცავდა სილ. ხუნდაძე. „სალიტერატურო ქართულში" მან მკვეთრად ჩამოაყალიბა თავისი აზრი ამ საგანზე. ავტორი ამბობს, რომ მხედრულ დამწერლობაში მთავრულებად გამოყენებული იყო ხუცური ასოები. ძველად ხშირად წითლური იხმარებოდა, ე. ი. წითელი მელნით ან კინოვარით წერდნენ ხოლმე სათაურებს და „რომელიმე ტექსტის ინიციალებს". მთავრულები ძალიან აადვილებს კითხვას, ამიტომ მათი შემოღება პრაქტიკული თვალსაზრისით გამართლებულიაო.

ნიკო ჯანაშიამ სასტიკად გაილაშქრა მთავრულების შემოღების წინააღმდეგ, რადგან მიაჩნდა, რომ ამით რთულდებოდა ქართული ორთოგრაფია.

ალ. მირიანაშვილმა უარყო ნიკო ჯანაშიას აზრი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრულების შემოღება ოდნავადაც არ გაართულებს ჩვენს ანბანს, პირიქით, წერტილის შემდეგ რომ მიჯნასავით დიდი ასოა „წამოსკუპებული", იგი „საოცარს შეღავათს აძლევს თვალს და მით

მკითხველს საკვირველად უადვილებს დაწერილის წაკითხვას". ჰიგიენური და პრაქტიკული თვალსაზრისით მთავრულების შემოღება მიზანშეწონილიაო, დასძენს ავტორი.

ჯერ კიდევ პირველ ქართულ ჟურნალში — „ცისკარში" ატყდა კამათი ჩვენი დედაქალაქის სახელწოდების შესახებ.

ალ. სავანელი წერილში „მკითხველისადმი" ასაბუთებდა, რომ მართლწერის თვალსაზრისით უფრო მისაღებია: **თბილისი,** ვიდრე **ტფილისი.** ეს სიტყვა წარმოდგება სიტყვისაგან **თბილი** და რა იქნება, რომ ჩვენ ვთქვათ **ტავი** (თავი), **ტელავი** (თელავი) და სხვა („ცისკარი", 1858).

შემდეგ დაიბეჭდა „ნოტა ბენეს" (ნიკო ბერძენიშვილის) სტატია, სადაც ნათქვამია, რომ ძველ ძეგლებში იხმარებოდა **ტფილი,** რის საფუძველზედაც მიღებულია სახელწოდება **ტფილისი.** ამრიგად, **ტფილისი** უნდა დავაკანონოთო.

ცნობილი გრამატიკოსი არ. ჭუთათელაძე აკრიტიკებდა სილ. ხუნდაძეს, რომელიც ასაბუთებდა **ტფილისის** მართლწერას.

ჩვენი დედაქალაქის სახელწოდების მართლწერას მიეძღვნა 1897 წლის „კვალის" მეთაური: „ტფილისი, თბილისი, თუ თფილისი?" (დაწერილია პ. ჭარაიას მიერ. ხელს აწერს პ. ჭ-ია). ნათქვამია, რომ ძველ ქართულში იყო **ტფილი, სიტფო, სიტფოება.** მოყვანილია მეგრული ფორმა: **ტებ, ტებუ.** მაშასადამე ძირი **ტებ** ყოფილაო; რედუქციით მიჰყვებოთ ტბ, საიდანაც მიღებულია **ტფ;** შემდეგი საფეხურია **თფ,** ამიტომ **თფილისი** უნდა გავაბატონოთო.

ხალხის გამოთქმაში **თფ** ისმის და ამიტომ **თფილისი** უნდა დავაკანონოთო, იმეორებდა სილ. ხუნდაძე თავის „სალიტერატურო ქართულში".

ქართული ორთოგრაფიული საკითხების მომწესრიგებელმა კომისიამ („სალიტერატურო ქართულისათვის", 1921, ტფილისი) სამი სახეობიდან — **ტფილისი, თფილისი, თბილისი** უპირატესობა პირველს მისცა („სატახტო ქალაქის მართლწერა დარჩეს ისტორიული, სახელდობრ ტფილისი", გვ. 16).

ასე იღვწოდნენ ჩვენი ახლო წარსულის მოღვაწეები, ქართული ენის იმდროინდელი თეორეტიკოსები და პრაქტიკული მუშაკები ახალი სალიტერატურო ენის ნორმათა ჩამოყალიბებისა და სრულყოფისათვის, მრავალსაუკუნოვანი სალიტერატურო ქართულის განვითარებისათვის. როგორც ზემომოყვანილი ფრაგმენტული ცნობებიდანაც ჩანს, მეცხრამეტე საუკუნის ქართველმა მწერლებმა და გრამატიკოსებმა არა ერთი და ორი მტკივნეული საკითხი წამოჭრეს და მათს გადაწყვეტას ვარკვეული მიმართულება მისცეს.

ქართული ენის მეცნიერული შესწავლის მოკლე ისტორია

ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ჩვენ ვხვდებით პირველ ცნობებს ქართული ენის შესახებ დასავლეთ ევროპაში. იმდროინდელი მეცნიერები ასე თუ ისე იცნობდნენ ანტიკური ხანის ავტორების აზრებს ქართველი ტომების შესახებ. ამასთანავე, მათს განკარგულებაში იყო აღმოსავლეთის ქვეყნების მოგზაურთა ჩანაწერები, ხელნაწერები, ნაბეჭდი წყაროები. რუსეთში ქართული კოლონიის წევრთა მწიგნობრული ნამუშევარი, ქართული ბიბლიის მოსკოვური გამოცემა და სხვ. წარმოადგენდა მნიშვნელოვან მასალას, რომლის საფუძველზე დასავლეთ ევროპის მეცნიერებს საშუალება ეძლეოდათ ემსჯელათ ქართული ენისა და დამწერლობის შესახებ. იმ ხანებში მსოფლიოს ენათა კლასიფიკაციის საკითხებითაც იყვნენ დაინტერესებული და ამ ჭრილში, ბუნებრივია, ქართული ენა, როგორც ენა უძველესი ხალხისა, ცხოველ ინტერესს იწვევდა. არ შეიძლება გამოვრიცხოთ წმინდა პრაქტიკული მიზნებიც, რამაც განსაზღვრა ლტოლვა ქართული ენის შესწავლისადმი. მისიონერული მუშაობის ფართოდ გაშლა, ცხადია, ვერ ასცდებოდა ამ გზას და აქედან გასაგებია ზრუნვა, რასაც იჩენდნენ დასავლეთში პრაქტიკული ხასიათის გრამატიკებისა და ლექსიკონების შედგენის მიმართ.

1629 წ. რომში გამოდის ს. პაოლინისა და ნ. ირბახის მიერ შედგენილი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, ხოლო 1643 წელს იმავე რომში ლათინურ ენაზე დაიბეჭდა მ ა რ ი ო მ ა ჯ ო ს ქართული ენის გრამატიკა. 1670 წ. გამოვიდა ამ წიგნის მეორე გამოცემა.

1716 წელს საქართველოში, როგორც ვიცით, შეიქმნა პირველი ქართული განმარტებითი ლექსიკონი ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა.

ქართულად დაწერილი პირველი ქართული გრამატიკის ავტორია ზურაბ შ ა ნ შ ო ვ ა ნ ი (დაწერილია 1737 წელს. გამოიცა პეტერბურგში 1881 წელს პროფ. ა. ცაგარლის მიერ).

XVIII საუკუნეში დაიწერა ა ნ ტ ო ნ I-ის (ბაგრატიონის) ფუნდამენტური ქართული გრამატიკა (პირველი ვარიანტი დაიწერა 1753 წელს, მეორე — 1767 წელს; გამოიცა 1885 წელს რ. ერისთავის წინასიტყვაობით). ამ შრომამ დიდი როლი შეასრულა მომდევნო ხანის გრამატიკული აზროვნების ისტორიაში. მისი გავლენით დაიწერა ბევრი სასკოლო გრამატიკა.

პარიზის სააზიო საზოგადოებამ საგრძნობლად წასწია წინ ქართველოლოგიური კვლევა-ძიება. 1823 წელს ამ ავტორიტეტულ საზოგადოებაში მკვეთრად დაისვა საკითხი ქართული გრამატიკისა და ლექსი-

კონის შედგენისა (უმთავრესად აკადემიკოს კ. ლაპრონის ნაშრომების საფუძველზე).

1834 წელს პარიზში იბეჭდება აკადემიკოს მ. ბროსეს ქართული გრამატიკა (გამოცემულია ლითოგრაფიულად), ხოლო 1837 წელს — იმავე ავტორის „ელემენტები ქართული ენისა“.

ჭანურისა და მეგრულის გამოკვლევის პირველი ცდები ეკუთვნის გერმანელ მეცნიერს გ. როზენს (1844—1846 წწ.). მასვე მოეპოვება ცნობები ქართული ენის დიალექტების შესახებ. პირველად ქართული ენის დიალექტების შესახებ საუბარია პროფ. ფ. ალტერის წიგნში, რომელიც ეხება ქართულ ლიტერატურას (1798 წ., ვენა).

ქართული ენის შესახებ ნაშრომები გამოქვეყნებული აქვთ ლაიბნიცს და ბოპს უმთავრესად სხვა ენებთან ნათესაური ურთიერთობის თვალსაზრისით (მათი ღვაწლი დახასიათებულია ზემოთ).

სისტემატური და ნაყოფიერი მუშაობა გაიშალა ქართველური ენათა შესწავლის დარგში პეტერბურგის უნივერსიტეტსა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში.


1841—1842 წწ. აკად. ნ. ბროსემ პეტერბურგის უნივერსიტეტში წაიკითხა ქართული ფილოლოგიის კურსი. ქართული ენის სწავლება შემოიღეს 1845 წლიდან. პირველი ლექტორი ქართული ენისა იყო პროფესორი დ. ჩუბინაშვილი (ჩუბინოვი). შემდეგ მასვე მიანდვეს ქართული ენის კათედრის ხელმძღვანელობა. დ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი (1842 წ.), რუსულ-ქართული ლექსიკონი (1848 წ.), ქართულ-რუსული ლექსიკონი (1887—1891 წწ.) და ქართული გრამატიკა (1855—1886 წწ.).

1871 წლიდან პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრას სათავეში ჩაუდგა პროფ. ა. ცაგარელი. 1872 წელს გამოქვეყნდა მისი ფუძემდებლური შრომა „კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის შედარებითი მიმოხილვა“. 1880 წ. იბეჭდება მისივე ორი წიგნი მეგრულის შესახებ. ა. ცაგარელმა სათავე დაუდო ქართველურ ენათა შესწავლას შედარებითი მეთოდის გამოყენებით.

90-იანი წლებიდან პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწეობს აკად. ნ. მარი. მან ფართოდ გაშალა მუშაობა ქართულ ფილოლოგიაში, შემოიკრიბა თავის გარშემო ახალგაზრდა ძალები, დააარსა ძველქართული ტექსტების გამოცემათა სერიები და გამოაქვეყნა მრავალრიცხოვანი ნაშრომები ქართველური ენების დარგში. მანვე გამოსცა გრამატიკები, ლექსიკონები, ცალკეული სპეციალური ნაშრომები ქართული ენის შესახებ. მის სახელთან დაკავშირებულია ქართველური ენათმეცნიერების ისტორიაში ახალი ხანის დაწყება. პეტერბურგშივე ქვეყნდება მარის მოწაფეების — ი. ჯავახიშვილის, ი. ყიფშიძის,

ა. შანიძის, ვ. ბერიძის, კ. დონდუას და სხვათა მნიშვნელოვანი ნაშრომები.

იოს. ყიფშიძის კალამს ეკუთვნის პეტერბურგში გამოქვეყნებული „მეგრულის ფუნდამენტური გრამატიკა“ (1914) და სხვა ნაშრომები ქართველურ ენათა შესწავლის დარგში.



გასული საუკუნის მიწურულიდან რამდენიმე ფუძემდებლური ნაშრომი გამოაქვეყნა ქართული ენის შესახებ გამოჩენილმა ავსტრიელმა ლინგვისტმა ჰუგო შუხარდტმა. 1895 წელს ქ. ვენაში გამოვიდა მისი ნაშრომები „ქართული ენის შესახებ“ და „გარდამავალი ზმნის პასიური ხასიათის შესახებ კავკასიურ ენებში“. შემდეგ მათ მოჰყვა გამოკვლევები: „ქართველური ენათმეცნიერება“ (1896 წ.), „ქართული ე (1896 წ.), „ტორო დელ გრეკოს ქართული ხელნაწერები“ (1896 წ.), „ქართველური ენების გეოგრაფიისა და სტატისტიკისათვის“ (1897 წ.) და სხვ.

ამჟამად მეტად ნაყოფიერ კვლევა-ძიებას ეწევა ქართველურ ენათმეცნიერებაში გამოჩენილი რუსი მეცნიერი პროფესორი გ. კლიმოვი, რომლის კალამს ეკუთვნის ცალკეული გამოკვლევები და მონოგრაფიები, მათ შორის აღსანიშნავია „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (1964, მოსკოვი).

გაცხოველდა ქართული ენის კვლევა ევროპაში XX საუკუნეშიც. ოცდაათიან წლებში ბერლინის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა პროფ. რიჰარდ მეკელაინი, რომელმაც გამოსცა ლექსიკონები. ბერლინშივე გამოაქვეყნა ქართულად გერმანული ენის სახელმძღვანელო ქართველთათვის (1931 წ.).

1930 წელს ლაიფციგში დაიბეჭდა პროფ. გერჰარდ დეეტერსის ფუძემდებლური მონოგრაფია „ქართველური ზმნა“ და მთელი რიგი სტატიები ქართული ენის საკითხებზე.

1936 წელს ფრანგულ ენაზე იბეჭდება ცნობილი ნორვეგიელი მეცნიერის პროფ. ჰანს ფოგტის ქართული ენის გრამატიკა (განმეორებით დაიბეჭდა 1970 წ.). მის კალამს ეკუთვნის რიგი ნაშრომები ქართული ენის შესწავლის დარგში.

დიდად მნიშვნელოვანია აგრეთვე ფრანგი მეცნიერის პროფ. რენი ლაფონის გამოკვლევები ქართული ენის საკითხებზე, ქართულისა და ბასკურის ურთიერთობაზე და სხვა.

ქართული ენის მორფოლოგიის ცალკეულ საკითხებს მიეძღვნა ჩეხი პროფესორის იარომირ იედლიჩკას გამოკვლევები.

1962 წელს ვისბადენში გამოქვეყნდა დეეტერსის მოწაფის პროფ. კ. შმიდტის წიგნი „ნარკვევი სამხრეთ-კავკასიური ფუძეენის ბგერათშედგენილობის რეკონსტრუქციის შესახებ“. მასვე ეკუთვნის საფუძვლიანი გამოკვლევები ქართველური ენების შესახებ.

ციურიხში გამოქვეყნებულია გერმანულ ენაზე კიტა ჩხენკელის 2-ტომიანი წიგნი: „შესავალი ქართულ ენაში“ (1959 წ.) და გამოცემულია ქართულ-გერმანული ლექსიკონი. დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველოლოგიაში ჩხენკელის მოწაფეებს — იოლანდა მარშევს, ლია ფლურს და რუთ ნოიკომს.

პართველოლოგიის დარგში ძალზე ნაყოფიერად მოღვაწეობენ ფრ. შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის პროფესორები გერტრუდ პეჩი და ჰაინც ფენრიხი. ისინი ნაყოფიერად მუშაობენ მთარგმნელობითს დარგშიც. ფენრიხმა 1987 წ. დაბეჭდა ქართული ენის მოკლე გრამატიკაც გერმანულ ენაზე.

ერთობ საყურადღებოა პოლონელი ქართველოლოგის, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორის იან ბრაუნის მოღვაწეობა ქართული ენის შესწავლის დარგში, ნამეტურ ბასკურ-ქართული პრობლემატიკის განვითარებაში.

ქართველოლოგიისადმი ინტერესს იჩენენ იაპონიაშიც (1970 წელს ტოკიოში გამოვიდა პროფესორ შიმიიმუას ქართული ენის გრამატიკული სისტემის ამსახველი საყურადღებო წიგნი).

ამ უკანასკნელ წლებში ძალზე დაწინაურდა ქართველოლოგიის ამერიკული სკოლა. ქვეყნდება საინტერესო გამოკვლევები, მონოგრა-

ებები, (განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორების ა რ ო ნ ს ო ნ ი ს, ჰ ო ლ მ ს კ ი ს ფუნდამენტური წიგნები), ტარდება ქართული ენისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმები.

ინტენსიურად მუშაობენ ქართველოლოგიის დარგში ისრაელში ქართველი ებრაელები (იბეჭდება წიგნები, ფართო პროპაგანდა ეწევა ქართულ ენას...).

მსოფლიოს უნივერსიტეტებში შემოღებულია ქართული ენის კურსები, დაარსებულია კათედრები (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საფრანგეთი, პოლონეთი, ინგლისი, ჩეხოსლოვაკია, ამერიკის შეერთებული შტატები, უნგრეთი, შვეიცარია, ბასკეთი, ნორვეგია, ისრაელი და სხვ.).

როდესაც საქართველოში სათავე დაედო საუნივერსიტეტო განათლებას, არნახული მასშტაბებით გაიშალა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და ახალი გეზი და მიმართულება მიეცა ჰუმანიტარული დისციპლინების აღორძინებას, კერძოდ ენათმეცნიერებას.

უნივერსიტეტის კერაზე აღმოცენდა თბილისის საენათმეცნიერო სკოლა, რომელიც დღეს საბჭოთა საქართველოში ერთ-ერთი უმძლავრესი სამეცნიერო სკოლათაგანია. მისი ფუძემდებლები იყვნენ აკადემიკოს ნ ი კ ო მ ა რ ი ს სამეცნიერო სკოლიდან (პეტერბურგი) გამოსული ლინგვისტები — ი ო ს ებ ყ ი ფ შ ი ძ ე, ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე და გ ი ო რ გ ი ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი.

პირველი ფუნდამენტური გამოკვლევა მიეძღვნა ქართული ზმნის სტრუქტურას. ეს იყო ა. შ ა ნ ი ძ ი ს „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, რომელმაც განსაზღვრა შემდგომი განვითარების გზა ქართული ენის შესწავლის საქმეში.

„ხანმეტი“ და „ჰაემეტი“ ძეგლების აღმოჩენამ (ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე) საგრძნობლად გააფართოვა კვლევის არე და საფუძველი შეუქმნა სალიტერატურო ენის ისტორიის კვლევა-ძიებას.

პარალელურად გაიშალა მუშაობა ქართულ დიალექტოლოგიაში (ა. შ ა ნ ი ძ ე, არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ვ. თ ო ფ უ რ ი ა). დაიბეჭდა ახალი ქართული ენის პირველი მეცნიერული გრამატიკა (ა. შ ა ნ ი ძ ე) და მონოგრაფიები მარტივი წინადადების პრობლემისა და სვანური ზმნის შესახებ (არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ვ. თ ო ფ უ რ ი ა).

თანდათანობით გაფართოვდა და გაღრმავდა ქართული ენის პრობლემატიკა. ზედიზედ გამოქვეყნდა მონოგრაფიული ხასიათის გამოკვლევები, რომლებშიც აღძრული და დასაბუთებულია გრამატიკის კარდინალური მნიშვნელობის საკითხები. ცალკეულ გამოკვლევებში აისახა ქართული ენის ისტორიული განვითარება, ფორმებით მდიდარი ქართული ზმნის აღნაგობა, მეტყველების სხვა ნაწილთა თავისებურე-

ბები. ძირითადი მნიშვნელობის შრომები მიეძღვნა ძველი სალიტერატურო ქართულის გრამატიკულ მიმოხილვას (ა. შანიძე), ერგატიული კონსტრუქციის მექანიზმს (არნ. ჩიქობავა), სიტყვათწარმოებას (ვ. თოფურია), რუსთაველის ენის თავისებურებებს (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვუკ. ბერიძე, გ. წერეთელი, ი. გიგინეიშვილი და სხვ.). მრავალი გრამატიკული ხასიათის შრომა გამოაქვეყნეს მომდევნო თაობის ქართველმა ენათმეცნიერებმა.

მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკის განვითარებას, თეორიული ენათმეცნიერების პრობლემების კვლევა-ძიებას. დაარსდა ექსპერიმენტული ფონეტიკის კაბინეტები და ლაბორატორიები (გ. ახვლედიანი). გ. ახვლედიანის მიერ მიღებული შედეგები შეჯამებულია განმაზოგადებელ მონოგრაფიაში „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ (1949 წ.), 1918—1919 წლებში დაიბეჭდა „ენათმეცნიერების შესავალი“ (გ. ახვლედიანი), რომელმაც სათავე დაუდო ჩვენში ენათმეცნიერების ზოგადი საკითხების კვლევა-ძიებას და ახალი კადრების მომზადებას.

შემდგომ პერიოდში ფართო მასშტაბით წარიმართა თეორიული კვლევა-ძიება, გამოქვეყნდა ენათმეცნიერების ახალი პროპედევტიკული კურსები, ზოგადი ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემების ამსახველი მნიშვნელოვანი მონოგრაფიები (არნ. ჩიქობავა), დამუშავდა ენათმეცნიერების ისტორიის საკითხები (თ. შარაძენიძე), მიეძღვნა გამოკვლევები თეორიული ლინგვისტიკისა და ინდოევროპეისტიკის არსებითი მნიშვნელობის პრობლემებს (თ. გამყრელიძე), წამოყენებული და დასაბუთებულია არეალური ლინგვისტიკის ძირეული საკითხები (გ. წერეთელი). ზემოალნიშნულმა შრომებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს საბჭოთა და მსოფლიო ენათმეცნიერების საგანძურში.

50-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო სისტემატური მუშაობა ენის კვლევაში მათემატიკური მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებულ ზოგადენათმეცნიერულ საკითხებზე.

გარდა საკუთრივ ქართულისა, ინტენსიურად სწავლობენ სხვა ქართველურ ენებსა და მათი გენეზისის პრობლემებს ისტორიულ-შედარებითს პლანში. გამოკვლეულია სვანური უმლაუტის ბუნება (ა. შანიძე, ვ. თოფურია). სვანურის მორფოლოგია (ვ. თოფურია), სვანურისავე ფონეტიკა-მორფოლოგიას მიეძღვნა აგრეთვე მთელი რიგი საფუძვლიანი გამოკვლევები (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, თ. შარაძენიძე, ზ. ჭუმბურიძე), გამოქვეყნდა ჭანურის მორფოლოგია (არნ. ჩიქობავა), ჭანური ტექსტები (არნ. ჩიქობავა, ს. ჟღენტი), სვანური ტექსტები (ა. შანიძე, ვ. თოფურია); ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითს შესწავლას მიეძღვნა ფუნდამენტური მნიშვნელობის გამოკვლევები. დაიბეჭდა „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“, „სა-

ხელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (არნ. ჩიქობავა), „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“ (ვ. თოფურია), „ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები“ (გ. როგავა), „სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის საკითხი, საერთო ქართველური კონსონანტური სისტემა“ (თ. გამყრელიძე), „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი), „ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა“ (ს. ჟღენტი).

20-იანი წლებიდან დაიწყო ქართული დიალექტების შესწავლა. თანდათანობით გაიშალა გეგმაზომიერი, ინტენსიური შემოქმედებლობითი მუშაობა, რომელშიც ჩაებნენ ახალგაზრდა სპეციალისტები. აღწერილია თითქმის ყველა დიალექტი, გამოიცა დიალექტოგრაფიული ტექსტები, ლექსიკონები, გრამატიკული მიმოხილვები. საფუძველი ჩაეყარა ტოპონიმიკურ კვლევა-ძიებას, წარმოებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გეოგრაფიულ სახელთა აღრიცხვა და მათი დამუშავება, ქვეყნდება სპეციალური კრებულები (დაარსებულია ტოპონიმიკის ლაბორატორია).

სათანადო ყურადღება ეთმობა სხვა ენებთან ქართულის გენეზისური თუ ტიპოლოგიური ურთიერთობის პრობლემას.

საბჭოთა საქართველოში ჩამოყალიბდა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, რომელიც შეისწავლის კავკასიის მიწა-წყალზე 4 ენობრივ ჯგუფის (ქართველური, აფხაზურ-ადიღური, ნახური, დაღესტნური) პრობლემებს. დღეისათვის საქართველოში, სხვა კავკასიოლოგიური ცენტრებისაგან განსხვავებით, თითქმის ყველა მთის კავკასიური ენა შეისწავლება. 1937 წელს გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური მონოგრაფია „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, სადაც გატარებულია იდეა, რომ ქართველური და კავკასიური ენები ერთი და იმავე ბუნებისა და უმჭიდროესად მონათესავე ენები ყოფილან და მხოლოდ შემდგომში დაშორებიან ერთმანეთს. გამოქვეყნდა ფუნდამენტური მნიშვნელობის გამოკვლევები აფხაზურ ენათმეცნიერებაში (ქ. ლომთათიძე), ქართველური და მთის კავკასიური ენების ისტორიულ-გენეზისური ნათესაობის შესახებ. ქართველი კავკასიოლოგების (არნ. ჩიქობავა, ქ. ლომთათიძე, გ. როგავა და სხვ.) კვლევის საფუძველზე მიღებულია დასკვნა, რომ, რაც უფრო ღრმად შეისწავლება ამ ენათა წარსული, მით უფრო მეტი საერთო ვლინდება მათს ბგერით სისტემაში, მორფოლოგიურ სტრუქტურასა და მორფოლოგიურ ინვენტარში. ამის დასაბუთებას ეძღვნება „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“ (არნ. ჩიქობავა). თბილისი ქართველურ-კავკასიურ ენათა შესწავლის ცენტრად იქცა. სსრ კავშირის მეც-

ნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილებამ თბილისელ სპეციალისტებს მიანდო საკავშირო ორგანოს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ გამოცემა.

მიმდინარეობს ქართველურ-კავკასიურ ენებთან წინა აზიის ძველი ცივილიზაციის ენებისა და ბასკურის ისტორიულ-გენეზისური თუ ტიპოლოგიური ურთიერთობის პრობლემების კვლევა. გამოქვეყნებულია „საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები“ (გ. წერეთელი), გამოკვლეულია არაინდოევროპული ელემენტები ხეთურ-ნესიტურში (თ. გამყრელიძე). მომზადდა კადრები და მიმდინარეობს ინტენსიური ძიებანი ბასკოლოგიაში.

როგორც ზემოთ სათანადო ადგილას აღინიშნა, ფართოდ შეისწავლება ქართული ენის ლექსიკა. თანამედროვე ქართული ენის ლექსიკას ასახავს რვატომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით).

როგორც აღვნიშნეთ, ქართველ ენათმეცნიერებს დიდი ამაგი მიუძღვით სალიტერატურო ენის პრაქტიკული საკითხების მოგვარებაში. ჩვენს რესპუბლიკაში არსებობს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია“, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. კომისია ადგენს და აკანონებს სავალდებულო ენობრივ ნორმებს ქართველი ენათმეცნიერების მიერ მომზადებული და წარმოდგენილი პროექტების საფუძველზე.

ქართული ენის აპოლოგია

წიგნის ამ თავში წარმოდგენილია, დამატების სახით, ქართული ენისა და დამწერლობის ზოგადი შეფასებანი, — მეტადრე ხოტბა-შესხმის ფორმით გამოხატული, — გამოთქმული სახელგანთქმულ მწერალთა და მეცნიერთა მიერ.

ამ გამოკრეფილი გამონათქვამებიდან ცხადლივ გამოსჭვივის „საღვთოდ მიჩნეული ქართული ენის“ (ნ. მარი) სიდიადის შეცნობა და მისთვის ღირსეული ადგილის მიჩენა მსოფლიოს ენათა სისტემებში:

იოანე-ზოსიმე. საბაწმიდელ-სინელი (X საუკუნე)
(„ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“)

„დამარხულ არს ენაჲ ქართული
დღემდე მეორედ მოსლვისა მესიისა საწამებელად,
რათა ყოველსა ენასა
ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენაჲ
მძინარე არს დღესამომდე,
და სახარებასა შინა ამას ენასა
ლაზარე ჰრქჳან.
და ასალმან ნინო მოაქცია
და ჰელენე დედოფალმან,
ესე არიან ორნი დანი,
ვითარცა მარიამ და მართაჲ.
და მეგობრობაჲ
ამისთჳს თქუა მახარობელმან,
რამეთუ ყოველი საიდუმლოჲ
ამას ენასა შინა დამარხულ არს.
და ოთხისა დღისა მკუდარი
ამისთჳს თქუა დავით წინაჲსწარმეტყუელმან,
რამეთუ „წელი ათასი —
ვითარცა დღეჲ“.
და სახარებასა შინა ქართულსა, ხოლო თავსა მათეჲსსა,
წილი ზის, რომელ ასოჲ არს,
და იტყჳს ყოვლად
ოთხ ათასსა მარაგსა, —
და ესე არს ოთხი დღეჲ,
და ოთხისა დღისა მკუდარი,
ამასთჳს მისთანავე დაფლული
სიკუდილითა ნათლისღებისა მისისაჲთა.
და ესე ენაჲ
შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა,
მდაბალი და დაწუნებული —
მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა.
და სასწაულად ესე აქუს:
ას-ოთხი წელი
უმეტეჲს სხუათა ენათა
ქრისტეჲს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე“.

შოთა რუსთაველი:

— „რა ვეღარ მიხვდეს ქართულსა[1], დაუწყოს ლექსმან ძვირობა,
არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვამცირობა“.

— „ყმა ტკბილი და ტკბილქართული, სიკეთისა ხელის მხდელი,
ამაზედა ეუბნების, ვით გაზრდილი ამო მზრდელი“.

გრიგოლ ორბელიანი:

„...შენი ივერი
აღსდგეს ძლიერი,
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის,

[1] „ქართული“ — განზოგადებული სიტყვა-ცნების, საერთოდ სიტყვის მნიშვნელობით.

წმიდით საყდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული!
ხნე ამაღლებით,
ძლევის დიდებით,
სამშობლო მიწის სიყვარულითა! —
და გაგვიცოცხლდეს,
რომ კვლავც მოგვესმეს
სიტყვა ქართული რუსთაველისა“.

„...მათ უსწავლელთა,
ცრუ რუსთაველთა,
სრულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი,
ენა მაღალი,
მის ძალი, მაღლი,
უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში!...
ერის ცხოვრება,
მისი დიდება,
მის ისტორია დაცულ არს ენით;
რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს...
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!“

— „ჩუენ, დიდად უცოდინართა ქართულისა ენისა, ვინ მოგუცა ის უფლება, რომ ესრეთის გაბედვით, ესრეთის კადნიერებით უარვჰყოთ, გადავაგდოთ და შევსცუალოთ ის წესი, ის კანონი, რომელიცა დასდუს ჩუენისა ენისა-თჳს დიდად მეცნიერთა ღრამმატიკოსთა, თჳთ ენის თჳსებისავე გამოკულევითა; რომელთაგან საბერძნეთიდამ ძუელად გადმოტანილი ჰსწავლა და კელოვნება ჩუენსა მხარესში ღრმად იყო დანერგილი და გარდაფენილი მთლად საქართველოსზე; რომელთაცა სირიის და ბერძულის ენით გარდმოიღეს ქართულად საღმრთო წერილი ესრეთის მშუენიერ-სიტყუობითა და ძლიერებითა; და რომელთაგან დაწესებულნი კანონნი ვერა შესცუალეს ვერცა შავთელმა, ვერცა ჩახრუხაძემ და ვერცა თჳთ რუსთაველმა?

...ქართულსა ენასა აქუს ერთი დიდად მოსაწონი თჳსება, რომლისა მსგავსი იშუათად იპოება სხუათა ენათა შორის...

...შეისწავლეთ არა ბაზრის არეული ენა, არამედ მდიდარი, მშუენიერებით სავსე ქართული ენა, რომელსზედაც ლაპარაკობს, რომელსზედაც ლოცულობს და რომელსზედაც დაჰმღერის ქართველი კაცი!

ხშირად ამბობენ აწინდელნი მწერალნი: „ხალხის ენაზედ ვჰსწეროთო“. მაშ რა ენაზე უნდა დაჰსწერონ? მაგრამ, ეს კი ახსოვდესთ, რომ ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა შეუმუშავებელი; ვიდრე დაჯელოვნებული მწერალი მასალასა მას არ გადაარჩევს, კარგსა უვარგისისაგან არ გაჰსწმენდს, არ გაამშუენიერებს და დიდებულებითა არ აღი-

ყუბანს სალიტერატუროს სამფლობელოსში; მერე, იმ გალამაზებულსა ენასა გამშუქნიერებულის ფორმითა გადმოჰსცემს მოსახმარებლად იმასვე ხალხსა, რომელიცა არის პატრონი ენისა, და რომელიცა შეითჯსებს იმას, ვითარცა საკუთრებასა; და ამ სახით უმეტეს მშუქნიერდება ხალხის ენა და მით უმეტეს ნათლდებაცა მისი გონება".

ილია ჭავჭავაძე:

— „...ჩვენს ენას ბევრი ისეთი განსაკუთრებული თვისება აქვს, რომელსაც ბევრი სხვა, უფრო წარმატებულად მიჩნეული ენები, შეჰნატრებენ, — ამას ეჭვი არ უნდა".

— „არ ვიცით, სხვა რას იტყვის და ჩვენ-კი გვჯერა, რომ მრავალფერად მიმოხვრა და, მაშასადამე, მრავალ შემთხვევაში გამოყენება იმ სიტყვისა, რომელიც სული და გულია მეტყველებისა, სიმდიდრეს ენისას უნდა მოასწავებდეს. თუ... მეტყველების ღონე და ძლიერება ზმნა არის, მაშ, ქართული ენა ზედგამოჭრილი ყოფილა ამ ნათქვამზედ, იმიტომ, რომ ქართველი უფრო ზმნებით ლაპარაკობს, ზმნებით ჰმეტყველობს, ვიდრე სხვა სიტყვის ნაწილებით":

— „განსაკუთრებული თვისება ჩვენი ენისა, რომელიც, ჩვენის ფიქრით, ენის წარმატებულობის მომასწავებელია, ჩვენი ზმნებია და ნამეტნავად მისი მართლა-და გასაკვირველი ფორმები. ამ მრავალგვარ ფორმების წყალობით, მარტო ერთის ზმნით, სხვა სიტყვების ნაწილების დაუხმარებლად, გამოითქმის პიროვნებაც მოქმედისა, მიმართულებაც მოქმედებისა, სხმით-გარდასხმითობაც. მაგალითებრ, „ვაკეთებინებ"... არა გვგონია სხვა ბევრმა ენამ გამოსთქვას ერთის ზმნით, სხვა სიტყვის დაუხმარებლად, თუნდ, მაგალითებრ, ეს ქართული: „წავაღებინებ, წამოვაღებინებ, გადააზომინა, გადმოაზომინა...".

— „ჩვენს ენას არ ეხამუშება, არც ეუცხოება თუნდ მთელი ფრაზა დააბრუნოს, როგორც ცალკე სიტყვა. მაგალითებრ, „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი"-ს მაგიერ რუსთაველი უკეთესს ვერას იტყოდა"; ან „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა დაკარგულია"-მ მთელს ქვეყანას მოჰფინა რუსთაველის სახელი"; ან „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია"-ს არა შეედრება რა..." ჩვენ არა გვგონია, რომ ენას წარუმატებლობაში ჩამოერთვას, როცა სხვა სიტყვების ჩაუმატებლად და აუჭრელებლად, მარტო ერთის ფლექსიის შემწეობით, ამისთანა სახსარს იძლევა აზრის მიმოხვრისა და განცხადებისათვის".

— „თუ ენის წარმატებას რაიმე დამოკიდებულება აქვს ანბანის მეტნაკლებობაზედ, — რა თქმა უნდა — სავსეობა და სისრულე ანბა-

ნისა უეჭველი ნიშანი უნდა იყოს ენის წარმატებისა და განვითარებისა“.

— „სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა...“.

— „განა ამისთანა სიტყვები, რომელნიც ჩვენს ენას დღევანდლამდე შერჩენია, არაფრის მთხრობელნი არიან, მაგალითებრ: „წყალობა. მოწყალე, შემიწყალე, მოწყალება“? აქ ყველგან „წყალი“ ისმის და ეს ამისთანა ცოცხალი მოწმე განა არ გვეუბნება, რომა პირვანდელი ბინა ქართველისა ისეთი მშრალი ქვეყანა ყოფილა, რომ „წყალობა“ ნატვრისა და ვედრების საგნად გახდომია. ...ან სიტყვა „მიცვალება, მიცვალებული“, რომელიც მოკვდომასა და მკვდარს ჰნიშნავს. მაგრამ არა სრულიად გაარაერაებას, არამედ „გარდაცვლას“, სხვა სახედ გადასვლას... ან ქალის „გათხოვება“, „მითხოვება“ განა არას გვეუბნება, რომ უწინდელ ქართველის ცოლის შერთვაში „თხოვებას“ რაღაც ადგილი სჭერია“?.

— „ქართველებისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროსს ქალაქს — დედა-ქალაქს“, მკვიდრ და დიდ ბოძს სახლისას — „დედა-ბოძს“, უდიდესსა და უმაგრესს ბურჯს — „დედა-ბურჯს, სამთავრო აზრს — „დედა-აზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც-კი — „გუთნის დედას“. რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი!..“.

აკაკი წერეთელი:

— „ბევრი მიფიქრია ჩვენს ქართულს ენაზე, დავკვირვებივარ; ხან ავფრთოვანებულვარ, ხან დავნაღვლიანებულვარ, უძილობით ხომ ღამეები მიტეხია“.

— „ძვირათ რომელიმე ხალხი გვეგულება, რომ ქართველებსავით მდიდარი ლექსიკონი ჰქონდეს“.

— „არა, ჩვენი ენა მდიდარი არის! ძვირათ დარჩენილა ენა, რომელსაც არ შემოეწიროს ჩვენთვის რამდენიმე სიტყვა. ჩვენს ენაში ვხედავთ სხვადასხვა ენის სიტყვებს: სპარსულს, არაბულს, ებრაულს, სომხურს, ბერძნულს, თათრულს ...ამ მიზეზით ხშირად ერთისა და იმავე საგნის გამოსახატავად ჩვენ გვაქვს რამდენიმე სიტყვა“.

— „საკვირველი ის არის, რომ ამდენ ვაი-ვაგლახში ჩვენი ქართული ენა არ გადასხვაფერებულა, ვერც ერთ ენის ძალას ვერ დაურღვევია ჩვენი ენის კანონები, ვერ გადურევია, ვერ გადურჯულებია, დაუთ-

მია ჩვენი ენისათვის და ჩვენკენ გადმორჯულებულა. სხვათა შორის, შესანიშნავი კიდევ ის არის, რომ, როდესაც ერთსა და იმავე საგნის გამოსახატავად სხვადასხვა სიტყვები შემოსულა, განსაკუთრებით, ცოტა რამ განკერძოებითი ხასიათი მისცემია... ბევრი სიტყვები ჰქვია შემოღებული სხვადასხვა ენებიდან ...ამგვარათ რამდენიმე ლექსები (ე. ი. სიტყვები — **შ. ძ.**), მაგრამ ჩაგვიდგამს მათთვის ქართული სული და შეგვისხამს ქართული ხორცი. ამ ძალაუნებურ შეტაკებაში მაინც ძლევამოსილი დარჩენილა დედა-ენა. ერთ სტაქან წყალში რამდენიმე წვეთი ღვინისა რომ ჩაურიოთ, უთუოდ ფერს უცვლის წყალს, მაგრამ რამდენიმე წვეთი წყალი რომ ერთ ყანწ ღვინოში ჩაურთოთ, ვერც ფერს დააკარგვინებს და ვერც ძალას. სწორედ ასეთ წვეთ-წვეთებად შემოსულან ზოგიერთი სიტყვები უცხო ენებიდან ჩვენს ენაში".

იაკობ გოგებაშვილი:

— „ტურგენევი ერთს თავის თხზულებაში ამბობს: „ხშირად, როდესაც სრული სასოწარკვეთილება მომერეოდა ხოლმე ჩემის სამშობლო ქვეყნის მომავლის შესახებ, ერთად-ერთს ნათელ წერტილად შავს ჰორიზონტზედ, ერთად-ერთს გამამხნევებელ იმედად უიმედო მდგომარეობაში მომევლინებოდა ხოლმე ჩემი სამშობლო რუსული ენა, და ჩემს გულში ვამბობდი: ხალხმა, რომელმაც შეჰქმნა ამისთანა მდიდარი და მშვენიერი ენა, არ შეიძლება, ადრე თუ გვიან, არ დაასწიოს თავი ახლანდელს გაჭირვებულს მდგომარეობას, არ გავიდეს წარმატების ფართო გზაზედ და არ დაეწაფოს შორს მომავალში მაინც ბედნიერის ცხოვრების წყაროსა".

არა ნაკლების საფუძვლიანობით შეუძლიან სთქვას შეგნებულმა ქართველმა ესევე სიტყვები ჩვენს დედა-ენაზედ. ვისაც კი მეტ-ნაკლებობით შესწავლილი აქვს, თუ რაში მდგომარეობს სისრულე ენისა, მისი სიმდიდრე, აზრსა და გრძნობაზედ ზედ გამოჭრილობა და კაფიობა, არ შეიძლება არ დაგვეთანხმოს, რომ ქართული ენა ეკუთვნის მაღალ აგებულობის ენათა დასსა. ჩვენმა ენამ გაფურჩქნა თავისი ფორმები და დაამყარა თავის ორგანიულს ნაწილებს შორის სრული ჰარმონია ძველადგანვე, მეთორმეტე საუკუნეში. ჰკითხეთ ლინგვისტებს, ენის-მეტყველთა — რაში მდგომარეობს ღირსება ენისა, და ისინი დაგისახელებენ: სიმარტივეს ბრუნვებისას, გრამატიკულის სქესების არ ქონვას, თანდებულთა სიტყვის ბოლოში მოქცევას, ხმოვანს დაბოლოებას სიტყვებისას, ხმა ასამაღლებელის დამორჩილებას განსაზღვრულს კანონზედ, მრავალფეროვნებას და მოქნილებას ხმის ფორმებისა, სიმდიდრეს სინონიმებისას, ლექსიკონისას, რომელმა განვითარებულმა ქართველმა არ იცის, რომ ყველა ეს ღირსება სრული

კუთვნილებაა ქართული ენისა, რომელიც ამ ღირსებათა წყალობით ყველა ცოტაოდნად განსხვავებულს შემეცნებას, მდგომარეობას, მოქმედებას და ვითარებას განახორციელებს განსაკუთრებით, ზედ-ეამოჭრილი ფორმითა, საკ[illegible] გამოხატულებითა!

დიაღ, ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალ-მხროვანი, როგორიც არის ბუნება კავკასიონისა, სადაც ერთს პატარა მანძილზე პოლუსი, ტროპიკი და ზომიერი სარტყელი ერთად შეყრილან, სადაც საუკუნო თოვლით შემოსილი მთის წვერები ზეციდგან ძირს დასცქერიან: ბროწეულს, ლეღვს, ვაზს, ლიმონს, ფორთოხალს და სხვა ტროპიკულს მცენარეულობას, და სადაც რამდენსაც ნაბიჯს გადასდგამ, იმდენს ახალ-ახალს სურათს შეხვდები. ქართული ენა ისეთივე მრავალფეროვანია, როგორიც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება, სავსე მრავალ-გვარის მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძნობითა, დიდი სიხარულითა, ძლიერი მწუხარებითა, და რომელიც წარმოადგენს იმ გვარს ღრმას და დაუსრულებელს დრამას, რომ შექსპირიც ვერ ამოსწურავდა მას ძირამდის, ერთი რუსული მწერლისა არ იყოს. ჰკითხეთ ჩვენს იღბლიანს მეზობლებსა: რა გშურთ ქართველებისაო, და ისინი თქვენ დაგისახელებენ ჯერ გაფურჩქვნილს, განვითარებულს ქართულ ენასა და მერე გაერთებულს, შეკუმშულს ტერიტორიასა, მიწა-წყალსა.

დიაღ, ლინგვისტი, რომელიც ზედმიწევნით შეისწავლიდა ქართულ ენას, იტყოდა თითქმის იმასვე, რაც სთქვა გამოჩენილმა სწავლულმა უსლარმა ქართულ ანბანზედ, რომელიც მან აღიარა თითქმის უუსრულეს ანბანად ყველა ანბანთა შორის.

მაგრამ ვაფასებთ ჩვენ ამ დაუფასებელს საუნჯესა? გვესმის ჩვენ მისი უმაღლესი ღირსება და მნიშვნელობა? ქართული ენა ამ ჟამად ჰგავს მშვენიერს ფოლადის სახნისსა, რომელიც უგუნურს პატრონს კუნჭულში მიუგდია, იშვიათად ჰხმარობს და ჟანგს აჭმევინებს. ამიტომ, ობიექტურად, თავის-თავად მდიდარი და განვითარებული, ქართული ენა სუბიექტურად, ჩვენს პირში, არის ღატაკი და დღე ნაკლულს არსებას მოვაგონებთ".

ვაჟა ფშაველა:

„...გულს მისვენია ხატადა
ენა მთისა და ბარისა,
მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ,
თუა ქართულის გვარისა.
მოთაყვანე ვარ ყოვლისა
იმათ ტკბილის და მწარისა.
იქაც ხომ ქართველები ვართ,
ყვავილი აქაც ჰყვავისა,

ხატად ჰყავ. სალოცავ ხატად
მთიელს სამშობლო თავისა,
და ენა მათი სიმტკიცით
მსგავსია კლდისა სალისა,
იქნებ აკლია, არ ვიცი,
ამ ლომს სინაზე ქალისა".

ნიკო მარი:

— „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდ რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის, ან დასავლეთ ევროპისა, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა, მეტადრე ცოცხალი ქართული ენა, უფრო მხატვრულად ხორცს ასხამს ყოველ აზრს და არა დასხნილ-დაქსაქსულად აგვიწერს და არა ზოგად ცნებებზე მხოლოდ გადაიღებს აზრს...; ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით მსოფლიურია".

— „რა წყაროა ის უცნაური წყარო, საიდანაც ასეთ მცირე ერს ამდენი სულიერი შეუპოვრობა და დაულევნელი შემოქმედებითი სიმხნევე მიუღია? საიდან მოჩქეფს ეს მისი თავისებურება? განა ბერძნებისაგან, ან სპარსებისაგან, ან ასურებისაგან, ან არაბებისაგან? უფრო გვიან კავკასიაში მოსულ ერებზე ხომ საკითხის დასმაც არ გვჭირია! ცხადია, რომ არა! ქართველი ერის კულტურული თვითმოღვაწეობაც და მისი თავისებურებაც შინაგან ძალთა ნამოქმედარია.

მაგრამ რა არის ამ ძალის წყარო? ეგ ძალი გახლავს ქართველი ერის არათუ ისტორიული ხანგრძლივობა... [რასაც] მოწმობს ქართული".

[ქართული ენა] „მყარი საყრდენი იყო ქართველი ხალხის არსებობისა და დამოუკიდებლობისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში ისტორიულად. ქართული ენა აგრეთვე გამოიყენებოდა როგორც კავკასიაში არანაკლებად განვითარებულ კულტურულ ენასთან — სომხურთან შეპირისპირებით, ასევე მეზობელ მსოფლიო ენებთან (ძველბერძნული, ძველსპარსული, ბიზანტიურ-ბერძნული, საშუალო სპარსული, არაბული, ახალსპარსული, თურქული, რუსული) შეპირისპირების პირობებშიც, ქართული ყველგან და ყოველთვის ღირსეულად გამოდიოდა უთანასწორო ბრძოლაში და ადნობდა ჭურჭელს, სადაც მოთავსებული იყო ენობრივი კულტურის ძველი და ახალი მიღწევები, იმუშავებდა რა აზროვნების დამოუკიდებლობასა და სამყაროს თავისებურ აღქმას როგორც კაზმული სიტყვიერების, ისე სამეურნეო,

სოციალური და ფილოსოფიური მშენებლობის სფეროებში (ნეოპლატონიზმი). ქართული ენა დღეს შედის განვითარების ახალ საფეხურზე".

— „ქართველთა ტომების ნაციონალური ერთობა, ამ კულტურისაგან შექმნილი, შესანიშნავად გამოიხატება... ყველასათვის საღვთოდ მიჩნეულ ქართულ ენაში".

— „სრული 1041 წლის წინათ, ე. ი. 864 წელს ქრისტეს შემდეგ დაწერილია ქართული ხელნაწერი, რომელიც ახლა სინის მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკაში არის დაცული. წიგნის ბოლოს გადამწერს მიუმატებია ქება ქართული ენისა. ქება ლეგენდარულია, მაგრამ მის გარეგან ფორმას თავი დავანებოთ და მივაქციოთ ყურადღება შინაარსს, რომელიც ცხადად გამომხატველია იმისა, რომ ქართველებს დიდი ხნიდან დაუმყარებიათ ეროვნული თვითშეგნება ქრისტიანობრივ საფუძველზე. ამ თვითშეგნებას, მაშინ ჩვეულებრივ ლეგენდარული ფორმით გამოხატულს, ჰქონია რეალური სარჩული. ხელნაწერი წარმოადგენს ძველ თხზულებათა კრებულს, რომელიც დაწერილია ზედმიწევნით შემუშავებული (ცხადია, საუკუნეთა მანძილზე) ქართული სალიტერატურო ენით".

— „ქართული დღევანდლამდე ტომობრივი კი არა, არამედ ეროვნული ენაა... ქართული საზოგადოდ კავკასიის საზოგადოებრიობის ენაა, კავკასიის ტერიტორიის მნიშვნელოვან ფართობზე გავრცელებული, ისეთ ტომებსა და ერებს შორისაც კი, რომელნიც ტომობრივი წარმოშობილობით, ანდა თავიანთი პრაქტიკული ყოფაცხოვრებით მათზე სრულებით შორს დგანან, ამასთანავე სარწმუნოებისდა მიუხედავადაც. ქართულად ლაპარაკობს კავკასიის მთიანეთის სამხრეთი ფერდობის ოსთა მოსახლეობის დიდი ნაწილი, აფხაზთა ერის გარკვეული ფენები ისევე, როგორც საქართველოს საზღვრებში მობინადრე სომხებიც..., აგრეთვე ლეკების ერთი ნაწილი, სახელდობრ დიდოელნი, და თურქებიც კი...; წარსულთან შედარებით ქართულს, ვითარცა კავკასიის საერთაშორისო ენას, ზოგიერთი ადგილი (პოზიცია), რასაკვირველია, დაკარგული აქვს, მაგრამ, ამისდამიუხედავად, ქართული ეროვნული ენა ამჟამადაც კავკასიის მცირერიცხოვან საერთაშორისო ენათაგანის ყველა თვისების მქონეა...; კავკასიის საზომიან საერთაშორისობასთან ერთად ქართულ ეროვნულ ენას განსაკუთრებული დემოკრატიულობაც გააჩნია. ორივე ეს თვისება... უზარმაზარი კულტურული მუშაობის ნაყოფია...; ამ შემოქმედებაში მონაწილეობას ქართველი ერის მარტო ერთი ფენა, მარტო ერთი ქართველი ტომი, მხოლოდ ქართველი არ იღებდა. ქართული ენა ნაწილობრივ კავკასიის კულტურული ცხოვრების, — რომელიც ძველადაც ერთი

საზოგადოებრივი ენის შექმნას ცდილობდა, — სინთეზიც არის“ [ციტატის თარგმანი ეკუთვნის ივანე ჯავახიშვილს — შ. ძ.].

— „სალიტერატურო ქართული უახლოვდებოდა არამონათესავე ენებსაც, შემოჰქონდა მათგან მაღალგანვითარებული, ადამიანისათვის საჭირო მოხვრანი და ტერმინები და ინელებდა, ვითარცა საკუთრებას და თვითონვე მსოფლიურდებოდა“.

— „ქართული ენა სხვა კულტურულ ენებთან ხშირად უთანასწორო ბრძოლაში ყოველთვის გამოდიოდა გამარჯვებული და ამით ნიადაგს უქმნიდა ხალხის დამოუკიდებელ არსებობას“.

— „ლინგვისტიკური მეცნიერების მიერ ქართული ენის მრავალწლოვან, თითქმის სისტემატურ იგნორირებასთან შინაგან კავშირშია, ერთი მხრივ, ქართული დიალექტების ლექსიკური სიმდიდრის უცნობლობა და, მეორე მხრივ, ქართული ლექსიკონის ნაკლულობა. ამ ხარვეზის შესავსებად მე განზრახული მაქვს ქართულისა და მისივე მონათესავე ენების კილოებისა და კილოკავების მასალათა შეკრება და ორგანიზება“.

...საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მიერ განზრახულია შედგენა ქართული ენის დიდი ლექსიკონისა ჩემი ხელმძღვანელობით. მე მოვიწვიე რედაქციის შემადგენლობაში პრივატ-დოცენტი ნ. გ. ადონცი, პროფ. ვ. ნ. ბენეშევიჩი, პრივატ-დოცენტი ი. ა. ჯავახიშვილი და სომხურ-ქართული ფილოლოგიის კათედრაზე საპროფესოროდ დატოვებული ი. ა. ყიფშიძე“.

„...როცა ქართულის მონათესავე ენები გახდნენ შესწავლის საგნად, როცა ამ მონათესავე ენების კილოები დახასიათდნენ და გვიჩვენეს შესანიშნავი სიმდიდრე, ქართული სალიტერატურო ენა, ძველიც და ახალიც ერთად შეერთებული, მათთან ნაკლულოვანი აღმოჩნდა. ამიტომ წარმოიშვა შეუწყნარებლად მკაცრი მოთხოვნილება, აუცილებელი საჭიროება ქართული კილოების — იმერულის, გურულის, იმერხეულის, ფშაურის და სხვათა შესწავლისა“.

— „ქართულს და მის მონათესავე ენებს [იგულისხმება მეგრულ-ჭანური და სვანური — შ. ძ.] ფართოდ უნდა გაეღოს კარი ყოველ უნივერსიტეტში“.

— „დღეს უკვე შესაგნებია, თუ რა ძვირფას განძს უნდა წარმოადგენდეს ქართული და მისი მოძმე ენები მეცნიერებისათვის. ...მხოლოდ მათში არის დაუნჯებული ცოცხლად... კაცობრიობის... ისტორიის გადმონაშთები“.

— „დარწმუნებული ვარ, მარჯორი უორდროპის ფონდი ოქსფორდის უნივერსიტეტში, სადაც ამერიკელი რობერტ ბლეიკი, ჩემი მოწაფე, მიწვეულია ძველი ქართული ლიტერატურის კურსის წასაკითხავად, მაისში (ამ დღეებში), თავის ნაყოფს გამოიღებს, უნაყოფოდ

არ დარჩება არც ვენაში დაფუძნებული აღმოსავლეთმცოდნეობის სამკვლევრო ინსტიტუტი, სადაც ქართულის... შესწავლაში გართული არიან და განსაკუთრებით ლურსმულ წარწერათა უძველესი ენების ასახსნელად გატაცებით ეტანებიან საზოგადოდ კავკასიურ ენებს".

— „უკანასკნელმა მოგზაურობამ ევროპაში ცხადად დამანახა, რომ ქართული ენის მიმართ ინტერესი მატულობს და ზურგს იმართავს...; მე ვამბობ ცხოველ დაინტერესებულობაზე ქართული კულტურის, ქართული ენის მიმართ".

— „ბერლინში მსოფლიოში ცნობილმა ჰარნაკმა მითხრა განმეორებით, რომ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენ დავაარსებთ ქართული ენის კათედრასო...; ოქსფორდში უკვე დაფუძნდა ქართული ენის კათედრა...; ეგ მეცნიერული ინტერესების მეტად მცირე გამოჩენა გახლავს შედარებით იმ დიად მნიშვნელობასთან, როგორიც აქვს ქართულ ენას მეცნიერებისათვის".

— „დღეს თუ ხვალ ქართული ენის შეუსწავლელად... კაცობრიობის კულტურულ სიძველეთა ვერც ერთი საკითხი ვერ გადაიჭრება, ვერც ერთი უნივერსიტეტი სათანადო დარგში უქართულსაგნოდ წარმოსადგენი ვერ იქნება".

— „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დღეს თუ ხვალ აქამდე სამეცნიერო წრეებში ათვალწუნებულ წყაროს (ქართულ ენას) მკვლევარი დასავლეთ ევროპაშიც გამოუჩნდება, თუ აქაც (რუსეთში) მეცნიერების ღირსი დარგის შესწავლა საერთაშორისო ინტერესებით დასაბუთებული მოეწოდება ქართული ენით, ქართული მწერლობით და ქართული კულტურით მოწყურებულ წრეებს".

— „მაშფოთებს და დიაღ სამწუხარო მოვლენად მიმაჩნია, რომ უკუუგდიათ სამართლიანი აზრი, ერთადერთი ჭეშმარიტი გზა, კერძო მცოდნეთა კომისია შემდგარიყო ქართული ენის საგანძურისათვის მასალების შესაკრებად და მერმისში ქართული ენის ღირსეულების სიმაღლეზე დასაყენებელი ლექსიკონის შესამუშავებლად. თუ გაზეთების გადმონაცემი მართალია, ასეთი რთული საქმე საზოგადოებისათვის გამგეობისათვის მიუნდვიათ, იმ გამგეობისათვის, სადაც არც ერთი ლინგვისტი არ ბრძანდება. ასეთი საქციელი შესაწყნარებელი იქნებოდა... ოცი ან ოცდაათი წლის წინეთ...; ვისაც ქართული სპეციალურად არ უსწავლია, ვისაც აღმოსავლეთურ ენათა თანამედროვე სკოლის უმთავრესი პრინციპები არ შეუთვისებია, მეტადრე — ვისაც ახალი ფილოლოგიური სკოლის სუნიც არ ჰკვრია და ფერიც არ აცხია, მათ ვერ მიენდობა და არც უნდა მი-

ენდოს არავითარი მეცნიერული კვლევა-ძიება ქართული ენის შესახებ, არც — რაც ძნელთაგან უძნელესია — მასალის შეკრების გამგეობა"[1].

— „ქართველი ერის ენა მუსაიფში ან ლექსიკონში არ განიხილება. სიონი თბილისში, ბაგრატის ტაძარი ჭუთაისში, 864 წლის მრავალთავი სინის მთაზე, პალესტინის საბაწმიდელი ქართველების მიგზავნილი, ყანების მორწყვის სისტემა იმერხევის, ტაო-კლარჯეთის მთებზე, ხეხილების თუ პურის სხვადასხვა სახის, ასობით ყურძნის ნერგის აღმოჩენა და განვითარება, ვთქვათ — მიქელ მოღრეკილის საგალობელთა კრებული, შავთელის ხოტბა-შესხმა, ქართული სიმღერა, ქართველის მიხვრა-მოხვრაც — ყველა ქართული ენა გახლავს!... ქართულ ენაშიც ყველა ეგ ნივთიერი ძეგლი ცხადდება თვალსაჩინოდ. მაგრამ ქართულ ენაში ამასთანავე ცხადდება უძველესი ხანების..., კაცობრიობის კულტურული წინსვლის ყოველი ნაბიჯი. ქართული ენა გაჟღენთილია უძველესი ეპოქების... რელიქტური კავშირებით".

— „ძველმა ქართულმა მაღალ განვითარების წერტილს მიაღწია. იგი იკრეფდა არათუ თავისი საკუთარი დიალექტების და კილოკავების თვისებებს და ნაწილებს, თვით მის გვერდით მყოფი მონათესავე ენების — მეგრულისა და სვანურის ნაწილებს და... ხდებოდა, და გახდა კიდევაც, მათთვის სამწერლობო ენად. მან მთელი სამეგრელო ქართულად აალაპარაკა, სვანეთის დიდი უმეტესი ნაწილი ქართულად ლაპარაკობს ან მაინც გებულობს [ეს სიტყვები დაწერილია 1911 წელს — შ. ძ.]. ეგ, თუმცა სამეცნიერო კვლევას აძნელებს ბევრი მასალის მოსპობით, მაგრამ, თავისთავად ცხადია, ძველი ქართულის გამარჯვებას მოასწავებს, მის კულტურულ ძლიერებას და მასზე დამყარებულ გაბატონებას ქართულის მოძმე ენების სამკვიდრებელში. ძველი ქართული მეტსაც შვრებოდა თავის განვითარებაში: იგი იახლოვებდა არანათესავ ენებსაც, მოჰქონდა მათგან მაღალ განვითარებული, არა მხოლოდ ეროვნული, არამედ მსოფლიოში განვითარებული, ადამიანისათვის საჭირო მოხვრანი და ტერმინები და ინელებდა, ვითარცა თავის საკუთრებას და თვითონაც მსოფლიურდებოდა.

და რომ ძველი საქართველოს წინსვლა უდღეუროდ არ შეწყვეტილიყო, დიდი ხანია ქართული ენა ერთი მსოფლიო ენათაგანი იქნებოდა, და დღეს ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევენ უცხონიც კულტურულ მუსაიფს და მსჯელობას არათუ მარტო ქართველებს შორის, თვით სრულიად უცხო ტომებთან და ერებთან საქართველოს საზღვრებს გარეთაც. ერთს, მხოლოდ ერთს საბუთს მოვიყვან იმისას,

---

[1] პეტერბურგიდან გამოგზავნილი საპროტესტო წერილი, დაბეჭდილი „სახალხო გაზეთში", 1912 წელს.

რომ აქ წამოყენებული მოსაზრება ქარის მონაქროლი არ არის, რომ ძველ საქართველოში უკვე მსოფლიო მხედველობის სიმაღლეზე იყო მიწევნული როგორც ეროვნული აზრი, აგრეთვე ენა. შოთა რუსთაველი და მისი ქმნილება ამის უტყუარი მოწმე გახლავთ. მისი ენა არათუ ადგილობრივი არ არის, როგორც არ არის იგი ეკლესიური, იგი გადადის ყოველ ვიწრო თემურ, თვით ეროვნული მხედველობის საზღვარსაც: თავისი თვისებებით იგი უკვე მსოფლიო ენა არის, როგორც შემქმნელი მსოფლიო-საკაცობრიო სამუდმივო პოეტი და არა ვიწრო-ეროვნული საშინაურო, სადღეისდღეო მოაზროვნე".

— „ქართული ეროვნული ენის საერთაშორისო არე მხოლოდ ფართოვდებოდა იმით, რომ სალიტერატურო ენის გავლენით, ენისა, რომელიც მდიდრდებოდა მეზობელი კულტურული ხალხების სიტყვებით, სხვადასხვა მსოფლიო კულტურების, აგრეთვე ბერძნულისა და არაბულის ტერმინოლოგიით, ქართული ეროვნული ენა სამყაროს აღქმის მხრივ ხდებოდა უნივერსალურ ენად. უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ქართულ განათლებაზე ერთნაირად შემოქმედებითად ახდენდა გავლენას როგორც ქრისტიანული, ისე მუსულმანური კულტურა. უახლოეს დრომდე ძნელად მოიძებნება ქართულის მსგავსი ენა, რომელზედაც თარგმნილი იყოს ამდენი ლიტერატურული ძეგლი: ქართულ ენაზე თარგმნიდნენ ბერძნულიდან, სომხურიდან, სირიულიდან, არაბულიდან, სპარსულიდან, თურქულიდან და ა. შ. ქართული ეროვნული მეტყველების გამომსახველობის უნივერსალობას აძლიერებდა ის თვისებები, რაც მას მემკვიდრეობით დარჩა იმ ადგილობრივი ენებისაგან, რომლებიც ქართულ ენაზე ადრე ასრულებდნენ კავკასიის საზოგადოებრიობის იარაღის როლს. იმავე უნივერსალობას აძლიერებდა შეთვისება ან სესხება კავკასიის უფრო გვიანდელი ენებიდან, რომლებიც ასრულებდნენ საზოგადოებრივი მეტყველებით იმავე როლს".

— „ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებას, მხატვრობას და საზოგადოდ ხელოვნებას მხოლოდ მეცნიერების კვლევა აკლია და არა მაღალი ღირსება. განსაცვიფრებელი ნაყოფი გამოუღია საქართველოში ნეოპლატონური ფილოსოფიის შეთვისებას და მის განვითარებას.

მაგრამ ქართველების კულტურულ საუნჯეში არის ერთი ძვირფასი სპეკალი, რომელიც მარტო, თავისთავად, მეცნიერებაში ანაჭებს მას უპირველეს ადგილთაგანს. და ქართველების ეგ სულიერი საკუთრება არის, რომ ამ ლექციაზე შეგვიქცევს.

ქართველი ერი ამ ძვირფასი საუნჯით... მჭიდროდ ენათესავება დაუსაბამი დროიდან თანამედროვე კულტურის განვითარების წყაროში ჩამდგარი კაცობრიობის ერის უდიდეს ნაწილს და ამგვარი ნათესაობის წყალობით იგი უკავშირდება განუშორებლად კულტურულ

კაცობრიობის ერთიანობას. მე ვამბობ უდიდეს განძზე ქართველობის არსებისა — ქართულ ენაზე!“.

— „...იმ ხანებს ეკუთვნის დიასახლისური წესწყობილება, მატრიარქატი უძველესი ხანის საზოგადოებრივი იდეალით, და მისი კვალი, არა ერთი, დღევანდლამდე ჩარჩენილა ქართულ ენაში. სხვა რომ არა იყოს, იმ უძველესი ხანების ნაანდერძევია ქართული ენის ის თვისება, რომ ორი სიტყვის შეკავშირებაში, თუ ისინი მამობრივი და დედობრივი სქესის გამომთქმელი არიან, მანდილოსანს უპირატესობა ეთმობა. მაგალითად, **დედ-მამა, ცოლ-შვილი, და-ძმა, ქალ-ვაჟი** და არა შებრუნებული, ქართული ენის გრძნობისათვის, საწინააღმდეგო რიგი. ეს მანდილოსნის საზოგადოებრივი გავლენიანობა და მასზე აღმოცენებული პატივისცემა ქართველებში ჩარჩენილია ნეოლითის ხანიდან, თუ ადრინდელიდან არა“.

— „თავისი ეროვნული კულტურული სიდიადის შეუგნებელი უბრალო მჩხრეკნელნი, რაღაც საშუალო საუკუნეების თხზულებების გადამწერი გაუნათლებელი ბერ-მონაზვნები არ გახლდათ სინა-პალესტინის ქართველი მოღვაწეები! თვით 864 წლის ქრესტომათიის მინაწერია ქართული ენის შესხმა. ეროვნული ენის დამოუკიდებელი განვითარებით თავი მოჰქონდათ მათ, იქ მოღვაწე ქალსაც და კაცსაც, რადგან დედაენის ღრმა ცოდნას დაპატრონებული იყვნენ, და სამშობლოზე თუმცა მოშორებული, სამშობლოში განათლებაზე მზრუნველ თანამემამულეებზე არანაკლებს, ხან, — ჩანს, თითქოს მეტს — სამამულიშვილო ღვაწლს ასრულებდნენ ეროვნული კულტურის ასამაღლებლად“.

— „ქართულ ენას შეუძლია სრულფასოვნად და დაუმახინჯებლად გადმოსცეს განყენებული აზროვნების ცნებები. ქართულად ადვილად ითარგმნება როგორც აზიური, ისე ევროპული კულტურული საზოგადოებრიობის მთელი პროდუქცია. მას საკმაოდ მდიდარი საშუალებები მოეპოვება გამოყენებითი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ნაციონალიზაციისათვის. ამასთანავე, იგი უდიდესი შრომით მოპოვებული ინტერნაციონალიზმის ჩანასახსაც შეიცავს. ქართული ადვილად უნათესავდება ან უახლოვდება უცხო წარმოშობის ენას, ადვილად ითვისებს მეზობელი და უცხო ხალხების აზროვნებასა და მეტყველების მიღწევებს. ქართული ენა არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო განვითარებული და ცოცხალი სამწერლობო ენა“.

— „ქართული ენის სისტემატურმა დევნამ... შეაფერხა მეცნიერების ნორმალური განვითარება ლინგვისტურად ფრიად საინტერესო და მდიდარ ქართულ ენაზე, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია არა მარტო თეორიისათვის, არა მარტო ენათა წარმოშობის საკითხისა და ზოგადი ენათმეცნიერებისათვის ან წინა აზიის უძველესი ისტო-

რიისათვის...! მაგრამ ამ შეფერხებათა მიუხედავად, ქართულ აზროვნებას, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იხვეწებოდა სხვადასხვა გონებრივი მიმართულების სკოლაში, არ დაუკარგავს კულტურისუნარიანობა, ის სერიოზული კულტურისუნარიანობა, რომელიც ერთ დაკვირვებულ ევროპელს, მისივე სიტყვებით, თვითნაბად ნიჭად ეჩვენებოდა. სისტემატურმა დევნამ სრულიად ვერ წაართვა ქართულ ენას ძველთაგანვე შემუშავებული, მისთვის დამახასიათებელი უნარი — ყოფილიყო მრავალტომობრივი ქართველი ხალხის ღრმა წიაღში ახალ იდეათა და მოძღვრებათა წერილობითი თუ ზეპირად დამკვიდრების მძლავრი იარაღი. და უკანასკნელი ორი ათეული საუკუნის განმავლობაში საზოგადოებრივი აზრი დუღდა და მწიფდებოდა ქართველი ხალხის ფართო ფენებში“;

— „ნანგრევები და ნაშთები ამ მხარის საოცარი სულიერი კეთილდღეობის ეპოქის თვალსაჩინო მოწმენი არიან. ყოველივე ეს და აგრეთვე მრავალი სხვა, რაც ცხადი ხდება ქართული ლიტერატურის დღემდე შემორჩენილი იშვიათი წერილობითი ძეგლებიდან, ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ძალა შესწევდა პატარა ქართველი ხალხის გენიას, როდესაც იგი დროდადრო მაინც ახერხებდა თავისი კულტურული ძალების მშვიდობიანსა და თავისუფალ განვითარებას“.

— „საქართველო უძველეს დროშიც ლინგვისტურად დაყოფილი იყო... სხვადასხვა მონათესავე ენად, კილოდ და თქმად, — ამბობს იგივე მარი. — იგი ჩვეულებრივ დაყოფილი იყო სხვადასხვა სამეფოდაც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველო მთლიანი იყო, როგორც ნაციონალურ-კულტურული ერთეული. ქრისტიანობის შემოღებიდან მას აერთიანებდა, სხვათა შორის, საეკლესიო და სალიტერატურო ენა. შემდგომ, ჯერ კიდევ ძველ დროში, შემუშავდა აგრეთვე საერო, სიტყვაკაზმული ლიტერატურა და მან კიდევ უფრო მძლავრად შეაკავშირა ქართველი ტომები. საერთო სალიტერატურო ენის საფუძველზე წარმოიქმნა ადგილობრივი ნაციონალური კულტურა. ამ სალიტერატურო ენას „ქართული“ ეწოდება. ასეთი სახელწოდება სწორია მხოლოდ მისი დიალექტური საფუძვლის ლინგვისტური დახასიათების თვალსაზრისით; სწორია იგი, აგრეთვე, იმ ისტორიული თვალსაზრისითაც, რომ ამ საქმის წამოწყება ითავა ტომმა, რომელიც ეთნოგრაფიულად და დიალექტურად ქართველებადაა სახელდებული. მაგრამ ეს იყო V საუკუნეში ქრისტეს დაბადებიდან. მეექვსე-მეშვიდე საუკუნეებიდან კი ამ სალიტერატურო ენის განვითარებაში, გარდა ქართლელებისა, მონაწილეობას იღებენ სხვა ქართველი ტომებიც (გურულები, მეგრელები, სვანები, ლაზები და ა. შ.), რომელთაც საერთო-ქართულ ლიტერატურაში, საერთო ჯამში, უფრო

დიდი წვლილი შეაქვთ, ვიდრე თვითონ ქართლელ-ქართველებს. ამგვარად, ლიტერატურა ტომობრივიდან ნაციონალური ხდება, ხოლო სალიტერატურო ენა — დიალექტურქართულიდან, კუთხურიდან — საერთო-ქართული... ამ რეალური კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ქართული სალიტერატურო ენა იმდენადვეა სვანური და მეგრული, რამდენადაც ქართული, ან, რაც იგივეა, რამდენადაც გურული და იმერული. ესაა მშობლიური სამწერლობო ენა ყოველი ქართველი ტომისა, რომელ კილოსა თუ კილოკავებზე და ენაზეც არ უნდა ლაპარაკობდნენ ისინი შინ, საკუთარ კერასთან. ასეა არა გუშინდელი დღიდან, არამედ უკვე ათზე მეტი საუკუნის განმავლობაში".

— „პოლიტიკურ სარბიელზე, ისევე როგორც სალიტერატუროზე, რიგრიგობით დაწინაურდებოდა ხოლმე სხვადასხვა ქართველი ტომი: იბერები, მესხები, ქართლელები ანუ „ქართები" — ან წყვილ-წყვილად — იბერები და კოლხები, ქართლელები და იმერლები და ა. შ. მაგრამ ყოველთვის, რა ცხოვრებისეული ნაკადებიც უნდა წარმოქმნილიყო, ისინი ერთი და იმავე ქართული ნაციონალური მიმდინარეობის საერთო კალაპოტში მიედინებოდნენ; ქართლელები და კახელები, ლაზები და მეგრელები, სვანები, მესხები, იმერლები და სხვა ტომები, ზოგი გადაშენებული, ზოგი მოგვიანებით სხვა სახელით ცნობილი (მაგალითად, გურულები), თანაბრად გამოდიოდნენ რიგრიგობით ქართული კულტურის მეწინავე მუშაკებად...; ტომობრივი გარემოს ცვალებადობას, რომელშიც ქართული კულტურა ვითარდებოდა, ამ პროცესებში მრავალფეროვნება შეჰქონდა, სალიტერატურო ენის გამდიდრებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ".

— „ქართულს... ჩემთვის ყოველ ეჭვს გარეშეა, ფრიადი პატივისცემა და ჩვენთვის ახლა წარმოუდგენელი პატივისცემა მოელის მეცნიერებაში... მაშინ, მე მწამს, მოზარდ თაობას, პაწაწინა და მოზრდილ ქართველ ვაჟებს და ქალებს მათი სამშობლოს მოტრფიალე დედები, მამები და ბიძები მეტის გულწრფელობით, ნამდვილი გულის სიღრმიდან ეტყვიან: „პატივი ეც დედაენასა შენსა!", თან უფრო გამარჯვებული ჩაგონებით ზე დასძენენ: „და ისწავლიდე მას და ყოველთა ძმა-ენათა მისთა მეცნიერულად, და კეთილ გეყოს შენ!".

— „მშვიდობით. დროებით ვწყვეტ ლექციებს, საგრამატიკო კურსი ხომ დაგიმთავრეთ. რაც სასწავლო მასალა მქონდა, უკვე მოგახსენეთ: ქართული ენა უფსკრულია, მისი ამოწურვა შეუძლებელია თვით უნივერსიტეტში, სადაც ვრცელი, მეტი რომ არა ვთქვათ, პროგრამაა"[1].

---

[1] ლენინგრადის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში წაკითხული ლექციებიდან („ახალი ქართული ენის პრაქტიკული კურსი").

— „მე ვლაპარაკობ ქართული ენის დიდ მნიშვნელობაზე არა იმიტომ, რომ ქართველი ვარ, არამედ იმიტომ, რომ თვითონ ქართული ენა არის თავისი შინაგანი თვისებებით მსოფლიური“.

პეტრე უსლარი:

„ქართული ანბანი ყველაზე სრულყოფილია არსებულ ალფაბეტებს შორის. ყოველი ბგერა აღინიშნება განსაკუთრებული ნიშნით, ხოლო ყოველი ნიშანი გამოხატავს ერთსა და იმავე ბგერას. ყველა ევროპულ ენაში დიდ დაბრკოლებას ქმნის ორთოგრაფია. ქართველისათვის, მისი ალფაბეტის სრულყოფილობის მეოხებით, ეს დაბრკოლება არ არსებობს“.

დავით ალენი:

„ქართული ანბანი სავსებით სრულყოფილი ინსტრუმენტია ქართული ენის მრავალფეროვან ბგერათა მთელი სიმდიდრის გადმოსაცემად. ასოები გადმოსცემენ ყოველ ცალკეულ ბგერას ზუსტად და ნათლად, და ვერც ერთი სხვა ანბანი, მათ შორის სომხური, ვერ შეედრება მას ამ მხრივ“.

ბარონ ფონ ლიხტენბერგი:

„მე დაუფლებული ვარ მსოფლიოს ბარე ოცდაოთხ ენას და ასეთი ლამაზი ასოები, ასეთი პრაქტიკული, ზუსტად გამომხატველი ყოველი ბგერისა, მე სხვა ალფაბეტი არ მეგულება“.

ალექსეი ლოსევი:

„ქართული ენის გრამატიკის ზერელე გაცნობაც კი გვიჩვენებს, რაოდენ გმირული როლი განეკუთვნება ქართულ ენას ერგატიული სისტემის დაძლევისა და ნომინატიურის მიღწევის თვალსაზრისით. არც ერთ სხვა ენაში არ ვლინდება ესოდენ მკაფიო ფორმით ადამიანის ენისა და აზროვნების მძლავრი ძალისხმევა ერგატიულისა და სხვა ტიპების, აგრეთვე მათთან დაკავშირებული მითოლოგიის დასაძლევად და ნომინატიურ წყობაზე გადასასვლელად, რომელიც უკვე სინამდვილისადმი წმინდა მეცნიერული მიდგომის გამომხატველი და დამამკვიდრებელია. რა თქმა უნდა, ძალზე კარგი და საქებარია ამ უდიდესი გამარჯვების ნაყოფით სარგებლობა, როგორც ეს ხდება ინდოევროპულ ენებში, სადაც ჩვენ აღარც კი ვფიქრობთ იმაზე, თუ

რაოდენ შესანიშნავი აღმოჩენაა სასელოპითი ბრუნვა სუბიექტის ბრუნვის თვალსაზრისით. მაგრამ სამეცნიერო უფრო დიდებული იყო ის გმირული ძალა, რომელიც ამ გამარჯვების მისაღწევად გამოვლინდა..

ყოველივე ეს მშვენიერი სურათია ადამიანის სულის ბრძოლისა ზუსტი გრამატიკული კატეგორიებისათვის და ამით მეცნიერული აზროვნებისათვის, უმაღლესი ადამიანიური შემეცნებისათვის, ბუნებაზე ბნელი და უსუსური შეხედულებების დაძლევისათვის და, მაშასადამე, ბოლოს და ბოლოს, თვით ბუნების დაუფლებისათვის. ქართველური ენების შესწავლა ამ მხრივ ფრიად ეფექტიანია“.

აკაკი შანიძე:

— [ქართული ენის] „მნიშვნელობა გაცილებით ფართოა, ვიდრე ჩვენის ერის ეთნოგრაფიული და საქართველოს სახელმწიფო საზღვრები. იგი სანუკვარი და საყვარელია ჩვენთვის, მაგრამ სხვებისთვისაც დიდი კულტურული ღირებულება აქვს. სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ის გარემოება, რომ ქართულ ენას შემოუნახავს კაცობრიობისათვის არა ერთი და ორი ძეგლი, რომელთა დედნებშიც ან მთლიანად და სამუდამოდ დაკარგულია ან არადა ჯერჯერობით მაინც აღმოჩენილი არ არის, საკმარისია, რომ ქართულმა ენამ საპატიო ადგილი დაიჭიროს კულტურულ ენათა შორის. მაგრამ ქართული ენის მნიშვნელობა უცხოელთათვის მარტო იმით როდი განისაზღვრება, რომ ქართულმა ნათარგმნმა ლიტერატურამ დაღუპვას გადაარჩინა მსოფლიო ლიტერატურის ძეგლები. არა! იგი უფრო საყურადღებოა იმით, რომ მან მსოფლიო ლიტერატურას შესძინა თავისი ორიგინალური თხზულებანი“.

— „ენათმეცნიერების თვალსაზრისით ქართული ენა ერთ უშესანიშნავეს ენათაგანია: საინტერესო და საყურადღებოა მისი აგებულება, რომელსაც მეტისმეტი თავისებურების ბეჭედი აზის: ფონეტიკა თუ მორფოლოგია, სინტაქსი თუ ლექსიკა, ერთი სიტყვით, ყოველი მხარე ქართული ენისა, მდიდარი და მრავალფეროვანი, იზიდავდა და იზიდავს თავისკენ ყურადღებას. ბგერითი შემადგენლობა ჩვენი ენისა, განსაკუთრებით კი თანხმოვნები და მათი თავისებურება, ერთ უდიდეს პრობლემას შეადგენდა და შეადგენს ფონეტიკისათვის და ამ პრობლემის გამოცნობა და საბოლოო გადაწყვეტა უფრო სასურველია და საშურიც, რომ ამით ნათელი მოეფინებოდა არა მარტო ჩვენი ბგერების ბუნებას, არამედ მრავალი კავკასიური ენის ბგერებისასაც, ვინაიდან კავკასიის ერებს ჩვენებური სისტემა აქვთ. ახლა აიღეთ ჩვენი ფონეტიკური კანონები. ხშირად აქ ერთი ენის ფარგლებში ისეთს მოვლენას ვხედავთ, რასაც, მაგალითად ინდოევროპულისა და სემიტუ-

რი ოჯახის ორ მონათესავე ენას შორის თუ ექნება ადგილი. ფორმალური მხარეც არა ნაკლებ თავისებურია: სახელების მიმოხრა, სიტყვათა წარმოება და, განსაკუთრებით კი, ზმნათა უღლება კაცს აკვირვებს თავისი ორიგინალობით. ზმნების უღლება — ეს ქვაკუთხედია არა მარტო მორფოლოგიისა, არამედ საზოგადოდ მთელი ჩვენი გრამატიკული შენობისა...; ერთსა და იმავე დროს ანგარიში ეწევა და მხედველობაში მიღება როგორც სუბიექტის პირისა, ასევე რიცხვისაც — ეს ისეთი რამ არის უღლებაში, რომ თამამად შეიძლება ითქვას: ძნელად თუ მოიძებნება დედამიწის ზურგზე ენა, რომ ამ მხრივ ქართულს შეედრებოდეს".

გერონტი ქიქოძე:

„ეროვნული სულის სიმდიდრე და სიძლიერე ან კიდევ მისი სილრიბე და უილაჯობა არსად არ იხატება ისე ნათლად და ხელშესახებად, როგორც ენაში. ენა ააშკარავებს როგორც აზრთა მორჩმულობას და გრძნობათა მრავალფერადობას, ისე ეროვნული ტემპერამენტის სიცხოველესაც... ის ცოცხალი სალაროა იდეათა და ემოციათა.

...წმინდა ქართული ენა იმდენად მდიდარი, კულტურული და კეთილხმოვანია, რომ ის ჭეშმარიტად ღირსია მეტი პატივისცემისა. ის მზადაა გამოხატოს უმძიმესი ფილოსოფიური იდეები და უმსუბუქესი ეროტული სენსაციები. ის ხან მკვეთრი და ძლიერია, ვით გრდემლის და კვერის შეხვედრა, ხან ნაზი და ტკბილი, ვით პირველი ღიმილი შეყვარებული ქალ-ვაჟისა. ის ხატავს ჩვენს მოღუშულ მთებსა და მოღიმარე მდელოებს, ვეშაპის ხმიან ჩვენს ჩანჩქერებსა და ჩხრიალა მდინარეებს, ჩვენს უღრან ტყეებსა და პიტალო კლდეებს. მის რიტმში ჩვენ გვესმის შორეული სიმღერა ომში მიმავალი რაინდებისა".

მიხეილ ჯავახიშვილი:

— „ქართული ენა უუმდიდრეს ენად ჩაითვლება!".

— „ქვეყანაზედ არავის არ აქვს ქართულისთანა სრულყოფილი ალფაბეტი. ჩვენისთანა ფონეტიკური ტრანსკრიპცია მიუღწეველია სხვა ერებისათვის. ქართულად ისე იწერება, როგორც გამოითქმის, და გამოითქმის ისე, როგორც იწერება. ეს არის უმთავრესი თვისება და მშვენება ქართული ალფაბეტის".

— „ქართული ალფაბეტი და ორთოგრაფია უკიდურესობამდე მარტივია, მკაფიო და ნათელი. და სწორედ ამ მარტივობაშია მისი გენიალობაც. იშვიათად შეხვდებით ასეთს ადვილ მართლწერას. როგორც ვლაპარაკობთ, ისე ვწერთ, და როგორც იწერება, ისევე გამოითქმის".

...ვზივარ, ამ სტრიქონებს ვწერ და ღამეები მიჰქრიან, როგორც ნაბღით დაჭედილი ბედაურები...

მკლავი მომექანცა, მეტკინა წელი, ვზივარ და მაინც ვწერ (ჩემი სული ჩემ სხეულზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა).

შევდგები.

ჩემს ხელნაწერს ვათვალიერებ.

გაოცებული შევსცქერი ბნელი საუკუნეების საშოში უთარიღოდ წარმოშობილ ფანტასტიურ ჰიეროგლიფებს.

შევსცქერი ქართულ ასოებს და ასე მგონია: მე მათ შორის უნდა ამოვიკითხო მეთქი ჩემი გმირების უცნაური ბედი.

ანი, ნამგლისთვის მიუმსგავსებია მიწის მოყვარულ ქართველ ხალხს (ამიტომაც შეურქმევიათ „გეორგოს“ ძველბერძნებს ჩვენთვის).

ბანი, ყელმოღერილ სურებს, დოქებს და ჭინჭილებს არ ჰგავს?

განი, ლაგვინებს და ჭურებს (ღვინის მოყვარული ხალხის მონაგონია უთუოდ).

ღ, ყ, ლ, დ. — წათებს, წერაქვებს და ჩაქუჩებს. ეს მელითონეთა და რვალის ხუროთა მიერ მონაგონია.

ენის,

სანის,

ხარის,

ნარის,

ვინის,

ფარის,

წილის,

ჭარის კლერტოები ლეკურებს, ხმლებს, სატევრებს, წათებს და ხელშუბებს მაგონებს.

აჰა, მოდიან ღეროვანი ასოების ლეგიონები. ისინი ხან ლელივით იკეცებიან, ხანაც ცხენოსანი ჯარის პიკეტებსავით მოემართებიან ამ-პარტავნად ზეალმართულნი.

და ამ ჲ-ს, ჭ, ჯ-ს, პაწია მარყუჟები ვაზისადმი სიყვარულის ანა-რეკლია (ამ დიონისურ ქვეყანაში წარმოშობილი).

კლერტო რაებსი მონადირე ტომის ტრფიალს გამოხატავს, ირმებისა და ჯიხვების რქებისადმი ტრფიალს.

ეს თავმოდრეკილი დონები, ღანები, ლასები ჩვენს გუთნებს, აჩა-ჩებს და კავებს მაგონებს.

ხოლო ინი, ინი პირწავარდნილი ნალია ცხენისა. ვინ იცის, ეგებ ცხენოსან ერს თან მოეტანოს იგი მესოპოტამიიდან ომითა და ზათქით წამოსულს. განუსაზღვრელად მახარებს მათი მზერა და მათი დაწერა

და ამიტომ მოცლილ ბალღსავით ვეთამაშები ქართულ ასოებს, და განზრახული მაქვს უთუოდ დავწერო ანბანთა ქება მე ხელმეორედ. სწორედ ამ ასოების მზერისას ხმიანდება ჩემს გულში სახე, ფერი და მოძრაობა.

და მე მაგონდება ბნელი ღამე ატლანტიის ოკეანეზე განცდილი ოდესღაც.

ზღვა ჯერ წყნარი იყო, ნამრუდისფერი, არა, ლილისფერი, აჰ, ლილისფერი კი არა, ნავთგარეულ წყლისა ფერისა. უცებ იელვა და გაფხრიწა ცა ელვათკრთომამ. ადგნენ ზვირთები, აბიბინდნენ და აიქოჩრნენ. წელის ლაშლაშით შემოერტყნენ მყის ჰვინტს გემისას, ისევ დადუმდა ოკეანე თვალშეუვლები.

ისევ გაუსვა ქარმა ქორის ფრთა და დააწვინა ტალღა ლელივით. ისევ აბორგდნენ, ახმაურდნენ მალი ტალღები, შემოესიენ, შეელეწნენ გემის კიდეებს.

და შეუბღვირა ლეგა ზეცამ ზღვას ფერგადასულს; ცა ისევ გასჭრა ელვათაკრთომამ (ლეკურსა ჰგავდა მარჯვედ მოქნეულს).

არ ვიცი, ღამემ, შემოქნევამ ცეცხლის ლეკურის რა ჩასჩურჩულეს დადუმებულ ზღვას. აზვავდა ტალღა, მას მეორე გამოეკიდა და ყოველმხრიდან წამოვიდნენ ლეგიონები და გაიმართა ტრიამელ ზღვაზე თავწაწყვეტილი ტალღათ ჯირითი.

როგორც გაზულუქებული ველური ტახები ტყეში შეჰქმნიან ნავარდს უცნაურს, ზეახტებიან გახურებულნი და შერჩებიან თამაშის დროს მუხის ტანს ეშვით, წამოვიდოდნენ ისევ ტალღები, შეახტებოდნენ გემს გაქანებულს, თავათ ნამცვრევად გადაქცეულნი.

კვლავ მოგვესიენ ბობოქარი ტალღები თქეშით. ზმუოდა ზღვა და ცას სხეპავდა ელვის ლეკური. ქაოსს გაეხსნა ვეშაპის ხახა და ურჩხულების ბობოქარი ლეგიონები მოლაშლაშებდნენ მორეკილნი წყალთ უდაბნოდან. აიმღვრა ცა და ზღვა უფრო აფორიაქდა და ტალღა ტალღას შეაწყდა ბნელში და ურჩხულებად ქცეულნი ზვირთნი ადგნენ, შეასხეს ტვინი მრუმე ცას.

და ასე.

როცა მე მეგონა მკლავი შესდგაო, როცა ვფიქრობდი დამეშრიტა გონების ძალი და ფანტაზიას ჩემსას ფრთენი შეეკვეცაო, ენა ქართული, ეს უფსკრული თვალშეუდგამი ისევ აზღვავდა, ისევ ადგა ამ ჩემს ცხელ სისხლში და წამოვიდნენ სახეები ტალღების დარად. მერმე აზვავდა სისხლი ჩემი და მოქანცული, მდორე გონება თითქოს უეცრად დასხეპაო ელვის ლეკურმა.

მოვსდექ და ისევ შევუტიე ამ უფსკერო ზღვას თვალშეუდგამს და გაჰელებულს და კვლავ მომინდა დავსწერო წვრილად მე ქებაჲ დიდებულისა ქართულისა ენისაჲ.

ისევ ვზივარ განთიადიდან განთიადამდის და ღამეები, მიჰქრიან როგორც ნაბდით დაცდილი ბედაურები...“

— „მთელი თავისი არსებობის მანძილზე უხდებოდა ქართულ ენას ბრძოლისა და კონკურენციის ატანა ისეთი მაღალი კულტურის მქონე ხალხებთან, როგორიცაა არაბული, სპარსული ან ბერძნული... იგიც ცნობილია, რომ თვით აღორძინებული, დიდი საქართველოს მეფეთა ზარაფხანებში მოჭრილ ქართულ მონეტებს ცალ მხარეზე ხან ბერძნული დევიზი ეწერა, ხანაც არაბული, მაგრამ საბოლოოდ მაინც შესძლო ჩვენმა ენამ ამ ზეგავლენათა გაბათილება...; თვით ბერძნულთან, სპარსულთან და არაბულთან შეჯიბრებისას ქართული ენა გამარჯვებული გამოვიდა მთელი კავკასიის ტერიტორიაზე. ასე რომ, ქართული ასოები ამშვენებდნენ მატერიალური კულტურის ძეგლებს ნიკოფსიიდან დარუბანდამდის, ჩერქეზეთის მთებიდან ანისის ტაძრამდის. ქართული ენის მეტოქეებიდან ზოგ-ზოგნი ისე წარიხოცნენ მიწისპირიდან, არც ჩვენს მწერლობას, არც ხუროთმოძღვრებას და არც ძეგლებს სჯულისდებისას არ შემოუნახავს მათი ზეგავლენა, ხოლო ჩვენი ენა და მისი დამწერლობა დღესაც ამშვენებს ჩვენი ბრწყინვალე ხუროთმოძღვრების, ჩვენი დიდი მწერლობისა და სამართლისმეტყველების უძველეს ძეგლებს. ძნელი და გრძელი იყო ეს გზა, ისრისა და ლოდსატყორცნის ეპოქებიდან — ავიაციის საუკუნემდის განვლილი, მაგრამ ხალხის უდრეკელმა სულიერმა ენერგიამ შემოგვინახა ბრწყინვალება და მშვენება მსოფლიოს ერთ-ერთი უხუცესი და უმდიდრესი ენისა, რომლის გენიოსურად მარტივსა და სრულყოფილ დამწერლობას დღესაც შემოუნახავს ანაგობა ქვაზე ნატვიფრი ასო-ნიშნებისა. სწორედ ამის გამო მისცა ამ ენამ ბიძგი ჩვენი ეპოქის ფენომენურ ფილოლოგს ნიკო მარს, რომელსაც ვერავინ შესწამებს ნაციონალურ მიკერძოებას, სავსებით მართებულად აღეკლინა სორბონში წარმოთქმული სიტყვით აპოლოგია ქართული ენის კულტურული შუბლისა“.

— „ქართული ენა უხუცესთაგანია როგორც ევროპის, ისე წინააზიის ენათა შორის. იგი და სომხური უცნაური ბედის წყალობით ერთად ჟღერენ თანადროული ფრანგულის, რუსულისა და ინგლისური ენების გვერდით. მათი დაწერილობა ჯერაც ინახავს ქვაზე ნაკეთობის ანაგობას, ესაა ენები, რომელთა ასოები მხარს უმშვენებდნენ ფარსულს, არაბულს, ასურულსა და ძველბერძნულს გადასული გმირების ეპიტაფიებში. ესაა ენები, რომელთა ასოები ამკობენ ქრისტიანული კულტურის უხუცესს ძეგლებს და ბიბლიის თარგმანების უძველესს ეერსიებს. ეს ამბავი განსაკუთრებულის სხივით მოსავს ჩვენს მწერლობას... ქართულს დიდხანს ასაზრდოებდა ტრადიციები ისეთი ბრწყინვალე ენისა, როგორიცაა ძველბერძნული. დიდი შემოქმედნი ჩვენი ენისა — იაკობ ცურტაველი და გიორგი მერჩულე, ექვთიმე და გიორ-

გი მთაწმინდელები, პეტრიწონელი და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ უცნობი ავტორი, ეზოსმოძღვარი ბასილი (საფიქრებელია, ალბათ, რუსთაველიც) აღზრდილი იყვნენ ძველბერძნულის ტრადიციებზე და შესანიშნავად იცნობდნენ საკუთარი ენისა და დიალექტების ბუნებას; ...ამ მწერლებმა შექმნეს მაგისტრალური ხაზი ქართული ენისა, რომელმაც აქცია ქართული ენა მწერლობისა და ფილოსოფოსების ენად. ეს იყო ასაკი სიმწიფისა, საიდანაც იწყება დიდი დიაპაზონის ქმნილებათა დაწერის შესაძლებლობა.. ამ სრულ ასაკოვანობას ქართულმა ენამ მე-11 საუკუნეში მიაღწია, ხოლო დანიშნულება — XIX საუკუნეში. სწორედ ამ პერიოდმა შექმნა უცნაური გოტიკა პეტრიწონელის ენისა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას როგორც შეუსწავლელი პლანეტა. ამ ეპოქამ მოგვცა სავსებით განსაცვიფრებელი რეალისტური პროზა. ამიტომაც იკმარა ქართული ენის სიტყვიერმა ინვენტარმა არა მარტო „ვეფხისტყაოსნის“ დასაწერად, ვისრამიანისა, შექსპირისა და ღვთაებრივი კომედიის, შაჰ-ნამესა და ნიბელუნგების სათარგმნელად, არამედ თანადროული ქიმიის, მათემატიკის, გეოდეზიისა და ასტრონომიის ურთულეს ცნებათა კომპლექსის შესაჯერებლად. პატრიოტიზმი როდი აძლევდა საბუთს შესანიშნავ ფილოლოგს ნიკო მარს, როცა იგი ხოტბას ასხამდა ქართული ენის კულტურულ შუბლისათვის“.

გალაკტიონ ტაბიძე:

— „შშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს ტკბილ ენას,
შენს შშვენიერ ჩანგს დავიცავ!
...ოცდაექვსი საუკუნის
წინათ ქმნიდნენ ქართულ ანბანს,
ხელნაწერნი განვლილ დროის
მოგვითხრობენ გმირთა ამბავს —
სუნთქვა ძველი წიგნებისა,
შშვენიერი ძველი უნა,
სული ქართლის ცხოვრებისა,
რუსთაველის აღმაფრენა!
შშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ უძველეს განძს.
იმ უძველეს წიგნს დავიცავ!
შლა წიგნების მიყვარს ძველის,
შშვენიერი ძველი უნა,
კიდევ — რაც ამ ოცი წელის

გადიშალა აღმაფრენა,
რაც ამბავი მოგუგუნე
ამ ანბანით აწყობილა!"

(„ჰიმნი ქართულ ანბანს")

— „შენ, როძელიც,
მარად მზეებრ გვინათ,
არა გუშინ
გაჩნდი თვალის ჩინად,
არამედ მზით
ამოენთე ბრწყინვად.
ოცდაექვსი
საუკუნის წინად...
იმდროიდან
დაწყებული დღემდე —
როს გათენდა,
მზით ანთებულ ზემდეგ,
სერზე აველ,
მთაწმინდაზე შევდეგ
ოცდაექვსი
საუკუნის შემდეგ.
შენ სიძველის
გმოსავს ნელი ხავსი,
ქვაზე ჭრილი
ხან ჩუქურთმის მსგავსი —
შენით მღერდა
მომღერალი ვეფხვის,
უდარუბლად
მცოდნე ლექსის ხერხის.
ეს შრიალი
იყო მრავალ ვერხვის
ოცდაექვსი
საუკუნის წინად...
შენ სიმები
მოგაქვს ჩემი ქნარის,
შენ შეჰხარი
თავისუფალ მხარეს,
შრომას ერთგულს,
თავდადებულს, ცხარეს,
ოცდაექვსი
საუკუნის შემდეგ.
ქალიშვილი
შენი მღერდა ჩონგურს,
შენ ჯერ უშლელს
მაშინ ჰგავდი კოკორს..
აწ სულ სხვა ხარ,

არ იმგვარი, როგორც
ოცდაექვსი
საუკუნის წინად...
კვლავ გვინათე,
როგორც ეხლა გვინათ,
რა იყო და
რაა ახალ ბრწყინვად —
დიდის გზნებით
ასე იყავ სავსე
ოცდაექვსი
საუკუნის წინად...
ცხრაასხუთი.
ოქტომბერი. ომი.
ჩემს ახლოს სდგას
კაცთ ახალი ტომი.
ხელთ უპყრია
ლექსთა ჩვენთა ტომი —
ოცდაექვსი
საუკუნის შემდეგ.
მარადისი
სიახლე გაქვს ორბის,
ხვეულები
გრეხილების ორფის.
გამშვენებდა
ახლის წინამორბედს
ოცდაექვსი
საუკუნის წინად...
სევდიანის
და როდესმე ობლის
გულმხურვალე,
როგორც ზრუნვა მშობლის,
ხარ აღმდგენი
ქალაქის და სოფლის
ოცდაექვსი
საუკუნის შემდეგ.
ოცდაექვსი
საუკუნის წინად,
ოცდაექვსი
საუკუნის შემდეგ".

— „თრთიან, როგორც მზის
ანარეკლები.
ძველი ქართული
ენის ძეგლები,
გულდამშვიდების
თუ აძგერების
ხმა ძველთაძველი
ხელნაწერების.

პეგრს კი ეერ ეპოკებლ
ხელნაწერებში
დაკოკულ ქაბოა
სიაკის გაბო.
რაბდენი ბწარე
ღაბის მთევია,
რასაც ჩვეხაბდის
მოუღწეკია.
არის მხიუღი
ნაბის თოვება,
რაც დღესდღეობით
მოგვეპოვება".

ტიციან ტაბიძე:

„შენს „ანბანსა" და შენს „ხილთა ქებას"
უჭრელებია პერგამენტები.
ვერ ნახავ ხის ტოტს, ხილი არ ებას,
დასაკრეფადაც არ გვემეტები.

დამდგარა ნისლი გომბორის მთაზე,
ერთად ჰყვავიან დეკა და ღვია,
მომხიბლავია ეს სილამაზე —
ვაჟა-ფშაველას ცრემლი ატყვია.

ანბანის ქებას ვინ დაიქადებს,
დღეს უანბანო არავინ არი,
ასე მოადგა აჭარის ქედებს
ჩაის ლაქვარდის ცის ქარავანი.

ასე მოადგა ლაგოდეხის ველს
კამეჩიანი ურმების ურდო,
რომელ ხილს აქებ, ან რომელ თაველს,
თუნდ რუსთაველის ლექსი გაქურდო...

იაკობ ხუცესს, მიქელ მოდრეკილს,
ლეონტი მროველს და ეფრემ მცირეს.
მთაწმინდის ბერებს, სიცოცხლის მთმობლებს,
რომელთაც ქართვლის ენა მოპირეს.

ყველას გეძახით, იყავით მოწმე,
დასტოვეთ თქვენი საფლავის დვირე —
მე არ მრცხვენია დიდ ეპოქისა,
ერთი საწყალი რომ ვარ მესტვირე".

ლადო ასათიანი:

„საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ!
მოიმღერა დღემდის უძველესმა ტომმა
შლეგი ჩანჩქერების ნაპრალებზე ხლტომა,
მყინვარების ღვთიურ ბრწყინვალებით დნობა,
ჯაგნარებში ირმის ჯოგის ნავარდობა,
გაფანტული ფარის მთაზე დაჯანღება
და ქართული ფარის ფარზე დაჯახება!
უძველესმა ტომმა დღემდის მოიმღერა,
მწიფე პურის ყანა ქარში როგორ ღელავს,
სარკინეთში გრდემლზე როგორ სცემენ უროს
და ვარსკვლავი ზღვებზე როგორ მოგზაურობს,
ან მთვარიან ღამით ციხე-კოშკის ჩრდილში
რა ტკბილია ფარულ სიყვარულის შიში,
როცა ღამისმთევლებს ლხინი გაუმართავთ
და სიზმრები როცა თვლემენ სასთუმალთან...
საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ!“

გიორგი ლეონიძე:

(„ქართულო სიტყვავ!“)

— „პირველ მოწყვეტილ იების დღიდან,
მე ვარ დამწუარი შენი მსახური;
შენი თაფლი და მარილი მზრდიდა,
მზე შენ დამწერე და გაზაფხული.
შენ უკვდავი რძით დამაძუძურე,
შხეფი ნათლისა სულში დასძარი;
ჩემი დროშა ხარ მოიერიშე,
ჩემი ვენახი, ჩემი ტაძარი!
შენზე უჭკნობი და დიდებული
რაღამ შექმნას და ვიღამ დახატოს,
გულზე ხარ ცეცხლით მომჭიდებული, —
ქართველი ხალხი სულის ღაღადო!
ფოლად-ნადები, ვარდში ხვეული,
თუ დაგივიწყო, — შემახმეს ენა!
სისხლსაც შენ მოგცემ მე წვეთეულად,
სისხლის წინწკალსაც უკანასკნელად.
შენ — უკვდავების ჩამონადენო,
მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო, —
ქართულო სიტყვავ,
ქართულო სიტყვავ!“

(„დედა-ენა“)

— „ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ვარდნაბამი ფურცელი,
ჩვენს ყრმობაში ჩართული!
დედის ძუძუ მეორე,
სიყვარული პირველი,
ჩვენს აკვანს შემომჯდარი,
მგალობელი ფრინველი.
იავნანის ნიავში
ჩვენს ყურთან რომ გაისმა,
ყრმობა რომ გვისურნელა,
როგორც ბაღი მაისმა...
ტკბილად რომ გაგვიხარა
ჩვენ ბავშვობა ბეჩავი —
შავი კაბით გაზრდილებს,
გახუნებულ ლეჩაქით.
ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ოქროსხმიან სიმებად
გულში ამოხლართული!“

— „მე საწყალობელს, მე ხელუღირსს, ცოდვა მერია,
საგალობელი მრავალთავი დავიღიღინო.
უცალო ვიყავ, უფრო ღამით დამიწერია,
შეუნდოს ცოდვა, ვინც წერის დროს მიგზავნა ღვინო,
ვინც მომაშველა ნასუფრალი პურის ნაწილი...
ხელი დალპების, ხოლო მწერლის რჩება ნაწერი!“

ირაკლი აბაშიძე:

(„ხმა კატამონთან“)

„ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჰირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.
ნათესავს ათასს,
მეგობარს ათასს,
მრუდსა და მართალს,
მტერთა და ძმათა.
დავშორდი.
მორჩა,

ყველა მოთაუდა;
მშვიდობა ვუთხარ ყველა მოკვდავთა,
მხოლოდ შენ უკვდავს,
მხოლოდ შენ მარადს,
შენ — ერთს
შენ ვერ გთმობ
სამარის კარად.
თუ რამ მზე მწამდა,
თუ რამ მზე მწვავდა,
უტკბილეს დღეთა,
უტკბილეს წამთა,
უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო,
შენ, მწარე ლხინო,
ტკბილო სევდაო,
შენ, ყოვლის მთქმელო,
ყოვლის არმთქმელო,
შენ, გმირთა გმირო,
ბრძენო ქართველო,
წარსულის ძეგლო, წინ გამხედავო,
ქვესკნელში მძრომო,
ცაში მჭვრეტელო,
ხან — ფუნჯო ჩემო, ხან — საჭრეთელო,
შენ აკვნის ჰიმნო,
ცრემლო სამარის...
იბერის ენავ,
ენავ თამარის...
შენ, ნიჭო ჩემო,
სრბოლავ და ფრენავ,
დედაო ენავ, დედაო ენავ!
დაეცეს, იქნებ, სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას,
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ, უჭკნობს,
შენ ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს
შენს უკვდავ სხეულს?
ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩემო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჰირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,

შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთს,
შენ ვერ გოშობ
სამარის პირთან".

იოსებ ნონეშვილი:

„ჩვენი ქართული — სიტყვაქარგული
სამშობლოს ფიქრი და აღმაფრენა.
ჩვენი ქართული — რუსთველის ენა,
ილიას ენა, აკაკის ენა,
ხან ყვავილების ნელი შრიალი,
ხან იადონთა ხმატკბილი სტვენა,
სიტყვა ფრთიანი, ნაპერწკლიანი,
ბარაქიანი ქართული ენა.
გულუხვი, როგორც რთველში ვენახი,
საამო, როგორც შრიალი ხეთა...
ჩვენ ხომ მას დედა-ენას ვეძახით,
გვიყვარდეს, როგორც მშობელი დედა".

ანა კალანდაძე:

„ფუნთუშა ლოყებს დაუგზნიათ ჭიაკოკონა,
ეარდო გაშლილო დედის ღხენაში!
„ედა ენაში"
რამ მოგხიბლა ჩემო გოგონავ,
კურდღლის ბაჭიამ,
თუ ჩიტების სტვენამ ვენახში?
გრძნობაფაქიზი
დარდს ეძლევი, პაწიავ, დიდსა:
ბარტყებს რად სთხოვსო მელია ჩიტსა?
დიდრონ ასოებს აყოლებ თითსა,
ღუღუნებს ასე ა-ი ი-ა, ა-ი ნ-ა-რ-გ-ი-ზ-ი...
მზე ჩადის ოდეს
ზღვის მხარეში ცეცხლის დასავალს
და ღრუბელი დახურავს მთათა
დედას შესჩივლებ:
— რად გააგდეს მჩხავანა კატა? —
მასვე უამბობ სამი კნუტის თავგადასავალს...
ფერად სურათებს უალერსებ, წიგნი მოღალე,
წიგნი მოღალე, ოქროს ენა არ მოგეღალა...
ისწავლე, ჩემო, შენი ქვეყნის მტერი, მოყვარე,
გიყვარდეს მარად შენი ენა, შენი ქვეყანა...
ფაფუკ ლოყებზე დაგეგზნება ჭიაკოკონა...
გესმის, ვიოლა,

წიგნით მერცხლის ჭიკჭიკი გესმის...
რა მოგწონს უფრო, ჩემო გოგონავ,
ჩიტი-ჩიორა,
შროშანი, თუ ყაყაჩოს ლექსი?“

მუხრან მაჭავარიანი:

(„მრავალჭირვარამგადანახადი“)

მრავალჭირვარამგადანახადი,
უნატიფესი ენა ქართული,
ყველაზე კარგად რომლის ლაზათი
შოთას ლექსშია გამოხატული:

ვინ იცის, მტარვალს გადურჩა რამდენს,
ვინ იცის,
მტერი ჰყავდა რამდენი...
მაინც შეიძლო მოსვლა აქამდე,
არ აღმოიფხვრა,
არ გაცამტვერდა.

დღეს ბედი მისი ჰკიდია ჩვენზე!
ლარი და ხაზი ამას არ უნდა...
ჩვენ უნდა შევძლოთ,
და კიდეც შევძლებთ! —
კვლავ იძლიეროს
ენამ ქართულმა.

შინაარსი

წინათქმა 3
ქართული ენის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა . 5
ქართული ენა და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა 12
ქართული ენის წარმოშობის თეორიები . . . 24
ქართული ენის კონტაქტები მსოფლიოს ენებთან . 85
ქართული ენის განშტოებები 126
ქართული სალიტერატურო ენა 135
ქართული დამწერლობა 160
ქართული სამწერლობო ენის სიწმინდისათვის ბრძოლის ისტორიიდან 191
ქართული ენის მეცნიერული შესწავლის მოკლე ისტორია . 210
ქართული ენის აპოლოგია 217

Шота Варламович Дзидзигури

ПРИКЛЮЧЕНИЯ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1990

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4474

გამომცემლობის რედაქტორი ნ. დარბაისელი
მხატვარი გ. ლომიძე
მხატვრული რედაქტორი ნ. კვინიკაძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორები: ე. გოგავა, ე. ჩიხლაძე
გამომშვები ე. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 18. 4. 1990; ხელმოწერილია დასაბეჭდად
ქაღალდის ზომა $60\times90^{1}/_{16}$; ქაღალდი № 2; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 15.5;
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14.32;
ტირაჟი 8000; შეკვეთა № 1177

ფასი 2 მან. 90 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19